კვირის პალიტრა

ფეხი

N43(176) 23/X.-29/X.2003. ფასი 60 თ.

1168
2003

შემთხვევითი 5 წუთი, რომელმაც ზაალ უდუმაშვილის ცხოვრება შეცვალა

რისი თქმა რცხვენია ნინო დარასელს

რითი ჰგვანან ქართველები ხორვატებს – დრაქენ ბრაიკოვიჩი

სასიძო – ლაშა ჯღლაძე: ქალი უნდა იყოს ინდივიდუალური და ...

თემა – რა ღირს მამაკაცური ღირსება?!

გვ. 26

თეა გობეჯიშვილი:

„... როგორც იქნა, ავტომობილიდან გადასვლა გავბედე. ის ინსპექტორი ისევ დაბლა ეგდო. დამინახა თუ არა, საბუთებიო — ამოიკნავლა...“

კვირის პალიტრა
ვეა
№43 (176)
23 – 29 ოქტომბერი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ლოგუნგების ქვეყანა“, ანუ კამპანიას გაუმარჯოოს!!! 3
აინოონა-დაინოონა
არიან თუ არა აგენტები ქართულ პოლიტიკურ ელიტაში 4
ერთი კითხვა 5
სასიკო
• ნეტავ, რამდენი იდო კონვერტში?.. 6
• ლაშა ბუღაძე: „დაოჯახებაზე სერიოზულად ვფიქრობ, მაგრამ...“ 7
მარჩიელი
„ბოლომდე გახსნილი არასდროს არის, მას უნდა უყვარდე...“ 9
ევრიკა
ელდარ შენგელაიამ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ დააპატენტა 11
კრიმინალი
• დავით შენგელიას მკვლელობისთვის დამკვეთი 5.000 დოლარის გადახდას აპირებდა 13
• 22 წლის განსასჯელი, მამა-შვილის მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ 14
მამაკაცური ოინები
სიყვარული „დვიქოკით“ და გივი სიხარულიძის სექსუალური მარცხი მოსკოვში 16
თემა
რა ღირს მამაკაცური ღირსება?! 19
ტესტი
ერთგული მკითხველი 21
კოლეგა
გაალ უდუმაშვილი: „ერთადერთხელ მომეცა აჯბათ შანსი და გამოვიყენე...“ 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
ქალი საჭესთან
თეა გობეჯიშვილი: „მე ყველაზე კარგი მძღოლი ვარ!“ 26
გზავნილები
„გთხოვთ, დეკოლტეს ნუ ჩაიცვამთ!..“ 28
ბახუსი
რევაზ არველაძე სამჯიქიანია... 30
თავკაცი
„ხორვატებიც და ქართველებიც ძალზე აგრესიული ხალხი ვართ“ 31
საქმიანი ქალი
„მამაკაცს ურჩევნია, ცოლი თვალებში შესციცინებდეს...“ 32

რა ღირს მამაკაცური ღირსება?!



19

რევაზ არველაძე სამჯიქიანია...

30

დავით შენგელიას მკვლელობისთვის დამკვეთი 5.000 დოლარის გადახდას აპირებდა

13

„დაოჯახებაზე სერიოზულად ვფიქრობ, მაგრამ...“



7

ტაძარი
რა ხდება სიკვდილის შემდეგ? 34

ტრადიცია
„არ იშიჭროთ, სათაკილო იყოს რამე...“ 35

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები
სერ სტენლი მეტიუზი – ჯენტლმენი ჯადოქარი ბლეკპულიდან 36

გემოვნება
ნინო დარასელი: „ნიკას უფრო ეხერხება დიზაინერობა, ვიდრე – მე...“ 38

რომანი
რუსუდან ბერიძე
დაგვიანებული რეისი
მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი
უმა თურმანი: „მან არა მარტო ჩვენს სიყვარულს, არამედ შვილებსაც უღალატა...“ 46

ავტო 48

ლიდერი
სილვიო ბერლუსკონი – მედიამაგნატის

იტალიური პრემიერა 49

პირადი ცხოვრება 52

შოუბიზნესი
მაია დარსმელიძე: „სტეფანეს სექსუალურობა ნებისმიერი ქალის მოლოდინს გადააჭარბებს“ 53

საფეხბურთო მინდვრებზე 54

საკითხავი ქალებისთვის 55

იუმორი 56

ჯანმრთელობა
- ნაოჭები – ქალის სილამაზის მტერი 57
- ზრდის პრობლემები 58
- ზრიპის სეზონი ახლოვდება 59
- მზის სკალპელი 59

ჰოროსკოპი
კვირის (27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

გადასალებ მოედნებზე 62

ტესტი
უფრთხილდებით თუ არა ჯანმრთელობას? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ნიკას უფრო ეხერხება დიზაინერობა, ვიდრე – მე...“

რომ მითხრან, ერთ ოთახში უნდა იცხოვრო და თან ყველაზე აუცილებელი ნივთები წაიღეო, პირველ რიგში ტელევიზორს, ტელეფონს და დასაჯდომად – ბალიშებსაც წავიღებდი.

38

„მართალმართხელ მოვმეცა ალგათ შანსი და გამოვიყენე...“



– პროფესიით არანაირი შეხება არა მაქვს ჟურნალისტიკასთან. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი დავამთავრე, ხომ ახლოს დგას?.. მაგრამ უკვე 12 წელია, ამ საქმეს ვემსახურები და ბევრ ჟურნალისტზე მეტი გამოცდილება მაქვს.

23

„მან არა მარტო ჩვენს სიყვარულს, არამედ შვილებსაც უღალატა...“

როცა ქმარი კანადაში მიმდინარე გადაღებებიდან დაბრუნდა, უმა თვალის ერთი შევლებითაც მიხვდა ყველაფერს: ის ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც 7 წლის წინ – ე.ი. როცა მათ – უმასა და ეტანს პირველი პაემნები ჰქონდათ...

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– გმადლობთ... – დაბნეულად ჩაილაპარაკა დეამ და, ბადრის მიერ გამოწვდილ დოლარების დასტას ორივე ხელი შეაგება, რითიც ბადრიმ მაშინვე ისარგებლა, დეას მკლავები შემოხვია და ტუჩებზე დაეცხრა...

42

„ლოზუნგების ქვეყანა", ანუ ყამჰანიას გაუმართჯოიოს!!!

დროის შეჩერება რომ შემეძლოს, არასოდეს დავამთავრებდი იმ სახალისო პერიოდს, საარჩევნო კამპანია რომ ჰქვია. კაცს თავი ზღაპარში გგონია – თანაც, რომელ ზღაპარშია იმდენი ტკბილი ტყუილი, ამ დროს რომ გვესმის?.. გინახავთ ოდესმე ასეთი ლამაზი ჩვენი თბილისი: ჭრელაჭრულა პლაკატებით მორთული შენობები, ბოძები, ტროლეიბუსები და მეტროს ვაგონები... მიდიხარ ქუჩაში, გულში იმედად გეღვრება ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებულ სარეკლამო ბილბორდებზე მიწერილი ლოზუნგები და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ უკიდეგანოა ქართველი პოლიტიკოსების იუმორი. ისეთ ადგილებზე აკრავენ ამ პლაკატებს, სადაც სხვა რეკლამებიცაა და მათი სინთეზი ანეკდოტებივით ჟღერს: „ლეიბორისტული (შრომის) პარტია – ინტიმი და სექსი ტელეფონით"; „ერთად ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო ქოლესტერინის გარეშე"... ან კიდევ: „გაწუხებთ ქერტლი? გაერთიანდით ახალი საქართველოსათვის!" უკეთესსაც გეტყვით: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იმედიანად დაგიცავთ კარიესისაგან"...

განსაკუთრებით მხიბლავს მეტროს ვაგონის ფანჯარაზე მიკრული პლაკატისა და მის ქვემოთ არსებული წარწერის სინთეზი: „პოლიტიკური ბლოკი „ერთობა" – ადგილი ბავშვებისა და ინვალიდებისათვის"; „ერთიანი კომუნისტური პარტია" – „ნუ მიეყრდნობით" და ა.შ. ამოხვალ სადგურზე, გახედავ პანორამას და დაინახავ ბოძზე მიყუდებულ სამლარიან მეძავს თავზე წარწერით: „სუფთა ხელებით პოლიტიკაში"... კაცო, პოლიტიკაში რომ ყველას იღებდნენ, ვიცოდი, მაგრამ ხელების გარდა, სხვა რამის სისუფთავე არაა ნეტავ საჭირო?!.

ამას წინათ გადავწყვიტე, ცხოვრების ცხოველურ რეალობას გავშორებოდი და ბავშვი ზოოპარკში წავიყვანე. მეკითხება:

– ცხოველებიც მონაწილეობენ არჩევნებში?..

– რა თქმა უნდა, არა-მეთქი, – ვუპასუხე, მაგრამ იმწამსვე იძულებული გავხდი, პასუხი „არ ვიცი"-თი შემეცვალა, რადგან მაიმუნების გალიაზე მიკრული პლაკატი დავინახე: „ჩვენ მივდივართ არჩევნებზე. შენ?.."

მაიმუნობისთვის აღარ მცხელოდა და ბავშვი მტაცებელი ცხოველებისაკენ წავიყვანე. ვხედავ, მგლებისა და ტურების გალიებს საზიარო პლაკატი ამშვენებს: „აირჩიე მომავალი"... პრინციპში, რაღაც პარალელებს აქამდეც ვავლებდი პოლიტიკასა და ზოოპარკს შორის, მაგრამ მაინც მეგონა, რომ ზოოპარკი ერთადერთი „ინსტანცია" იყო ქალაქში, რომელსაც არჩევნების ციებ-ცხელება არ შეხებია...

ამასაც არა უშავს, მაგრამ შემდეგმა მოულოდნელობამ ფანტაზიის ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა: იმ მოკრძალებულ და მეტად საჭირო დაწესებულებაზე, რომელსაც აქამდე M და Ж ასოები ეწერა და ყველაფერი მარტივად გასაგები იყო, ახლა ორი საარჩევნო პლაკატი აუწებებიათ. ერთზე კაცის მოღიმარი სახეა გამოსახული, თითით შესასვლელს გიჩვენებს და თან ინსტრუქტაჟსაც გიწევს: „იპოვე შენი თავი სიაში"... აქაც თუ სიებით იღებდნენ, არ მეგონა!.. ან იქნებ, მაჟორიტარი კლიენტი ვარ და არ ვაპირებ სიით შესვლას!..

მეორე პლაკატს კი სიმპათიური ქალბატონის სახე ამშვენებს, რომელიც დახმარებასაც გთავაზობს: „ერთად, ცოდნით, პატიოსნად"... მოკლედ, თუ იქ მისული გაჭირვებული ადამიანი სქესით კაცისკენ ხარ, პოლიტიკური პოზიციით კი ქალისაკენ, შეიძლება იმდენ ხანს იდგე და იფიქრო, საით შევიდეო, რომ შესვლაც აღარ დაგჭირდეს...

ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, ამ პარტიათა ლოზუნგები მეც გავაერთიანო და უნივერსალური დევიზი მივიღო, რომელსაც მართლა ყველა მისცემს ხმას! ნახეთ, რა კარგად იკითხება:

„გავერთიანდეთ ახალი საქართველოსათვის და ერთად, ცოდნით, პატიოსნად, 900 დღეში ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო ქოლესტერინის, ქერტლის, კარიესის, ტილის, ბუასილისა და პროსტატიტის გარეშე!!!"

P.S. მატარებლის კუპეში სამი ქალი მამაკაცზე ოცნებობს.

– როგორ მინდა, კარი გაიღოს და შემოვიდეს სპორტული აღნაგობის კაცი!...

– მე კი – სამხედრო პირი მირჩევნია, ვაჟკაცური იქნება!..

– მე ინდიელივით მოქნილი და დაკუნთული მინდა.

საუბარს გვერდით კუპედან ყური მოჰკრა პოლიტიკოსმა, კარი თამამად შეაღო და წარუდგა:

– ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ: სპორტის დამსახურებული ოსტატი, გენერალ-მაიორი ჩინგაჩ-ჭუკი...

პროვოკატორი

ლელა ჭანკოტაძე

არიან თუ არა აგენტები ქართულ პოლიტიკურ ელიტაში

ნინო ბურჯანაძის მიმართ წამოყენებულმა ბრალდებამ თითქოს ის რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია საქართველოში, აგენტების თემა კიდევ ერთხელ გახადა აქტუალური. საინტერესოა, რატომ ისმის ხშირად ასეთი ბრალდება. ხან ერთი პოლიტიკოსი იმართლებს თავს, აგენტი არ ვარო, ხან — მეორე. არიან კი ქართულ პოლიტიკურ ელიტაში აგენტები? ამ საკითხზე გვესაუბრებიან პოლიტოლოგები:

ირაკლი შენგელაია, *პოლიტოლოგი:*

— აგენტობის კომპლექსი ქართველებს დიდი ხანია, რაც გვჭირს. საბჭოთა კავშირის დროს საზოგადოებაში მართლა იყვნენ უშიშროების კომიტეტის აგენტები. ეს კომპლექსი განსაკუთრებით გამძაფრდა ეროვნული მოძრაობის აზვირთების დროს, როცა ადამიანები ერთმანეთს აგენტობაში სდებდნენ ბრალს. მსგავსი ბრალდებები დღემდე გრძელდება, მაგრამ მე არ მგონია, რომ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ჩვენს პოლიტიკოსებთან ხელშეკრულებებს აფორმებდნენ. ასეთ რამეში ეჭვი მეპარება, სამაგიეროდ, უდავოა, რომ ამ სიტყვის სხვა კონტექსტში ხმარება აუცილებელია.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთის გარეშე, არსებობა ვერ წარმოუდგენია. რას ნიშნავს ეს? რა დავარქვათ ასეთ პოლიტიკოსებს თუ არა რუსეთის აგენტები? აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვა „აგენტმა“ თავისი ძველი არსი დაკარგა და ტრანსფორმაცია განიცადა. ვერავინ ვერასდროს დაამტკიცებს, ვინ ვისი აგენტია და საერთოდ, ვინ არის აგენტი. ეს ტყუილი და ღია კარის მტვრევაა. ამას სჯობს, იმაზე ვისაუბროთ რომელი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ არის ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი. რუსეთი ხომ არასდროს ყოფილა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. ის გახლდათ დათვი, რომელიც საქართველოს იქით მიაქანებდა, საითაც საჭიროდ ჩათვლიდა. არც დასავლეთი იკლავდა თავს საქართველოსთვის. ჩვენი სამშობლო ყოველთვის „ვაჭრუკანობის“ ობიექტი იყო. ასეა დღესაც. ჩვენი ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოვა დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაში. ამის შესაბამისად მოქმედებს და აგენტობს ჩვენი პოლიტიკოსების არცთუ მცირე ნაწილი.

გია ნოდია, *პოლიტოლოგი:*

— არჩევნების წინ ამ თემამ ისევ წამოიწია, რადგან ჩვენი პოლიტიკოსების სენია, რომ რაღაც დააბრალონ თავიანთ მოწინააღმდეგეს და ამით საკუთარი თავი წარმოაჩინონ. აგენტობის ბრალდებას აყენებს ის, ვისაც საბრძოლველად სხვა პოლიტიკური კაპიტალი არ გააჩნია. ასე რომ, დაბრალებასა და რეალურ აგენტობას შორის კავშირი, შეიძლება საერთოდაც არ არსებობდეს.

— თქვენი აზრით, რომელი ქვეყნების აგენტები მოქმედებენ საქართველოში?

— საიდუმლო დაზვერვის აგენტების ქსელი საქართველოში რუსეთს ჰქონდა. შესაძლებელია, რომ ყოფილ აგენტებს რუსეთი ახლა შანტაჟის ძალით აიძულებს, ეს ტვირთი ბოლომდე ატარონ. რუსეთის გარდა, ინტერესი აქვს აშშ-საც, მაგრამ ამ სახელმწიფოს ხელისუფლებას იმდენად კარგი ურთიერთობა აქვს ჩვენს ხელისუფლებასთან, რომ აგენტების გამოყენება არ უნდა სჭირდებოდეს. საერთოდ, აგენტი არის ორი სახის: აგენტი, რომელიც ინფორმაციას აწვდის — ასეთი აგენტი შეიძლება პოლიტიკოსი არც იყოს და გავლენის აგენტი, ვინც გავლენის გავრცელებას ცდილობს საქართველოში.

— ასეთი აგენტი შეიძლება იყოს ქართულ პოლიტიკურ ელიტაში?

— შეიძლება, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: საქართველოში ჯერ ისევ არსებობენ პრორუსული განწყობის პოლიტიკოსები. ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ რუსეთის პოლიტიკას საქართველოში. ასეთ ფონზე აგენტების არსებობას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. რადგან არ არის აუცილებელი, რომ სპეცსამსახურის საშუალებით განხორციელდეს აგენტის ჩამოყვანა. შეიძლება რუსეთის სათათბირომ აგენტად გამოიყენოს პოლიტიკოსი, რომელსაც მისგან ზურგის გამაგრება დასჭირდება. ასე რომ, აგენტი შეიძლება ის იყოს, ვისთვისაც ეს სახელი არც კი უწოდებიათ და არა ის, ვისაც აგენტობას საჯაროდ აბრალებენ.

ირაკლი გალავაძე, *თსუ-ის სტუდენტი:*

— ხელისუფლებაში მოსასვლელად ჩვენს ყველა პოლიტიკოსს სჭირდება რომელიმე სხვა ქვეყნის მხარდაჭერა. ამიტომაც ამ სხვა ქვეყნის ინტერესებს ხშირად საკუთარი ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები ეწირება. ასე რომ, გაუგებარია, ვინ ვისი აგენტია და ვის რაში სჭირდება აგენტობა. თუ საკითხს ისე მივუდგებით, როგორც პოლიტოლოგები წერენ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკოსი აგენტი ყოფილა.

ცისია მელაძე, *დიასახლისი:*

— ყურადღებით ვუსმენდი ბრალდებებს, რომელიც ნინო ბურჯანაძეს წაუყენეს. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ქალბატონი ნინო აგენტი არ არის. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ბურჯანაძე-დემოკრატებმა თავად ააგორეს ეს ჭორი საკუთარი პარტიის რეკლამისთვის, რადგან ამ ჭორმა თუ დაუსაბუთებელმა ბრალდებამ საარჩევნო რეკლამის მსგავსად იმუშავა. არ ვიცი, აგენტები არიან თუ არა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, მაგრამ ამ სიტყვამ ძალა რომ დაკარგა, ამაში ეჭვი არ მეპარება. როცა ერთი პოლიტიკოსი მეორეს აგენტს უწოდებს, ეს უკვე არასერიოზულად აღიქმება.

გიორგი ჯიოშვილი, *ხაბაზი:*

— აგენტია, ის ვინც თქვა, რომ ეროვნება არ უნდა იყოს აღნიშნული პასპორტშიო. ისიც აგენტია, ვინც მოიფიქრა, რომ მამის სახელის აღნიშვნა აუცილებელი არისო. ვერც ერთი მტერი ქართველ კაცს ამას ვერ გაუბედავდა, ისევ ქართველებში მოინახა აგენტები და რაც რუსეთმა ვერ დაგვაკარგვინა, ამერიკამ წაგვართვა. თეთრი კბილი და შავი გულიო, სწორედ მათზეა ნათქვამი... აქამდე ვიცოდით, რომ რუსეთის აგენტები არსებობდნენ. თურმე ამერიკის აგენტები უფრო მაგრები ყოფილან. იქამდე მიგვიყვანეს, რომ ზოგჯერ მამაჩემიც აგენტი მგონია, ჩემი ქვეყნის სიყვარულით გული რომ ამივსო, აი, ამისთვის. იქნებ, ჯობდა ამდენი არ მენერვიულა იმ უმსგავსო საქციელის გამო, რითიც ჩვენი პოლიტიკოსები ჩვენს სამშობლოს ნამუსს ხდიან.

■

„ცესკოს შეუძლია, რომ არჩევნების ჩაშლის საშიშროება თავიდან აიცილოს“...

— *არის თუ არა იმის საშიშროება, რომ სიების ხელოვნურად გაბერვით არჩევნების ჩაშლის საშიშროება შეიქმნას ან ხომ არ არის მოსალოდნელი, ცესკომ არჩევნების ჩატარების დღე გადასწიოს?*

ვახტანგ ხმალაძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— წინასაარჩევნო პროცესებმა ისე გადაგვიყოლა, რომ აღარავის ახსოვს, ქვეყანაში ბიუჯეტის შესრულების პრობლემა ისევ რომ არსებობს. ამის მიუხედავად, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანად მაინც საარჩევნო სიებთან დაკავშირებული პრობლემებია. თუ სიები არ დაზუსტდება, არჩევნების სამართლიანად ჩატარება შეუძლებელი იქნება. არ არის გამორიცხული, გაბერილი სიების გამო, რეალურ ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოს, რის შემდეგაც ის ბუნებრივია, ჩაშლილად გამოცხადდება. როგორც იცით, საარჩევნო სიების დაზუსტების ვადა რამდენიმე დღით გაგრძელდა და ვნახოთ, ეს რა შედეგს მოიტანს. ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ცესკო-ს აქვს იმის შესაძლებლობა, არჩევნების ჩაშლის საშიშროება თავიდან აიცილოს.

გიორგი კოზახიძე, *„ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერი:*

— არა მგონია, ორი კვირით ან თუნდაც ერთი თვით, არჩევნების ჩატარების დღის გადაწევამ რაიმე შეცვალოს. საუბრობენ ორ კვირაზე, არადა, ეს ძალიან მცირე დროა იმისათვის, რომ ამომრჩეველთა სიების გადასინჯვა და შესწორება მოხდეს. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში უნდა დამდგარიყო იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ვის სახელსაც არჩევნების ფალსიფიცირებას უკავშირებენ. ბოლო წლებში ჩატარებული არჩევნებიდან ყველა გაყალბდა, მაგრამ ამისათვის არავინ დასჯილა. ივლისში თხოვნით მივმართე გენერალურ პროკურატურას, შეესწავლა არჩევნების გაყალბებასთან და სხვა მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებული საკითხები. ვგულისხმობ, ეკონომიკურ დივერსიებს, მოსახლეობის ფსიქოტრონული მეთოდებით მართვას და ა.შ. პროკურატურას კი ჩემს განცხადებაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ეს კიდევ ერთხელ მაფიქრებინებს, რომ ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული დარღვევები, ხელისუფლების მიერ შეგნებულად არის შექმნილი. და ეს ყველაფერი კეთდება იმიტომ, რომ სახელისუფლებო ბლოკს 7%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა აქვს. ■

„ეს ჩვეულებრივი, სამუშაო პროცესია“...

— **ბატონო ვანო, მაინცდამაინც საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში რატომ დასვით ქალაქის მთავრობის გადადგომის საკითხი?**

ვანო ზოდელავა, *ქალაქის მერი:*

— ბევრმა ეს საკადრო წმენდა, რატომღაც არჩევნებს დაუკავშირა, რაც სწორი არ არის... ეს ჩვეულებრივი, სამუშაო პროცესია, რომელიც დედაქალაქის საკეთილდღეოდაა საჭირო. თბილისის პრემიერი პარლამენტში კენჭს სახელისუფლებო ბლოკიდან იყრის. მოკლედ, თბილისს პრემიერი არ ჰყავს. როგორც კი პრემიერს ავირჩევთ, ის დასამტკიცებლად პრეზიდენტისა და თბილისის საკრებულოს წინაშე უნდა წარვადგინოთ. მას შემდეგ კი, საკრებულო გადაწყვეტილებას რომ მიიღებს, ვიცე-პრემიერებიც და მთავრობაც ხელახალი ვადით აირჩევა და საკრებულოსთან ერთად მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ დარჩება თბილისის მთავრობაში ძველი მთავრობიდან და ვინ მოვა ახალი. ასე რომ, ქალაქის მთავრობის გადადგომის საკითხი ნამდვილად არ არის პოლიტიკური მოტივაციით განპირობებული. ■

„თბილისობაზე“ ბიძინა კვერნაძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება...

— *რით იქნება გამორჩეული 19 ოქტომბერს დაწყებული „თბილისობა 2003“-ის დღესასწაული?*

დათო ოძიტაშვილი, *თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი:*

— ბევრი საინტერესო ღონისძიება დავგეგმეთ. მხატვარ-სცენოგრაფთა ნამუშევრების პერსონალური გამოფენები მოეწყობა, ჩატარდება კონცერტები რიყეზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და რესტორან „არაგვში“. წელსაც არ ვღალატობთ ტრადიციას და „თბილისობის“ დღესასწაულზე კიდევ ერთი ადამიანის — ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორის — ბიძინა კვერნაძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება. „არაგვში“ კი ქართული ესტრადის წარმომადგენლები ბატონი ბიძინას 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე წარდგებიან მსმენელის წინ. გარდა ამისა, საზეიმო ვითარებაში გაიხსნება რამდენიმე ობიექტი — მათ შორის, ორი თეატრი, განახლებული სამეფო უბნის თეატრი და თეატრი „გლობუსი“. „თბილისობის“ დღესასწაული 1-ელ ნოემბერს საზეიმო ვითარებაში დაიხურება. თბილისის მერიაში დედაქალაქის საპატიო მოქალაქეებს დააჯილდოებენ, მოგვიანებით კი, ვაკის თეატრალურ სარდაფში, ორი სპექტაკლის — რეჟისორ ოთარ ეგაძის „თვითმკვლელის“ და ლევან წულაძის „ხანუმას“ პრემიერა შედგება. ■

მარი ჯაშარიძე



ნეტავ, რაშდენი იდო კონვერტში?..

რუბრიკა „სასიძოში“ დავით კირვალიძის გამოჩენას მეტად საინტერესო და ორიგინალური გამოხმაურებები მოჰყვა. ჯერ „მესიჯებს“ გაგაცნობთ, შემდეგ კი საიდუმლო სტუმრების შესახებაც გიამბობთ, რომლებიც შინ მეწვივნენ...

„დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ბატონ დავითს, მაგრამ მასზე საკმაოდ უმცროსი ვარ და არა მგონია, თვითონ მოინდომოს გამოხმაურება...“

„ბატონ დავითს — ძველი დრო რომ იყოს, ჩადრით შეგმოსავდი, არ მსურს სიყვარული სხვათა საზიარო, ხელში აგიყვანდი, სახლში წაგიყვანდი, რათა სიყვარულის ნექტარს გაზიარო“...

... ხომ გეუბნებოდით, ორიგინალური გამოხმაურებები მივიღე-მეთქი... აი, კიდევ ერთი...

„დათო, ძალიან საინტერესო პიროვნება ხარ! თუ გაინტერესებს თვალებით მოსაუბრე გოგოს გაცნობა, შემეხმიანე. თუ არა და... ჩვენი ურთიერთობაც კარტოფილით დამთავრდება. პატივისცემით, სოფიკო...“

რაღა დაგიმალოთ და, წარმოვიდგინე, როგორ ზის ეს ორი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ სრულ სიჩუმეში და თვალებით საუბრობს... ხან გაიცინებენ, ხან სახეზე წყენა, ან მრისხანება გამოეხატებათ... საინტერესოა, სიმღერა რომ მოუნდეთ, მაშინაც თვალებით იმღერებენ, თუ... ერთი სიტყვით, ეს მათი საქმეა, ჩვენ კი გამოხმაურებების გაცნობა განვაგრძოთ:

„მახსოვს, ცისფერი მემოსა კაბა, ვიყავი ქალი, ვიწვოდი ვნებით, ახლა კი ხე ვარ უნაყოფო და... დღითი დღე ვხმები... ბლუ ნამდვილად არა ვარ, ბატონო დავით...“

„კიბო, თანაც კეთილთვისებიანი, მეც ვარ. არ ვიცი რატომ, მაგრამ იდუმალმა თვალებმა, ცოტა არ იყოს, დამაბნია... მარი“.

„ბატონო დავით! რა ვქნა, რომ თქვენს შესაფერის სიტყვებს ვერ ვპოულობ. დაჯდუმდები და დუმილი გეტყვის ყველაფერს... თუ სიყვარული მხოლოდ მითია, გულში ხანძარი რატომ მინთია?“

„მე ქრისტინე მქვია. მეც ჩემს რაიონში ცნობილი პიროვნება ვარ. მომწონს დავითისნაირი მამაკაცები. თუ არ დავოჯახდებით, იქნებ ვიმეგობროთ... დამირეკე“.

„დათო! ძალიან მენატრები. გახსოვს, ერთად გატარებული დრო? კარგი იყო, არა? მენატრება ის დაუვიწყარი დღეები. შენი... „გოჭი“...

„გამარჯობა, დათო... დავამთავრე კონსერვატორია, ვარ მუსიკოსი, ძალიან მიყვარს სოფელი და სამეურნეო სამუშაოები... დათოს შებრუნებული ვარიანტია, არა? ვარ რაჭველი და ვგიჟდები რაჭველებზე. გამიხარდება დათოს გაცნობა. მარი, ძალიან საინტერესო ავანტიურას გთავაზობ. იმედია, ბატონი მინისტრი მოიცლის და დამირეკავს. ანა“.

„ქვე შენი ჭირიმე, დავით! რავარი სიმპათიური ხარ, ბოშო, მერე, რავარი თანამდებობაც გაქვს? მეფიქრე, ბოშო და დამირეკე, ეგება ქვე გამოგვივიდეს რამე... გეიხარე, მარი, რავარი კაი კაცის მაჭანკლობა გითავებია... ვინ გოუშვებს მაგფერ კაცს უცოლოდ?“

ახლა კი იმ ვიზიტის შესახებ, რომელიც ჩემს სახლში შედგა. საკმაოდ გვიანი გახლდათ. ასე, ღამის 12-ის ნახევარი იქნებოდა, როდესაც კარზე კაკუნის ხმა მომესმა. ჩემთვის უცხო, ორი ქალბატონი იდუმალი ხმით შემოსვლას მთხოვდა. ჯერ ვიფიქრე, რომელიმე პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და დავაპირე, კარს მივუკეტავ-მეთქი. შემდეგ, კირვალიძე ახსენეს და ვიფიქრე, მინისტრმა ხომ არ გამოგზავნა იმისათვის, რომ ის ტელეფონის ნომრები გადამეცა, საიდანაც მას ეხმიანებოდნენ (იქნებ, გული არ უთმენს ადამიანს). მაგრამ აღმოჩნდა, რომ „საპატარძლოს“ დეიდები ყოფილან... შემოვიპატიჟე, ნახევარი საათი იმ გოგონას საქებარ სიტყვებს ვუსმინე, მისი სურათები ვათვალიერე და ვკითხე:

— კი, მაგრამ რატომ მაინცდამაინც დავით კირვალიძე გინდათ სიძედ?

— ის თუ მინისტრია, ჩვენი გოგო მინისტრის შვილივითაა... ისეთი ყელმოღერებული დადის, გედი გეგონებათ... შველივით ლამაზია, მინისტრის ცოლობის ღირსია ნამდვილად...

— ჩემი მისამართი საიდან გაიგეთ?

— გავიგეთ... მთელი ერთი თვით ადრე დავიწყეთ მისამართის დადგენა. ვიცოდით, კირვალიძეს ადრე თუ გვიან, თქვენს რუბრიკაში წარადგენდით...

— თქვე კაი ხალხო, ჩემი მისამართის დადგენას, სჯობდა მინისტრის მისამართი გაგეგოთ და თქვენი გოგო პირდაპირ მასთან მიგეყვანათ...

— ეგეც გავიგეთ, მაგრამ ასე არ გამოვა. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, თქვენ ხართ ჩვენი მშველელი. აი, ეს ჩვენგან და ეს მხოლოდ ნაწილია, ორ ამდენს კიდევ მიიღებთ, როცა საქმეს დაასრულებთ — თქვა ერთ-ერთმა დეიდამ და ჩემ წინ, მაგიდაზე, კონვერტი დადო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ქალბატონებს, თავიანთი კონვერტი უკან გავატანე. თუმცა, მერე ვინანე, რომ არ ვიკითხე — მაინც რამდენი იდო კონვერტში.

«დაოჯახებაზე სერიოზულად ვფიქრობ, მაგრამ...»



ვინ აღარ ყოფილა ჩემი „კლიენტი“, მინისტრები თუ მათი მოადგილეები, მომღერლები თუ მოდელიერები, მსახიობები თუ პარლამენტარები... ისიც გავიგე, რომ თურმე ბევრი მათგანი ჩუმ-ჩუმად რეკავს ჩემ მიერ შეთავაზებულ „საპატარძლოსთან“, ცდილობენ, არ გახმაურდეს ეს ამბავი, მაგრამ აბა, „ხანუმას“ გამოცდილ თვალს რა გამოეპარება? მადლიერი „საპატარძლოები“ კი მირეკავენ და სულ სიტყვასიტყვით „ჩამიკაკლავენ“ ხოლმე, სად დაპატიჟა ჩემმა „კლიენტმა“, როგორი დრო გაატარეს, რაზე ისაუბრეს, კიდევ როდის აქვთ პაემანი დანიშნული...

მინდა, ყველა მათგანს ბედნიერება ვუსურვო, ჩვენ კი მოვრჩეთ ჭორაობას და დღევანდელ „სასიძოს“ მივხედოთ. ეს გახლავთ ლაშა გულაძე — მწერალი, დრამატურგი და... კაი კაცი... ინტერვიუს დროს ლაშამ რამდენჯერმე დაიწუწუნა და თავისი „გაბარიტების“ გამო უკმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მშვენიერი, ფერხორციანი, სავსებით მოწიფული მამაკაცია, რომელიც შემოქმედებითი და ფიზიკური ძალების „გაფურჩქვნის“ პერიოდში გახლავთ... ეგ არის, ხანდახან „მძიმე“, „ბრაზიანი“ და „ჰაეროვანი“ „ქალბატონი“ ეწვევა ხოლმე. მოსვენებას არ აძლევს, აიძულებს, კომპიუტერს მიუჯდეს და... ბეჭდოს და ბეჭდოს... ვინ არის ეს ქალი? ამას ლაშას ინტერვიუდან შეიტყობთ...

მარი ჯაფარიძე

— ლაშა, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— ღრიანკალი გახლავართ, მაგრამ ამ სფეროში ნაკლებად ვარ გათვითცნობიერებული. ასტროლოგიური პროგნოზები საინტერესოდ არ მეჩვენება, რადგან ადამიანები ერთმანეთს ბევრი თვისებებით ვგავართ. უსაქმურობის დროს თუ გადავხედავ ხოლმე ჰოროსკოპს.

— რამდენი წლის ხარ?

— 25-ის.

— ხომ არ ფიქრობ, რომ დროა, დაოჯახდე?

— ვფიქრობ, რომ დროა, მაგრამ... ისე, ოჯახშიც მსაყვედურობენ, განსაკუთრებით მამის „ხაზი“ აქტიურობს... კარგა ხანია, ამ საკითხის გამო საყვედურებს ვისმენ... ლამის 10 წლის ასაკიდან მაძალებენ ცოლის მოყვანას, მაგრამ როგორც მამაჩემი ამბობს, ცოლი რომ მოიყვანო, ცოტა თავქარიანი უნდა იყოო... საზოგადოების თვალში, დაუოჯახებელი კაცი დასნეულებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქედან გამომდინარე, დაოჯახებაზე სერიოზულად ვფიქრობ, მაგრამ ვფრთხილობ.

— ოჯახში როგორი ხარ? გიყვარს ბუზღუნი?

— გააჩნია, სიტუაციას...

— საოჯახო „მენიუს“ მიმართ ხომ არ ხარ პრეტენზიული?

— ვაღიარებ, რომ „გასტრონომიული“ ვნებები მაქვს, მაგრამ სადილი თუ არ მომეწონა, ამის გამო არასოდეს ვბუზღუნებ, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში უამრავი ქალია, მე კი ერთადერთი მამაკაცი — საუზმე, სადილი და ვახშამი არასოდეს მზადდება... ყოველთვის სპონტანურად მივირთმევთ ხოლმე... ამიტომაცაა, რომ ეს ურეჟიმო კვება ჩემს გარეგნობაზე აისახა და წონაში მოვიმატე... გემრიელად ჭამა მიყვარს, მაგრამ ჩემს „გაბარიტებს“ გენეტიკას ვაბრალებ. ხომ იცით, ადამიანი დამნაშავეს ყოველთვის გარეთ ეძებს...

— რომანტიკული ადამიანი ხარ?

— რომანტიკულს არა, უფრო სენტიმენტალურს ვუწოდებდი თავს, თუმცა ორივე მაღიზიანებს. ყოველთვის ვღიზიანდები, როცა განწყობილება არამოტივირებულია, თუმცა ვაღიარებ, რომ ცხოვრება ამის გარეშე უსახური ხდება...

— იცვლები თუ არა, როცა შეყვარებული ხარ?

— დიდად არ ვიცვლები... ან რატომ უნდა გადავსხვაფერდე? სიყვარულის ახსნის განსაკუთრებული მეთოდიც არ მაქვს, რადგან არასოდეს არ ჭრის... უკეთ ჭრის ჩვეულებრივი, სტერეოტიპული მეთოდი — ოდნავ დაბოხებული ხმით, პაუზებით ლაპარაკი, გაბუტული იერის „თანხლებით“... ეს მეთოდი ათადან და ბაბადან ჭრიდა და დღესაც ასეა...

— გაბრაზებულ გულზე გინება თუ გჩვევია?

— არა, არასოდეს ვიგინები... შესაძლოა, პიესაში გამოვიყენო უცენზურო სიტყვები, რომ უარყოფითი გმირის ხასიათი უკეთ წარმოვაჩინო, მაგრამ ამ სიტყვებს ხმამაღლა არასოდეს ვიმეორებ...

— სასმელს კარგად იტან?

— არასოდეს დამილევია ერთ ჭიქაზე მეტი... ახალგაზრდობაში მამაჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, ამიტომ არასოდეს ეტანებოდა სასმელს. ჰოდა, მეც მის კვალზე წავედი... დიდი სუფრიდან, სადაც „დაუნდობელი“ სმა მიდის ხოლმე, აუცილებლად ვიპარები...

— ალბათ, ფხიზელიც კარგად ილხენ ხოლმე, მეგობრებთან ერთად...

— ასეთ დროს, ვთამადობ ხოლმე, რადგან მთვრალი ხალხის მოსმენას, ჯობს, მე მომისმინონ. რაც შეეხება ცეკვა-სიმღერას, ვმღერი, მაგრამ „გაბარიტების“ გამო, კომპლექსი მაქვს და ამიტომ არ ვცეკვავ...

— „გაბარიტები“ უკვე რამდენჯერმე ახსენე, არადა, საწუწუნო არაფერი გაქვს...

— *(იცინის)* როგორ არ მაქვს? გამხდარი რომ ვიყო, უკეთესი ვიქნებოდი... ჭამის შემდეგ, ხანდახან თვლემა მომერევა ხოლმე. ეს კი ძალიან ცუდია, მაგრამ... გემრიელ კერძებს ვერ ველევი...

— როგორი მანდილოსნები მოგწონს?

— საერთოდ, გავრცელებულია აზრი, რომ თუ ქალი ლამაზია, ის აუცილებლად შტერია, ხოლო შეუხედავი ქალი — ჭკვიანი... მე ჭკვიანი და ლამაზი ქალები მომწონს... ქალი უნდა იყოს ინდივიდუალური, მასთან ურთიერთობა არ უნდა მომწყინდეს, ერთმანეთის კარგად უნდა გვესმოდეს. არ მჯერა, რომ პლუსმა უნდა მიიზიდოს მინუსი. პლუსი პლუსთან უნდა იყოს და მინუსი — მინუსთან...

— ერთგული კავალერი ხარ?

— გააჩნია, ამას მარტო ფიზიკურ კონტექსტში თუ არ განვიხილავთ, კი... ყველაზე დიდ ღალატად მივიჩნევ ტყუილს,

ორი ადამიანის ურთიერთობაში... ისე, მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა... ერთგული ვარ თუ არა? *(იცინის)*. საკუთარ თავზე კარგს ვერ ვიტყვი. არ იქნება რეალური, ცუდის თქმა კი არ მინდა... საერთოდ, ცხოვრება მიდის საკუთარ მანკიერებასთან ბრძოლასა და მის დამარცხებაში. გამონაკლისი არც ჩემი ცხოვრებაა.

— სასიყვარულო ინტრიგაში თუ ყოფილხარ „გაბმული"?

— ამ მხრივ ნამეტანი „პენსიონერული" პოზიცია მაქვს. ბავშვობიდან უფრო გავიხსენებ მსგავს სიტუაციებს. ერთი თანაკლასელი გოგონა მიყვარდა, აღმოჩნდა, რომ ეს გოგო ჩემ გარდა ნახევარ კლასს უყვარდა. მოგეხსენებათ, გოგონებს უფროსი ასაკის ბიჭები ხიბლავთ ხოლმე, ამიტომაც მე ყურადღების გარეშე ვრჩებოდი. ჰოდა, საწოლში, ძილის წინ, ოცნებაში, მასთან პოლემიკას ვმართავდი ხოლმე, რადგან თავს მოტყუებულად ვგრძნობდი. მე რაღაცას ვუმტკიცებდი, ის მპასუხობდა... ერთხელ, ასეთი ფსევდოპოლემიკის დროს ისიც კი ვუთხარი, რატომ არ მაფასებ-მეთქი? რადგან ეს ოცნება იყო, ის აბსოლუტურად დამარცხებული აღმოჩნდა, მაგრამ რეალურად ეს ასე არ იყო...

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ხედავ?

— ეროტიკულ სიზმრებს წმინდანებიც ხედავდნენ და მე რა გამონაკლისი ვარ? ეროტიზმის ხარისხს განსაზღვრავს ის, თუ რამდენად არის პათოლოგიისკენ გადახრილი ადამიანი, რომელიც ასეთ სიზმარს ხედავს.

— მიგაჩნია, რომ კაცობრიობის სუსტ ნახევარს კარგად იცნობ?

— ე-ეჰ, ქალის ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს კარგი „გამოგონებაა". მანდილოსნებს კარგად აქვთ განვითარებული ინტუიცია, ამბიციის ზომიერი შეგრძნება, შეუძლიათ ვნებების დროულად მოთოკვა. მოკლედ, ქალი — ეს არის წონასწორობა...

— სიყვარული მხოლოდ ერთხელ ეწვევა ადამიანს, თუ შეიძლება, ის რამდენჯერმე განმეორდეს?

მე ჭკვიანი და ლამაზი ქალები მომწონს... ქალი უნდა იყოს ინდივიდუალური

— მე მინახავს ადამიანი, რომელსაც ორი პიროვნება ერთდროულად უყვარს და ეს ნამდვილი სიყვარულია... ისე, ძალიან რთულ კითხვებს მისვამ...

— კარგი, იოლ შეკითხვას დაგისვამ... სააბაზანოში ღიღინი თუ გიყვარს?

— ძალიან, ძალიან მიყვარს. საოპერო არიებს ვასრულებ ხოლმე, მთელი მონდომებით. მეზობლებიც კი შემიწუხებია, რადგან ძალზე ხმამაღლა ვმღერი. ჩემმა რეპერტუარმა ჯერ მათი გაღიზიანება გამოიწვია, შემდეგ კი გულგრილობა ვიგრძენი და ახლა მე გავღიზიანდი. დაკვირვებული ვარ, უცხოეთში, სააბაზანო ოთახს გაცილებით უკეთესი აკუსტიკა აქვს, მაგრამ იქ ხმამაღლა ვერ ვმღერი, შესაძლოა, გიჩივლონ და ჯარიმა გადაგახდევინონ...

— წელან თქვი, რომ ოჯახში ქალების სიმრავლეა... თუ განებივრებენ?

— კი, მაგრამ ძალიანაც არა. მეფერებიან... თუ ვწერ, არავინ ამბობს — არიქა, ლაშა სიბრძნეს წერს და ჩუმად იყავითო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ცდილობენ, ხელი არ შემიშალონ... ბევრი ჩემი მეგობარი მტკივნეულად განიცდის იმას, რომ დედა თუ ბებია ისე აღარ ეფერება, როგორც ბავშვობისას, მაგრამ მე ამას მწვავედ არ განვიცდი. მამის მოფერება უფრო მსიამოვნებს. ის ცალკე ცხოვრობს. როცა ერთმანეთს ვხვდებით, სურვილი მიჩნდება, რომ თავზე ხელი გადამისვას და ჩამიხუტოს...

— დღის რომელ მონაკვეთში გეწვევა ხოლმე მუზა, უფრო ხშირად?

— გააჩნია, რა დროს „შეიჩვევ". მუზა, ეს არის მძიმე ქალი, ცოტა ბრაზიანი, მაგრამ ამავდროულად ჰაეროვანიც. ის რომ მესტუმრება, შემდეგ მივუჯდები კომპიუტერს და ვბეჭდავ და ვბეჭდავ...

— თუკი ვინმეს გაანაწყენებ, თავად თუ ცდილობ მის შემორიგებას?

— ცუდია, როცა ვინმე ნაწყენი რჩება. თუმცა მეც მქონია მსგავსი შემთხვევა... ზოგიერთი ამას აფერისტობას ეძახის, მაგრამ განაწყენებული ადამიანის შემორიგების ასეთი მეთოდი მაქვს: გაცებულ სახეს მივიღებ ხოლმე, გამომეტყველება ისეთი მაქვს, თითქოს უხერხულობისგან შოკირებული ვარ და საოცრად განვიცდი... ეს მეთოდი ხშირადაა ეფექტური და ბოდიშებს აქეთ მიხდიან ხოლმე...

— ბუნებით აზიატი ხომ არ ხარ?

— არა, არავითარ შემთხვევაში, ჩემი მეუღლე სწორედ ისე იცხოვრებს, როგორც მას საკუთარი თავისუფლება წარმოუდგენია. მოესურვება, შინ ივჯდეს და ოჯახს მიხედოს? — კი, ბატონო... მოესურვება — გარეთ უფრო მეტი დრო გაატაროს? — კი, ბატონო, ამაზეც თანახმა ვარ. ზოგიერთი ქალისთვის დედობა და დიასახლისობა პროფესია გახლავთ, ზოგი სამსახურსა და ოჯახს ბრწყინვალედ უთავსებს ერთმანეთს. არც ქორწინებამდე სექსის წინააღმდეგი ვარ, ფსევდოტრადიციები ჩემთვის მიუღებელია. ის მხოლოდ ანგრევს და არ აშენებს. გოგონების უმრავლესობა ადრეულ ასაკში იმიტომ თხოვდება, რომ მამაკაცის ფიზიკური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. შემდეგ ჰბეზრდება და ოჯახს ანგრევს. ასე არ არის?.. განათხოვარ ქალსაც მოვიყვან ცოლად, თუკი შემიყვარდება. მიკვირს იმ ადამიანების, ვისთვისაც ეს პრობლემას წარმოადგენს. გულწრფელად ვამბობ და უნდა დამიჯეროთ.. თუ საყვარელ ქალს ვერ აპატიებ წარსულს, პრობლემა საკუთარ თავში უნდა მოძებნო...

აი, ასეთია ლაშა ბუღაძე. გსურთ. მისი სიმპათია მოიპოვოთ? მაშ, დამირეკეთ 8(77) 45.68.61. ლაშა შემპირდა, რომ რომელი გოგონას გამოხმაურებაც მოეწონება, ავტორს აუცილებლად შეხვდება. გისურვებთ წარმატებას... ■

ფრაზა გენიალური

99 შემთხვევაში ქალი ნამდვილი ბრიყვივით იქცევა, მაგრამ მეასედ, მამაკაცზე გაცილებით ეშმაკი აღმოჩნდება ხოლმე.

აგატა კრისტი

ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა აგრძელებს სურათების საშუალებით ცნობილი ადამიანების ბედისწერის გაგებას. ვნახოთ, რა ელოდება ცნობილ ქართველებს: ზურაბ ჟვანიას, ეკა კახიანს, ჯუმბერ პატიაშვილს და ნუცა შანშიაშვილს...

„გზის“ შემდეგ ნომერში კი შემოგთავაზებთ მორიგ წინასწარმეტყველებას იმ სიახლეებისა და სირთულეების შესახებ, რაც ელოდებათ: ლევან მამალაძეს, მერაბ სეფაშვილს, სოსო პავლიაშვილს და კახი კავსაძეს.

ლელა ჭანკოტაძე

„პოლოვდე ვახსნილი არასდროს არის, მას შნდა უყვარდე...“

„თუ გაბრაზდა, სიბრაზე დიდხანს გაჰყვება“

— როგორი თვალები აქვს ზურაბ ჟვანიას?

— ჭკვიანია, წინასწარ შეუძლია გათვალოს ის, რაც 10-20 წლის შემდეგ შეიძლება მოხდეს. მკაცრია, წინდახედული. გაუთვლელად არც ერთ ნაბიჯს არ დგამს. მისთვის მთავარი პოლიტიკური კარიერაა. პოლიტიკოსია მთელი არსებით. მის თვალებში ისეთი სიმტკიცეა, როგორიც იშვიათად მინახავს. ადამიანებს იოლად მართავს და იყენებს თავისი პოლიტიკური მიზნისთვის. ლიდერია. მისი თვალები მეუბნება, რომ ამ კაცს დიდი მომავალი აქვს. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პოლიტიკაში დარჩება და მოვლენების ეპიცენტრში იქნება.

— მის თვალებში დაშვებულ შეცდომებს ხედავთ?

— არა. ადამიანთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელიც შეცდომებს საკუთარ თავთანაც არ აღიარებს. მასთან ურთიერთობა იოლი არ არის. ვერავინ მიხვდება, გულში რა უდევს. კარტებს ბოლომდე არ ხსნის.

— მისი ხასიათის დადებითი თვისებებიც დაგვისახელეთ.

— გაწონასწორებულია, დელიკატური. საოცარი პარტნიორია. ქალები თვლიან, რომ ის ერთადერთი ღირსეული და სრულყოფილი მამაკაცია მათ ირგვლივმყოფთა შორის. ნებისმიერ ქალს, რომელთანაც ბატონ ზურაბს საქმიანი ურთიერთობა ჰქონია, მიაჩნია, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია.

— როგორი ქმარია?

— მყარი ოჯახი აქვს. მათი ოჯახი არასდროს დაინგრევა. ნიჭიერი შვილები ჰყავს. ყველას კარგი მომავალი ელოდება. ბატონი ზურაბის ცოლი განათლებული, კაცთმოყვარე და გემოვნებიანი ადამიანია. ცოლქმარს სტაბილური ურთიერთობა აქვს. ბატონ ზურაბს ცოლი ღირსებას მატებს.

— მისი ხასიათის დაფარული შტრიხებიც დაგვისახელეთ.

— თუ გაბრაზდა, სიბრაზე დიდხანს გაჰყვება და ამას გულიდან ძნელად თუ ამოიღებს.

— რა არის მისი წარმატების მიზეზი, ბედი თუ მტკიცე ხასიათი?

— ვერ გეტყვით, რომ იღბლიან ვარსკვლავზეა დაბადებული. ყველაფერს თავისი შრომისმოყვარეობითა და მიზანსწრაფულობით აღწევს. ის კარგი შვილი და არაჩვეულებრივი მეგობარია. ადამიანებთან ურთიერთობაში ყოველთვის დელიკატურობას იჩენს. ვისაც მასთან ახლო ურთიერთობა აქვს, ყველას დადებითად განაწყობს, მაგრამ საყოველთაო სიყვარულის მოპოვება არ შეუძლია, ამის ნიჭი არა აქვს.

— პრეზიდენტი თუ გახდება?

— ყოველთვის იქნება პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის. მისი რეიტინგი არასდროს დაეცემა. თუმცა ოცნება აუხდება, თუ არა, ჯერჯერობით მის თვალებში არ ჩანს.

„რისკიანი არ არის. ბუნებით შემგუებელია“

— მშვენიერი ქალბატონია. კეთილშობილია, კარგი გული და სუფთა თვალები აქვს. მის თვალებში ბოღმის, შურის და ბოროტების ნამცეციც არ არის... მის მიერ განვლილი გზაც სწორია და ვერ ვხედავ ისეთ რამეს, რის დამალვაც შეიძლება. შეცდომები, რომელიც მან დაუშვა, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

— მაგრამ ალბათ, არის ისეთი რამ, რასაც მალავს...

— ალბათ, მაგრამ ეს ის უმნიშვნელო რაღაცებია, რაც ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაშია.

— დაგვისახელეთ მისი ხასიათის დაფარული შტრიხები?

— იმპულსურია და სენტიმენტალური. ძალიან იოლად შეიძლება ატკინოთ გული და გაანაწყენოთ. კარგი მეგობარია. თავისი მეგობრებისთვის ბევრი ისეთი რამის გაკეთება შეუძლია, რასაც საკუთარი თავისთვის ვერ გააკეთებდა. რისკიანი არ არის. ნებისმიერ მდგომარეობასთან შეუძლია შეგუება. ბუნებით შემგუებელია. ერთი შეხედვით, ძალიან თანამედროვე ქალად მოგეჩვენებათ, სინამდვილეში კი, ტრადიციების მოყვარულია და შვილებსაც ასე ზრდის. ბევრი კომპლექსი

აქვს. გაშიშვლებულ ურთიერთობებს ვერ იტანს. მის ბუნებაში ბიწიერება არ დევს. კარგი შვილია, კარგი ცოლი და კარგი დედა.

— მის ცხოვრებაში რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ერთადერთი, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ჩანს. სერიოზული არაფერი მოხდება. თითქოს ყველაფერი უკვე დაგეგმილია და ერთ სწორ კალაპოტში მიედინება. ცხოვრებისგან უსიამოვნებები და რადიკალური ცვლილებები არ ელის.

— რაზე ნერვიულობს?

— შვილების მომავალზე. ყველა წვრილმანი, რაც მის შვილებს ეხება, ეკასთვის ძალზე მნიშვნელოვანია. დეპრესიული ადამიანი არ არის. პრობლემებს იოლად უმკლავდება და იმედს არასდროს კარგავს.

— მის შვილებს როგორი მომავალი ელოდებათ?

— ბედნიერი დედაა. მისი შვილები იღბლიანი გოგონები არიან. გაუმართლებთ. ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწევენ. ყველაზე გამორჩეული მათ შორის ნაბოლარაა. მას დიდი მომავალი ელოდება. რაც შეეხება ეკას, ის სამსახიობო კარიერას გააგრძელებს. მას ახალი ტელესერიალი ელოდება, რომელიც კიდევ უფრო მეტ პოპულარობას მოუტანს. მის ცხოვრებას ცრემლი და იმედგაცრუებაც არ აკლია, მაგრამ დიდი ტკივილი წარსულში დარჩა. უბედურება, რომელიც ეკას ოჯახს დაატყდა, მის თვალებში დღემდე საოცარი სიმწვავით იკითხება. ეკას ნათელი და ბედნიერი მომავალი ელის. პრობლემები და უსიამოვნებები წარსულში დარჩა. ახალ გარემოში გადავა. საცხოვრებელს გამოიცვლის, თითქოს ახალ ბუდეს იკეთებს. ახლა მისი გონება მთლიანად უფროს შვილზეა გადართული. ის ცდილობს, შვილს კარიერის გაკეთებაში დაეხმაროს. ნინი პოპულარული მართლა გახდება, მაგრამ ისეთი ვერა, როგორიც მის ასაკში დედამისი იყო.

„შემიძლია ვთქვა, რომ პოლიტიკაში უიღბლოა, ბედი არ წყალობს"

— საოცრად მეტყველი თვალები აქვს. შემიძლია მის თვალებზე დაუსრულებლად ვისაუბრო. ერთი შეხედვით ზვიად და უკარება, ცივსა და ამაყ კაცს საოცარი სითბო აქვს თვალებში. სხვათა შორის, ბატონი ჯუმბერის თვალებს სხვა დროსაც დავკვირვებივარ, მაგრამ სხვაა, როცა წინ ფოტოსურათი გიდევს და სულ სხვაა, როცა ეკრანზე უყურებ ან ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ სურათებს აკვირდები. ყოველთვის მიკვირდა, პოლიტიკოსს ასეთი მშვიდი თვალები რომ ჰქონდა. თუმცა არ იფიქროთ, რომ ამ მშვიდ თვალებში მოვლენებიც მშვიდად აღიქმება. პირიქით, მათში ბევრი სევდა, იმედგაცრუება და ტკივილია. არის ახდენილი იმედებიც, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობით. მისი თვალები იცვლება და სულ სხვადასხვა განწყობილებას გამოხატავს. ზოგჯერ იმედი ჩანს, ზოგჯერ კი უსაშველო სევდა.

— გინდათ თქვათ, რომ ბატონი ჯუმბერი დეპრესიული ადამიანია?

— დეპრესიულობა იმდენად არ იკვეთება, როგორც სინანული. ბევრ რამეზე სწყდება გული და ბევრი ნერვიულობაც აქვს გადატანილი. ყოველი მათგანის კვალი ამჩნევია.

— როგორი ხასიათი აქვს?

— გაწონასწორებულია. წონასწორობას არასდროს კარგავს და ყველა სიტუაციაში პოლიტიკოსივით მოქმედებს და აზროვნებს. მას თამაში და ემოციების მოთოკვა არ სჭირდება. ის დაბადებით პოლიტიკოსია.

— პრეზიდენტი გახდება?

— ამ კითხვაზე პასუხი ძალიან იოლია. ერთადერთი, რაც მას ხელს უშლის, იღბალია. ფორტუნა მის მხარეს არ არის. არ უმართლებს. შემიძლია ვთქვა, რომ პოლიტიკაში უიღბლოა. ბედი არ წყალობს. ამას თავადაც კარგად აცნობიერებს და ცხადია, ამის გამო სინანულსაც განიცდის. მისი პოლიტიკური კარიერა აღმასვლით აღარ წავა. არა იმიტომ, რომ ამას არ იმსახურებს, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკაში უიღბლოა, თანაც უზურგო. სხვა მხრივ, ყველაფერი წესრიგში ექნება. მოგვიანებით სამეცნიერო მოღვაწეობას მოჰკიდებს ხელს.

— ხედავთ მისი ხასიათის ნაკლოვან მხარეს?

— ყოველთვის იმაზე ნაკლებად აფასებს საკუთარ თავს, ვიდრე სინამდვილეშია. ამის გამო ხშირად რეალობის სწორად შეფასებაც უჭირს. საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია. ეს მისი ხასიათის ყველაზე უფრო სუსტი მხარეა.

— როგორი მეუღლეა?

— დადებითი პიროვნებაა და მისდამი ჩემი ღრმა პატივისცემის გამო მის ნაკლსა და პირად ინტიმურ სამყაროზე საუბარი არ მსურს.

„ვნებიან ნუცას არაჩვეულებრივი სასიყვარულო თავგადასავლები ელის"

— რა იკითხება ნუცას თვალებში?

— საოცრად მრავლისმთქმელ თვალებში განსაკუთრებული სხივი აქვს. მთავარი კი, რასაც ვხედავ, საოცარი ნიჭიერებაა. ამ ნიჭს აღფრთოვანებაში უამრავი ადამიანი მოჰყავს. ნუცას მიმართ შუალედური დამოკიდებულება არა აქვთ. ის ან უყვართ ან — არა. ასეთივე განწყობა აქვს მასაც. ადამიანებს ნიჭის მიხედვით აფასებს. ნიჭიერი და გამორჩეული ადამიანები უყვარს. ასეთი ადამიანებისთვის შეუძლია მაქსიმუმი გააკეთოს.

— იღბლიანია?

— ძალიან. არასდროს დაიკარგება. სადაც წავა, თავისი იღბალი ყველგან თან გაჰყვება. მილიონ უცნობ ადამიანშიც რომ ჩასვათ, ყველას მოხიბვლას მოახერხებს. აქტიურია, თამამი და მიზანდასახული. მას შუბლზე უხილავი ვარსკვლავი აქვს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ სხვა ადამიანებისგან რადიკალურად გამორჩეულია. მფარველი ანგელოზი მას არასდროს ტოვებს და სადაც არ უნდა იყოს, ყველგან გზას გაუნათებს.

— ეი. წარმატებული მომავალი აქვს?

— დიახ. ის პოპულარობის ზენიტში იქნება სიბერემდე. მას წარმატებისკენ მიმავალი გზა ხსნილი აქვს. გადაჭედილი დარბაზები და მქუხარე აპლოდისმენტები ელოდება.

— პირად ცხოვრებაშიც უმარტლებს?

— პირადი ცხოვრებაც ისეთივე მჩქეფარე და ცვალებადი ექნება, როგორიც თავად არის. აქტიურ და ვნებიან ნუცას არაჩვეულებრივი სასიყვარულო თავგადასავლები ელის.

— დამისახელეთ მისი ხასიათის უარყოფითი მხარეები.

— დეპრესიული ადამიანია. შეუძლია ერთი ხელის მოსმით ყველაფერზე უარი თქვას, ყველაფერი მიატოვოს და რამდენიმე წელი ყველასგან მოშორებით გაატაროს. თუმცა სასიცოცხლო და საბრძოლო ენერგიას ისე სწრაფად იღდგენს, რომ მასზე დაკარგული წლები კვალს არ ტოვებს.

— ძნელია ნუცას გაგება?

— რთული ადამიანია. წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება აქვს და ხშირად საკუთარ თავშიც იკეტება. ბოლომდე გახსნილი არასდროს არის. მას უნდა უყვარდე, საკუთარი თავი ბოლომდე რომ გამოამჟღავნოს. ■

ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲛᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲝᲨᲕᲔᲚᲘ“ ᲓᲐᲛᲐᲪᲕᲔᲚᲘᲐ

მარი ᲩᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ



გიორგი თაქთაქიშვილი

ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“-დან ერთი ეპიზოდი მინდა გაგახსენოთ — კერძოდ, ქიმიის გაკვეთილი, სადაც მასწავლებელი სოლვეის ხერხით სოდის მიღების შესახებ ეკითხება ზურიკელას. „... — მაგალითად, ბებიაჩემი ოლღა სოდას ენაზე იყრის და ისე ღებულობს. ილიკო კი... — გაეთრიე გარეთ!“... — აწყვეტინებს მასწავლებელი და ზურიკელაც თავჩაღუნული ტოვებს საკლასო ოთახს. ეს რომ თანამედროვე ცხოვრებაში მომხდარიყო, წესით, ზურიკელა „საქპატენტს“ უნდა სწვეოდა და ოლღა ბებიის გამოგონებაზე თავისი უფლებები დაეკანონებინა — ვინ იცის, იქნებ, რომელიმე ექიმმა თავის კერძო პრაქტიკაში სწორედ ეს ხერხი გამოიყენოს, გამდიდრდეს კიდეც, გამომგონებელი კი მშრალზე დატოვოს. ასეთ შემთხვევაში გამოგონების ავტორს შეუძლია „საქპატენტის“ სერტიფიკატის ფრიალ-ფრიალით სასამართლოს მიაშუროს და სოლიდური თანხა მოითხოვს საავტორო უფლების დარღვევისთვის.

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, თუკი „საქპატენტის“ არქივს თვალს გადაავლებთ. მთავარია, გამჭრიახობა გეყოთ და უკვე დიდი ხნის წინ გამოგონებულ რაიმე ნივთს, მექანიზმსა თუ ყოველდღიურობაში გამოსაყენებელ, ყოფით მეთოდს მცირე ნიუანსი შეუცვალოთ და გამოგონებაც მზად არის... დაპატენტებულ გამოგონებებს შორის შეგხვდებათ: საქონლის ხორცის შენახვის ვადის გახანგრძლივების მეთოდი, აბაჟურის ელემენტი, სარეკლამო ფარი, ბოთლის განსხვავებული ფორმა, კარაქის დამზადების ხერხი, ცხედრის შესანახი მაცივარი (3 ნაირსახეობა), ოქროს მიღების ხერხი, საარჩევნო ბიულეტენი და მისი გამოყენების მეთოდი, ელექტრომობილი, ხურდა ფულის შესანახი მოწყობილობა, მცურავი კუნძული, პნევმოამორტიზებული ფეხსაცმელი, პურის ცომის მომზადების რამდენიმე მეთოდი, ხმოვანი სასმისი... თქვენ წარმოიდგინეთ, დაპატენტებულია ადამიანის გუნება-განწყობილებისა და ცხოვრების გაუმჯობესების ხერხი და ფრაზაც კი — „გამოხატე შენი თავი“.

გვესაუბრება „საქპატენტის“ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

გიორგი თაქთაქიშვილი:

— „საქპატენტი“ შეიქმნა 1992 წელს. თავიდან შესაბამისი ექსპერტიზის საფუძველზე ვახდენდით მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას. შემდეგ დაგვემატა პატენტის გაცემის უფლება გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელებსა და სამრეწველო ნიმუშებზე. 2000 წლიდან კი, შემოგვიერთდა საავტორო უფლებების სახელმწიფო სააგენტო და ამჟამად კანონშემოქმედებითი საქმიანობის ვალდებულებების რეგისტრაციასაც ვახდენთ — პოლიტიკის შემუშავება იქნება ეს, კანონთა მომზადება თუ კანონპროექტთა დაპატენტება. გამოგონება — ეს არის სიახლე, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულია და ანალოგი არ გააჩნია. მისგან განსხვავებით — სასარგებლო მოდელი გახლავთ უკვე გამოგონებულ ამა თუ იმ მოდელზე რაღაც დეტალის დამატება, ან ცვლილების შეტანა, რაც აიოლებს მის მოხმარებას. სამრეწველო ნიმუში კი შესაძლოა იყოს ნივთის — ბოთლის, ტელეფონის, ეტიკეტის, ტელევიზორისა და ა.შ. — განსხვავებული ფორმა. სამრეწველო ნიმუში, ძირითადად, დიზაინის ცვლილებას ითვალისწინებს.

— რა პროცედურები უნდა გაიაროს გამომგონებელმა, რომ პატენტი მიიღოს?

— გამომგონებელი ავსებს განაცხადს, სადაც თავისი გამოგონების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის. ავიღოთ, მაგალითად, წამალი. ავტორი ვალდებულია, გაშიფროს მისი ფორმულა, გაამხილოს ყველა საიდუმლო. ჩვენი სამსახური ჩაატარებს ექსპერტიზას. თუკი დადგინდება, რომ ამ გამოგონებას ანალოგი არ გააჩნია, დაინტერესებული პირი მიიღებს შესაბამის დამცავ დოკუმენტს პატენტის ან მოწმობის სახით.

— ხომ შეიძლება, გამოგონების ანალოგი არსებობდეს, ეს ინფორმაცია კი თქვენთვის მიუწვდომელი იყოს?

— ჩვენ გვაქვს მონაცემთა ბაზა, სხვადასხვა საინფორმაციო წყარო, რაც საშუალებას გვაძლევს თითქმის შეუცდომლად დავადგინოთ, სიახლეა ეს თუ არა. საერთოდ, ჩვენი მოტყუება ავტორის ინტერესებში არ შედის. როგორც კი ის თავისი გამოგონების წარმოებას დაიწყებს, აუცილებლად შეედავებიან და პატენტს გაუუქმებენ.

ერთ მაგალითს მოვიყვან — სხვათა შორის, საკმაოდ გახმაურებული პროცესი იყო: ჩვენთან მოვიდა ავტორი და შემოიტანა განცხადება სასარგებლო მოდელის, კერძოდ, უკანა ხედვის სარკის დაპატენტების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ არ ვართ ვალდებულნი, ჩავატაროთ გლობალური კვლევა. საქართველოში ანალოგი არ აღმოჩნდა. პატენტი გავეცით. გამომგონებელმა კი ამის შემდეგ ფირმა „მერსედესს“ პრეტენზია წაუყენა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი, მის გამოგონებას იყენებდა და შესაბამისი თანხაც მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ ფირმა ანალოგიურ სარკეს 50-იანი წლებიდან მოყოლებული იყენებდა. ამიტომ „მერსედესმა“ პროცესი მოიგო და ქართველ ავტორს პატენტი გაუუქმა.

— აქვს თუ არა ავტორს უფლება, მოითხოვოს, რომ მისი კომერციული საიდუმლო არ გამჟღავნდეს?

— არა. საპატენტო ინფორმაცია ღიაა. პატენტის დანიშნულება სწორედ ეს არის. გამოგონების არსი, ფორმულა და სხვა მონაცემები ქვეყნდება, მაგრამ არავის აქვს მისი გამოყენების უფლება. თუ ავტორი სრულ

ინფორმაციას არ მოგვცემს, მას საავტორო უფლებაც არ ექნება. მაგალითად: „კოკა-კოლა“ იყენებს განსაკუთრებული შემადგენლობის სითხეს. მას არა აქვს პატენტი იმიტომ, რომ საიდუმლოს გამჟღავნება არ სურს. თუ ვინმე ჩასწვდება ამ საიდუმლოს და სასმლის სერიულ წარმოებას დაიწყებს, „კოკა-კოლა“ მას ვერ შეედავება და ვერც საქმიანობას აუკრძალავს. საერთოდ, პატენტის მოქმედების ვადა 20 წელია. ოცი წლის შემდეგ, ნებისმიერ პირს შეუძლია გამოიყენოს ესა თუ ის გამოგონება. არის ხოლმე შემთხვევა, როცა საქმე ეხება რაიმე პრეპარატის გამოგონებას, ავტორს კი საიდუმლოს გამხელა არ სურს. მას მაინც მოუწევს ამის გაკეთება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაცია დახურულია და საიდუმლოდ ინახება. ოღონდ თუ ვინმე ზუსტად იმავე პრეპარატს გამოიგონებს, შეუძლია თამამად აწარმოოს და მოგებაც ნახოს.

— რამდენად ხშირია ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშის — ლექსის, მოთხრობის, სიმღერის დაპატენტება?

— გარკვეული ხნის წინ ელდარ შენგელაიამ დააპატენტა თავისი ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“. ამისთვის მან შესაბამისი ექსპერტიზის საფუძველზე წარადგინა ფილმის ერთი ეგზემპლარი და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. ხელოვნების ნიმუშზე საავტორო უფლების დაკანონებისას არანაირი ფორმალური ექსპერტიზა არ არის საჭირო. როცა ავტორი ნაწარმოებს შექმნის, ქაღალდზე გადაიტანს და მით უმეტეს — სადმე თუ გამოაქვეყნებს, ეს ნიშნავს, რომ მას უკვე საავტორო უფლება აქვს. ჩვენი სერტიფიკატი კი დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ სადავო გახდება და ეჭვქვეშ დადგება საავტორო უფლება. ეს მომსახურება ჩვენთან უფასოა. „საქპატენტი“ მიწვეული იყო მესამე პირად სასამართლოში, როდესაც მიმდინარეობდა დავა ჩირინაშვილისა და ვასაძის მემკვიდრეებს შორის სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“-თან დაკავშირებით. ასეთ დროს მხოლოდ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სერტიფიკატი ნამდვილად ჩვენ მიერაა გაცემული.

— რამდენად ხშირად გიწევთ ხოლმე სასამართლო პროცესში მონაწილეობა?

— ძირითადად, დავა მიმდინარეობს ხოლმე ჩვენსა და იმ პირს შორის, ვინც უარი მიიღო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც უცხოური ფირმა ცდილობს დამკვიდრდეს ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე, პირველ რიგში, მან თავისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უნდა მოახდინოს. თუ ასე არ მოიქცევა, იმ ქვეყნის ბაზარს ვერ გააკონტროლებს. თუ ნიშანი რეგისტრირებულია, სხვა ვერავინ შეძლებს იმავე პროდუქციის შემოტანას. დღესდღეობით ჩვენში 24 ათასი სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული, მათ შორის — 17 ათასი უცხოური ფირმისაა. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და „საქპატენტი“ ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა, ყველა ფირმას, რომელიც „სოიუზპატენტში“ იყო დარეგისტრირებული, შევთავაზეთ, ხელახლა გაევლო რეგისტრაცია „საქპატენტში“. ამიტომ უცხოური ფირმების უმეტეს ნაწილს 70-იანი წლებიდან აქვს პრიორიტეტი ჩვენს ქვეყანაში თავისი საქონლის რეალიზაციისა. ასეთი შემთხვევაც გვქონდა: ფირმა „სუზიკაძ“ თავისი სასაქონლო ნიშანი დაარეგისტრირა, ამგვარად, ჩვენს ბაზარზე ადგილი დაიკავიდრა. გარკვეული დროის შემდეგ, თავისი სასაქონლო ნიშნის დასარეგისტრირებლად განაცხადი ფირმა „სუზუკიმაც“ გააკეთა. მას უარი ვუთხარით. „სუზუკი“ ცნობილი ფირმაა, მაგრამ მისი სახელწოდება „სუზიკას“ მსგავსია. ასეთ შემთხვევაში ექსპერტი ადგენს — ეს ორი ფირმა ერთმანეთის მსგავსია თუ არა. თუკი ორივე ერთსა და იმავე სახის საქონელს აწარმოებს და მათი სახელწოდებებიც მსგავსია, მოგვიანებით შემოსულ ფირმას უარს ვეუბნებით რეგისტრაციაზე: „სუზუკი“ სწორედ დაგვიანების გამო ვერ მოხვდა საქართველოს ბაზარზე. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: შემოიტანეს ორი პრეპარატი — „პრომერა“ და „პროვირა“. ერთ-ერთ მათგანს პრეტენზია ჰქონდა სახელწოდებების მსგავსების გამო. ექსპერტმა შედარება მოახდინა და ამის შემდეგ, ორივე სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა. ერთი პრეპარატი — კობის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალება იყო, მეორე კი კონტრაცეპტივი. შეუძლებელია, მომხმარებელს ისინი ერთმანეთში არეოდა. ამიტომ იდენტურობა არ დამტკიცდა.

— ჩვენს ბაზარზე შემოსულია ფირმა „ტეფალის“ საქონელი. არსებობს იმავე სახის პროდუქცია, მხოლოდ „ტეფანის“ ნიშნით. ნიშნავს თუ არა ეს, რომ რომელიმე მათგანი აყალბებს პროდუქციას და იყენებს მეორის სასაქონლო ნიშანს, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მიზნით?

— დიახ, სწორედ ასე გახლავთ. „ტეფალი“ ჩვენთან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანია. რაც შეეხება „ტეფანის“, ის ალბათ არალეგალურად დამკვიდრდა ჩვენს ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში რეგისტრირებულ ფირმას შეუძლია მიმართოს ანტიმონოპოლიურ სამსახურს და ყოველგვარი პრობლემის გარეშე ამოიღოს ბაზრიდან გაყალბებული საქონელი.

— რას ნიშნავს ამა თუ იმ სასაქონლო ნიშანზე აღნიშნული R?

— ეს ნიშნავს, რომ ამ ფირმის სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია. ის ამ ნიშნით ისეთ პროდუქციას უშვებს, რომლის ხარისხზეც პასუხს აგებს. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა. თუ ვინმე ამ სასაქონლო ნიშანს ყალბ პროდუქციაზე გამოიყენებს, მის წინააღმდეგ ამოქმედდება სისხლის სამართლის კოდექსი. ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

დავით შენგელიას მკვლელობისთვის დამკვეთი 5.000 დოლარის გადახდას აპირებდა

დაზარალებულს დამნაშავეებისადმი პრეტენზიები არა აქვს

გალის გამგებლის ყოფილი მოადგილის – დავით შენგელიას მკვლელობის შეკვეთასთან დაკავშირებულ საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. კოლეგიას ორი განსასჯელი – ბაჩუკი ყოლბაია და რომან ფურმანოვი წარუდგინეს. პროკურატურის მტკიცებით, სწორედ ისინი არიან დაქირავებული მკვლელები, შეკვეთა კი მათ ვლადისლავ არძინბას დაცვის უფროსისგან მიიღეს. განზრახვის სისრულეში მოყვანის შემთხვევაში დამკვეთი 5.000 ამერიკული დოლარის გადახდას აპირებდა.

საქმის მასალების მიხედვით, შენგელიას მკვლელობა ვალმერ ბუთბამ – აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურმა ჩაიფიქრა. ჩანაფიქრის განსახორციელებლად, როგორც პროკურატურის თანამშრომლები აცხადებენ, მან ყველა პირობა შექმნა. ხოლო რაც შეეხება მისი განზრახვის მოტივს, გამოძიების ვერსიით, ბუთბას ყელში ამოუვიდა შენგელიას წინააღმდეგობა და აგრესია, რასაც ის მასმედიით, სიტყვითა თუ საქმიანობით აშკარად გამოხატავდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული სეპარატისტული რეჟიმის მიმართ.

2002 წლის ოქტომბერში (ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის) ბუთბა ჭუბურხინჯელ ბაჩუკი ყოლბაიას დაუკავშირდა. ბაჩუკისთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ასე რომ, მისთვის განზრახვის განდობაც არ გასჭირვებია. უფრო მეტიც, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ბუთბამ ყოლბაიას პირდაპირ შეუკვეთა შენგელიას მკვლელობა, გასამრჯელოდ კი 5.000 ამერიკული დოლარი შესთავაზა. წინადადება ყოლბაიას სარფიანად ეჩვენა და დაუყოვნებლივ დათანხმდა. შეკვეთის შესასრულებლად თადარიგიც დაიჭირა: დაუდგენელი პიროვნებისაგან კუსტარულად დამზადებული მაყუჩიანი ატიპური ცეცხლსასროლი იარაღი და ორი ხელყუმბარა შეიძინა. ყოველივე ამასთან ერთად, შენგელიას ფოტოსურათიც იშოვა, თუმცა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ განზრახვის განხორციელება მარტოს გაუჭირდებოდა და თანამზრახველის შერჩევა დაიწყო. საბოლოოდ, ის თავის ნაცნობს – რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს და იმ დროისათვის გალის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი უშიშროების სამსახურის სპეცრაზმის წევრს, რომან ფურმანოვს დაუკავშირდა.

2002 წლის ნოემბერში ყოლბაია და ფურმანოვი სოფელ ჭუბურხინჯში ერთად იმყოფებოდნენ. იმავე თვეში ყოლბაიამ თანამზრახველი ზუგდიდში ჩაიყვანა, იქიდან კი სამარშრუტო ტაქსით – თბილისში. 2003 წლის იანვრის დასაწყისამდე ყოლბაია ფურმანოვს სხვადასხვა ნაქირავებ ბინაში აცხოვრებდა. ამასობაში აცნობდა იმ ადგილებს, სადაც შენგელიას ჩვეულებრივ უწევდა ყოფნა. აჩვენა მისი საცხოვრებელი სახლი – დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ასწავლა იქ მისასვლელი გზა, ამის შემდეგ კი შენგელიას ფოტოსურათი, ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარებიც გადასცა. როგორც გაირკვა, შეკვეთის შესრულება მან მთლიანად ფურმანოვს მიანდო.

მსხვერპლი შედარებით ადვილად რომ ჩაგდოთ ხელში, ფურმანოვმა შესაფერისი ადგილი – შენგელიას საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი კორპუსის სხვენი შეარჩია. ათ დღეზე მეტხანს უთვალთვალებდა იმ სხვენიდან ფურმანოვი შენგელიას და მისი მოძრაობის გრაფიკს სწავლობდა.



18 იანვარს მას ყოლბაია დაუკავშირდა. შეატყობინა, რომ საღამოს შენგელია აუცილებლად მივიდოდა შინ. მოლაპარაკებისამებრ, ფურმანოვს ეს მომენტი უნდა გამოეყენებინა და განზრახვა სისრულეში იმ საღამოს მოეყვანა. თუმცა, ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი მოეცარათ. 8 საათზე, სწორედ მაშინ, როცა ფურმანოვი შენგელიას სახლთან იდგა და მის შინ დაბრუნებას ელოდა, იგი პოლიციამ დააკავა. როგორც პროკურატურაში ამბობენ, სამართლადამცავთათვის ოპერატიული ინფორმაციით გახდა ცნობილი დანაშაულის გეგმის შესახებ, რის შედეგადაც მათ მოსალოდნელი შემზარავი მკვლელობის აღკვეთა შეძლეს.

ფურმანოვი 20 იანვარს მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მასთან ერთად პატიმრობა შეუფარდეს მეორე დაკავებულს – ბაჩუკი ყოლბაიას.

დაზარალებულის **დავით შენგელიას** ჩვენებიდან:

„გალში ვცხოვრობდი. აფხაზეთის ომის შემდეგ კი, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. მიუხედავად ამისა, არ შემიწყვეტია აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ვეხმარებოდი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს. ამჟამადაც აქტიურად ვარ ჩართული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხების მოგვარებაში. სწორედ ამის გამო აფხაზები, ვალმერ ბუთბას თაოსნობით ცდილობენ ჩემს ლიკვიდაციას. აქედან გამომდინარე იძულებული გავხდი, უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე პირის თანხლებით ვიარო.

2003 წლის 18 იანვარს, დღის 2 საათიდან საღამოს 8 საათამდე მეგობრებთან ერთად რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან ვიყავი. იქ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები იყვნენ შეკრებილნი. ამ დროს მობილურ ტელეფონზე მეუღლემ დამირეკა და მითხრა, ჩვენი კორპუსის წინ აფეთქება მოხდა და გთხოვ, შინ არ მოხვიდეო. მეორე დღეს ტელევიზიის საშუალებით შევიტყვე ჩემს სახლთან დაკავებული პირების – რუსი ეროვნების სერგეი ნიკოლაევის (ივივე რომან ფურმანოვი) და ბაჩუკი ყოლბაიას შესახებ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი თურმე ჩემს მოკვლას აპირებდნენ. ტელევიზორში ფურმანოვი და ყოლბაია შევნიშნე თუ არა, მაშინვე აღვიდგინე, რომ დაახლოებით 10-15 დღით ადრე, ისინი ჩემი კორპუსის ეზოში დავინახე“.

რაც შეეხება ბრალდებულ **რომან ფურმანოვს**, მან ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ:

„2001 წლის ივნისიდან 2002 წლის ივნისამდე, ხელშეკრულების საფუძველზე ვმსახურობდი ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში დისლოცირებულ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებში. აღნიშნულ პერიოდში ზუგდიდის ბაზარში გავიცანი ბაჩუკი ყოლბაია. მალე ერთმანეთს დავუახლოვდით. მან შემომთავაზა, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად მასთან სოფელ ჭუბურხინჯში გადავსულიყავი. დავთანხმდი და 2002 წლის ნოემბრამდე მის სახლში ვცხოვრობდი. ამის შემდეგ მის ოჯახთან ერთად ქალაქ თბილისში გადმოვედი.

რამდენიმე დღეში ყოლბაიამ გალის რაიონის გამგებლის მოადგილის მკვლელობა შემიკვეთა. მითხრა, 1.000 დოლარს გადაგიხდიო და თან აღმითქვა, რომ მკვლელობის შემდეგ დაუყოვნებლივ გამამგზავრებდა რუსეთის ფედერაციაში. „ესბ“-ის სისტემის მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ორი ცალი „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა და მსხვერპლის – დავით შენგელიას ფოტოსურათი გადმომცა...

18 იანვარს, საღამოს 8 საათისთვის კორპუსის ეზოსთან ვიდექი და შენგელიას გამოჩენას ველოდებოდი. ამ დროს ჩემთან მოვიდნენ პოლიციის თანამშრომლები, ქართულად გამომელაპარაკნენ, რას მეუბნებოდნენ, ჩემთვის გაუგებარი იყო. ამიტომ გზა გავაგრძელე, მაგრამ პოლიციის თანამშრომლებიდან ერთ-ერთმა, შესაჩერებლად ქურთუკის საყელოში მომკიდა ხელი. ამ დროს ჩემს უბეში ცეცხლსასროლი იარაღი შენიშნეს. პოლიციელებთან ჯაჯგურის დროს ქურთუკის ჯიბიდან შემთხვევით ერთი ცალი ხელყუმბარა ამომივარდა, რომელიც მაშინვე აფეთქდა. ამის შედეგად სხვებთან ერთად ჭრილობა მეც მივიღე და წავიქეცი. წამოდგომისას დავინახე, რომ იქვე მიწაზე ჩემთან ახლოს ავტომატი ეგდო, ავიღე და მაშინვე გავიქეცი. პოლიციელებმა ჩემი მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. მეც დავიწყე ჰაერში სროლა და ერთ-ერთი კორპუსის კუთხეში დავიმალე, მაგრამ პოლიციამ მაინც მომაგნო და დამაკავა“.

ასეთი დეტალური ჩვენების მიუხედავად ფურმანოვმა წინასწარი გამოძიებისას აღნიშნა, რომ შენგელიას მოკვლა სულაც არ სურდა. *„ჩემი მოქმედება ბაჩუკი ყოლბაიას ზემოქმედებით იყო გამოწვეული“*, – დასძინა მან.

სასამართლო სხდომაზე ფურმანოვმა პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება გაიმეორა. წარდგენილ ბრალდებებში არც ყოლბაიამ ცნო თავი დამნაშავედ, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში დანაშაული აღიარა. დღეს იგი აცხადებს, რომ მკვლელობის ორგანიზების შესახებ არაფერი იცოდა, აღიარებითი ჩვენება კი ძალით დააწერინეს პროკურატურაში.

დაზარალებულს – დავით შენგელიას, როგორც თავად ამბობს, განსასჯელების მიმართ პრეტენზიები არა აქვს. *„მათ ნამუსზე იყოს ყველაფერი, რის ჩადენასაც აპირებდნენ“*, – განაცხადა მან.

რაც შეეხება მკვლელობის დამკვეთს – ვალმერ ბუთბას, პროკურორის თქმით, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკეა აღძრული და ძებნაც გამოცხადებულია. ■

22 წლის განსასჯელი, მამა-შვილის მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ

22 ოქტომბერს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ, 22 წლის დათუნა ძაბირაძეს განაჩენი გამოუტანა. განსასჯელი მამა-შვილის ვახტანგ და რამაზ ძაბირაძეების მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ. დანაშაულისთვის, რომელიც დათუნა ძაბირაძემ სრულად აღიარა, მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

დაღუპულთა ოჯახის წევრები უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ კოლეგიამ დამნაშავეს სასჯელის „კრიტში“ მოხდა არც ერთი წლით არ მიუსაჯა. სავარაუდოდ, ისინი განაჩენს საკასაციო წესით გაასაჩივრებენ.

მკვლელობა 2003 წლის პირველ აპრილს ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინში მოხდა. მანამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ამავე სოფელში ერთ-ერთი ოჯახი დააყაჩაღეს. პოლიციამ ეჭვმიტანილი – ტაბაკინის მკვიდრი ჯამბულ ჯობაძე დაიკავა. 28 მარტს მას სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. დათუნა ძაბირაძე ჯამბულ ჯობაძის მეგობარი იყო. როგორც თავად ამბობს, სოფელში ხმა გავრცელდა, თითქოს ჯამბულ ჯობაძე პოლიციაში მან ჩაუშვა და ამიტომაც დააპატიმრეს. დათუნა ძაბირაძე ეჭვობდა, რომ ეს ხმები სოფლის გამგებელმა რამაზ ძაბირაძემ გაავრცელა. დათუნა და რამაზ ძაბირაძეები ნათესავები იყვნენ. მიუხედავად ამისა, დათუნამ შურისძიება გადაწყვიტა და მისი მოკვლა განიზრახა. *„გარდა იმისა, რომ სოფელში ხმას მივრცელებდა, თითქოს ჯამბული მე ჩავუშვი, მაშინებდა და გაუპატიურებით მემუქრებოდა. თავადაც ხომ იყო ჩემი ნათესავი, რატომ იკადრა ასეთი რამ? ამას ვერ მოვითმენდი, ამიტომაც გადავწყვიტე მისი მოკვლა“*, – განაცხადა ჩვენებისას დათუნა ძაბირაძემ.

საქმის სასამართლო განხილვის დროს მკვლელობის სხვა მოტივიც გამოიკვეთა. როგორც გაირკვა, სოფლის გამგებელი და არა მარტო ის, ეჭვობდა, რომ ჯამბულ ჯობაძის მიერ განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში დათუნა ძაბირაძეც მიიღო მონაწილეობა. გამგებელი საქმის გახსნით იყო დაინტერესებული. ამას დათუნა ძაბირაძე მიხვდა და შეშინდა. ამიტომაც გადაწყვიტა, რამაზ ძაბირაძე თავიდან მოეშორებინა, თუმცა, დანაშაულის ჩუმად და უკვალოდ ჩადენა ვერ შეძლო.

2003 წლის 31 მარტს დათუნა ძაბირაძე ბიძის – დემურ ძაბირაძის სახლში შეიპარა და იქიდან ამ უკანასკნელის კუთვნილი ორლულიანი სანადირო თოფი გამოიტანა. დემურ ძაბირაძის ოჯახში იმ დღეს არავინ იყო. ღამით, უკვე პირველ აპრილს, ის განზრახვის განსახორციელებლად წავიდა, თან წაიღო თოფი, ცხრა ვაზნა და რამაზ ძაბირაძის სახლს მიადგა. ქუჩის მხრიდან ავიდა წყლის ავზზე, საიდანაც ეზო ძალიან კარგად ჩანდა. გადაწყვიტა, დაეძახა რამაზისთვის და ასე გამოეხმო იგი ეზოში, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან სწორედ იმ მომენტში სახლიდან ვახტანგ ძაბირაძე – რამაზის მამა გამოვიდა. დათუნამ იფიქრა, რომ ის რამაზი იყო. თოფი დაუმიზნა და რამდენიმე ტყვია ესროლა. ვახტანგ ძაბირაძეს ტყვიები სხეულის სხვადასხვა ნაწილში მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა. სროლის ხმაზე ეზოში ამ უკანასკნელის მეუღლე, ნათელა ძაბირაძე გამოვარდა და წაქ-

ცეული ქმარი რომ დაინახა, კივილი ატეხა, თან შვილს – რამაზს ეძახდა. დათუნა მიხვდა, რაც ჩაიდინა – რამაზის ნაცვლად მამამისი მოკლა, მაგრამ ამ ფაქტმა განზრახვაზე ხელი არ ააღებინა.

ყვირილზე სახლიდან რამაზ ძაბირაძე და მისი ცოლი – ივეტა ყიფშიძეც გამოვიდნენ. დათუნა ძაბირაძემ მაშინვე გაისროლა თოფიდან, თუმცა ტყვია ჯერ ივეტა ყიფშიძეს მოხვდა ბარძაყის არეში, შემდეგ რამაზიც დაიჭრა და წაიქცა. დათუნა ძაბირაძე არც ამას დასჯერდა. წყლის ავზიდან ეზოში ჩახტა და სასიკვდილოდ დაჭრილ რამაზ ძაბირაძეს, დედისა და ცოლის თვალწინ თოფის კონდახი ურტყა სხეულის სხვადასხვა ადგილას. რამაზ ძაბირაძე, ისევე, როგორც მამამისი, ადგილზევე გარდაიცვალა. რაც შეეხება დათუნა ძაბირაძეს, მან თოფი და დარჩენილი ერთი ვაზნა შემთხვევის ადგილას დააგდო და გაიქცა.

მან დაკავებისთანავე ყველაფერი აღიარა, თუმცა ჩადენილი დანაშაული არც პროკურატურაში და არც სასამართლოში არ მოუნანიებია. ■

ყაჩაღებმა ყოფილი პოლიციელი ავტომატით ჩახსრილეს

2003 წლის 19 ოქტომბერს, გვიან ღამით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. სამწუხაროდ, აღნიშნული შემთხვევა, საშინელი მკვლელობით დასრულდა.

თოდრიების ოჯახს, როგორც ამბობენ, სამი ნიღბიანი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. თავდამსხმელები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები და ოჯახის წევრებისგან ფულსა და ძვირფასეულობას მოითხოვდნენ. ამ დროს შინ იმყოფებოდა გოჩა თოდრია – მესტიის პოლიციის განყოფილების ყოფილი თანამშრომელი. სამართალდამცავთა ცნობით, იგი ხუთ წელზე მეტხანს რუსეთში ცხოვრობდა და საქართველოში სულ რამდენიმე დღის დაბრუნებულ იყო.

გამოძიების ინფორმაციით, თავდამსხმელებმა შეიტყვეს მისი რუსეთიდან ჩამოსვლის შესახებ და მისი დაყაჩაღება გადაწყვიტეს. რადგან ჩათვალეს, რომ სოლიდური თანხა ექნებოდა ჩამოტანილი.

ბოროტმოქმედებმა მაშინვე დატოვეს შემთხვევის ადგილი. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციელებმა დანაშაულის ადგილიდან ავტომატის რამდენიმე მასრა ამოიღეს. დამნაშავეების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

„პრეზიდენტ შევარდნაძის ტერაქტში ბრალდებულებს ალიბი აქვთ“, – აცხადებენ ადვოკატები

უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტში ბრალდებულთა საქმის განხილვა დაიწყო. განსასჯელებს – სოსო თორიასა და ვეფხია დურგლიშვილს პროკურატურა სისხლის სამართლის კოდექსის 15-მდე მუხლში ადანაშაულებს.

დურგლიშვილი და თორია სამართალდამცავებმა 2002 წლის 18 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დააკავეს. ათი დღის შემდეგ, ისინი საქართველოში ჩამოიყვანეს, ორ დღეში კი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად მათ პატიმრობა შეუფარდა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით აქვთ დღეს განსასჯელთა ადვოკატებს პრეტენზიები. ადვოკატი სევდია უგრეხელიძე თვლის, რომ დურგლიშვილი და თორია უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან, რადგან მათ აღმკვეთი ღონისძიება არაქვემდებარე რაიონულმა სასამართლომ შეუფარდა. უგრეხელიძის თქმით, აღნიშნულ პირთა დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს პრეროგატივა იყო.

ადვოკატები იმასაც აცხადებენ, რომ განსასჯელებს ტერაქტში არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ, „მათ ალიბი აქვთ, ტერაქტის დროს ისინი საქართველოში არ იმყოფებოდნენ“, – აცხადებენ ისინი.

პროკურატურა თორიასა და დურგლიშვილს ტერაქტში მონაწილეობაში, სახელმწიფო გადატრიალებისა და მკვლელობის მცდელობებში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გადატანა-გამოყენებაში და კიდევ რამდენიმე მუხლით სდებს ბრალს.

რუსთავის ციხიდან გაქცეული პატიმარი დააკავეს

2003 წლის 10 სექტემბერს რუსთავის მე-2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 129 პატიმარი გაიქცა. მათგან 80-ზე მეტი დღეისთვის უკვე აყვანილია. 20 ოქტომბერს სამართალდამცავებმა კიდევ ერთი გაქცეული პატიმარი – 30 წლის ალექსი დიმიტრიშვილი საკუთარ სახლში დააკავეს. დიმიტრიშვილი სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა, მას ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

პატიმრებს დანები და „შტირები“ ნაართვეს

20 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და თბილისის მე-5 საპყრობილის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა აღნიშნულ დაწესებულებაში ჩხრეკა-დათვალიერება ჩაატარეს. ღონისძიებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე ხელმძღვანელობდა. დილით დაწყებული ჩხრეკა 3 საათისთვის დასრულდა. სამართალდამცავებმა პატიმართა საკნებიდან ხელნაკეთი დანები, „შტირები“, ბასრი და მჩხვლეტავი საგნები ამოიღეს. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აცხადებს, საპყრობილეში ცეცხლსასროლი იარაღი არ აღმოჩნდა. ■

სიყვარული „დვიჟოკით“ და გივი სიხარულიძის სექსუალური მარცხი მოსკოვში

გივი სიხარულიძეს რომ ვუთხარი, რატომ მინდოდა მასთან შეხვედრა, გახალისდა — გენაცვალოს ჩემი თავი, თუ გინდა, მთელი დღე ქალებზე ვილაპარაკოთო. მართალია, გულახდილად მიამბო საკუთარი განცდების შესახებ და მეც დიდხანს „ვაწვალე“, მაგრამ ცოცხალი თავით არავისი ვინაობა არ გაამხილა. მერე კი, უამრავი ფოტო მაჩვენა, მაგრამ თან მთხოვა — არც შენ გაამხილო იმ ქალების ვინაობა, ვინც სურათებზეა აღბეჭდილიო, — და რა ვქნა? მიცემულ პირობას ვერ დავარღვევ...

მაია კახიძე

— ბატონო გივი, როგორც ვიცი, ახლა ტელესერიალ „ცხელი ძაღლის“ მეორე ნაწილს იღებენ, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობთ...

— ჰო, ამ დღეებში პალიასტომის ტბაზე გვქონდა გადაღება. მეორე ნაწილი 12 სერიისაგან შედგება. სერიალზე მუშაობა რეჟისორის გამო უფრო მომწონს: ერეკლე ბადურაშვილმაც (I ნაწილის დამდგმელმა) მაგრად იმუშავა, ახლა ზაზა ურუშაძე იღებს; კარგი ბიჭები არიან, კარგი...

— ახლა „ცხელ ძაღლს“ თავი დავანებოთ და „ცივი“ და „ცხელი“ ქალების შესახებ მინდა გკითხოთ. თანახმა ხართ?

— ყველაზე „ცხელი“ ქალი, მაინც ქართველი ქალია. კი, ბატონო — ვითომ თავშეკავებული, კდემამოსილებით აღსავსე მანდილოსნები გვყავს, მაგრამ ვერც ერთი ფრანგი, ზანგი თუ ესპანელი ვერ აჯობებს ქართველ ქალს ვნების მორევში ცურვისას. ქართველ ქალზე სურვილიანი და ცეცხლოვანი, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შემხვედრია. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ დანარჩენები — თამაშობენ.

— დაგვისახელეთ, თქვენს ცხოვრებაში ვინ იყო ყველაზე ცეცხლოვანი ქალი?

— იმ კაცის დედა ვატირე, ქალთან რომ დაწვება და იმის ვინაობას გაამჟღავნებს! მაგ ამბავში, კაცი ვიყავი, იცოდე და კაცად დავრჩები.

— შეგიძლიათ, ქალის გულისთვის მსხვერპლი გაიღოთ?

— ეგეთები ყოფილა, რო... მოსკოვში, აქედან წასული ქართველი გოგო ჩამივარდა გულში, მილიონერების ოჯახის რძალი იყო. ქმარიც „კრასავეცი“ ჰყავდა, იქაური სომეხი. რა ვიცი, ორივეს მოგვწონდა ერთმანეთი. თავიდან, იმან მაგრძნობინა, რომ ჩემდამი გულგრილი არ იყო. თვალებში შევხედე და ეგრევე ვიგრძენი სურვილი. ლამის თვეში ორ-სამჯერ მივფრინავდი თბილისიდან მის სანახავად. ერთ ამბავში ვიყავი, „კლუბნიკას“ ვუგზავნიდი კალათებით, ზედ დაწყობილი ფოთლებით თუ ყვავილებით... ამ დროს, ისეთ ოჯახში ცხოვრობს, არაფერი აკლია, შეუძლია, ყველაფერი აქეთ გამომიგზავნოს, მაგრამ მე ხომ კაცი ვარ?! მოკლედ, ყველა ჩასვლაზე ვპატიჟებ, გრიალი მიდის, „სპეცზაკაზი“ რესტორანში და ა.შ. ოღონდ, ვახშმობის შემდეგ, მხოლოდ ხელზე ვკოცნი და შინ ვაცილებ; გეფიცები — სამი წლის განმავლობაში, უთვალავჯერ დავუკოცნე ხელები...

— პლატონურად შეგიყვარდათ?

— პლატონური ჰქვია თუ სიმონური, ეგრე იყო. ერთ-ერთი ჩასვლის დროს, ჩემი ძმაკაცის, ცეზარ შევარდნაძის აპარტამენტებში ვარ, სასტუმრო „როსიაში“. დავურეკე, რა თქმა უნდა და ვუთხარი, რომ მოსკოვში ვიყავი. მოვიდა და ცეზარს სთხოვა — დაგვტოვეთ, თუ შეიძლებაო. ძმაკაცია და გამიგო, მართლაც დაგვტოვა. ვაა, ვხედავ, ნელ-ნელა ყველაფერს იხდის. ვუყურებ და არ მჯერა, რაც ხდება, გამიცივდა ხელ-ფეხი, ტვინი, თვალები ამიჭრელდა... ვერ ვინძრევი, რა! იმან ხელი მომკიდა, ცდილობს, „საქმე“, დავიწყოთ, მაგრამ რაღაც უბედურება დამეტაკა, ვერაფერს ვახერხებ, ეს „შობელძაღლი“ დებილივითაა... მოკლედ, ნერვიულობისაგან დამემართა და ვერაფერიც ვერ ვქენი. ვიფიქრე...

— ექიმთან წასვლა გადაწვიტეთ ალბათ...

— საექიმოდ რომ გაგიხდება საქმე, ქალებს უნდა შეეშვა; დაჯექი — ან წიგნი დაწერე, ან მემუარები, ან შვილიშვილები ასეირნე. თუ ბუნებამ გაგწირა, ტყუილია, აღარაფერი გიშველის თუ დაგერხა... ერთი სიტყვით, იმწუთას, ჩემზე უბედური კაცი მსოფლიოში არავინ იყო. ის ქალი სიცილით მოკვდა, ჩემზე ჭკვიანი აღმოჩნდა... იმავე ღამეს, ერთ გოგოს დავურეკე (სომხების რძალი მაგრად მომწონდა, მაგრამ ნაშებიც ხომ მყავდა?!). მართლა ძალიან შევშინდი და გადავწყვიტე, თავი გამომეცადა... მოკლედ, იმ ღამით არ გავჩერებულვარ, შვებით ამოვისუნთქე — სერიოზული არაფერი მჭირდა. მაგრამ თავი გამისკდა ფიქრისგან: აქ ასეთი ლომი ვარ, იმასთან რა დამეტაკა, რა დოყლაპია ვარ-მეთქი?! მაშინ, დილის ექვსის ნახევარზე მოფრინავდა თვითმფრინავი; პირველივე რეისით გამოვქანდი თბილისში. ისე მრცხვენია, მოსკოვისკენ გახედვა აღარ მინდა. ამ სირცხვილ-სირცხვილში, ორი წელი გავიდა. ერთ მშვენიერ დღეს, სამხატვრო აკადემიიდან გამოვედი, მივუახლოვდი ჩემს მანქანას და რას ვხედავ? — „დვორნიკზე“ ბარათია. ვაა, ულამაზესი „პოჩერკით“ მწერს ვიღაც: გივი, თუ შეძლებ, არაყიშვილის ქუჩაზე, მილიციასთან მოდი ოთხ საათზეო. იმ პერიოდში, რაღაც ცუდ ამბებში ვიყავი გახვეული, — მოკლედ, ვიჩხუბე და ვფიქრობ, რაღაცას ხომ არ მიწყობენ-მეთქი? ჩემი ძმაკაცები მაინც წავიყვანე და შორიახლოს მანქანაში იმყოფებიან. გავიხედე და... თვალთ დამიბნელდა, როცა ის დავინახე, მოსკოველების რძალი. დედას გეფიცები, ბრინჯივით დავიბენი. რასაკვირველია, მივიპატიჟე და ერთ ადგილას წავიყვანე, მაგრამ „ტვინში ცეცხლი მიკიდია“: ახლა რომ ისევ მარცხი მომივიდეს, გათავდა ჩემი ცხოვრება-მეთქი. საქმე საქმეზე მიდგა

და როგორც იქნა, შედეგმაც არ დააყოვნა. შვებით ამოვისუნთქე... იმის მერე ექვსი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, ოღონდ, სულ მოსკოვში. ასე მაგრად სხვა ქალი არც შემყვარებია. ბოლოს, ძმაკაცი მახლდა მოსკოვში – რეზო ვაშაყმაძე. ამ ჩემმა სიყვარულმა თავისთან დაგვპატიჟა – ქმარი სადღაც იყო წასული. ვესტუმრეთ. სასწაული სუფრა გაგვიშალა. ღამის პირველ საათზე მითხრა: აწი სადღა წახვალთ? – დარჩითო. რეზო მოასვენა, ჩვენც განვმარტოვდით. დილის ოთხი საათია და კარზე ზარი დაირეკა. ვაი, შენს გივის! – ელდა მეცა, ის კიდევ, არც ნერვიულობს, თუმცა მიხვდა, რომ ქმარი დაბრუნდა: მერე რა?! – დარჩი, არაფერს იტყვისო. არადა, იმან ჩემ შესახებ უკვე იცოდა... მესამე სართულზე ცხოვრობდნენ. ზამთარია, მაგრამ მაგას დავეძებ?! – უნდა გადავხტე-მეთქი – გადავწყვიტე. არ მიშვებს, – რეზოს რა ვუყოო? რეზოზე არ იეჭვიანებს, მე კი, ვერ გადავურჩები, თან, რაც გინდა, იფიქრე, მაგრამ სირცხვილის გრძნობა არ დამიკარგავს-მეთქი. სასწრაფოდ ჩავიცვი და მესამე სართულიდან გადავხტი. ქმარი მიხვდა, მე რომ ვიყავი, – რეზო ხომ ბინაში დახვდა.. ჰოდა, ძალიან უნერვიულია: რამე რომ დაემართოს, ჩვენ დაგვბრალდება და გაიგე, ცოცხალია თუ არაო. ღვთის წყალობით, გადავრჩი, არაფერი მომტყდა. რეზომ კი, მერე ისე მაგინა *(იცინის)*... ულამაზესი გოგო იყო, მისთვის მესამედან კი არა, მერვედანაც ღირდა გადახტომა.

— ისე, რამდენი ქალი გყოლიათ? ასი? ხუთასი?

– ქალებს არ ითვლიან, ქალის „ხარისხი“ კი, მართლაც, დასამახსოვრებელია. უფრო სწორად, ქალი „ხარისხით“ ფასდება.

— რა, „უხარისხო“ ქალთანაც გქონიათ ურთიერთობა?

– როგორ არა?! მაგრამ, უხარისხო ქალი მაინც ხარისხში ამყავს და იცი, რატომ? – იმიტომ, რომ როცა ქალის თვალებში ვნება დამინახავს, თვალებით რომ გეუბნება, – მომწონხარ, შენთან მინდაო. – უკვე ხარისხს ნიშნავს. ძალიან შეუხედავ ქალთანაც მქონია საქმე, მაგრამ ისეთი საოცრება განმიცდია... ერთი მხარეა გარეგნობა, მეორე – როგორია ლოგინში...

— ცნობილი მოცეკვავე ბრძანდებით. ცეკვით თუ დაგიპყრიათ ქალის გული?

– უამრავჯერ. შვილიშვილებს გეფიცები, – ბევრჯერ, ქმარი მოსულა თხოვნით – ჩემს ცოლს ეცეკვეო. ზოგიერთი ქმარი, ჩემს თვალში ქალია: მართლა ბრძები არიან თუ ძალად იბრძავებენ თვალებს, არ ვიცი. ქმრების უმრავლესობა სუსტია, ისეთი სუსტი, რომ...

— სექსუალურ განათლებას გულისხმობთ?

– მამაკაცი სექსუალურად განათლებული კი არა, სექსუალურად მაგარი უნდა იყოს. ზოგიერთი ჩვენებური მამაკაცი ძალიან „იჭრება“ ცოლთან ურთიერთობაში – თუნდაც გაუთავებელი ლოთობით. რო გადაბრუნდება და ძილქუში სჭირს, იმიტომაც გაურბის ცოლს „დამხმარისკენ“ თვალი. გულწრფელად გეტყვი, ბევრს „დავხმარებივარ“ და კიდეც „ვეხმარები“...

— ასე ხშირად სცოდავთ?

– ცოდვა სხვა რამეა. სულ რომ არ ვიცნობ კაცს, ან ვიცნობ და საშინელი ცინიკოსია, რა ქნას იმისმა საცოდავმა ცოლმა?! მეცოდებიან ასეთი ქალები... მოკლედ, მე მაგ შრომისთვის ვარ დაბადებული და სულაც არ ვგრძნობ თავს ცოდვილად. თან, ჩემს გვარსაც ვამართლებ – რაც შეიძლება მეტი სიხარული მინდა მივანიჭო დაჩაგრულ ქულებს.

— ერთდროულად 2-3 ქალი თუ გყოლიათ?

– ეგეც ყოფილა, მაგრამ აღვირახსნილობაა. ერთი ერთზე რომ ხარ, ეს უფრო ინტიმურია.

...ქალებს არ ითვლიან, ქალი „ხარისხით“ ფასდება.

— ეს, თქვენი თქმით, აღვირახსნილი ცხოვრება სად გქონდათ?

– ბორდელში: პერუში, არგენტინაში, საბერძნეთში, ამერიკაში... სადაც კი ვყოფილვარ, ყველა ქვეყნის ბორდელში შევსულვარ. ადრე არ მეშინოდა, ახლა მართლაც საშიშია – რა იცი, რა შეგეყრება, შიდსმა წალეკა მსოფლიო. ძალიან ხშირი კავშირი მქონდა ზანგ ქალებთან, მულატებთან, უშავესი ქალებიც მყოლია.

— იაპონელებზე რომ ამბობენ, ყველასგან გამოირჩევიანო, მართალია?

– აი, ამ ფოტოზე, ხედავ „იაპოშკაა“. კარგია, ფრანგიც კარგია, ბოშაც და ა.შ. მაგრამ ქართველ ქალზე ტემპერამენტიანი, არც ერთი ერის წარმომადგენელი არ არის და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს.

— დაუვიწყარ მამაკაცურ ოინზე გვიამბეთ...

– ოო... ერთი ცნობილი ძმაკაცი მყავს, თბილისელი, რა. ჰოდა, მე და ამირან ბუაძემ ერთი თვე ვატარეთ მარნეულში.

— რატომ?

– ზომის პრობლემა ჰქონდა. ის მარნეულელი ქალი კი, სპეციალურ მანიპულაციებს უტარებდა. მკურნალობის ფულიც ძმაკაცებმა გადავიხადეთ, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვუშველეთ – გაეზარდა კი არა, მგონი, უარეს დღეში ჩავარდა...

— თვითონ შემოგჩივლათ?

– საუნაში დავდივართ ხოლმე და... საუნაზე, ზღვა გამახსენდა, ბიჭვინთა. ბიჭვინთაში ერთად გავემგზავრეთ მე, კაკო შევარდნაძე, ცეზარ შევარდნაძე და ალეკო ოღლიშვილი. ჩამოვიდა ერთი გოგო,

აი, ამ ფოტოზე, ხედავ „იაპოშკაა“. კარგია, ფრანგიც კარგია, ბოშაც და ა.შ. მაგრამ ქართველ ქალზე ტემპერამენტიანი...

„კრასავიცა“, ებრაელი იყო ლენინგრადიდან. ისე მომეწონა, მთელი ტანი მიძაგძაგებს მის დანახვაზე, მაგრამ რად გინდა? – ქმარი სულ გვერდში დაჰყვება, ნახევარი საათითაც კი ვერსად დავიმარტოხელე. „ვსიო“ – ამ ქალზე ვარ ჩაციკლული და ერთი სული მაქვს, როდის მივაღწევ საწადელს. გადის დღეები, ვერაფერს ვახერხებ. არადა, ხომ არ მოვუკლავ ქმარს?!. ერთ დილასაც, დავინახე, რომ ქმარი ზღვისკენ მარტო წავიდა, მოგვესალმა და გაძუნძულდა. მაგრამ ისეთი მამაძაღლი მილიონერი იყო, გარეთ თუ მარტო გავიდოდა, ცოლს სასტუმროს ნომერში კეტავდა ხოლმე. ბიჭებს ვუთხარი, ახლა მაინც მოვიგდებ მხარზე-მეთქი და „ჩერეზ“ აივნები დავიწყე ასვლა. მეთოთხმეტე სართულზე ცხოვრობდა. ბიჭები „მბალელშჩიკობენ“, არის ერთი ამბავი; მე მივცოცავ, მივბობღავ... როგორც იქნა, მივაღწიე მე-14 სართულის აივანს და...

— სხვა კაცი ჰყავდა?

– რის სხვა კაცი?! – ნომერში კეტავდა-მეთქი!.. გასაშლელ სავარძელში მისვენებული დამხვდა ქმარი. დამინახა და მეუბნება: Гиви, дорогой, что ты здесь делаеш-ო? მეხი დამეცა, რა. Тренируюсь-მეთქი – ვუპასუხე. აბა, რა უნდა მეთქვა?! წელმოწყვეტილი ჩამოვბობღდი. ესენი რომ „მბალელშჩიკობდნენ“, იმ დროს დაბრუნებულა.

— ესე იგი, საწადელს ვერ მიაღწიეთ.

– ახლა გერმანიაში ცხოვრობს ის ქალი. ქმარი მოუკვდა. თუმცა, ძალიან გავმწარდი „ბალკონებზე“ სიარულით, მაინც ჩემი გავიტანე და ტკბილად შევერთდით. ქალს თუ უნდა, ყველაფერსაც მოახერხებს – ამას წყალი არ გაუვა. ოთხი ათასი ჯარისკაცი, „მინამიოტი“, ტანკი და ათასი ჯანდაბა რომ გაუჩალიჩო, თუ უნდა, მაინც იკისრებს. ათასი ჯურის ქალთან მქონია საქმე, მაგრამ ქართველების მერე, ყველაზე მეტად, „ტურჩანკები“ (თურქები) მომწონს. ძალიან ხშირად ჩავდივარ ანტალიაში, კუშადასში, ბოდრუმში... ულამაზესი ქალები ჰყავთ და საოცარი ის არის, რომ მათი უმრავლესობა ქართველთანაა ნაჯვარი: თავის დროზე, ქართველები მიმოფანტეს და ამის გამო მოხდა ეგ ამბავი... კიდევ, ჩერქეზი და ოსი ქალებიც მშვენიერები არიან.

— ბოშა ახსენეთ ცოტა ხნის წინ და ალბათ ბოშაც და თქვენც ცეკვა-ცეკვით ეძლეოდით სიყვარულს, არა?

– დიდი არაფერი ქალები არიან. ბოშები კარგად ცეკვავენ და მღერიან, მაგრამ ცეკვა და სიმღერა ლოგინში არ მჭირდება. ერთ ჩემს ძმაკაცს (ვინაობას ვერ გავამხელ) ისეთი ქალი შეხვდა, შუა საქმეში ჩაეძინა. თავბედს იწყევლიდა ჩემი ძმაკაცი – „სპალნი ვაგონი“ ვეგონე ალბათო. აი, ცივი ქალის „პარტრეტი“...

— ბატონო გივი, არ დამიმალოთ — პორნოგრაფიულ ფილმებს თუ უყურებთ ხოლმე?

– ვიდრე ვიდეო შემოვიდოდა საქართველოში, უფრო ადრე ჩამოვიტანე საფრანგეთიდან პორნოგრაფიული ჟურნალი. ტბაბმელაში ავედით მე და ჩემი მეგობარი, ალეკო ურუშაძე. ორი გოგო გვახლავს და ვქეიფობთ რესტორანში... ვიფიქრე, ახლა ამათ გადავრევ-მეთქი და ის ჟურნალი შემოვიტანე. დახედეს და – ფუო, – გვერდზე მიაგდეს, ატეხეს წივილ-კივილი. ცოტა ხანში, მე და ჩემი ძმაკაცი გარეთ გავედით – ბიჭებთან სალაპარაკო გვქონდა და მოგვაკითხეს. შევბრუნდით და რას ვხედავთ? – ჟურნალის ფურცვლისგან ლამის თვალები გადმოუცვივდეთ, ისეთ დღეში არიან ... არა – გინდ დაიჯერე, გინდ არა, – არ ვუყურებ ფილმებს. მე მგონი, ავადმყოფებისთვის იღებენ, თორემ, რა ჭირად გინდა კაცს?! ჭკუა თუ გაქვს, შენი ფანტაზიაც ფრთას გაშლის. მე ჩემი ფანტაზიის ძალიან კმაყოფილი ვარ...

— ფანტაზიას არ ვუჩივიო და ბარემ ისიც გაგვიმხილეთ, ყველაზე მეტად რა გხიბლავთ ქალში?

– ჩემი „სლაბი ტოჩკა“ ქალის თავია,

ცოდვა სხვა რამეა. სულ რომ არ ვიცნობ კაცს, ან ვიცნობ და საშინელი ცინიკოსია, რა ქნას იმისმა საცოდავმა ცოლმა?!

პატარათავიანი ქალები მომწონს, აი, მწევარივით თავი რომ აბია... მერე – ტუჩები. ლამაზი ტუჩები ბევრს ნიშნავს ჩემთვის. იცი, სიმონა სინიორეს, რომი შნაიდერის ტუჩები მომწონდა. რომი შნაიდერზე მოთხრობაც დავწერე. ვფიქრობ, რომ სოფი ლორენი განსაკუთრებით სექსუალური ქალია. ძალიან მომწონდა ანუკ ემეც...

— ბატონო გივი, უფროს თაობას რომ მიადექით, აქეთ არავინაა თქვენი მოსაწონი?

– კონსერვატორი კაცი ვარ, ისევ ისინი მომწონს, ვინც ჩემში რაღაც სიმს არხევდა. ჩემს ძმაკაცებს ახალგაზრდა გოგონები მოსწონთ, მე კი – მოწიფული ქალები. შე ოხერო, ამ ხნის კაცი, ვიღაცა ხარ, 20 წლის გოგოსთან რომ დადიხარ, ყველა ხომ მასხარად გიგდებს?! ჩაიხედე, რა, სარკეში?!

— ეი. კატეგორიულ უარს ამბობთ 20 წლის გოგონებზე?

– ყველანაირად ვცდილობ, რომ ავარიდო თავი. 20 წლის გოგოს და 60 წლის კაცის ურთიერთობა, ჩემი აზრით, რიტმიდან ამოვარდნილ ცეკვას ჰგავს. უნიჭო „არტისტობა“ არ არის საჭირო, იმიტომ ვთქვი – მავანმა სარკეში ჩაიხედოს-მეთქი.

— თქვენ ხშირად არტისტობთ ქალებთან?

– რაღაცებში მეც მოვტყუებულვარ – ქალის არტისტობას ვგულისხმობ, – მაგრამ ბევრ რამეში არ ვტყუვდები. რაც შეეხება ჩემს არტისტობას, ჯერჯერობით, არ მჭირდება. რა ვიცი, მგონია, არც დამჭირდება.

— ქალი სიმთვრალეში უფრო გიყვართ და სასურველია თქვენთვის თუ სიფხიზლეში?

– ქალი სიფხიზლეში უნდა გიყვარდეს. როცა სიმთვრალეში „გიყვარს“, ესე იგი – არ გიყვარს ანუ ილუზია გიყვარს. მე, მაგალითად, ქალი დღის შუქზე მიყვარს. თუ არ დავინახე, ყველა თავისი წახნაგით, რა აზრი აქვს?! სიბნელეში ქალით ვერ ავღელდები, ეგრეა. ერთმა ჩამიქრო შუქი; ავდექი, ჩავიცვი და კარი გავაღე: მეგონა, „ბომბარდიროვკა“ იწყებოდა. სად მიდიხარო? – მკითხა. – თავშესაფარში-მეთქი, – და წამოვედი.

— მთავრობა როცა გვაბნელებს და ვთქვათ, იმ დროს ხართ სიყვარულით გართული?

– აგერ, გენერატორი მაქვს. უშუქობას ვერ ვიტან. რაც უფრო ხმაურობს გენერატორი, ხოშზე უფრო მოვდივარ, იმიტომ, რომ თვითონ გახლავართ ხმაურიანი კაცი... მოკლედ, ამ მთავრობამ ისე შემაჩვია „დვიჟოკიან“ სექსს, ოდესმე თუ გადავეჩვევი, არა მგონია...

■

რა ღირს მამაკაცური ღირსება?!



რა ითვლება მამაკაცური ღირსების შელახვად? სად გადის ზღვარი ამპარტავნებასა და ღირსების გრძნობას შორის და ვინ შეიძლება განსაჯოს, ნამდვილად ღირსეულად იქცევა კაცი თუ ღირსების ნიღაბსაა ამოფარებული? ამ კითხვებზე პასუხები რადიკალურად განსხვავებულია, მაგალითი კი, საიდანაც დასკვნის გამოტანა შეიძლება — უამრავი. რამდენიმე ამბავი შევარჩიეთ, რომელიც ჩვენი ვარაუდით, საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის. ამ საკითხის გაშუქება კი ერთმა თბილისურმა ოჯახმა გადაგვაწყვეტინა. ცოლქმარი, რომელიც გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, დაგვიკავშირდა და თავის ოჯახში მომხდარი ამბის სააშკარაოზე გამოტანა გვთხოვა. ამაზე ცოტა მოგვიანებით. მანამდე კი...

ლელა ჭანკოტაძე

დალი პატაშური, *პედაგოგი:*

— ჩემი რძლის შესახებ მინდა გიამბოთ. ის კარგი ადამიანი იყო. სამწუხაროთ, შარშან გარდაიცვალა. ცოცხალი რომ იყოს, ვერც გავბედავდი, მისი ამბავი სააშკარაოზე გამომეტანა. ჩემმა ძმამ ქორწილში გაიცნო. თურმე გიტარაზე უკრავდა და მღეროდა. ყველა მას უყურებდა და ეტრფოდა. ჩემს ძმას ქართლში ყველა იცნობდა. ვაჟა ნოზაძე პატივსაცემი და დაფასებული ადამიანი იყო. ოცდახუთი წლის ასაკში კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა. მალე ქორწილში გაცნობილი გოგონა ცოლად მოიყვანა. ქეთინოს მშობლები ღარიბები იყვნენ. ქეთინოს, მართალია, სილამაზით ვერავინ შეედრებოდა, მაგრამ ჩემი ძმის არჩევანი მაინც არ მოგვწონა. რას ვიზამდით? ისეთი მკაცრი იყო, ამის თქმას ვერ გავუბედავდით. ზედმეტად ვერც კი ვეხუმრებოდით... ერთი სიტყვით, ქეთინო რძლად მივიღეთ. მაგრამ ახალი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით: დრო გადიოდა, ის კი არ ორსულდებოდა. ჯერ საყვედური შევაპარეთ, შემდეგ კი, ჩხუბი დავუწყეთ. ცხონებულმა დედაჩემმა უთხრა: ბერწ ძროხას არ გავაჩერებ ეზოში, არათუ რძალსო.

— **თავს არ იცავდა?**

— არა. ჩვენს საყვედურებს უსიტყვოდ იტანდა. არ მახსოვს, ოდესმე შეგვკამათებოდა. მხოლოდ ერთხელ მითხრა: თუ შენი ძმა ხელს მკრავს, წავალ და წყალში გადავვარდები, დედამიწაზე ჩემი ადგილი აღარ იქნებაო... მაშინ ძალიან შემეცოდა და დედაჩემს ვუთხარი: იქნებ, დავეხმაროთ და ბავშვი იშვილონ-მეთქი. მეტი გზა არც იყო. ათი წლის ამაო ლოდინის შემდეგ, ერთ-ერთი სამშობიარო სახლიდან ახალშობილი გამოვიყვანეთ, მაგრამ ბავშვი ავადმყოფი აღმოჩნდა — ისეთი, ჭკუასუსტს რომ ეძახიან. ჩემი რძლის ცოდვით ქვა დუღდა, როცა ბავშვს აიკიდებდა და ექიმიდან ექიმთან დადიოდა. ბავშვმა ფეხზე მაინც ვერ გაიარა. შვიდი წლის მანძილზე, ქეთინომ ის ხელით ატარა. მერვე წელს, ბავშვი დაიღუპა. ექიმმა მითხრა: შენი რძალი ნამდვილი ჯადოქარი ყოფილა, ამდენ ხანს რომ აცოცხლა სასიკვდილოდ განწირული ბავშვიო... ამის შემდეგ, ვაჟას ვუთხარი: რადგან ცოლს ვერ ელევი, სხვა ქალთან გააჩინე შვილი-მეთქი... ქეთინომ ეს გაიგონა. ტირილი დაიწყო და თქვა: რადგან შვილის გაჩენა არ შემიძლია, თანახმა ვარო... ჩემმა ძმამ გაგვიცხა და გამოგვიცხადა: არავინ გაბედოს, ჩემს ოჯახში ბავშვის ხსენებაო!.. თხუთმეტი წელი გავიდა. ვაჟას ინფარქტი დაემართა. ლოგინად ჩავარდნილს, ცოლმა სამი წელიწადი უარა, პატარა ბავშვივით აჭმევდა და აცმევდა. მიკვირდა, როგორ შეეძლო ამდენი შრომა. თან ყველაფერს უსიტყვოდ და მორჩილად აკეთებდა. ვაჟა რომ გარდაიცვალა, ქეთინო ფრთამოტეხილ არწივს დაემსგავსა. ავადმყოფობამ მასაც დარია ხელი. მე არ გავთხოვილვარ, ჩემი და კი ჩვენს სოფელში გათხოვდა, ამიტომ ხშირად მოდიოდა ხოლმე. ერთხელ ქეთინომ გვითხრა: მგონი, თირკმლები მტკივაო. ბევრჯერ კი მიწყენინებია, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარდა. ჩემს დას ვუთხარი: ფული შევაგროვოთ და თბილისში წავიყვანოთ ექიმთან-მეთქი. ჩამოვიყვანეთ. უროლოგმა გვითხრა: ჩემი პაციენტი არ არის, ჯობს, გინეკოლოგს გაასინჯოთო. ქეთინომ ხელები გაასავსავა — გინეკოლოგთან რა მინდაო?! — იძახდა.

— **რატომ? მიზეზი არ ჰკითხეთ?**

— არ მინდა, ზედმეტი ფული დახარჯოთ, ზამთრისთვის შეშა გვაქვს საყიდელიო, — თქვა, მაგრამ ისეთი ტკივილები ჰქონდა, რომ ბოლოს, მაინც დაგვთანხმდა. ჟორდანიას ინსტიტუტში მივიყვანეთ. ქეთინო ძალიან ღელავდა. ექიმმა ცალკე ოთახში შეიყვანა გასასინჯად და რამდენიმე წუთში, გაფითრებული გამოვიდა. ვიფიქრეთ, ცუდი რამ უნდა გვითხრასთქო და ფეხზე წამოვცვივდით. — გაოცებული ვარ. — თქვა გინეკოლოგმა, — თქვენი რძალი ქალწულიაო... ჩემი საამაყო ძმა თურმე იმპოტენტი ყოფილა, ქეთინო კი ამ საიდუმლოს გულში ინახავდა. მაშინაც კი არ გაუვლია გულში ქმრის საიდუმლო გაეცა, როცა ვლანძღავდით და ბერწ ძროხას ვუწოდებდით... აი, ასე შეუნახა ქმარს მამაკაცური ღირსება, მაგრამ რის ფასად? საცოდავი, იმ წელსვე გარდაიცვალა — საშვილოსნოს კიბო აღმოაჩნდა. დღემდე ვტირი მის გამო და გული მწყდება, რომ მისი მეგობარი და მესაიდუმლე არ ვიყავი. ღირსეული კაცი იყო ჩემი ძმა და თურმე ღირსეული ცოლიც ჰყოლია. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ძალიან გვიან შევიტყვეთ. ქეთინო საოპერაციოდან რომ გამოიყვანეს, ღმერთს ვთხოვე: იმდენ ხანს აცოცხლე, რომ მოვლით, მის წინაშე ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვა შევძლო-მეთქი. მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ გონზეც არ მოსულა.

— **არასდროს გიფიქრიათ, რომ**



შეიძლებოდა, უშვილო თქვენი ძმა ყოფილიყო?

— არა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს ეჭვი გულში არასდროს გაგვივლია.

იმ საკითხზე, თუ რა ტიპის ქცევებია ყველაზე მეტად დამახასიათებელი ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის, როცა საქმე მათი მამაკაცური ღირსების შელახვაზე მიდგება, მოვისმინოთ ფსიქოლოგის კომენტარი.

ლია ანდღულაძე, *ფსიქოლოგი:*

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში გადაუჭრელი პრობლემაა ზრდასრული შვილებისა და მშობლების ურთიერთობა. ქართველი დედების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ უფლება აქვს, შვილის ცხოვრებაში მაშინაც კი ჩაერიოს, როცა ის 30-40-50 წლის არის, რაც ძალზე ძლიერი სულიერი ტრავმის მიზეზი ხდება ხოლმე. ამის გამო, ქართველი მამაკაცების უმეტესობა თავს სრულფასოვან მამაკაცად ვერ აღიქვამს. ხაშურის რაიონიდან ჩამომყვანეს თხუთმეტი წლის ბიჭი, რომელიც ძალზე ცუდად გრძნობდა თავს. როგორც წესი, პაციენტებს, ვთხოვთ ხოლმე, დაწერონ თავიანთი განცდების შესახებ. აი, რა დაწერა ირაკლიმ:

„ჩვენს სახლში ცხოვრება ჯოჯოხეთს ჰგავდა. ბებია და დედა გამუდმებით ჩხუბობდნენ. უსიამოვნებას ბოლო არ უჩანდა. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ისინი ერთმანეთს ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ. ამის გამო, მამა იტანჯებოდა. მას დედაც უყვარდა და ცოლიც, არ იცოდა, რომელი მათგანის მხარე დაეჭირა ამ ორ ქალს შორის იჭყლიტებოდა. დაუსრულებელ აყალმაყალში მხოლოდ ერთი სიმართლე იყო: ოჯახში კაცი არ იდგა თავის სიმაღლეზე. ყველა მამას ადანაშაულებდა, ამბობდნენ — კაცმა ცოლი და დედა როგორ ვერ უნდა დაიმორჩილოსო?! მამა იმ კაცების რიგს არ მიეკუთვნებოდა, მაგიდაზე მუშტს რომ დაარტყამენ და ყველას მორჩილებას აიძულებენ... ერთ დღეს, ნამდვილი საშინელება მოხდა. მე და მამა ბაზრიდან შინ ვბრუნდებოდით, ჩვენს სახლთან თავმოყრილი ხალხი რომ შევნიშნეთ. მეზობლებმა გვითხრეს: სად ხართ აქამდე? — დახოცეს ერთმანეთი, მაგათი ერთად ცხოვრება როგორ შეიძლებაო?! ერთმა ენაჭარტალა კაცმა მოურიდებლად უთხრა მამაჩემს: კაცი არა ხარ? ქალები თავზე გასხედან! ჩემები რომ იყვნენ, ორივეს თავს წავაცლიდიო. მამას ხმა არ ამოუღია. ფერდაკარგული და თავჩაღუნული ეზოში შევიდა. დედას რომ მიუახლოვდა, უთხრა: რა იყო, დედა, რისთვის გამაჩინე, თუ ჩემთვის სიცოცხლე უნდა გაგემწარებინაო?!. დედაჩემს კი, საოცრად გამჭოლი მზერა სტყორცნა. მეგონა, მასაც საყვედურს ეტყოდა, მაგრამ მხოლოდ ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და სამზარეულოში შევიდა. შუაღამისას ვთხოვე: წამოდი, დაიძინე-მეთქი. ხმა არ გამცა. იჯდა თავჩაღუნული და სიგარეტს ეწეოდა. დილით სკოლაში წავედი. ბებია მამიდაჩემთან წავიდა, დედაჩემი კი — ბაზარში. მამა მარტო დარჩა. სკოლიდან რომ დავბრუნდი, მასთან საუბარი ძალიან მინდოდა. ვერსად ვნახე. არადა, ღუმელი ენთო, ე.ი. სახლში იყო. იქით წავედი, სადაც დაჩეხილი შეშა ეწყო. იქვე კაკლის ხე დგას — მამას ხის ტოტზე ჩამოეხრჩო თავი. დიდხანს ვუყურე, ბოლოს, გონება დავკარგე და დავეცი“...

ირაკლისთან ახლაც ვმუშაობ. დარწმუნებული ვარ, საკუთარ თავში ძალას გამონახავს და გამოჯანმრთელდება. ცხადია, არასდროს დაავიწყდება მამა, რომელმაც ღირსების შელახვა სიკვდილით გააპროტესტა, მაგრამ არიან მამაკაცები, რომლებიც საკუთარი ნებით იქცევიან უღირსებად, მამაკაცურ ღირსებასაც კარგავენ და შეცდომის აღიარებასაც ვერ ახერხებენ. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ცოტა როდია.

ახლა კი მოვუსმინოთ ცოლ-ქმარს, რომელიც რედაქციაში დაგვიკავშირდა.

ნიკო ბადუაშვილი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მისი ოჯახში მომხდარი დიდი უსიამოვნების მიზეზი, საუკეთესო მეგობარი გახდებოდა. მან და ლერიმ ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებდნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მათ მეგობრობას ბზარი არასდროს გასჩენია.

ნიკო ბადუაშვილი:

— მიჭირდა თუ მილხინდა, ლერი ყოველთვის ჩემ გვერდით იდგა. საჭირო რომ გამხდარიყო, ერთმანეთის გულისთვის თავსაც გავწირავდით. ჩემგან საიდუმლო მაშინ გაუჩნდა, როცა გულში ვიღაც ქალი ჩაუვარდა. ერთ დღეს, მისმა ცოლმა დამირეკა და მითხრა: ლერი ჭკუიდან გადავიდა, ოჯახის დანგრევა უნდა ვიღაც კახპის გამოო. რა თქმა უნდა, მაშინვე გადავწყვიტე, მეგობარს დავლაპარაკებოდი. ვკითხე კიდეც: რა გჭირს — ორმოცდახუთი წლის კაცი პატარა ბიჭივით რატომ იქცევი-მეთქი?! — შეყვარებული ვარო, — მიპასუხა. არ უთქვამს, ვინ უყვარდა. მთხოვა — გოგოზე ცუდი არაფერი თქვა, არ იმსახურებსო.

ხათუნა კოჭლამაზიშვილი, *ნიკოს მეუღლე:*

— ლერის ცოლმა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. შარშან ზაფხულში, ქმრისთვის უთქვამს: დასასვენებლად წავიდეთო. ლერის ცოლ-შვილი ურეკში წაუყვანია, თვითონ კი, თბილისში დაბრუნებულა. ერთი თვის შემდეგ ზღვიდან ჩამოსულმა ცოლმა, ქმარი ვეღარ იცნო. რადგან მასში მისთვის აქამდე უცნობი გულცივი და უხეში კაცი აღმოაჩინა. სულ მალე კი, ლერი გამოუტყდა: შეყვარებული ვარ და ცხოვრება თავიდან უნდა დავიწყოო.

ნიკო:

— ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ქალიშვილი შეუყვარდებოდა. ვიკა ხომ მის ხელში, მის თვალწინ გაიზარდა. სტუდენტი რომ გახდა, ლერი ჩემსავით იყო გახარებული. მერე ჩემი გოგო ვიღაც ყმაწვილმა მოიტაცა. დამირეკეს და მითხრეს: ვიკა ზურამ მოიტაცა; კარგი ბიჭია, სიძედ მიიღეთო. მაშინვე ლერის დავურეკე. გიჟივით მოვარდა. მთელი ღამე ვეძებდით გაქცეულებს. მეორე დღეს, პირველ საათზე, ისინი ჩხოროწყუში აღმოვაჩინეთ. ვიკამ გვთხოვა: ამ ბიჭთან დარჩენა არ მინდა, შინ წამიყვანეთო. ლერიმ ჩაიხუტა. მამაშენი თუ არ წაგიყვანს, ჩემთან წამოდი, შენ გულზე არავის გადავატარებო, — უთხრა. ძალიან მესიამოვნა მეგობრისგან ასეთი მხარდაჭერა. რას წარმოვიდგენდი, თუ ორი წლის შემდეგ, შვილს მეგობარი მომტაცებდა?!.

ხათუნა:

— ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ ვიკა შეყვარებული იყო. ღამეები არ ეძინა. სულ ვიღაცაზე ფიქრობდა. როცა ველაპარაკებოდი, ვგრძნობდი, რომ არ მისმენდა. ვკითხე: ვინ არის ის ყმაწვილი, ვინც ასე მოგხიბლა-მეთქი? — რა მნიშვნელობა აქვს? — მთავარია, რომ მან ყველა და ყველაფერი დამავიწყაო... ძალიან დავინტერესდი. ვიკას ჯგუფელებს ვთხოვე,

ჩემთვის სიმართლე ეთქვათ. მითხრეს: არ ვიცით, ვინ უყვარს, ჩვენც არ გვეუბნებაო. მერე ლერის ვუთხარი: ჩემი გოგონა შეყვარებულია, მთავარია, ის ბიჭი ნარკომანი ან ნაციხარი არ იყოს, სხვა ყველაფერზე თანახმა ვარ-მეთქი. არაფერი მიპასუხა, მხოლოდ გაიცინა.

— **სიმართლე როდის შეიტყვეთ?**

— 28 აგვისტოს ვიკა ოცი წლის გახდა. დაბადების დღე რესტორანში გადავუხადეთ. ლერი არ მოვიდა. არც გაგვკვირვებია: ბოლო დროს ჩვენთან იშვიათად მოდიოდა. ვიცოდით, რომ ვიღაც ქალთან ატარებდა მთელ დღეებს. ღამის პირველ საათზე, ვიკას ვიღაცამ მობილურზე დაურეკა. ის სუფრიდან ადგა და რესტორნის საპირფარეშოში შევიდა. კართან ავიტუზე. ვიკა ვიღაცას ეუბნებოდა: ყველანი აქ არიან და ვერ გამოვალო... ბოლოს უთხრა: მიყვარხარ და გული არ მატკინოო. მერე სუფრასთან დაბრუნდა. ჩემს ქმარს ვთხოვე, საცეკვაოდ გაიწვიე, მე კი შევამოწმებ, გავიგებ, ვინ დაურეკა-მეთქი. აღმოვაჩინე, რომ ბოლოს, ლერის დაურეკავს მისთვის... გავოგნდი — რა თქმა უნდა, ვერ ვიფიქრებდი, რომ ვიკას ლერი უყვარდა... ქმარს ვუთხარი ეს ამბავი. მას გაეცინა: ხედავ, რა ეშმაკი გოგო გვყავს? — ეტყობა, იმ ბიჭის ნომერი წაშალა, იფიქრა, მობილური არ შემიმოწმონო...

ნიკო:

— არ შემეძლო ლერიზე მიმეტანა ეჭვი, ამას ალბათ ვერასდროს გაგბედავდი... ერთხელ მანქანით მივდიოდი. მოულოდნელად, თვალი მოვკარი ვიკას — ჩემს უმცროს ქალიშვილთან ერთად მიდიოდა. გავაჩერე მანქანა და ფეხით უკან გავყევი. დავინტერესდი, რა უნდოდათ დიღმის ტრასაზე. ჩემს ადგილას ხომ ნებისმიერი მამა ასე მოიქცეოდა?! გოგონები ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ. შევყევი. შევიშნე — ერთ მაგიდასთან ლერი იჯდა. ჩემი შვილები დაინახა თუ არა, წამოხტა, ორივეს აკოცა და ისევ მაგიდას მიუჯდა. გულში გავიხარე — ვიფიქრე: ლერიმ ვიკას პაემანი ჩაუშალა-მეთქი, იქიდან ქურდივით გამოვიპარე, რადგან შვილები სანდო ხელში დავტოვე... ლერის არასდროს ვაპატიებ იმას, რაც გამიკეთა. ცხადია, არც ჩემს უმცროს გოგონას ვაპატიებ: უნდა ეთქვა ჩვენთვის, რაც ლერისა და ვიკას შორის ხდებოდა... ბოლოს, სიმართლე შევიტყვეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ხათუნა:

— 5 სექტემბერს, ვიკა ჩვეულებისამებრ, ადრე ადგა. ჩაიცვა და ინსტიტუტში წავიდა. პარასკევი იყო. მითხრა: ხვალ, რადგან ლექციები არ მაქვს, გვიან მოვალ — ჯგუფელები ქეიფს ვაპირებთო. საღამო ხანს, მობილურზე დავურეკე. არ ინერვიულო, შინ ბიჭები მომაცილებენო, — დამამშვიდა. მე — ქმარი დავამშვიდე, მაგრამ თორმეტი საათი რომ დაიწყო, ისევ დავურეკე. მობილური გამორთული ჰქონდა... მას შემდეგ, მისი ხმა აღარ გამიგონია. უკვე ერთ თვეზე მეტია, შვილს არ დავლაპარაკებივარ... შუადამისას, ლერისთან დავრეკე. შინ არ იყო. მობილური მასაც გამორთული ჰქონდა და მეტჯერ აღარ შევხმიანებივარ... ჩვენს ნათესავებს შევატყობინეთ და ვიკას ძებნა დავიწყეთ. განსაკუთრებით ერთმა ფაქტმა შეგვაშფოთა — ვიკას ჯგუფელებმა გვითხრეს: დღეს არ გვინახავს, ლექციებზე არ მოსულა, არც გვიქეიფიაო.

ნიკო:

— სიმართლე მეორე დღეს გაირკვა. უმცროსმა ქალიშვილმა საიდუმლო გაგვანდო: ლერი და ვიკა დილით ორჯონიკიძეში წავიდნენ, იქ ლერის ნათესავები ჰყავს, იქიდან მოსკოვში გაფრინდებოდნენო. ეს ყველაზე საშინელი რამ იყო, რაც კი ჩემს ყურებს ოდესმე მოესმინა.

— **თავად ლერის არ უცდია თქვენთან დალაპარაკება?**

— რა უნდა ეთქვა? — შენს შვილს ნამუსი ავხადე და მაპატიეო?!. ამ ერთ თვეში მილიონჯერ ავწონ-დავწონე ჩემი მდგომარეობა. თქვენთან დაკავშირება თავად გადავწყვიტე. რაც მინდა, ყველაფერი უნდა გითხრათ. ჯობს, ჩემი გულისტკივილი ლერიმ თქვენი ჟურნალის საშუალებით გაიგოს — ალბათ, გაუგზავნიან და წაიკითხავს. მინდა, რომ პასუხი გამოგიგზავნოთ, თავი იმართლოს; ყველაფერი მოგწეროთ, რისი თქმაც მე ვერ გამიბედა. დაე, „გზა“ იყოს შუამავალი ჩემსა და მას შორის. თორემ, თუ ვნახე, თუ გაბედა და დასალაპარაკებლად მოვიდა, გავიმეტებ და მოვკლავ.

ხათუნა:

— წარმოუდგენელია: ჩვენს ოჯახში მოდიოდა, ჩვენი მესაიდუმლე იყო, მისგან დამალული არაფერი გვქონდა, ის კი ჩვენს ქალიშვილს ესიყვარულებოდა... აი, ეს არის კაცური ღირსების დაკარგვა. აი, როგორ ადამიანს არა აქვს ღირსება!.. სულმოუთქმელად ველოდებით მის პასუხს. თავი იმართლოს, თუ ღირსების ნატამალი შერჩა, გამოგვეხმაუროს...

ბატონ ნიკოსა და ქალბატონ ხათუნასთან საუბრის შემდეგ, მათ უმცროს ქალიშვილსაც დავუკავშირდი. ანა ბებიასთან ცხოვრობს: მამა უფლებას არ აძლევს, შინ დაბრუნდეს... მან კომენტარზე უარი გვითხრა. თქვენს კითხვებზე პასუხი არ მაქვს; ლერის ყოველთვის ძიას ვეძახდი, ხათრი ვერ გავუტეხე, თანაც — ეს ამბავი მაშინ გავიგე, როცა ვიკა უკვე ფეხმძიმედ იყოო...

იქნებ, ყველა შეკითხვას ლერისა და ვიკას წერილმა გასცეს პასუხი. რა თქმა უნდა, თუ გამოგვეხმაურებიან. ■

მრთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. როდის დაიდგა თბილისში ბოთა რუსთაველის ძეგლი?

ა) 1921 წელს;
ბ) 1961 წელს;
გ) 1942 წელს.

2. როგორ გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი?

ა) ლექციის კითხვისას;
ბ) გადასახლებაში ყოფნისას;
გ) ავტოავარიაში.

3. რა ერქვა ხომალდს, რომლითაც იური გაგარინი კოსმოსში გაფრინდა?

ა) „ზაპადი“;
ბ) „ვოსტოკი“;
გ) „იუგი“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !



პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

Abtronic Pro!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63;
(995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტმაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

ზაალ უდუმაშვილი: ერთადერთხელ მომეცა, ალბათ შანსი და გამოვიყენე...

რუბრიკის დღევანდელი სტუმარია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამის წამყვანი ზაალ უდუმაშვილი. ტელემაყურებლის თვალს ალბათ არ გამორჩებოდა, რომ ის ეკრანზე მუდამ ელეგანტურია, მოხდენილი კოსტიუმით გვეცხადება ხოლმე, განსაკუთრებით, ჰალსტუხის მრავალფეროვნებით იქცევს მაყურებლის ყურადღებას. თავად რესპონდენტმა კი, საუბრისას მითხრა: „ძალიან მიყვარს ეს აქსესუარი და ვფიქრობ, რომ თუ ჰალსტუხს იკეთებ, აუცილებლად ძალიან კარგი უნდა იყოს“.

ხათუნა ჯავახიშვილი

— ზაალ, პირველ რიგში საინტერესოა, ეთანხმები თუ არა გამოთქმას — „გემოვნებაზე არ დაობენ“?

— არ ვეთანხმები. სწორედაც რომ, გემოვნებაზე დაობენ, რადგან არ არსებობს ერთი და განსაზღვრული გემოვნება, რომელსაც შეიძლება, ყველა დაეთანხმოს. გემოვნებაზე რომ დაობენ, ზუსტად ამიტომ ვითარდება და ყალიბდება ადამიანი.

— თქვენ ბევრჯერ შეგცვლიათ გემოვნება?

— ალბათ კი.

— თუ შეიძლება დააკონკრეტე. მაგალითად, შენი ბავშვობის დროინდელი მუსიკალური გემოვნება დიდად განსხვავდება ახლანდელისგან?

— სხვათა შორის, მუსიკალური გემოვნება არ შემცვლია. ტინეიჯერობის ასაკიდან მოყოლებული მომწონს და ვუსმენ სოულს. რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს მუსიკის ახალი მიმდინარეობებიც, მაგრამ ჩემთვის სასიამოვნო აურის შესაქმნელად, საბოლოო ჯამში, მაინც სოულს ვირჩევ ხოლმე.

— რაც შეეხება ჩაცმულობას — ეთერს მიღმა როგორ ტანისამოსს ანიჭებ უპირატესობას?

— ძალიან მიყვარს ჯინსი და საერთოდ, თავისუფალი სტილი. სამუშაოდან გამომდინარე, კვირაში ხუთი დღე კლასიკურ ფორმაში ვარ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი სტილი არ არის. შესისხლხორცებული მაქვს და ძალიანაც მომწონს კლასიკურად ჩაცმა. ვერ ვიტან, როდესაც შერეულად აცვიათ — მაგალითად, ფართოჯიბეებიანი შარვალი და ჰალსტუხი, — იმიტომ, რომ სჭირდებათ. ვფიქრობ, თუ კლასიკურად გაცვია, თავიდან ბოლომდე კლასიკურად უნდა გეცვას. თუ არა და, სპორტულად უნდა გეცვას მთლიანად.

— პირველად როდის გაიკეთე ჰალსტუხი?

— სხვათა შორის, სკოლის პერიოდში. მე-7 თუ მე-8 კლასში ვიყავი. ჩემი სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა, რომ ბიჭებს ჰალსტუხები გვეტარებინა და გოგონებს — ბაფთები თმაზე. ამ ასაკის ბავშვისთვის ჰალსტუხი რა არის, ხომ წარმოგიდგენიათ? ორი თუ სამი თვე გასტანა ამ ექსპერიმენტმა. მერე ყველას მოგლეჯილი გვქონდა ჰალსტუხები და გოგონებსაც, არც ერთს, ბაფთა აღარ ეკეთა.

— შენს გარდერობში ჰალსტუხებს დიდი ადგილი უკავია, არა?

— კი, ძალიან ბევრი მაქვს, უფრო სწორად — ბევრი მქონდა. ბოლო დროს, ბევრი გავაჩუქე. ამას წინათ, გავხსენი ჩემი გარდერობი და მივხვდი, რომ ძალიან ცოტა ჰალსტუხი დამრჩა. ახლა აქეთ ველოდები, როდის მომიტანენ...

— მეუღლე თუ გირჩევს ხოლმე, რომელი ტანსაცმელი ჩაიცვა ან შეიძინო?

— სხვათა შორის, მე უფრო ვურჩევ ხოლმე, თუმცა არც ის უჩივის გემოვნებას. რაღაც რომ მომეწონება, მასაც ვეკითხები რჩევას, რომ რაიმე არ შემეშალოს. ზუსტად იცის ხოლმე „წერტილში გარტყმა“. ძალზე დახვეწილი გემოვნება აქვს. ისე, საზღვარგარეთიდან რა საჩუქრებიც ჩამომიტანია ხათუნასთვის, ყველაფერზე უთქვამს — შეიძლება, ბევრ გოგოსაც ვერ აერჩია ასეთი გემოვნებითო...

— საჩუქრების მიძღვნა თუ გიყვარს?

— როგორ შეიძლება, საჩუქრის მიძღვნა არ გიყვარდეს?! იმაზე კარგი რა არის, ვიღაცას რამეს რომ აჩუქებ და ამით გაახარებ?! ვფიქრობ, ეს უფრო დიდი სიამოვნებაა, ვიდრე ის, შენ რომ იღებ საჩუქარს.

— ყვავილების მირთმევა თუ გიყვარს?

— ყვავილი, ვფიქრობ, ის საჩუქარია, რომელიც მოდიდან არასდროს გადის.

— მეუღლე სად და როგორ გაიცანი? ორი სიტყვით, ოჯახის შესახებ მოგვიყევი.

— მე და ჩემი მეუღლე — ხათუნა ჯალაღანია თანაკლასელები ვიყავით. რაც თავი მახსოვს, ჩემს მეხსიერებაში ხათუნა სულ არსებობს. ოღონდ, მოგვიანებით დავქორწინდით — 24 წლის ასაკში. ხათუნა ქიმიკოსია, მაგრამ ამჟამად არ მუშაობს — ბავშვი გვყავს თვე-ნახევრის და შინ ზის. უფროსი — 7 წლის გოგონა გვყავს ლიზიკო, ახლა გიორგი შეგვეძინა.

— ბავშვებს სახელები ვინ შეურჩია?

— ჩვენ. ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდში შევთანხმდით მე და ხათუნა, რომ გოგონასთვის (პირველი ძალიან გვინდოდა, რომ გოგონა ყოფილიყო) ლიზიკო დაგვერქმია. მაშინ ასეთი გავრცელებული არ იყო ეს სახელი. ასევე შევთანხმდით ბიჭის სახელზე. მშობლები თავიდანვე შეგუებულები გვყავდა იმ აზრს, რომ შვილებს მათ სახელებს არ დავარქმევდით.

— ხათუნა შენი ერთადერთი სიყვარულია?

— ახლა რომ ვუყურებ, სიყვარული რასაც ჰქვია, ნამდვილად ასეა. მე-3 კლასიდან მოყოლებული, სულ შეყვარებული ვარ-მეთქი, — ვამბობდი, მაგრამ ის ხომ უბრალოდ, ბავშვური გატაცებები იყო. როცა ნამდვილად შეყვარებული ვიყავი, დავქორწინდი კიდეც.

— რაიმე ორიგინალური სიურპრიზი თუ გაგიკეთებია ხათუნასთვის?

— შეყვარებულობის პერიოდი გვქონდა. ხათუნა, დაახლოებით ერთი კვირით, საზღვარგარეთ მიდიოდა და მინდოდა, რაიმე ისეთი გამეტანებინა, რაც ჩემს თავს შეახსენებდა ხოლმე. მაგნიტოფონთან დავჯექი და კასეტაზე ჩემი საუბარი ჩავწერე. ტრაპთან მივეცი ეს კასეტა. როცა მოუსმინა, ძალიან გახარებული იყო.

— კასეტაზე რა ჩაუწერე?

— რაზე შეიძლება ილაპარაკოს შეყვარე-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. იაპონურ ვენდეტას კატაკუიტი ჰქვია.
2. ბრიუს ლი 33 წლის ასაკში დაიღუპა.
3. ვივიენ ლი ინდოეთში იყო დაბადებული.
4. საქართველოში 1000 მამაკაცზე 1160 ქალი მოდის.
5. რომაელები ყველანაირ ფეხსაცმელს პედალს ეძახდნენ.
6. წინასწარმეტყველი მუჰამედის აქლემს კასვე ერქვა.
7. დიდი ბრიტანეთის კუთვნილი გემების 1/3 შოტლანდიაში მზადდება.
8. ოდისევსი წითური იყო. ჰომეროსი ამით ხსნის მის ახირებულ ხასიათს.
9. ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ისტორია მყინვარწვერზე ასვლით იწყება.
10. ხვლიკს არ შეუძლია დიდხანს სირ-

ბილი, რადგან ამ დროს იგი ვერ სუნთქავს.
11. გი დე მოპასანის დაკრძალვის დღეს პარიზის ყველა საროსკიპომ გლოვა გამოაცხადა.
12. ამერიკელმა მძლეოსანმა შერილმა, კენგურუზე დაკვირვების შედეგად, სირბილში დაბალი სტარტი გამოიგონა.
13. კალიფორნიაში 50 დოლარი ჯარიმაა დაწესებული იმათთვის, ვინც რაიმე ზიანს მიაყენებს პეპელა „მონარქს“.
14. ილია მურომეცი გლეხი იყო, დაბრინია ნიკიტიჩი – ვაჭრების წრიდან იყო გამოსული, ალიოშა პოპოვიჩი – სასულიერო პირი.
15. „დღეს ჩვენი სტუმარი გახლდათ ადამიანი – დღესასწაული“ – ამ სიტყვებით დაასრულა კოკა ყანდიაშვილმა გადაცემა, რომელზეც ჯემალ ბაღაშვილი ჰყავდა მიწვეული.
16. ლენინი პირველად ყაზანის გუბერნიის სოფელ კუკუშკინოში გადაასახლეს. მომავალი ბელადი მაშინ 17 წლისა გახლდათ.
17. ცნობილია, რომ პეპლებს შეუძლიათ კონტინენტიდან კონტინენტზე გადაფრენა. მიუხედავად ამისა, პეპლების ყველა სახეობა არ არის გავრცელებული ყველა კონტინენტზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ყველგან არ არის მათი ჭუპრებისთვის შესაფერისი საკვები.
18. ტიბეტურ სკოლებში გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეების ზურგს უკან იდგა, რათა მათ კარნახისა და ცელქობის



არ ვიცი, როგორი ვიქნები, როცა ლიზიკო 14-15 წლის გახდება. ალბათ ხათუნას უფრო გაუჭირდება – ყველაფერზე პასუხს დედას მოვთხოვ

ბულმა ადამიანმა?..

— ახლა თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ეს კასეტა ხათუნას გამოელოს და ეთქვას — გახსოვს, მაშინ რას მეუბნებოდიო?

– არა, ეს ჯერ არ დამიმსახურებია... საერთოდ, ყოველთვის ვამბობ: როდესაც ოჯახში სიტუაცია იძაბება, მამაკაცმაც და ქალმაც უნდა გაიხსენონ ძველი ურთიერთობა – როდესაც მზად იყვნენ, იმ ადამიანისთვის სიცოცხლე გაეწირათ. თუ ორივე ამას ეცდება, ცუდი არასდროს არაფერი მოხდება.

— უფროსი გოგო ტელევიზორში რომ გხედავს, რა რეაქცია აქვს ხოლმე?

– რომ გითხრა, ამაყობს-მეთქი, ტყუილი იქნება, ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავია; ჰგონია, რომ ყველას მამა ტელევიზორში უნდა ჩანდეს... სულ პატარა რომ იყო, ტელევიზორი რაზეც გვიდგას, იმ მაგიდის ქვემოთ იყურებოდა – ჩემს ფეხებს ეძებდა...

— თუ სწორად მახსოვს, „მეორე არხზე“, კონკურსში გამარჯვებით მოხვდი, არა?

– არა, კონკურსში არ გამიმარჯვია. იმ დროს „მეორე არხზე“ კონკურსი მიმდინარეობდა, მაგრამ მე უკონკურსოდ მიმიღეს: სერგი გვარჯალაძე ერთი წლით მიდიოდა საზღვარგარეთ და სასწრაფოდ სჭირდებოდათ ახალი წამყვანი.

— ეი. ნაცნობობით მიგიღეს?

– ბავშვობაში ხომ ოცნებობენ ნაყინის გამყიდველობაზე, კოსმონავტობაზე და ა.შ. ჰოდა, ყველაფერზე მიოცნებია, ჟურნალისტობის გარდა; ეს ფიქრადაც არ გამივლია. ჩემი მეგობრები მუშაობდნენ „მეორე არხზე“. რაღაც საქმეზე მივდიოდით ერთად და ტელევიზიაში შევიარეთ. მთხოვეს – ერთი წუთით შემოდი, სინჯი უნდა ჩავიწეროთო. გამიკვირდა – რა სინჯი-მეთქი? დამსვეს და მთხოვეს – 5 წუთი რაიმე თემაზე ილაპარაკეო. დავჯექი და ვილაპარაკე. რა ხდებოდა, არ ვიცოდი. საღამოს დამირეკეს: ზაზა დარასელმა ნახა და წამყვანად დაგამტკიცა, ხვალ ეთერში ხარო. გავგიჟდი: რა ეთერში ვარ-მეთქი?!. პირველი გამოსვლისას მართლაც, ძალიან ვინერვიულე.

— „მეორე არხიდან“ „იბერიაში“ გადახვედი, შემდეგ — „პირველ არხზე“ — „ალიონი“, „მოამბე“, ახლა „რუსთავი 2“-ზე ხარ... რა განსხვავებაა სახელმწიფო და დამოუკიდებელ არხებზე მუშაობას შორის?

– საინფორმაციო, საინფორმაციოა ყველგან – უბრალოდ, მუშაობის სისტემაა განსხვავებული. აქ მუშაობის სხვანაირი სპეციფიკაა, მორგება სჭირდება. „მოამბეში“ დიდი ხანი ვიმუშავე და ჩემი გარკვეული სტერეოტიპი ჩამომიყალიბდა. აქ მინდა, რომ ცოტა ახლებურად დამინახოს მაყურებელმა. მინდა, რომ „რუსთავი-2“-ის ჩარჩოში ჩავჯდე. ამაზე ვმუშაობ ახლა.

— პროფესიით ჟურნალისტი არა ხარ. რა გაქვს დამთავრებული?

– პროფესიით არანაირი შეხება არა მაქვს ჟურნალისტიკასთან. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი დავამთავრე, ხომ ახლოს დგას?.. მაგრამ უკვე 12 წელია, ამ საქმეს ვემსახურები და ბევრ ჟურნალისტზე მეტი გამოცდილება მაქვს.

— თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებ ხოლმე?

– თავისუფალ დროს ოჯახში და მეგობრებთან ერთად ვატარებ. თუ შინ ვარ, ტელევიზორი სულ ჩართული მაქვს. ბაღ-ბოსტანზეც რომ იყოს გადაცემა, მაინც ჩართული უნდა იყოს – გამორთულ ტელევიზორს ვერ ვიტან. ეს ჩემი სუსტი წერტილია. ყველანაირ საინფორმაციო გამოშვებას ვუყურებ. სულ არხების გადართვაში ვარ და ყველაფრის საქმის კურსში ვიმყოფები. მეკითხებიან – არ დაიღალე? – სამსახურში საინფორმაციო, სახლში – საინფორმაციოო? – ვპასუხობ, რომ ტელევიზორი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— წიგნებს არ კითხულობ?

– დაახლოებით ოთხი თვეა, წიგნი არ წამიკითხავს, რაც ძალიან ცუდია. ძირითადად, გაზეთებს ვკითხულობ – პოლიტიკურ მასალებს. ახლა ცოტა უნდა „დავლაგდე“. მე თვითონ – გრაფიკში ჩავჯდები და წიგნის კითხვას აუცილებლად ისევ დავიწყებ.

— სახლში საყვარელი ადგილი თუ გაქვს, სადაც დღის უმეტეს ნაწილს ატარებ?

– ის ადგილი, სადაც სადილობის დროს

ვიჯექი ხოლმე, ახლა ლიზიკომ დაიკავა. სადაც მე მიყვარს ჯდომა, ლიზიკო აუცილებლად იქ უნდა დაჯდეს... ჩამომართვა ადგილები, მაგრამ არ ვედავები. კიდევ, ტელევიზორთან მაქვს საყვარელი ადგილი: სავარძელი ისეთ ადგილას მაქვს დადგმული, საიდანაც ეკრანი ყველაზე კარგად ჩანს.

— როგორ ამინდში გრძნობ თავს ყველაზე კარგად?

— თბილი, მზიანი ამინდი მიყვარს. ზამთარი არ მიყვარს, იმიტომ, რომ პირობები არ გვივარგა. ზამთარი მხოლოდ მაშინ მსიამოვნებს, გუდაურში თუ „ბავშვერი“, თხილამურებზე სასრიალოდ. ისე, ვერ ვიტან სიცივეს, ბევრი ტანსაცმლის ჩაცმას და დისკომფორტს. 40^0 სიცხე მირჩევნია სიცივეს.

— დასასვენებლად უმეტესად, სად დადიხართ ხოლმე?

— ძირითადად, ზღვაზე. თუმცა, სრულყოფილი დასვენება არასდროს გამომდის: ოჯახში ვიტყვი — 2 კვირით მივდივართ დასასვენებლად, მოემზადეთ-მეთქი, — და ერთ კვირაში, ისევ სამსახურში ვარ.

— ამაზე მეუღლე არ ღიზიანდება?

— ხათუნა შეგუებულია ამას — ესმის, სად ვმუშაობ. გაღიზიანებული არა, მაგრამ უკმაყოფილო კი არის ხოლმე. ყოველ შემოდგომაზე ვპირდები — მომავალ წელს, ერთ თვეს დავისვენებთ-მეთქი, მაგრამ იმანაც კარგად იცის და მეც, რომ ეს, ასე არ იქნება.

— შენი ყველაზე დადებითი და უარყოფითი თვისება?

— ზედმეტად დამთმობი ვარ, იმ ხალხის მიმართაც კი, ვისაც რაიმე ცუდი გაუკეთებია ჩემთვის. ეს საშინელი თვისებაა. არასდროს ვამჟღავნებ ადამიანისადმი ცუდ დამოკიდებულებას და ამის გამო ბევრჯერ, ცხვირიც წამიმტვრევია...

— ახლა, როგორც აღნიშნე, ლიზიკოს არ ედავები, როდესაც საყვარელ ადგილებს გართმევს. ცოტა რომ წამოიზრდება, როგორი მამა იქნები, სრულ თავისუფლებას მისცემ?

— ეს ჩემი სუსტი წერტილია. არ ვიცი, როგორი ვიქნები, როცა ლიზიკო 14-15 წლის გახდება. ალბათ ხათუნას უფრო გაუჭირდება — ყველაფერზე პასუხს დედას მოვთხოვ: მე თვითონ ვერაფერს ვუშლი და ვიღაცას ხომ უნდა მოვთხოვო პასუხი!..

— ქართველი მამაკაცის ფსიქოლოგიაა...

— ეს არის პასუხისმგებლობის აცილების ფსიქოლოგია.



არასდროს ვამჟღავნებ ადამიანისადმი ცუდ დამოკიდებულებას და ამის გამო ბევრჯერ, ცხვირიც წამიმტვრევია

— თავად როგორი იყავი ბავშვობაში — ხშირად ჩხუბობდი?

— ბიჭი ხარ, ეზოში ჩადიხარ, თამაშობ და ჩხუბობ კიდეც. ერთხელ, პოლიციაშიც მოვხვდით: ორმოცი კაცი წაგვიყვანეს. მაშინ ალბათ მე-8 კლასში ვიქნებოდი. დიდი ჩხუბი მოხდა. სკოლებს შორის გვქონდა საქმის გარჩევები. პოლიცია გამოიძახეს. მე მაღალი ვიყავი და ამის გამო, პრობლემა შემექმნა: აი, ეს მაღალი წაიყვანეთო, — ყვიროდნენ. მერე დავწერეთ ახსნა-განმარტებები: დედას ვფიცავ, მამას ვფიცავ, აღარ ვიზამ-თქო, — და ა.შ. ასეთი ჩხუბები იმართებოდა ხოლმე. მეც მოვსულვარ შინ ჩალურჯებული და სხვაც დამილილავებია. მაგრამ ვამაყობ იმით, რომ ცუდი არაფერი ჩაგვიდენია — დანა, იარაღი არ გვიხმარია, როგორც ახლა ხდება. ახლა იმ ხალხთან, ვისთანაც ვჩხუბობდი, მეგობრული დამოკიდებულება მაქვს და სასაცილოდაც არ გვყოფნის ბავშვობის დროინდელი ამბები. ვფიქრობ, რომ ბიჭმა ერთი-ორჯერ თუ არ იჩხუბა ქუჩაში, არ შეიძლება. მერე, დგება მომენტი, როცა უნდა აირჩიო: ან ქუჩაში უნდა დარჩე, ან — არა. მე არ დავრჩი ქუჩაში და სამსახური დავიწყე. ძალიან ბევრი კი, დარჩა, რაც ძალიან სამწუხაროა. მათთან დღესაც კარგი დამოკიდებულება მაქვს: ჩვენ ხომ ერთმანეთთან ბავშვობა გვაკავშირებს.

— ტელევიზიაში რომ არ მოხვედრილიყავი, შენი ვარაუდით, როგორ წარიმართებოდა შენი ცხოვრება?

— არ ვიცი, ამ შემთხვევაში რა მოხდებოდა. ჩემი პროფესიით ვიმუშავებდი-მეთქი, რომ გითხრა, ალბათ შევცდები, მაგრამ სადმე ვიმუშავებდი. სამსახურის პრობლემა არ მექნებოდა, რამეს მოვახერხებდი. ახლა რომ დავფიქრდები, ვხვდები, რომ ზუსტად იმ სამყაროში მოვხვდი და იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. ერთადერთხელ მომეცა ალბათ შანსი და გამოვიყენე. ოდესმე, ტელევიზიიდან წასვლა და სხვაგან მუშაობა რომ მომიწიოს, ალბათ ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

საშუალება არ მისცემოდათ.

19. ლეძაძმე — სოფელია სენაკის რაიონში, ლეწურწუმე — სოფელი ჩხოროწყუს რაიონში, ლეციცხვაიე — სოფელი მარტვილის რაიონში.

20. მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ლიფტი ტოკიოშია. იგი 36 კმ/სთ სისწრაფით მოძრაობს. ეს რეკორდი კიდევ კარგა ხანს არ მოიხსნება, რადგან გადატვირთვა და წნევის ცვალებადობა ყურებს ატკივებს მგზავრებს.

21. ბოშების წარმოდგენით ცა ბოროტი ღვთაება იყო, რადგან თოვლს და წვიმას მოუვლენდა მათ. მიწა კი იმდენად წმინდა იყო მათთვის, რომ საყოფაცხოვრებო ნივთებს ძირს არ ალაგებნენ, იმის შიშით რომ მიწასთან შეხებით ისინი წმინდა ნივთებად იქცეოდნენ და მათ მოხმარებას ვეღარ შეძლებდნენ.

22. „წარმოიდგინეთ, რა სიჩუმე დაისადგურებდა, ადამიანები მხოლოდ იმას რომ ლაპარაკობდნენ, რაც იციან.“ — ამბობდა ჩეხი მწერალი კარელ ჩაპეკი.

23. ათენელმა ტირანმა პისისტრატემ (ჩვ.წ.აღ-მდე VI ს.) ოთხ ცნობილ მეცნიერს დაავალა გადაემოწმებინათ და შეესწორებინათ ჰომეროსის „ილიადას“ ტექსტი. იგი იძულებული იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა, რადგანაც იმ დროს ჰომეროსის ეს ნაწარმოები ისტორიულ წყაროდ მიიჩნეოდა და სახელმწიფოთა შორის დავის გადასაჭრელად მისით ხელმძღვანელობდნენ.

24. I მსოფლიო ომის დროს ამერიკაში აბრეშუმი სანთლით გახდა საძებარი, რადგანაც ეს მატერია მთლიანად პარაშუტების დამზადებას ხმარდებოდა. ამ გარემოებამ ძალზე დააზარალა ამერიკელი ქალბატონები, რომლებიც აბრეშუმის წინდებს ვეღარსად ყიდულობდნენ, ნეილონი კი ჯერ არ იყო გამოგონილი. ამ პერიოდში გამოჩნდა მხატვარი, რომელიც მოდის ზედმიწევნით მიმდევარ ქალბატონებს პირდაპირ ფეხებზე ახატავდა წინდებს.

25. შვედეთში ასიოდე წლის წინ, გრადენბურგის ბურგომისტრს საკმაოდ უცნაური წესით ირჩევდნენ. პრეტენდენტები მაგიდის ირგვლივ სხდებოდნენ ისე, რომ მათი წვერი მაგიდის ზედაპირს ეხებოდა. მაგიდის შუაში დასვამდნენ ტილს და ვის წვერსაც იგი შეაცოცდებოდა, ბურგომისტრიც ის ხდებოდა. ■

თეა გობეჯიშვილი: მე ყველაზე კარგი მძღოლი ვარ!

ცნობილმა მოცეკვავემ და შოუბალეტ „ვერნისაჟის“ ხელმძღვანელმა, თეა გობეჯიშვილმა, სულ ცოტა ხნის წინ გაყიდა თავისი BMW, რომელიც ორი მიზეზის გამო აბსოლუტურად უფუნქციოდ იდგა ავტოფარეხში: ავტომობილი საკმაოდ მოძველებული იყო, თანაც, თეას თურმე ძალიან ღლიდა თბილისის გზებზე ავტომობილით მოძრაობა და ყოველთვის მძღოლის ყოლაზე ოცნებობდა. რაც მე და ნიკუშა (ტელეწამყვანი ნიკუშა ლომიძე) დავქორწინდით, ოცნება ამისრულდა და უფასო მძღოლი ვიშოვეო — გვითხრა. ამჯერად, ცოლ-ქმარს საერთო მანქანა „მიცუბიში“ ჰყავს, თუმცა იმის გამო, რომ ორივეს სხვადასხვა საქმე აქვს და მანქანაც ორივეს სჭირდება, თეამ გადაწყვიტა, უახლოეს მომავალში ახალი მანქანა შეიძინოს.

ნათია ქივიძე

— მანქანის მართვა მამამ და ბიძამ მასწავლეს. ბავშვობიდან ვოცნებობდი ავტომობილზე. მამა შემპირდა, ინსტიტუტში თუ ჩაბარებ, აუცილებლად მანქანას გიყიდიო. ჩავბარე ინსტიტუტში და მამამ, პირობა შეასრულა, მიყიდა მანქანის ობლიგაცია, რომლის მიხედვითაც, ორ წელიწადში მივიღებდი ავტომობილს, მაგრამ დაიშალა საბჭოთა კავშირი და შესაბამისად, ჩემი ობლიგაციაც გაუქმდა. მერე ჩემი პირველი ჰონორარით ვიყიდე იაპონური მანქანა, რომელსაც ავტომატური მართვის რეჟიმი ჰქონდა. მოგეხსენებათ, ეს ზარმაცების მანქანაა და ისე შევეჩვიე მის მართვას, რომ მინდა, ყოველთვის ავტომატური მართვის მანქანა მყავდეს.

— რა შეგრძნება დაგეუფლა, როდესაც საჭეს პირველად მიუჯექით?

— ბიძაჩემი ავტომობილის მართვას ჩემს სახლთან ახლოს, ქავთარაძის ქუჩაზე მასწავლიდა. რა თქმა უნდა, საჭესთან დაძაბული ვიჯექი. უცებ, ყვირილი ატეხა, გული გამისკდა. შემეშინდა. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. თურმე გამომცადა, დაბნევის შემთხვევაში, როგორ მოვიქცეოდი... ქალაქში რომ გავდიოდი და საჭესთან მარტო ვიჯექი, რომელიმე მანქანას ამოვუდგებოდი უკან და საითაც ის შეუხვევდა, მეც იქითკენ ვუხვევდი, რადგან არც მოძრაობის წესები ვიცოდი კარგად.

— სისწრაფე თუ გიყვარს?

— არც სისწრაფე მიყვარს და არც რისკი. ერთადერთი, რაზეც მე და ნიკა ვკამათობთ, ის არის, რომ ნიკა ძალიან სწრაფად დადის. მე აბსოლუტურად მშვიდი და დინჯი ვარ. არ მინდა, რომ რაიმის გამო ნერვები ავიშალო ან საკუთარ თავს პრობლემები შევუქმნა.

— საგზაო წესებს ხშირად არღვევ?

— რა თქმა უნდა, ვარღვევ. ძირითადად, ავტომობილით მოძრაობა ღამით მიწევს. ამ დროს ქუჩაში თითქმის არავინ არის და რატომ უნდა გავჩერდე შუქნიშნის წითელ შუქზე? მაგრამ არ ვრისკავ. თუ დარღვევა შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვარღვევ.

— პოლიციელებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— თითქმის არასოდეს მქონია მათთან პრობლემა. ერთმანეთთან სრული იდილია გვაქვს *(იცინის)*. ერთ ამბავს გავიხსენებ. ახალი ნასწავლი მქონდა ავტომობილის მართვა და რუსთაველზე მივდიოდი. მეტროს წინ ავტოინსპექტორი მდგარა. საპირისპირო მხარეს ვიღაცამ მოძრაობის წესი დაარღვია და ეს პოლიციელი იმას გაეკიდა, გზაზე გადარბოდა. მე ძალიან ნელი სვლით მივდიოდი, ეს კაცი გამოექანა და მე კი არ დავეჯახე, თვითონ დამეჯახა, „კაპოტზე“ ამოვარდა და მერე ძირს დავარდა. ძალიან შევშინდი. როგორც იქნა, ავტომობილიდან გადასვლა გავბედე. ის ინსპექტორი ისევ დაბლა ეგდო. დამინახა თუ არა, საბუთებიო — ამოიკნავლა *(იცინის)*. ეს იმდენად სასაცილო იყო, რომ მე კი არა, ირგვლივ ვინც იყო, ყველა სიცილისგან ჩაბჟირდა. რა დროს საბუთები იყო? დაბლა ეგდო ცოცხალმკვდარი და თავის მოვალეობას მაინც არ ივიწყებდა. ამ ამბავს გაგრძელებაც სასაცილო ჰქონდა. შევთავაზე, საავადმყოფოში წაგიყვან, გაგსინჯონ მაინც, რამე არ გჭირდეს-მეთქი. ჩავისვი მანქანაში და ვიდრე წრე დავარტყი თავისუფლების მოედანს, მან სახელი, გვარი და პროფესია მკითხა. ისევ იმ ადგილამდე რომ მივედით, უკვე ტელეფონის ნომერს მეკითხებოდა. ვუთხ-

როგორც იქნა, ავტომობილიდან გადასვლა გავბედე. ის ინსპექტორი ისევ დაბლა ეგდო. დამინახა თუ არა, საბუთებიო — ამოიკნავლა

არი, შენ თუ დაზარალებული ხარ, საავადმყოფოში წაგიყვან, თუ არა და შენს ადგილას უკვე მოგიყვანე-მეთქი. ეს საქმე იმით დამთავრდა, რომ პოლიციელი ისევ იქ ჩამოვსვი, სადაც დამეჯახა. აი, ასეთი მხიარული შემთხვევა მქონდა. მე და ქართველი საგზაო ინსპექცია კონფლიქტამდე არ მივსულვართ.

— ყოველთვის ემორჩილები ინსპექტორს?

— არა. თუ ვიცი, რომ არაფერი დამირღვევია და ტყუილად მაჩერებს, რა თქმა უნდა, არ ვემორჩილები.

— ჯარიმა თუ გადაგიხდია ოდესმე?

— საგზაო პოლიციელისთვის ფული არასოდეს მიმიცია. ალბათ, საქართველოში ჯერ კიდევ იციან ქალის პატივისცემა. ავტოინსპექტორები მძღოლ ქალებს ისე არ ექცევიან, როგორც მამაკაცებს.

— ავტოინსპექტორები თუ გცნობენ ხოლმე?

— ისინი კი არა, მე ვცნობ თითქმის ყოველ მათგანს. სულ ერთი მიმართულებით დავდივარ და ერთსა და იმავე ინსპექტორს რომ ვხედავ ყოველდღე, შორიდანვე ვცნობთ ერთმანეთს.

— იმ ერთის გარდა, კიდევ თუ გქონია ავარიული შემთხვევა?

— მქონდა კიდევ ერთი ავარიული შემთხვევა და მაშინაც უდანაშაულო ვიყავი. ნასვამმა მძღოლმა დამარტყა მანქანა და ჩემი ავტომობილი ორჯერ შემოტრიალდა. გვერდით მეგობარი მეჯდა, რომელმაც ტვინის შერყევა მიიღო. ერთი უცნაური შემთხვევა მქონდა, ავტომობილს ავტოსადგომზე რომ ვაჩერებდი, მეორე დღეს რაღაც „მირტყმულ-მორტყმული“ მხვდებოდა ხოლმე. ერთადერთხელ დაიჭირა დაცვამ დამნაშავე და მომიყვანა კიდეც, მაგრამ ტაქსის მძღოლი იყო, თანაც მოხუცი და ულაპარაკოდ გავაშვებინე. ვერ ვკადრებდი, მეთქვა, მანქანა შემიკეთე-მეთქი. დაცვის ბიჭები გამიბრაზდნენ, ძლივს დავიჭირეთ და შენ კიდევ გაუშვიო.

— მანქანის მართვის დროს რამ შეიძლება, მდგომარეობიდან გამოგიყვანოს?

— ძალიან ბევრ რამეს შეუძლია ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა. ჩვენს ქალაქში არანაირ წესს არ იცავენ. საიდან რომელი მანქანა და რომელი პოლიციელი გამოგიხტება, ვერ გაიგებ *(იცინის)*. სულ ყურადღებით უნდა იყო. ეს ყველაფერი ჩემს დინჯ ნერვებზეც კი მოქმედებს.

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ?

— მგონი არ არსებობს მძღოლი, რომელიც არ იგინება. ქალაქის გზებზე ისეთი უწესრიგობაა, ქალ მძღოლსაც კი დასცდება გინება. ამიტომ, ხანდახან მეც ვიგინები ხოლმე.

— მანქანის მოვლა თუ გიყვარს და მის ნაწილებში თუ ერკვევი?

— არა. ვიდრე მანქანა სულ არ გაჩერდება, მანამდე არ მიმყავს შესაკეთებლად და ყოველთვის, როცა ვრეცხავ, ზუსტად ვიცი, რომ წვიმა უნდა წამოვიდეს. ამიტომ ვთქვი, რომ აღარასოდეს გავრეცხავ მანქანას, რადგან ვიცი, მაინც წვიმა გამირეცხავს. რაც შეეხება ნაწილებს, ყოველთვის ვხვდები, რატომ არ იქოქება მანქანა, რატომ ხმაურობს ზედმეტად და ა.შ.

— შეკეთებაც ხომ არ შეგიძლია?

— აი, ეს ცოტა უხერხული მომენტია *(იცინის)*. ახდილი „კოპოტის“ ქვეშ ჩამძვრალი, მგონი ძალიან სასაცილო ვიქნები. ისე, არასოდეს მიცდია მანქანის შეკეთება, თორემ ალბათ ამასაც შევძლებდი.

— შუა გზაზე თუ დარჩენილხარ მანქანის პრობლემის გამო?

— უამრავჯერ მქონია ასეთი შემთხვევა. ვარაზის ხევიდან რომ ვაკეში ადიხარ, იქ ოთხივე მხრიდან მოძრაობაა და ერთხელ ზუსტად ცენტრში გამიჩერდა მანქანა. ჩემ გამო დიდი საცობი შეიქმნა. მერე ვიღაც ბიჭები დამეხმარნენ და ავტომობილი ხელით გადავდგით.

— შენი ავტომობილით შორ გზაზე თუ ყოფილხარ?

— შორ გზაზე ბათუმში ვიყავი, მაგრამ საჭესთან ჯდომამ ძალიან დამღალა.

— მანქანაში მუსიკას თუ უსმენ ხოლმე?

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, სულ ხმამაღალი მუსიკის მოსმენა მიწევს, ამიტომ, როცა საჭესთან ვზივარ, დასვენება მირჩევნია ან დაბალ ხმაზე კლასიკურ მუსიკას ვრთავ. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, რომ საჭესთან ჯდომის დროს ჩამირთავს საცეკვაო მუსიკა და ახალი ცეკვის ნახაზი დამიდგამს გონებაში.

— რა არის შენთვის მანქანა, საჭირო ნივთი, მეგობარი თუ ფუფუნების საგანი?

— მანქანა ჩემთვის მეორე სახლია. იქ ყოველთვის მაქვს ისეთი პირადი ნივთები, რაც ყოველდღიურად მჭირდება. რაღაც გარკვეული დამოკიდებულება მაქვს ჩემი მანქანის მიმართ. შევეჩვიე, როგორც პიროვნებასა და მეგობარს. თავისებურად, მიყვარს კიდეც. ძალიან ძნელია უმანქანობა. მის გარეშე ჩემი საქმეების ნახევარსაც კი ვერ გავაკეთებდი. შეხვედრები და კონცერტები ძირითადად, ღამით იმართება, როცა ტრანსპორტი აღარ არის, ამიტომ მანქანა ჩემთვის ყველაფერია.

— როგორ ფიქრობ, როგორი მძღოლი ხარ?

— ყველაზე კარგი მძღოლი ვარ, რადგან ვარღვევ ყველაზე ნაკლებს, ვარ წესრიგიანი და არასოდეს ვაჭარბებ სიჩქარეს! ამასთანავე, სხვის სიცოცხლეს საფრთხეში არ ვაგდებ. ვინც ჩემს ავტომობილში ჯდება, ყველა მეუბნება, რომ თავს ძალიან მშვიდად გრძნობს. თუ ნიკაზის საჭესთან, საშინლად ვგრძნობ თავს. თუ ის არ ამუხრუჭებს საჭირო დროს, მე ფეხებით ვაკეთებ ამ მოძრაობას და საშინელ მდგომარეობაში ვვარდები. ორმხრივ ენერგიას ვხარჯავ მის გვერდით. თუ შორ გზაზე მივდივართ, ვერ ვიძინებ, ფხიზლად უნდა ვიყო...

— თვითონ როგორ გაფასებს, როგორც მძღოლს?

— დადებითად მაფასებს. თუმცა, როცა სადმე ერთად მივდივართ, ურჩევნია, საჭესთან თვითონ იჯდეს და არა მე. ეს მესმის, რადგან ყველა მძღოლს მანქანის მართვის საკუთარი პრინციპი აქვს და გვერდით ჯდომა არ უყვარს.

■

...ეს ცოტა უხერხული მომენტია... ისე, არასოდეს მიცდია მანქანის შეკეთება, თორემ ალბათ ამასაც შევძლებდი.

„ვმსჯავრობ, დეკოლტეს ნე ჩაიცვავო!..“

მარი ჯაფარიძე

რამდენჯერმე უკვე გითხარით, „გზას“ კარგი ფეხი აქვს-მეთქი... რა თქმა უნდა, ჩემი ნათქვამი საფუძველს მოკლებული არაა.

შეყვარებულის დასაბრუნებლად მასთან შესარიგებლად და გულის სწორის გულის მოსაგებად, ჩემს მობილურზე „დამესიჯებაც“ კი საკმარისია და მერე ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გაგიხარდებათ. ეს ხუმრობით, ახლა კი ჩემს „ჯადოსნურ“ ტელეფონს თავი დავანებოთ და იმ გოგონას მესიჯს მივხედოთ, რომელსაც ბიძაშვილი შეჰყვარებია:

„დედაჩემის მოგვარე მიყვარს“...

„გზის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელშიც ნათესავებს შორის ქორწინებაზე იყო საუბარი, გადამაწყვეტინა, ჩემი ამბავიც მოგიყვეთ. მიყვარს ერთი ბიჭი. ჩემი ოჯახი მას ბიძაშვილს უწოდებს. თუმცა, როგორც თვითონ ამიხსნა, ის მხოლოდ დედაჩემის მოგვარეა. ერთმანეთი სოფელში გავიცანით. მაშინვე შემიყვარდა. დილიდან საღამომდე ერთად ვიყავით. ერთ ჰამაკში ვისხედით ხოლმე და მომავალზე ვოცნებობდით. მერე ის ჯარში წავიდა, მე კი, ქალაქში დავბრუნდი. ყოველ წუთში „მესიჯებს“ მიგზავნიდა. თანაც, ისეთ ტკბილ სიტყვებს მწერდა, რომ უზომოდ მაყვარებდა თავს. როცა მოვენატრებოდი, ჩამოსვლასაც ახერხებდა. მშობლების ძალიან გვეშინოდა. ამიტომ, ჩემს რომელიმე მეგობართან ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. შემომთავაზა, ჯვარი დავიწეროთ, იქნებ იმ ქვეყნად მაინც ვიყოთ ერთადო... მე შემეშინდა. გადავწყვიტეთ, საზღვარგარეთ წავსულიყავით... ის უკვე წავიდა. ხშირად მირეკავს. ახლა მეც მივდივარ, იქ კი ერთად ვიქნებით. ვიცი, „გზა“ იქაც ჩადის და ის კითხულობს. ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ, თქვენი საშუალებით ვუთხრა: ალბათ, შენი თავი ამოიცანი. იცოდე, რომ მენატრები, ტკივილამდე მიყვარხარ და შენთან მეჩქარება... მ.მ.ჯ.ც.ბ. ამ ინიციალებს მხოლოდ ის მიხვდება. გმადლობთ“.

დავტოვოთ ეს გოგონა გულის სწორთან შეხვედრის მოლოდინში და შემდეგ „მესიჯს“ გადავხედოთ. მისი ავტორი 19 წლის გოგონაა.

„არ უნდა მომეტყუებინა, რომ ქალწული ვარ“

„ვიფიქრე, ვიყოყმანე და ბოლოს მაინც გადავწყვიტე, ჩემი ამბავი მომეყოლა. 19 წლის ვარ, თბილისელი. 15 წლის ვიყავი, როცა ერთი ბიჭი შემიყვარდა. ჩემი მეზობელი. ისე ძლიერ მიყვარდა, რომ მასთან ფიზიკურ სიახლოვეზეც არ მითქვამს უარი. ის ჩემზე 7 წლით უფროსი იყო. ერთი წლის შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრა და... კიდევ ერთი წლის შემდეგ, სულ დაიკარგა... ამასობაში გამოჩნდა სხვა თაყვანისმცემელი. არ დავმალავ, მასთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა. ჩემი ცოლად მოყვანა უნდოდა, მაგრამ მე უარი ვთქვი და დავშორდი. ახლა კი შეყვარებული მყავს. 28 წლისაა. თავიდან არ მითქვამს, რომ ქალწული არ ვიყავი, არც ვაფერებინებდი, დანარჩენზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საკმარისია ის ორი შეცდომა, რომელიც ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის. მკითხა – მამაკაცი თუ გყოლია ოდესმეო? – არამეთქი. აი, აქ დავაშავე. არ უნდა დამემალა. რადგან ერთხელ ვთქვი, ბოლომდე ასე გავაგრძელე. ერთი თვის წინ ხელი მთხოვა... უარი ვუთხარი. იცის, რომ ძალიან მიყვარს და ჩემს უარს ახსნა ვერ მოუძებნა... ბოლოს, გამოვუტყდი, რაშიც იყო საქმე. ერთი კვირა საერთოდ აღარ გამოჩენილა. მერე, დამირეკა და მითხრა: ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ასეთ რამეზე თვალს ვერ დავხუჭავ, მაგრამ უშენოდაც ვერ გავძლებ, ამიტომ ვიმეგობროთო... თან დასძინა – რომ არ მოგეტყუებინე, იქნებ ცოლადაც მომეყვანეო... არადა, მე ძალიან მიყვარს, მაგრამ ოჯახი მინდა, ასე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხომ არ გამოვიცვლი კაცებს? არ უნდა მომეტყუებინა, ხომ?“

ახლა კი ორი კურიოზი, რომელსაც გიორგი ნოზაძე მოგვითხრობს. შეგახსენებთ, რომ ის ექიმი გახლავთ და „გზის“ წინა ნომერშიც საკმაოდ კარგი ამბავი გამოგვიგზავნა...

„ქალების დედა... ჩემი დედა...“

„ამას წინათ, ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის შესახებ გიამბეთ. ახლა კი ჩემი კურიოზი: 6 წლის განმავლობაში ვმუშაობდი გერმანიის ქალაქ ჰანოვერის კლინიკურ ცენტრში, ექიმად. მოიყვანეს მშენებლობიდან ჩამოვარდნილი მუშა. რამდენიმე ექიმი სასწრაფოდ გავემართეთ ავადმყოფისკენ. ვხედავ, „მოხეული“ ვაჟკაცი წევს და ქართულად ბურტყუნებს – ჩემი დედა... რა მინდოდა, რას ვაყოლებდი თვალს იმ ქალს... ვაიმე, დედა... მტკივა... დეკოლტეიანი ქალების დედა... ჩემი დედა... ვაიმე, დედა... მივხვდი, ქართვე-

ლი იყო და ქართულად ჩავძახე – ბიჭო, რა მოგივიდა, სად გტკივა-მეთქი? – თვალები გაახილა, შემომხედა, თავი წამოსწია, ისევ საწოლზე მიესვენა და ჩაიბურტყუნა: „ვახ, ჩემი დედა, ეტყობა, თავი დავარტყი, გერმანული რა მაგრად მესმის?“

„... ყოველმხრივ „გამოკვლევებული“

მეორე კურიოზი კი თბილისში, ერთერთ კლინიკაში მოხდა: განყოფილების გამგედ მუშაობდა ქართველი კაცი, რომელმაც სკოლაც და ინსტიტუტიც რუსეთში დაამთავრა და ქართული თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ისწავლა. განყოფილებაში ასე, 50 წლის ქალბატონი იწვა სამკურნალოდ. მკურნალობის კურსი ჩავუტარეთ, მაგრამ შინ არ მიდის... ჯერ არ გამოვჯანმრთელებულვარო, – იძახის. ჩავუტარეთ მეორე კურსი, მესამე... მოკლედ, 3 თვე იწვა და მკურნალობდა. გაგვაწამა ჩვენც და ოჯახის წევრებიც. ერთ ორშაბათ დღეს, განყოფილების გამგეს ვუთხარით – ამ ქალბატონს ყველანაირი გამოკვლევა ჩატარებული აქვს, მაგრამ შინ არ მიდის და ალექსეევიჩ, იქნებ თქვენ დაიყოლიოთ, რომ საავადმყოფოდან გაეწეროს-თქო... შემოვლაა... ამ ქალბატონის პალატაში რომ შევედით, ალექსეევიჩმა მისი ავადმყოფობის ისტორია მოითხოვა, გადახედა, გადაფურცლა, სათვალის ზემოდან ავადმყოფს გადახედა და სერიოზული სახით აუწყა: ქალბატონო, ამ საბუთებიდან ჩანს, ჩემმა კოლეგებმაც მითხრეს, რომ თქვენ ყველანაირად, ყოველმხრივ „გამოკვლევებული“ ხართ და იქნებ მკურნალობა შინ გააგრძელოთო? – სიცილი ძლივს შევიკავეთ, მაგრამ ამ ქალის გაფართოებულ თვალებს რომ შევხედეთ და თან რომ იკითხა, – უკაცრავად, როგორი ვარო? – მაშინ კი უკვე ხმამაღლა ავხარხარდით...“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გადავხედოთ. „გზის“ წინა ნომერში მკითხველს ვთხოვდი, რომ ცნობილი ადამიანების შესახებ გამოეთქვათ აზრი... ასეთი სულ ორი „მესიჯი“ მივიღე – ერთში სტეფანე მღებრიშვილს უხსნიდნენ სიყვარულს, მეორეში – ფეხბურთელ დელ პიეროს... ასე რომ, ისევ ჩვეულებრივ, სიყვარულით „გაჯერებულ“ „მესიჯებს“ გთავაზობთ:

„ესაო, ისაო, მაგარი ვარო... მეც თითქმის დავიჯერე, მაგრამ შენს სახეს რა დამავიწყებს, „ეშმაკის ბორბალზე“ რომ ვიყავით. შენ ლამის ფერი დაკარგე და ენა გადაყლაპე, მაგრამ არა უშავს, დათო, მთავარია, მიწაზე იყო მაგარი... არ ინერვიულო, ქობულეთში არ გამოგვივიდა? ბაკურიანში გამოგვივა... ნინო, ქუთაისიდან“.

„ლულუ! რა იყო? ახლა გამიცანი, თუ რა? რა გჭირს? ხომ იცი, რომ ცოტას ვუბერავ? „კვანწი“.

„მოკითხვა ქუთაისელ, მაგრამ „მინდა ვიყო თბილისელ“ – ბექა ცირეკიძეს... ჯერ არ გამოგდის, მაგრამ... ეცადე. პატარა ხარ, მაგრამ ტყუილში ბადალი არ გყავს, მისტერ ქუთაისო...“

„ძალიან ცუდ დღეში ვარ. მე და ალეკო შეყვარებულები ვიყავით. ახლა მივხვდი, რომ არ მყვარებია და ვუთხარი. მემუქრება. მეშინია, მაგრამ რა ვქნა? უკვე მეზიზღება. მაია. 16 წლის“.

„ქობულეთელ ნანკას – ვუყურებ სხვას, გხედავ შენ... ვუყურებ ზღვას, გხედავ შენ... ვუყურებ მზეს, გხედავ შენ... ვუყურებ მთვარეს, გხედავ შენ... აუ-უ! გაიცინე, რა? ლაშა“.

„ედიკო, რომ იცოდე, როგორ მენატრები... რა ცუდად ვარ უშენოდ... ცრემლებს ჩუმად ვიწმენდ და ველოდები იმ დღეს, როცა განახავ და ჩაგეხუტები...“

მართალია, ამ გზავნილში არც ადრესატია მითითებული და არც ავტორი, მაგრამ მაინც ვაქვეყნებთ. შვილების სითბოს მონატრებულო დედებო! თუ ფიქრობთ, რომ ეს თქვენ გეკუთვნით, ესე იგი, ადრესატიც თქვენ ხართ...

„ინსტიტუტ-სკოლა-კოლეჯ „ორიენტირის“ ერთ სტუდენტ გოგონას, რომელსაც ცისფერი ზედატანი აცვია და თვალებზე ცისფერი ჩრდილი აქვს: კარში რომ შემოდიხარ, სტუდბილეთი ისე დაიჭირე, რომ კარგად დავინახო და სახელისა და გვარის წაკითხვა შევძლო... მივმართავ იმავე სასწავლებლის დანარჩენ გოგონებსაც – ძალიან გთხოვთ, დეკოლტეებს ნუ ჩაიცვამთ, თორემ თქვენს სტუდბილეთებს ველარ ვაკონტროლებ... „ახალი კარისკაცი“...

„ირმა, მე შენს წინაშე მუხლმოდრეკით ვდგავარ და გთხოვ, გახდე ჩემი ცხოვრების მეგზური... გთხოვ, გაახარე ჩემი ტანჯული გული და სიხარული შემოიტანე ჩემს ოჯახში... გოჩა. წყალტუბო“.

„ირაკლი, მიყვარდი და დღემდე ვერ გივიწყებ, მაგრამ გპირდები, გადაგიყვარებ. შენ მე მომატყუე, ჩემი ბავშვობა გამოიყენე... ნეტავ, ცოლობაზე რომ დაგთანხმებოდი, ახლა როგორ ვიქნებოდი? ალბათ უბედური, რადგან შენ, 25 წლის კაცმა უსიყვარულოდ ამიხსენი სიყვარული, ცოლობა მთხოვე და არც კი დამემშვიდობე, ისე წახვედი... მე კი დავიჯერე... დაგივიწყებ!“

„თქვენი „გზით“ ვცოცხლობთ ათენში. ეს აქ მყოფი ქართველებისთვის ჟანგბადივითაა“.

„გამარჯობათ, გიმესიჯებთ ათენიდან... ნეტავ იცოდეთ, როგორ ველით ხოლმე საქართველოდან ჩამოსულ ავტობუსს და პრესას, რომელიც მას ჩამოაქვს. ხარბად ვკითხულობთ ხოლმე „გზის“ ფურცლებს, ხმამაღლა. შემდეგ კი თითოეული ეგზემპლარი ხელიდან ხელში გადადის.

„მოგესალმებით საბერძნეთიდან... გვიყვარხართ... ყოველკვირა გელოდებით... ლილი“.

„ზურა წულუკიძეს – მამიკო, ძალიან მიყვარხარ. დიდი ბოდიში, რომ ასე შეგაშინე და განერვიულე. შენი ნანატრი გოგო...“

ესეც ასე... მე კვლავ ველი თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61 გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე...

რევაზ არველაძე საშიშია...

ქართველებს ჭამა-სმა რომ გვიყვარს, ამაში ბევრი თქვენგანი უყოყმანოდ დაგვეთანხმება. სიმთვრალეში ვის როგორი ხასიათი აქვს — ზოგი ძალზე შარიანია და სუფრაზე ყოველთვის აყალმაყალს ტეხს, ზოგზე პირიქით მოქმედებს სასმელი — ადამიანი „ტკბილი და მურაბა“ ხდება და ოჯახის წევრებს მოფერებაში ხდის სულს...

როგორი სიმთვრალე აქვთ ცნობილ ადამიანებს, როგორ იქცევიან ნაბახუსევზე, არიან თუ არა შარიანები და საერთოდ, როგორ იტანენ სასმელს? ამ თემაზე სასაუბროდ თავდაპირველად, ცნობილი ფეხბურთელის — რევაზ არველაძის მეუღლეს — თეონა თავართქილაძეს მივაკითხეთ.

ნინო ჯავახიშვილი

— რეზიკო საერთოდ ძალიან იშვიათად სვამს, სასმელს ვერ იტანს. მთვრალ კაცს რომ ხედავს, გარბის... სწავლა რომ დავამთავრე, ძალიან გაუხარდა და მითხრა — აუცილებლად უნდა აღვნიშნოთო. მაშინ პარიზში ვცხოვრობდი. ახალი შეუღლებულები ვიყავით და კარგა ხანს ცალ-ცალკე ცხოვრება მოგვიწია — მე ვსწავლობდი, რეზიკოც თავისი საქმის გამო ხან რომელ ქვეყანაში იყო, ხან — რომელში. მოკლედ, პარიზში ძალიან კარგი რუსული რესტორანია და იქ წავედით. რეზიკომ არაყი მოითხოვა. პატარა ჭიქებში ძალიან ცივი არაყი იყო ჩასხმული და კარგად „წავიდა“. ერთს მეორე მივაყოლეთ, მეორეს — მესამე და ამას იცით, რა შედეგი მოჰყვა? ქმარი მთელი ღამე თვალით აღარ მინახავს — საბაზანოში იყო. იქიდან კი ასეთი ხმები ისმოდა — რა მინდოდა, რას ვერჩოდი საკუთარ თავს, რას ვსვამდი იმდენ არაყს, ისე რა, ცუდ ხასიათზე ვიყავი, სასმელი რომ არ დამელიაო? მეორე დღეს ცოცხალმკვდარი იყო, ლოგინიდან ვერ ადგა. დღემდე ძალიან ცუდად ახსოვს ეს მარცხი... მოკლედ, სასმელს ვერ იტანს, განსაკუთრებით, როცა წითელ ღვინოს სვამს, მაშინვე თავი სტკივდება და იძინებს. მეც ასე ვარ — დიდი სურვილი მაქვს, დავლიო და სხვებივით განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე დავდგე, მაგრამ ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება ხოლმე — ან ძალიან ცუდად ვხდები, ან ვტირი და ყოველთვის სასწრაფო დახმარებას იძახებენ.

— ასეთი შემთხვევაც ყოფილა?

— როგორ არა! რამდენჯერაც დამილევია, იმდენჯერ ცუდად გავმხდარვარ. ყველაზე უცნაური ის არის, რომ სიმთვრალეში ყოველთვის ვტირი. მეორე დღეს ოჯახის წევრები მეკითხებიან — აბა, ახლა მაინც გვითხარი, გუშინ რატომ იტირეო? ამის მიზეზს კი, ვერც მე ვხვდები. თან იცი, როგორ მოვთქვამ? დიდი ხმით ვღრიალებ ხოლმე: „მიშველეთ!..“ მეორე დღეს თვალები დასივებული და დაწითლებული მაქვს და ჩემი საქციელის ძალიან მრცხვენია. ამიტომაც ჯობს, საერთოდ არ დავლიო.

— სიმთვრალეში რევაზს ეჩხუბები თუ პირიქით, თბილად ეპყრობი? ისიც საინტერესოა, რა რეაქცია გაქვს, როცა შინ ნასვამი ბრუნდება?

— შარიანი არ ვარ და ამიტომ არასდროს ვჩხუბობ. რეზიკო კი იმდენად იშვიათად სვამს, როგორ შეიძლება წელიწადში ერთხელ რომ დათვრება, იმაზე ვეჩხუბო? ხშირად რომ სვამდეს და გალოთების პირას იყოს, ეს უკვე სხვა საქმეა, მაშინ ნერვიულობისგან გავგიჟდებოდი.

— მთვრალს ხასიათი თუ ეცვლება?

— რეზიკოს სიმთვრალეშიც და სიფხიზლეშიც ერთნაირი ხასიათი აქვს. ზოგს აუცილებლად სჭირდება დალევა, უფრო კარგ ხასიათზე რომ დადგეს, რეზიკოსთვის კი ეს აუცილებელი არ არის. სუფრაზე, სადაც ყველა სვამს და არის ერთი მხიარულება, რეზიკო, იმის მიუხედავად, რომ არ სვამს, მაინც ყველაზე მეტს ხალისობს, ხალხს აცინებს, უამრავ სასაცილო ამბავს და ანეკდოტს ჰყვება. მოკლედ, სუფრის სული და გულია. მიკვირს და ვეუბნები ხოლმე — კი, მაგრამ საიდან იცი ამდენი საინტერესო ამბავი, თვითონ ხომ არ იგონებ-მეთქი? ასე რომ, სიტუაციას სასმლის გარეშეც მშვენივრად „ერგება“, უთამადია კიდეც, ოღონდ ისე, რომ წვეთი არ დაულევია.

— ოჯახში ყოველთვის თვითონ თამადობს ხოლმე?

— სიმართლე რომ გითხრა, ოჯახში იშვიათად გვაქვს ტრადიციული სუფრები. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თვითონ თამადობს, მაგრამ ჰა, ჰა, ჰა, 3 ჭიქა და უკვე მთვრალია...

— ინტერვიუში აღნიშნე, რევაზი მთვრალ კაცს ვერ იტანსო. შენ როცა ხარ მთვრალი, რას გეუბნება ხოლმე?

— მთელ ღამეს ათენებს და მივლის, ისე ვეცოდები ხოლმე. ხვდება, რომ ძალიან ცუდად ვარ. ერთხელ კლუბ „ჯოიში“ ვიყავი და დავლიე. მაგრად დავთვერი, არ ვიცი, რა სასმელი იყო ასეთი, რომ 15 წუთში ბოლო მომიღო. მაკამ (მაკა ასათიანი) მანქანაში ჩამსვა, იმიტომ, რომ ვეღარ დავდიოდი და მძღოლს ჩემი სახლის მისამართი უთხრა, იქ მიიყვანეო. ჩანთა და „კურტკა“ სად დამრჩა, მეორე დღეს ვეღარაფრით გავიხსენე. კარი რომ გააღო რეზიკომ, ლამის ზედ დავეცი. მერე ჰყვებოდა — ვიფიქრე, თეონა 3-4 საათში დაბრუნდება სახლში, 15 წუთში ზარი დაირეკა, კარი გავაღე და თეონა არ შემრჩა ხელშიო? მოკლედ, აი, ასეთი რაღაცები გვემართება: ჩემი ქმარი 3-ჭიქიანია, მე კი პირველი ჭიქის დალევიდან 15 წუთის შემდეგ მთვრალი ვარ და ტირილს ვიწყებ... ■

ლელა ჭანკოტაძე

„ხორვატებიც და ქართველებიც ძალზე აგრესიული ხალხი ვართ“

ამბობს ქართველ კალათბურთელთა ხორვატი მწვრთნელი

დრაჟენ ბრაიკოვიჩი, პუნქტუალური და სიტყვაძუნწი უცხოელი, ქართველი ქალებით, სამზარეულოთი და სტუმარმასპინძლობით იმდენადაა აღფრთოვანებული, რომ სიტყვა ვერ დავაცდენინე ჩვენი თუნდაც, უმნიშვნელო ნაკლის შესახებ. არადა, ყოველთვის საინტერესოა იმის შეტყობა, თუ როგორია უცხოელის თვალით დანახული ჩვენი ქვეყანა და ხალხი...

აქ ჩამოსვლამდე, არაფერი ვიცოდი საქართველოს შესახებ, გარდა იმისა, რომ ადრე ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. ალბათ ამიტომაც გამიჭირდა თავიდან, აქაურობასთან შეგუება, ადაპტაცია... დღეს უკვე ვფიქრობ, რომ არ შევცდი, როცა აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე. თქვენი ქვეყანა ძალიან ლამაზი და შთამბეჭდავია. თანაც, აღმოვაჩინე, რომ ქართველებს და ხორვატებს ერთნაირი მენტალიტეტი გვაქვს.

— რას გულისხმობთ?

— ხორვატებიც და ქართველებიც ძალზე აგრესიული ხალხი ვართ. ორივე ერს გვიყვარს კარგი სიმღერა. თქვენი ქალები ისეთივე მშვენივრები არიან, როგორიც ხორვატები. დაბოლოს — არაჩვეულებრივი სამზარეულო გაქვთ. ყოველივე ამან იმდენად გამიადვილა ადამიანებთან ურთიერთობა, ზოგჯერ მავიწყდება კიდეც, უცხო ქვეყანაში რომ ვიმყოფები. თავი სამშობლოში მგონია. საქართველოსა და ხორვატიას შორის ერთადერთი სერიოზული განსხვავება ის არის, რომ ხორვატია ეკონომიკურად უფრო ძლიერია, მაგრამ მგონია, რომ რამდენიმე წელიწადში, საქართველოშიც აღარ იქნება უშუქობა, შიმშილობა და სიდუხჭირე. მას ამისთვის საკმარისი რესურსები აქვს.

— შეგიძლიათ დაასახელოთ ქართველების ნაკლი?

— მე არა ვარ მზად იმისათვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი გაგცეთ, რადგან ჯერ მხოლოდ ხუთი თვეა, რაც აქ ვიმყოფები. თანაც, ბუნებით ისეთი კაცი გახლავართ, რომელსაც ადამიანებში მხოლოდ კარგის დანახვა სჩვევია. არ შემიძლია ყურადღება გავამახვილო ნაკლოვანებებზე იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი დაუვიწყარი შენობაა (ხუროთმოძღვრების ძეგლებს ვგულისხმობ), რაც ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს... სულ ახლახან, ჩემი მეუღლე იყო ჩამოსული. ის წუთითაც არ გაჩერებულა შინ — ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ღირსშესანიშნავი ძეგლი დაეთვალიერებინა. განსაკუთრებით სვეტიცხოველი და ჯვრის სამონასტრო კომპლექსი მოეწონა... უნდა გამოგიტყდეთ, რომ გაოცებული ვარ რესტორნების გამო: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იშვიათად მინახავს ასეთი დახვეწილი და უზადო გემოვნებით მოწყობილი რესტორნები.

— ქართული სუფრა როგორ მოგწონთ?

— რაც შეეხება სუფრას, ეს არის ნამდვილი თეატრალური წარმოდგენა, მაგრამ — სახიფათო. მიკვირს, როგორ შეუძლიათ ქართველებს ამდენი ღვინის დალევა. მე ვიცი ჩემი ნორმა, რომელსაც არასდროს გადავაჭარბებ...

— არ დაინტერესდით, რატომ სვამენ ქართველები ამდენს?

— ვიკითხე კიდეც. პასუხი ასეთი იყო: ზოგი სვამს დარდისგან, ზოგი — სიხარულისგანო. ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ მუხედავად ამისა, დილით ხომ ადრე უნდა გაიღვიძონ?! არ მესმის, რა საჭიროა თავის დატანჯვა...

— ხორვატული სამზარეულო არ გენატრებათ?

— არა, რადგან თქვენ ძალიან გემრიელი და ნოყიერი კერძები გაქვთ. თუმცა თავიდან, შეგუება ძალიან გამიჭირდა, პირში იმდენად განსხვავებული გემო მქონდა, რომ მეგონა, ვერასდროს შევეჩვეოდი. კარგი იქნებოდა, ზოგჯერ ხორვატული კერძით რომ გამემდიდრებინა მენიუ, მაგრამ მე თვითონ არაფრის მომზადება არ შემიძლია. საოჯახო საქმეები არ მეხერხება. თანაც, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ქართულმა სამზარეულომ მგონი, ხორვატული დამავიწყა კიდეც.

— ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ მიამბეთ.

— მყავს ცოლი და თოთხმეტი წლის ვაჟი. ასევე დედა და ძმა. ისინი მიჩვეულები არიან ჩემს მოგზაურობას. სხვადასხვა ქვეყანაში მიწევს ხოლმე მუშაობა. ცხადია, სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ უკეთესია. ნოსტალგიას ფოტოსურათების მეშვეობით ვუმკლავდები.

— რას ემყარება ხორვატული ოჯახი?

— მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიაში დასავლურმა სიომ ოჯახების დანგრევა ჩვეულებრივ ამბად აქცია, ჩვენში მაინც ოჯახის კულტია. ოჯახი კი ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან საყრდენზე დგას — ეს არის ერთგულება.

— თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობს?

— არ ვიცი, მისთვის ასეთი რამ არ შემიმჩნევია. მან იცის, რომ კალათბურთი ჩემი ცხოვრებაა. ეს ჩემი სამსახურია. ჩვენ ყველგან ერთად ვივლით მას შემდეგ, რაც ჩვენი შვილი სწავლას დაამთავრებს.

— თქვენს შვილს თუ უყვარს კალათბურთი?

— მან ის უნდა გააკეთოს, რაც მოსწონს. ვერაფერს დავაძალებ. წყალბურთი და კალათბურთი უყვარს, მაგრამ იმდენად არა, რომ ეს მისი პროფესია გახდეს. მე მას კალათბურთელად არ ვზრდი — ამის სურვილი მას საკუთარ თავში თვითონ უნდა აღმოეჩინა, ისევე, როგორც თავის დროზე, მე გავაკეთე. ბავშვობაში ხელბურთი, კალათბურთი და წყალბურთი მიყვარდა, ბოლოს, არჩევანი კალათბურთზე შევაჩერე. შემდეგ უნივერსიტეტში სპორტულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. უკვე თხუთმეტი წელია, რაც პროფესიონალი კალათბურთელების მწვრთნელი ვარ.

— სპორტსმენისთვის გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ალბათ თქვენთვისაც ესაა საზომი, არა?

— გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, რეალისტი ვიყო. როცა ჩემი გუნდი აგებს, ვცდილობ, ამის მიზეზები დავადგინო. ღრმა ანალიზის შედეგად შეცდომას აღმოვაჩენ ხოლმე და ვცდილობ, გამოვასწორო. თანაც, არასდროს ვივიწყებ, რომ კალათბურთი სპორტია. არც გამარჯვების დროს უნდა აღფრთოვანდე ზედმეტად და არც მარცხის გამო უნდა ჩავარდე კომაში. ყოველთვის ოქროს შუალედი უნდა იპოვო. ახლა ქართველ კალათბურთელებთან ვმუშაობ და ვფიქრობ, რომ მათ დიდი პოტენციალი აქვთ. საქართველოს კალათბურთელებს მთელ მსოფლიოში იცნობენ. ისინი ევროპის საკლუბო გუნდებში და NBA-შიც კი თამაშობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი შედეგი გარანტირებული აქვთ.

— როცა საქართველოდან წახვალთ, რას წაიღებთ ისეთს, რაც ყოველთვის ამ ქვეყანას გაგახსენებთ?

— ყანწს... ■

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი მამაკაცი დააბნია და ბევრი მათგანი უფუნქციოდ დატოვა. ამ სიტუაციაში, ბევრმა ქალმა მაშველი რგოლის ფუნქცია იკისრა და — ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან — გაჭირვება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საფუძვლად აქცია. თუ ქალების როლის ზრდის ტენდენცია კვლავ ასეთი ტემპით გაგრძელდა, სულ მალე მამაკაცები ბევრ სფეროში დაუთმობენ მართვის სადავეებს მშვენიერი სქესის წარმომადგენელებს. ერთ-ერთი ამ სფეროთაგანია ბიზნესი, რომელშიც რუბრიკის მორიგი სტუმარი **ნინო მამუკელაშვილი** — ფირმა „ლალიძის“ პრეზიდენტი საქმიანობს.



ნინო მამუკელაშვილი უცხოელ ბიზნესმენთან ერთად

„მამაკაცს ეჩქვენება, ცოლი თვალებში შესციცინებდეს...“

ემა ტუხიაშვილი

— საუბარი მშობლებით დავიწყოთ.

— დედაჩემი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გახლდათ. კითხულობდა ლექციებს, იყო სახელგანთქმული სპორტსმენი კალათბურთში. მაშინ ქალთა კალათბურთი საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული და ხუთი ნომრით მოთამაშე ირა გაბაშვილი ალბათ ბევრს ახსოვს. ერთ დროს კალათბურთს მეც აქტიურად მივდევდი და სპორტის ოსტატიც კი ვიყავი... საერთოდ, მშობლები ძალიან დამოუკიდებელ ადამიანად მზრდიდნენ. მაგალითად, მეექვსე კლასში ვსწავლობდი, როდესაც მშობლები უფლებას მაძლევდნენ, თავად გამეკეთებინა არჩევანი, თუ სად გავატარებდი არდადეგებს: ოჯახთან ერთად გავემგზავრებოდი, თუ ექსპედიციაში, მთაში წავიდოდი.

— თქვენ პირველი სამსახურიც ბიზნესთან იყო დაკავშირებული?

— მუშაობა პირველად ბოტანიკის ინსტიტუტში დავიწყე, შემდეგ ლენინგრადში გავემგზავრე ელექტრონული მიკროსკოპიის ასათვისებლად და პარალელურად სადისერტაციო თემაზეც ვმუშაობდი. მაგრამ იმდენად დაუდგრომელი ვიყავი, ისე მიჭირდა ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა და საათობით მიკროსკოპში ყურება, რომ გადავწყვიტე, ჩემი საქმე მეგობრებისთვის გამენაწილებინა. ამგვარად, ზოგი მთგანი, ჩემ მაგივრად, მიკროსკოპში იყურებოდა, ზოგი კი, მასალებს მიბეჭდავდა... ყოველთვის მინდოდა, მოძრავი, აქტიური საქმით ვყოფილიყავი დაკავებული. ვხედავდი, რომ მეცნიერების კანდიდატი ქალბატონები, დისერტაციის დაცვის შემდეგ, მთელი დღე ინსტიტუტში ისხდნენ და ქსოვდნენ...

— რამდენად რთულია საქართველოში ქალისთვის, წარმატებული ბიზნესი ჰქონდეს?

— მე მიმაჩნია, რომ არა მხოლოდ ქალისთვის, მამაკაცისთვისაც რთულია საქართველოში ბიზნესის კეთება. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ როგორც ქალს, რაღაცა განსაკუთრებით გამჭირვებია და ამაზე დამიჩივლია: უმე, ქალი ვარ და როგორ მიჭირს-მეთქი.

— შეღავათებს თუ გიწევენ ხოლმე, როგორც ქალს?

— მამაკაცს ყოველთვის, როგორც თანასწორს, ისე ველაპარაკები და ისინიც ასე მესაუბრებიან.

— ქალბატონო ნინო, ვხედავ თქვენს სამუშაო მაგიდაზე საკმაოდ საპატიო ადგილი უკავია რობერტ დე ნიროსთან გადაღებულ ფოტოს.

— დაახლოებით ცამეტი წლის წინ დე ნირო ელდარ შენგელაიამ მოიწვია საქართველოში. ჩვენი შეხვედრა წყნეთში ერთ-ერთი ნაცნობის აგარაკზე მოხდა. სხვათა შორის, ფოტოები დე ნიროს შვილებთანაც მაქვს გადაღებული.

— ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავთ, არა?

— შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა და მყავს, მაგრამ როგორც ჩანს, წლები გავლენას ახდენს ადამიანზე და ასაკში შესული, იმასაც კი აკვირდები, თუ რა ფერის წინდა აცვია მამაკაცს — რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ როგორ იქცევა იგი საზოგადოებაში, ქალთან ურთიერთობისას, როგორ ხმარობს



მამაკაცს, როგორც თანასწორს ისე ველაპარაკები და ისინიც ასე მესაუბრებიან

რა ეხურა ბაში-აჩუკს	კიას ქვრივი (ფილმიდან)	საპორტო ქალაქი აშშ-ში	დაჭრილი კიტრი და პომიდორი	მიწის გასანოყიერებელი ნივთიერება	
ფესვნასიანი			სალამა	ს	
ბავშვის საჭმელი	როგორი წელია ოთხ წელიწადში ერთხელ	ქიმიური ელემენტი, რომლითაც აჭიქურებენ კერამიკას	თ. მაინ რიდის პერსონაჟი ... ჯერალდი	„...-ბალათასა ხელი ჩავყავ კალთასა“	ფრანგ. ფვრილი ფული	ნაჭრის საფულე

საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი იტალიაში, საქმიანი შეხვედრების დროს დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ გაცვია

დანა-ჩანგალს და ა.შ.

— და მაინც, რა არის ქალის უპირველესი მოვალეობა — ოჯახი თუ სამსახური?

— რასაკვირველია, ქალს, პირველ რიგში, შვილები უნდა ჰყავდეს, ოჯახი უნდა ჰქონდეს. ალბათ ჩემთვის ეს საკითხი არ იყო პირველხარისხოვანი და ამიტომაც ვერ ვიპოვე შესაფერისი მამაკაცი.

— საოჯახო საქმეების კეთება თუ შეგიძლიათ და ისიც გვითხარით, ხაჭაპურის გამოცხობა თუ იცით?

— ხაჭაპური ძალიან ცუდი გამომდის, მაგრამ საკმაოდ კარგად შემიძლია მისი შეფასება... სამაგიეროდ, შემიძლია, კარგი ტორტი გამოვაცხო.

— თქვენთვის, როგორც საქმიანი ქალისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ გყავდეთ პირადი დაცვა, მძღოლი, მდივანი, დამხმარე ოჯახში და ა.შ.?

— მძღოლი არა მყავს, რადგან მანქანას თავად ვმართავ; არც დაცვა მყავს, რადგან არ მჭირდება. ოჯახში დამხმარეს რაც შეეხება — კვირაში ერთხელ მოდის. ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, პარკეტი სარკესავით იპრიალებს თუ არა, თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკა კი, ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ დანარჩენს ყველაფერს თავად გავართვა თავი.

— თუ გახსოვთ, პირველი ხელფასი რაში დახარჯეთ?

— პირველი ხელფასი, ბოტანიკის ინსტიტუტში მუშაობისას ავიღე და ოთხმოც მანეთს შეადგენდა. ამ ფულით მეგობრები პანტიანში, სახინკლეში დავპატიჟე და კარგად მახსოვს, რომ ხურდაც დამრჩა. ბიზნესში მიღწეული პირველი სოლიდური მოგებით კი, „ტოიოტას“ მარკის ჯიპი ვიყიდე. ალბათ იმდენად ჩამრჩა მეხსიერებაში მანქანაში გადახდილი თანხა, რომ ხშირად მესიზმრება ასეთი კოშმარი: გამოვდივარ გარეთ და მანქანა აღარ დგას...

— ამბობენ, ბიზნესმენები მეტისმეტად მომჭირნეები არიანო, მართალია?

— ფულის ხარჯვა ძალიან მიყვარს, ოღონდ — ეს აუცილებლად ჩემი ფული უნდა იყოს. ხშირად, მეგობრებთან ერთად სამოგზაუროდ წასულს, უკან მხოლოდ გზის ფული მომყვება. არ მიყვარს კაზინოში სიარული, მაგრამ ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი ვენეციაში ყოფნისას, „პუზეუმში“ შევედით და აღმოვაჩინეთ, რომ კაზინოში ვიმყოფებოდით. ძალზე მცირე ფსონით სამასი ევრო მოვიგე და მაშინვე საერთო საფულეში ჩავდე.

— როგორია თქვენი სამუშაო დღის განრიგი?

— დილის რვა საათზე, მეგობრებთან ერთად, კუს ტბაზე, „კაკლებში“ ხუთ კილომეტრს დავრბივართ. შემდეგ ვბრუნდები შინ და სამედიცინო დახმარებას ვუწევ დეიდას, რომელიც ჩემთან ცხოვრობს და ცოტა ავადმყოფობს. ამის მერე მივდივარ სამსახურში და მთელ დღეს იქ ვატარებ. ხშირად მიხდება უცხოეთში საქმიანი ვიზიტით გამგზავრება. საერთოდ, ნამყოფი ვარ ოცდაათამდე ქვეყანაში, ბოლოს კი, სამხრეთ აფრიკაში ვიყავი წასული.

— თანამშრომლებთან ურთიერთობისას მკაცრი ხართ?

— არასოდეს ამიწევია ხმა და თითქმის ყველას თქვენობით ველაპარაკები. ჩემი ერთადერთი მუქარაა, — სამსახურში აღარ მოვალ-მეთქი... სხვათა შორის, ეს ხერხი ამართლებს: ალბათ თანამშრომლები, ჩემთან ერთად, უფრო დაცულად გრძნობენ თავს. არ მიყვარს არაპუნქტუალური და უპასუხისმგებლო ადამიანები. როდესაც საქმიანი შეხვედრა მაქვს მამაკაცთან და პირველი ამ შეხვედრაზე მე ვცხადდები, ის კი იგვიანებს, ამას ჭკუიდან გადავყავარ.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის კარგი სამოსი?

— თითქმის ყოველთვის, პრაქტიკულ სამოსს ვყიდულობ. არ მიყვარს ხელოვნური ფაქტურის ტანსაცმელი. ტანსაცმელს უფრო ხშირად, უცხოეთში ვიძენ ხოლმე, ოღონდ, იაპონიაში არაფერი მიყიდია, რადგან ჩემი ზომის ვერაფერი ვნახე... ასეთი ჩვევაც მაქვს — შემიძლია, ერთი პულოვერი ამოვიჩემო და მთელი ზამთარი ის ვატარო. მაგრამ საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი იტალიაში, საქმიანი შეხვედრების დროს დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ გაცვია, როგორი საათი გიკეთია, როგორი ჩანთა გიკავია და ა.შ.

— ქალბატონო ნინო, თქვენ გაქვთ წარმატებული ბიზნესი, ფული... რას ინატრებდით კიდევ?

— სიწყნარეს და სტაბილურობას ქვეყანაში. საზოგადოებაში საშინელი აგრესია იგრძნობა, რაც ძალიან მაწუხებს.

— თქვენც ხომ არ აპირებთ პოლიტიკაში წასვლას?

— არა. მე მგონია, რომ პოლიტიკაში ადამიანები იმ შემთხვევაში მიდიან, თუ თავიანთ საყვარელ საქმეს ვერ მიაგნეს და პოლიტიკაში მოღვაწეობით უნდათ მოახდინონ ამის კომპენსირება... ■

რობერტ დე ნირო ორი მშვენიერი ქალბატონის ნინო მამუკელაშვილის და ლალი ბადურაშვილის გვერდით

| უსარგებლო ლახი ბოსტანში | | |

რა ხდება სიკვდილის შემდეგ?

სიტყვა „სიკვდილი“ ბიბლიაში პირველად მაშინაა გამოყენებული, როდესაც ღმერთი სამოთხეში დასახლებულ პირველ ადამიანებს ერთ-ერთი ხის ნაყოფის მიღებას უკრძალავს: „მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები“ (დაბ. 2, 17). თვითონ სიკვდილის არსი კი, შემოვიდა ადამ და ევას ცოდვით დაცემის შემდეგ. ეი. მას შემდეგ, რაც პირველმა ადამიანებმა ღვთის მიერ დადებული მცნება დაარღვიეს. ადამიანი ნივთიერ, სრწნად და მომაკვდავ არსებად იქცა, ანუ ამქვეყნად გაჩნდა სიკვდილი, რომელიც მოიწევა ადამიანის სხეულზე...

შორენა მერკვილაძე

ეკლესიური სწავლებით, სიკვდილი ეწოდება ადამიანის სხეულიდან სულის გასვლას. სხეული მიწისგან არის შექმნილი და მიწადვე იქცევა, ხოლო სული უკვდავია და მარადისობაში გადადის. ეი. სიკვდილის დროს ხდება სხეულისა და სულის გაყრა — რაც ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე იდუმალებითაა მოცული. სხეულიდან სულის გასვლის დროს, ადამიანის სული მისთვის უჩვეულო მდგომარეობაში გადადის. იმ მომენტში, როდესაც ადამიანს გარდაცვალების ჟამი დაუდგება, მისი სხეულიდან სული ანგელოზებს გაჰყავთ, შემდეგ სხეული იქცევა გვამად, ხოლო სული სხეულის ტყვეობიდან თავისუფლდება.

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, პირველი სამი დღის განმავლობაში, გარდაცვლილი ადამიანის სული კვლავ დედამიწაზე იმყოფება. როდესაც სული ცოდვილია, ის საკუთარი სხეულისკენ ილტვის, ხოლო კეთილი სული ანგელოზებს მიჰყავთ იმ ადგილებში, სადაც მას უყვარდა ყოფნა და კეთილი საქმეები უკეთებია.

გარდაცვალებიდან მე-3 დღეს, ანგელოზებს სული მიჰყავთ უფალთან, რათა მის წინაშე წარდგეს. ის ექვსი დღის განმავლობაში იმყოფება სასუფეველში და ხედავს, როგორ ნეტარებას განიცდიან მართალ ადამიანთა სულები. მეცხრე დღეს ახალგარდაცვლილის სული კვლავ წარდგება უფლის წინაშე, რის შემდეგაც ანგელოზებს ჯოჯოხეთში მიჰყავთ. ის იქ ხედავს, როგორ იტანჯებიან ცოდვილ ადამიანთა სულები. მეორმოცე დღეს კი, შედგება გარდაცვლილი ადამიანის პირადი სამსჯავრო.

რა არის პირადი სამსჯავრო?

როგორც აღვნიშნეთ, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, სული წარდგება ღვთის წინაშე გასასამართლებლად. ეს არის გარდაცვლილი ადამიანის პირადი სამსჯავრო. გასამართლების შემდეგ ახალგარდაცვლილის სულს ადგილს მიუჩენენ სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, მისივე ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს ჩადენილი საქმეების მიხედვით. ღვთის წინაშე წარმდგარი სულის მარჯვნივ, მისი მფარველი ანგელოზი დგას, მარცხნივ კი, ბოროტი ძალა, ეშმაკი, რომელიც მის მიერ, ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს წარმოაჩენს, რათა სული ჯოჯოხეთში წაიყვანოს. პირად სამსჯავროზე ადამიანის სულს აღსარების დროს გულწრფელად მონანიებული ცოდვები არ მოეკითხება. ახალგარდაცვლილის პირადი სამსჯავროს დროს, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გარდაცვლილის ახლობლებისა და საერთოდ, ეკლესიის ლოცვას, მისი სულისთვის. ლოცვების დროს გულწრფელად უნდა ვევედროთ ღმერთს, რომ გარდაცვლილის სულს შეუნდოს ცოდვები, რადგან ჩვენი ლოცვა მას ხვედრს შეუმსუბუქებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირადი სამსჯავრო არ არის საბოლოო განაჩენი, გასამართლების შემდეგ, უფალი მის მეორედ მოსვლამდე სულს მიუჩენს დროებით სამყოფელს — სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. ამიტომ იმ ქრისტიანთა სულებისათვის, რომლებმაც ვერ მოასწრეს ცოდვების მონანიება, ახლობლებმა უნდა იზრუნონ: ლოცვით, გარდაცვლილის სახელზე მოწყალების გაცემით და ეკლესიის მიერ დადგენილი სხვა წესების აღსრულებით.

რა უნდა ვიცოდეთ საბვერეებთან დაკავშირებით?

ეკლესიის სწავლების მიხედვით, საზვერეებს უწოდებენ სამსჯავროს, ანუ იმ ადგილს, სადაც სხეულიდან გასულ სულს, საჰაერო სივრცეში მოგზაურობის დროს, დროებით შეაჩერებენ. გარდაცვლილის სული დედამიწიდან ზეცისკენ მიემართება, ამ მოგზაურობისას ის ჰაერის მცველების საზვერეებს გაივლის. თითოეულ საზვერეზე გარდაცვლილის სულს ბოროტი სულები აკავებენ და სიცოცხლეში ჩადენილ იმ ცოდვებში ამხელენ, რომელიც აღსარებაში არ მოუნანიებია. არსებობს ოცი საზვერე, მაგალითად, პირველ საზვერეს ამაოდ მეტყველების საზვერე ჰქვია და ა.შ. საზვერეებს თავისუფლად გადის უბიწო ადამიანის სული და ცათა სასუფევლის მკვიდრი ხდება. ცოდვილ სულს კი ეშმაკები ჯოჯოხეთისკენ ეზიდებიან.

როგორ ვიზრუნოთ სულთმობრძავისთვის?

სხეულიდან სულის გასვლა, ზოგიერთი ადამიანისთვის უმტკივნეულოდ, ტანჯვის გარეშე ხდება, ზოგიერთისთვის კი გაუსაძლისი სატანჯველი ახლავს თან. ასეთ ადამიანს მომაკვდავს, ანუ სულთმობრძავს ვუწოდებთ. სულთმობრძავს ახლობლებმა აუცილებლად უნდა მოუყვანონ სასულიერო პირი, რათა წაუკითხოს სპეციალური ლოცვები — „ლოცვაი სულთმბრძოლისაი“, ათქმევინოს აღსარება და აზიაროს, რითაც მოხდება მისი განწმენდა და არ დაიტანჯება საყოველთაო განკითხვის დროს.

მიცვალებულის სახლში დასვენების წესი

გარდაცვლილი ადამიანი მისმა ახლობლებმა უნდა განბანონ, რითაც ღვთის წინაშე მის სუფთად და განწმენდილად წარდგომის სურვილს გამოხატავენ. შემდეგ უნდა ჩაცვან სუფთა ტანსაცმელი, ამით გამოხატავენ ღმერთთან შეხვედრისთვის მზადებას. ამის მერე კი უნდა ჩასვენონ სასახლეში, რომლის სარქველზეც გამოსახული უნდა იყოს ჯვარი. მიცვალებული ისე უნდა იყოს დასვენებული, რომ პირით აღმოსავლეთს უყურებდეს, რაც სამოთხისკენ ლტოლვის და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლო-

დინის მიმანიშნებელია, რადგან ეკლესიური სწავლებით, მეორედ მოსვლის ჟამს უფალი აღმოსავლეთიდან ამობრწყინდება. მიცვალებულს ხელები უნდა დაუკრიბონ გულზე – მარჯვენა ხელი უნდა დაედოს მარცხენას, ხოლო მარჯვენა ხელში დაჭერინონ ჯვარი. ჯვარი უნდა ეკიდოს გულზეც, რაც უფლის მოწყალებაზე მინდობას და ჯვარცმული მაცხოვრის იმედის ქონაზე მიგვანიშნებს.

მიცვალებულის თავთან ახლობლებმა უნდა დადგან პატარა მაგიდა, რომელზეც იდგმება: ხატი, ანთებული კანდელი, ღვინო, ხორბალი, ზეთი, ნაკურთხი წყალი და მარილი. სასახლის ირგვლივ მოთავსდება გვირგვინები და ყვავილები. მიცვალებულის თავთან ხორბალი იდგმება ნიშნად იმისა, რომ როგორც ხორბალი უნდა დაითესოს, რათა შემდეგ ამოვიდეს და აღდგეს, ასევე ადამიანიც აღდგება სიკვდილის შემდეგ, ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. ანთებული კანდელი ჭეშმარიტ ნათელს აღნიშნავს. გვირგვინები და ყვავილები კი განასახიერებს სიმართლის გვირგვინს, რომელიც ღვთის წინაშე გამართლებულ ადამიანს ცათა სასუფეველში მოელის.

მიცვალებული წესით მე-3 ან მე-5 დღეს უნდა დაიკრძალოს.

მკითხველს ალბათ ისიც აინტერესებს, რამდენად მისაღებია პანაშვიდებსა და დაკრძალვის დღეს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტით (დოლი, დუდუკი და სხვა) სამგლოვიარო მუსიკის შესრულება...

ქრისტიანული წესით, პანაშვიდებსა და დაკრძალვის დღეს იკითხება ფსალმუნები და იგალობება საგალობლები. ამ დროს, ნებისმიერი სხვა სახის მუსიკის შესრულება მიცვალებულის სულს ტანჯვას აყენებს.

როდის უნდა აუგონ წესი მიცვალებულს?

მიცვალებულს წესი უნდა აუგონ დაკრძალვის დღეს, მაგრამ თუ რაიმე მიზეზით ამ დღეს წესის აგება ვერ ხერხდება, ეს შეიძლება ადრეც შესრულდეს. როდესაც სასულიერო პირი მიცვალებულს წესს უგებს, ჭირისუფლებს ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ და ღმერთს გულმხურვალედ ავედრებენ მიცვალებულის სულს. თუკი სასულიერო პირი მიცვალებულს საფლავამდე მიაცილებს, სასაფლაოზე უნდა შესრულდეს საფლავის კურთხევა. თუ არა და, წესის აგების დროს მღვდელს უნდა ვაკურთხებინოთ მიწა, რაც საფლავის კურთხევის ტოლფასია. დაკრძალვის დროს, მიცვალებულს სარქველის დაფარებამდე ნაკურთხი მიწა ეყრება გულზე.

P.S. რა შემთხვევაში არ შეიძლება მიცვალებულისთვის წესის აგება? გამართლებულია თუ არა საფლავში სხვადასხვა ნივთის ჩატანება? რას ნიშნავს „სულის ახსნა“? – ამ და სხვა საკითხებს „გზის“ მომდევნო ნომერში განგიმარტავთ. ■

«არ იფიქროთ, სათაკილო იყოს რამე...»

უამრავი ადამიანი შედის დიდუბის პანთეონში. ბევრი მათგანი უბრალოდ ათვალიერებს საფლავებს, ზოგიც სიმშვიდესა და სიწყნარეს ეძებს. არ ვიცი, მათგან ვინმე დაინტერესებულა თუ არა, ვინ უვლის პანთეონს, ვინ არიან ის მებაღეები, რომელთა ძალისხმევითაც აქ ყოველთვის სისუფთავეა. უკვე 16 წელიწადია, რაც ტაბატაძეების ოჯახი ალიონიდან დაღამებამდე დროს დიდუბის პანთეონში ატარებს. მათ აქ საკუთარი ოთახიც აქვთ გამოყოფილი და როგორც თვითონ გაგვიმხილეს, პანთეონს ისე, როგორ სასაფლაოს ვერ აღიქვამენ. — აქ ჩვენი მეორე ოჯახიაო, — მითხრა ქალბატონმა მარგარიტამ. სწორედ ამ ქალბატონს, მის რძალსა და შვილს გავესაუბრე.

ნათია გუმბერიძე

— თქვენამდე ვინ უვლიდა დიდუბის პანთეონს?

მარგალიტა ერისთავი:

– ჩემი მეუღლე აქ ყარაულად 7 წლის განმავლობაში მუშაობდა. მეც ხშირად, სამსახურის შემდეგ შემოვუვლიდი ხოლმე. გოგი ცაბაძის საფლავს უვლიდა, როცა ინფარქტი დაემართა, იქვე ჩაიკეცა და სული განუტევა. ეს 1989 წელს მოხდა. მას ისე უყვარდა აქაურობა, რომ აქ მისი პატივისცემით მოვედით მთელი ოჯახი. თუმცა ჩვენამდე მანაგაძეების ოჯახი უვლიდა გამოჩენილ ხალხთა საფლავებს. ასე რომ, ოჯახური ტრადიცია მათ დააარსეს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ჯერ მე დავიწყე მუშაობა, მერე ჩემი ბიჭი და რძალიც მოვიდნენ და შვილიშვილებიც კი აქ ატარებდნენ მთელ დღეს. ისინი ჭიანჭველებს აშორებდნენ ხოლმე საფლავებს და ყვავილებს რგავდნენ პატარა ხელებით.

ავთო ტაბატაძე:

– მე-16 წელიწადია, რაც აქ ვართ. იცით, ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ მე თუ დიდუბის პანთეონში მებაღედ ვიმუშავებდი და თან მეუღლესაც აქ მოვიყვანდი, ვერასდროს წარმოვიდგენდი. არ იფიქროთ, სათაკილო იყოს რამე, უბრალოდ, ამაზე არც მიფიქრია.

— ბევრი რამ შეიცვალა აქ, მას შემდეგ რაც მოხვედით? როგორც ვიცი, პანთეონი დაიხურა. რა იყო ამის მიზეზი?

– დღეს პანთეონი წინა წლებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, 600-მდე საფლავია. პანთეონის დახურვის მიზეზი სწორედ ის არის, რომ ადგილი აღარ დარჩა, თუმცა შესასვლელში კედელი თუ გაიხსნება, ხუთი საფლავის ადგილი კიდევ გამოჩნდება. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და, გამოჩენილი ხალხი ბევრი გვყავს, მაგრამ ყველანი წარმავალნი ვართ და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ხუთი ადგილი წინასწარ აქვს შეგულებული ზოგიერთ მაგთანს. მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. ასე რომ, პანთეონში საფლავის ადგილი აღარ არის.

— რას გრძნობთ, როცა ყოველდღე აქ შემოდიხართ?

მარგალიტა ერისთავი:

– ჩვენ აქ ყოველდღე დავდივართ ორშაბათის გარდა. ჩვენთვის დღე აქ იწყება და მხოლოდ გვიან საღამოს ვბრუნდებით სახლში. მე აქაურობას ვერ აღვიქვამ, როგორც სასაფლაოს. ეს ჩემი ოჯახია და ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: ეს პანთეონი რომ არა, ახლა დიდი ხნის გარდაცვლილი ვიქნებოდი.

— თქვენი თქმით, ჭირისუფლები ხშირად დადიან სასაფლაოების მოსანახულებლად. როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?

ქეთევანი, *ავთო ტაბატაძის მეუღლე:*

– ბევრი მათგანი ხშირად დადის. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ლადო ასათიანის ქალიშვილი, ტიციან ტაბიძის შვილი და შვილიშვილები, შოთა ნიშნიანიძის ოჯახი, აკაკი ბაქრაძის და თითქმის ყოველდღე დადის ძმის საფლავზე, ასევე სოფიკო ჭიაურელი თითქმის ყოველდღე აკითხავს კოტე მახარაძის სამუდამო განსასვენებელს. იცით, თაობები იცვლება, მაგრამ აღდგომის დღესასწაულზე შვილთაშვილებიც კი მოდიან. ჩვენც ხომ სულ აქ ვართ, დაკრძალვებზე, დღესასწაულებზე და ხშირად გვიწევს მათთან შეხვედრა. ნებისმიერი მათგანი ძალიან თბილი და კარგი ადამიანია. თითქმის ყველამ გვაჩუქა წინაპრის წიგნები პატივისცემის ნიშნად. ■

სერ სტენლი მეტიუზი

ჯენტლმენი ჯადოქარი ბლეკპულიდან

ალექსი რეხვიაშვილი

უკვე თითქმის 50 წელია, რაც ფრანგული გამოცემა, „ფრანს ფუტბოლი“ ყოველი წლის ბოლოს სპორტულ ჟურნალისტთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოვლენილ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებს, „ოქროს ბურთით“ აჯილდოებს. წელს „ბებერი კონტინენტის“ 47-ე გამარჯვებული გამოვლინდება. პირველად კი, „ფრანს ფუტბოლის“ პრესტიჟულ პრიზს ლეგენდარული ინგლისელი თავდამსხმელი, სტენლი მეტიუზი დაეუფლა. სწორედ მის შესახებ გვსურს მოგითხროთ ჟურნალ „გზის“ ახალ რუბრიკაში — „ოქროს ბურთის“ ლაურეატები“, რომელშიც მომავალში სისტემატურად გესაუბრებით სხვადასხვა წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ ამა თუ იმ ოსტატზე.

სტენლი მეტიუზი 1915 წლის 1 თებერვალს დაიბადა. იგი ბავშვობიდანვე დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა და ფეხბურთისადმი ფანატიკურ სიყვარულს იჩენდა, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. ჯერ 16 წლისაც არ იყო სტენლი, როდესაც პირველი მატჩი ჩაატარა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში. „ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი სპორტით. დილაადრიან ვდგებოდი და ვვარჯიშობდი. ასე იწყებოდა ყოველი დღე ჩემთვის 4 წლის ასაკიდან. მამაჩემი ზრუნავდა, რომ ძლიერი და ჯანმრთელი ვყოფილიყავი. ჩემთან ერთად ჩემი ძმებიც ვარჯიშობდნენ. საერთოდ, თუ ფეხბურთელობა გსურს, უნდა დაივიწყო ალკოჰოლი და თამბაქო. პირადად მე, არც ერთს და არც მეორეს არასოდეს გავკარებივარ“, — ამბობდა აწ გარდაცვლილი სტენლი მეტიუზი, რომელიც თავისი შეუდარებელი ოსტატობის გარდა, საფეხბურთო კარიერის გასაოცარი ხანგრძლივობითაც გამოირჩეოდა. იგი დიდ ფეხბურთს 50 წლის ასაკამდე თამაშობდა. თავისი 34-წლიანი პროფესიონალური საფეხბურთო კარიერის მანძილზე, სტენლი მეტიუზი მხოლოდ ორი კლუბის — „სტოკ სითისა“ (1931-42; 1961-65) და „ბლეკპულის“ (1947-61) — ღირსებას იცავდა.

ფეხბურთელთა არაერთმა თაობამ სტენლი მეტიუზის მოღვაწეობისას დაიწყო და დაასრულა სპორტული კარიერა, თავად ლეგენდარული დიდოსტატი კი, ჯიუტად არ ტოვებდა მწვანე მინდორს. ნუ იფიქრებთ, რომ „საფეხბურთო ასაკს“ გადაცილებული მეტიუზი თავისი კარიერის რომელიმე პერიოდში კრიზისს განიცდიდა. იგი ყოველთვის მაღალ დონეზე თამაშობდა და საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად ავლენდა. მისი უნარი და მონაცემები კი, მართლაც ამოუწურავი გახლდათ. სტენლი მეტიუზი არაჩვეულებრივი დრიბლინგით, ფინტების მრავალფეროვნებით, ვირტუოზული ტექნიკითა და „რბილი“, ფილიგრანული პასების გადაცემის უნარით გამოირჩეოდა.

„როდესაც მარცხნიდან ფინის მიერ ჩამოწოდებული ბურთი მოფრინავს, მის დასაუფლებლად თავქუდმოგლეჯილი და შეშინებული გავრბივარ, — ამბობდა ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდი, ტომი ლაუტონი, — მაგრამ თუ მარჯვნიდან მეტიუზი აწოდებს, მისგან გამოგზავნილ ბურთს საჩუქარივით ვიღებ — ბედნიერი და თვალებგაბრწყინებული... იგი ცდილობდა, რომ პასის მოცემისას ბურთის ზონრით შეკრული მხარე მის პარტნიორს არ მოხვედროდა, რასაც ყოველთვის ახერხებდა კიდეც“.

სწორედ მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე თამაშობდა სტენლი მეტიუზი. „ძველთანგანვე ერთ-ერთი პრობლემა მოთამაშისთვის პოზიციის სწორად შერჩევაა, — ამბობდა იგი, — ცხადია, ყველას ცენტრალური ფორვარდობა სურს, რათა რაც შეიძლება ბევრი გოლი გაიტანოს. ფეხბურთს კი, მეკარეები, მცველები და ნახევარმცველებიც სჭირდება. გადამწყვეტი სიტყვა გამოცდილმა მწვრთნელმა უნდა თქვას. მან ჭაბუკი მოთამაშის მონაცემები კარგად უნდა შეისწავლოს და შემდეგ, გუნდში შესაფერისი ადგილი მიუჩინოს. ჭაბუკობაში მე ხან ცენტრალურ ნახევარმცველად მათამაშებდნენ, ხანაც შუამარბად, ვიდრე ერთმა ჭკვიანმა კაცმა არ თქვა: მისი ადგილი მარჯვენა ფრთაზეაო. მეც სწორედ საამისო მონაცემები მქონდა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ფეხბურთელი რომ დაოსტატდეს, მისთვის მხოლოდ სწორი პოზიციის შერჩევა როდი კმარა. იგი აუცილებლად მკაცრ სპორტულ რეჟიმს უნდა იცავდეს: დაუღალავად ვარჯიშობდეს, გამოცდილ მწვრთნელებს უსმენდეს, თვალყურს ადევნებდეს ცნობილ ოსტატებს და მათ ჰბაძავდეს. ამ ყვე-

ლაფერს დრო სჭირდება. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რამდენი სიძნელე უნდა გადალახო, ვიდრე დიდოსტატად ჩამოყალიბდები. უპირველეს ყოვლისა, მაღალ დონეზე უნდა ფლობდე ბურთს. თუ ბურთი კარგად არ მოათვინიერე, არაფერი გამოგივა. ამას კი, მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის შედეგად მიაღწევ. ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელმაც უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა შეძლო, თითქმის ერთსა და იმავეს ამბობს: იგი ბავშვობაში დილიდან საღამომდე ბურთს დასდევდა, ხოლო შემდეგ გუნდშიც შეუპოვრად ვარჯიშობდა. როდესაც თამაშის ძირითად ელემენტებს დაეუფლები, უკვე იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა დონის გუნდში თამაშობ. უნდა ეცადო, რაც შეიძლება ძლიერ კლუბში მოხვდე, სადაც პარტნიორებთან თამაშის გარდა, დამოუკიდებლადაც დახვეწ ოსტატობას“.

ინგლისის ჩემპიონატში სტენლი მეტიუზმა 701 მატჩი ჩაატარა და 71 გოლი გაიტანა. 1948 და 1963 წლებში იგი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს (თანაც მეორედ, 48 წლის ასაკში). გარდა ამისა, სტენლი მეტიუზი დღემდე ითვლება დიდი ბრიტანეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად. თავად ინგლისის ნაკრებში ჩატარებულ 54 მატჩში, ოსტატს 11 გოლი აქვს გატანილი. ალბიონელთა მთავარი გუნდის ღირსებას მეტიუზი 1934-57 წლებში იცავდა. 1950 და 1954 წლებში კი, მსოფლიოს ჩემპიონატშიც მონაწილეობდა.

მატჩები, რომელშიც სტენლი მეტიუზი იღებდა მონაწილეობას, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით ემოციური, ვნებათაღელვით აღსავსე და შთამბეჭდავი აღმოჩნდა ინგლისის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა 1953 წელს. თამაშის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე, სტენლი მეტიუზის „ბლეკპული“, „ბოლტონთან“ ანგარიშით 1:3 აგებდა. სწორედ მაშინ გაიბრწყინა ოსტატობით 38 წლის გარემარბმა, რომელმაც თავისი ფინტებით მეტოქე გუნდის მცველებს თავგზა აუბნია. იგი „ბოლტონის“ დაცვას სრულიად თავისუფლად უსწორდებოდა და ერთ-ერთი მისი გარღვევის შემდეგ, „ბლეკპულმა“ ანგარიშის სხვაობაც შეამცირა. ამ მომენტში მატჩის დამთავრებას უკვე 4 წუთი აკლდა, თუმცა მეტიუზისთვის ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, კიდევ ორი საგოლე გარღვევა რომ შეესრულებინა. „ბლეკპულმა“ „ბოლტონის“ კარში ორი გოლიც გაიტანა, ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა და ინგლისის თასს დაეუფლა. ლეგენდარული „უემბლის“ მრავლისმნახველი გულშემატკივრები შემდგომში აცხადებდნენ, რომ „ბლეკპულ“-„ბოლტონის“ თამაშის მსგავსი დრამატულობითა და მოულოდნელობებით აღსავსე შეხვედრა არასოდეს ენახათ. სწორედ ამ მატჩის შემდეგ სტენლი მეტიუზს „ბლეკპულის ჯადოქარი“ უწოდეს. „მარტო დრიბლინგითა და ზუსტი პასებით ვერაფერს მივაღწევთ. გარინჩასა და ჟაირზინიოს ტიპის მოთამაშეებია საჭირო. ფეხბურთელებს სრული თავისუფლება უნდა მივანიჭოთ. თეორიებით ზედმეტი გატაცება მხოლოდ ზიანს მოგვიტანს. მოთამაშეს ფანტაზია უნდა ჰქონდეს. ელექტრონული და გამომთვლელი მანქანები ფეხბურთს არ სჭირდება და საერთოდ, ფეხბურთი მაშინ არის კარგი, როდესაც სიხარულსა და სიამოვნებას განიჭებს“, – ამბობდა სტენლი მეტიუზი და თავისი დიდებული თამაშით თანაგუნდელების გარდა, მეტოქე ფეხბურთელებსაც აღაფრთოვანებდა.

გარდა იმისა, რომ სტენლი მეტიუზი 1956 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბურთის“ პირველი მფლობელი გახდა, მან სხვა ღირსებების გამოც მიიღო რამდენიმე საპატიო ჯილდო. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ იუნესკოს მიერ დაწესებული „ფეირ პლეის“ პრიზი, რომელიც ფეხბურთელს ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ჯენტლმენობის გამოვლენისთვის გადაეცა. ამასთან, 1965 წელს ინგლისის დედოფალმა, ელიზაბეტ მეორემ სტენლი მეტიუზს ინგლისური ფეხბურთის განვითარებაში გაწეული ღვაწლისთვის „სერის“ წოდება მიანიჭა.

1965 წლის 28 აპრილს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე სტენლი მეტიუზის გასაცილებელი მატჩი მოეწყო, რომელშიც ერთმანეთს „სტოკ სითი“ და მსოფლიოს ვარსკვლავების ნაკრები ხვდებოდა. ფინალური სასტვენის შემდეგ, ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა მოედნიდან ხელში აყვანილი გაიყვანეს ლევ იაშინმა და ფერენც პუშკაშმა, თუმცა მეტიუზი ფეხბურთს სამუდამოდ მაინც არ გამოსთხოვებია. იგი მხოლოდ პროფესიონალური სპორტიდან წავიდა. „მშვიდობით ჩემო სიყვარულო“, – უთქვამს აღელვებულ მეტიუზს გამოსათხოვარი მატჩის მიწურულს, მას შემდეგ, რაც თავისი 7-ნომრიანი მაისური გაუხდია.

დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, სერ სტენლი ერთხანს ავსტრალიაშიც ცხოვრობდა, შემდეგ მალტაში გადასახლდა, სადაც ბავშვებს უანგაროდ ავარჯიშებდა. ხანდახან კი, დიდოსტატი თავის 7-ნომრიან მაისურს კვლავ ჩაიცვამდა და ამხანაგურ მატჩებში თამაშობდა. ასეთ შეხვედრებს ყოველთვის უამრავი მაყურებელი ესწრებოდა, რაც არც იყო გასაკვირი. სტენლი მეტიუზი კვლავაც დიდებულად თამაშობდა და თავისი თავბრუდამხვევი ფინტებით მეტოქე გუნდების მცველებს ძველებურად პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებდა.

მუდმივად „ჭაბუკი“, მხცოვანი გარემარბი არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, თუმცა მისი სახელი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

■

ნინო ჯავახიშვილი

ნინო დარასელი მეუღლესთან და შვილთან ერთად მშობლების სახლში, ბოცვაძის ქუჩაზე ცხოვრობს. ეს სახლი რუსუდან კერვალიშვილს და ზაზა დარასელს 14 წლის წინ შეუძენიათ და თავიანთი გემოვნებით მოუწყვიათ. მას შემდეგ რემონტი აღარ განუახლებიათ. ეგ არის, რომ სარდაფი გაუკეთებიათ და კიდევ ერთი მისაღები და სამზარეულო შეუმატებიათ ბინისთვის. შეაღებთ თუ არა კარს, გრძელ დერეფანში აღმოჩნდებით. ხელმარჯვნივ მოზრდილი სამზარეულოა, ხელმარცხნივ — ცოლქმრის, ნინოსა და ნიკა ბერიძის საძინებელი. საძინებელს პატარა მისაღები ესაზღვრება, სადაც დივანი, სავარძლები, ჟურნალების მაგიდა და ტელევიზორი დგას. სხვათა შორის, ტელევიზორი თითქმის ყველა ოთახში დგას, სამზარეულოშიც კი. კედლები ყველგან თეთრად არის შეღებილი. დერეფნის ბოლოს ქალბატონი რუსუდანის საძინებელია, სადაც ზაზა დარასელის უშველებელი სურათია მოთავსებული. მისაღები დიდია და ნათელი. იქ ნინოს ბებია-ბაბუის ნაქონი და ნაჩუქარი ძველებური ავეჯი დგას. მისაღებიდან ზაზუკას ოთახი ჩანს. ზაზუკას საძინებელში საწოლის გარდა, საწერი მაგიდა და კომპიუტერი დგას. მისაღებიდან ხის კიბით ქვედა სართულზე მოხვდებით. იქ უფრო დიდი, კომფორტულად, თანამედროვედ მოწყობილი მისაღებია — ლურჯი რბილი ავეჯი, დიდი ტელევიზორი და როიალი დგას. ბინაში სამი სააბაზანოა, რაც თურმე ყველაზე მეტ კომფორტს უქმნის ოჯახის წევრებს. თვალის ერთი შევლებით მიხვდებით, რომ სახლი დიდი გემოვნებით არის მოწყობილი, რაც როგორც უკვე გითხარით, ნინოს მშობლების დამსახურება ყოფილა.

ეს ფოტო კი, ლონდონში გადავიღე, ერთ-ერთ ატელიეში, დედაჩემთან და ჩემს რძალთან, დეიდაშვილის მეუღლესთან ერთად.

„ნიკას უფრო ეხერხება დიზაინერობა, ვიდრე — მე“...

— მახსოვს, როგორი ბედნიერები იყვნენ ჩემი მშობლები, ეს ბინა რომ შეიძინეს. ამ კორპუსში ცხოვრობს ბებიაჩემიც და დეიდაჩემიც. მათთან ახლოს ყოფნა უნდოდათ. ბინის მოწყობაში არც კი ჩავრეულვარ, განა იმიტომ, რომ არ მიყვარს კომფორტული სახლი. უბრალოდ, ვენდობოდი მათ გემოვნებას. მთავარი იყო, რომ ყველაფერი სადა და ლამაზი ყოფილიყო. არ მიყვარს ავეჯით და ნაირ-ნაირი ნივთით გადატვირთული ოთახები. როგორც ხედავთ, კედლები თეთრად არის შეღებილი. ფერადი კედლები, ჩემი აზრით, ადამიანს მალე ჰბეზრდება და რაღაც-ნაირად, აღიზიანებს კიდეც. სისადავესა და უბრალოებაშია სილამაზე. მე თვითონ თანამედროვე დიზაინი უფრო მომწონს. საუკეთესო ვარიანტია, როცა შეგიძლია ანტიკვარული ავეჯი თანამედროვე დიზაინს შეუხამო, მაგრამ ამისთვის ძალიან დახვეწილი გემოვნებაა საჭირო. მოკლედ, ვჯობს, რაც იცი, ის აკეთო და სადად მოაწყო სახლი. 14 წლის მანძილზე აქ მნიშვნელოვანი არაფერი გაგვიკეთებია თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნიკამ და დედაჩემმა სარდაფი მოაწყვეს და ორსართულიანი ბინა გამოვიდა. ერთხელ შინ დაბრუნებულს მისაღებში მშვენიერი ავეჯი დამხვდა. თურმე ნიკა წასულა და დივანი და სავარძლები შეუძენია. მანვე იყიდა „სონის“ ტელევიზორიც — ძალიან უყვარს ტექნიკა. მოკლედ, გამოდის, რომ ნიკას უფრო ეხერხება დიზაინერობა, ვიდრე მე. ძალიან უყვარს კომფორტი, მეც მიყვარს, ოღონდ სხვისი მოწყობილი... ახლა ამ ოთახში უყვართ ყოფნა ჩემს და ნიკას მეგობრებსაც. ორივეს ბევრი მეგობარი გვყავს და ზოგჯერ ვეღარც კი ვეტევით. ამიტომ როცა გოგოებს ჩემთან ვპატიჟებ, ჯერ ნიკას ვურეკავ და ვიგებ — მისი მეგობრები ხომ არ არიან იქ? ხომ იცი, ყველაფერი დასწრებაზეა...

— ნიკას როგორი გემოვნება აქვს?

— საკმაოდ დახვეწილი. საერთოდ, იცი, მე როგორი ხასიათი მაქვს? ყოველთვის იმ ადამიანთან ვარ, რომლის გემოვნებასაც ვენდობი. მაგალითად, პარიკმახერთან რომ მივდივარ, არასდროს ვეუბნები — ასეთი და ასეთი ვარცხნილობა გამიკეთე-მეთქი. რაკი მასთან მივედი, ე.ი. ვენდობი და ის, რასაც ჩათვლის საჭიროდ, უპრობლემოდ ვეთანხმები.

— მერე ყოველთვის ხომ არ ამართლებს ასეთი ექსპერიმენტი?

— რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ამართლებს. ყოფილა შემთხვევა, თმა შემიჭრია და ვარცხნილობა არ მომხდენია, მაგრამ პროტესტი არ გამომიხატავს. — დრო გავა და თმა რომ ჩამომეზრდება, მაშინ უკეთესად მექნება-მეთქი, — დამიმშვიდებია საკუთარი თავი. ჩემ გარშემო სულ რამდენიმე ადამიანის გემოვნებას ვენდობი, მაგრამ თუ ვენდობი, ბოლომდე. ამიტომაც არის, რომ სახლში დიზაინის შეცვლის სურვილი არც კი მიჩნდება. ეს დედაჩემის პრეროგატივაა. ხომ შეიძლება, საკუთარ საძინებელში ავეჯი გამოვცვალო? არა, ეს წარმოუდგენელია, დედაჩემს ველოდები — თუ გამოცვლის, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი მოხდება... ერთადერთი ოთახი, რომელიც ჩემი გე-

ნივთების შეგროვება არ მიყვარს. ერთადერთი, რაც მომწონს, ეს არის მობილური ტელეფონის ნაირ-ნაირი, ჭრელაჭრელა „შალითა“

მოვნებით მოვაწყვე, ეს არის ჩემი კაბინეტი ტელევიზიაში. კომპიუტერი და საწერი მაგიდა დავდგი, კედლებზე უამრავი სურათი და ფოტო გავაკარი და ა.შ.

— შენთვის ყველაზე საყვარელი და აუცილებელი ნივთი რა არის?

— ტელევიზორი და ტელეფონი. რომ მითხრან, ერთ ოთახში უნდა იცხოვრო და თან ყველაზე აუცილებელი ნივთები წაიღეო, პირველ რიგში ტელევიზორს, ტელეფონს და დასაჯდომად — ბალიშებსაც წავიღებდი. ისე, ნივთების შეგროვება და ყიდვა მაინცდამაინც არ მიყვარს. ერთადერთი, რაც მომწონს, ეს არის მობილური ტელეფონის ნაირ-ნაირი, ჭრელაჭრელა „შალითა". რამდენიმე მაქვს ნაყიდი, ხშირად ვცვლი ხოლმე და ყველას ჰგონია, რომ თვითონ ტელეფონს ვიცვლი ხშირ-ხშირად. ბალიშები ვახსენე და ამასთან დაკავშირებით, გამახსენდა: ერთხელ ლონდონში ყოფნისას უცნაური და ორიგინალური სახლი ვნახე. ძალიან მომეწონა. მთელ ბინაში არ იდგა ავეჯი. ყველაფერი გამჭვირვალე იყო, შუშის იატაკიც კი, სადაც ნეონის ნათურები იყო დამონტაჟებული და ლამაზად ანათებდა. ვერ ნახავდით ვერც მაგიდას, ვერც სკამს — ყველგან ბალიშები ეყარა, სკამების მაგივრად შუშის საქანელები იყო ჭერზე ჩამოკიდებული. მოკლედ, ასეთი საოცრება ცხოვრებაში არ მინახავს. ასეთი სახლი რომ ააშენო თბილისში, იტყვიან, საწყალი, გაგიჟდაო, თანაც საქართველოში, ასეთი მეტისმეტი გამჭვირვალობა არ გამოვა *(იცინის)*...

— როიალზე, ცოტა არ იყოს უცნაური ფოტო ვნახე...

— ძალიან მიყვარს სურათების გადაღებაც და თვალიერებაც. იცი, რამდენი ალბომი მაქვს?! ეს ფოტო კი, ლონდონში გადავიღე, ერთ-ერთ ატელიეში, დედაჩემთან და ჩემს რძალთან, დეიდაშვილის მეუღლესთან ერთად. ასეთი უცნაური კაბები რომ გვაცვია, ამიტომ ვერავინ გვცნობს და სულაც ყურადღებას არავინ გვაქცევს.

— ნინო, შინ ყოფნა თუ გიყვარს?

— ძალიან მიყვარს სახლი, რომელიც არმაზში გვაქვს. იქ მთელი ოჯახი — ჩვენი და დეიდაჩემის ოჯახის წევრები, ყველანი ერთად ვიკრიბებით ხოლმე. ერთად ვსადილობთ, ერთად ვვახშმობთ — ასეთი ტრადიცია გვაქვს. სახლი ერთი მხრიდან პირდაპირ მტკვრის და არაგვის ხეობას გადაჰყურებს, ულამაზესი ხედებია ირგვლივ და მშვენივრად დაისვენებს კაცი... საერთოდ, ძალიან მიყვარს შინ ყოფნა, იმის მიუხედავად, რომ სხვაგან წასვლასა და სტუმრობაზეც არასდროს ვამბობ უარს. ძალზე დაცულად და მშვიდად ვგრძნობ თავს საკუთარ სახლში — იქ, სადაც ჩემთვის საყვარელი ადამიანები მეგულებიან. მარტო სტუმრად წასვლა კი არა, სტუმრების მიღებაც მიყვარს...

როცა გოგოებს ჩემთან ვპატიჟებ, ჯერ ნიკას ვურეკავ და ვიგებ — მისი მეგობრები ხომ არ არიან იქ

— სტუმრიანი ოჯახი გაქვთ?

— აბა, რა, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. მარტოობას, განსაკუთრებით მამის გარდაცვალების შემდეგ, ვერ ვიტან და სხვა რომ არაფერი, ამიტომაც მახარებს, როდესაც ჩვენთან ახლობლები, ნათესავები, მეგობრები მოდიან. ტრადიციული სუფრები თითქმის არასდროს გაშლილა ჩვენთან. სტუმრებს რაიმე კერძით ან ჩაით და ტკბილეულით ვუმასპინძლდებით, მაგრამ შეგიძლია, არ მკითხო, როგორი კულინარი ვარ...

— როგორც ვხედავ, ძალიან გიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი და სადილების მომზადება, არა?

— *(იცინის)* მე და სამზარეულო ძალიან შორი-შორს ვართ ერთმანეთისგან. შეიძლება ითქვას, რომ სამზარეულო ჩემთვის მისაღები უფროა, ვიდრე სამუშაო ოთახი. სამზარეულოში დავჯდომა, ყავის ან ჩაის მირთმევა და ჭორაობა მეც და ჩემს მეგობრებსაც ძალიან გვიყვარს.

— რას მიირთმევ ყველაზე დიდი სიამოვნებით და კიდევ — ვინ ამზადებს თქვენს ოჯახში სადილს?

— ძალიან მრცხვენია ხოლმე ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა? კაცური საჭმელები მიყვარს — ხინკალი, მწვადი, კუპატი... თუ პირში გემო გაქვს, როგორ შეიძლება, ხინკალი და მწვადი არ გიყვარდეს? ყველაფერზე მეტად კი მაინც პური მიყვარს — ძალიან ბევრს ვჭამ. როდესაც საკუთარ თავს რაიმის გამო ვსჯი, პურის ჭამას ავიკრძალავ ხოლმე — ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი მსხვერპლშეწირვა. იაპონური სამზარეულოც მომწონს, სუში — ძალიან გემრიელი რამეა. ჩემი აზრით, ბევრს ვჭამ და ასეთივე „მჭამელი" მეგობრები მყავს, მაგრამ მე მათგან განსხვავებით, არ ვსუქდები. ნიკას ყველანაირი საჭმელი უყვარს, ამ მხრივ პრეტენზიული არ არის. აი, ტკბილეულზე კი გიჟდება — ოღონდ ტორტი, ნამცხვარი და შოკოლადი აჭამე, მეტი არაფერი უნდა. მისგან განსხვავებით, მე არ მიყვარს ტკბილეული, მხოლოდ თაფლს მივირთმევ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ამზადებს კერძებს — დამხმარე ქალი, რომელიც ჩვენი ოჯახის წევრია, ძალიან კარგი ხელი აქვს და უგემრიელეს სადილებს აკეთებს. აბსოლუტურად ვენდობი მის გემოვნებას — ვიცი, რაც არ უნდა გააკეთოს, გემრიელი იქნება.

ძალიან მრცხვენია ხოლმე ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა? კაცური საჭმელები მიყვარს

— აღმოჩნდა, რომ შენ და ნიკას განსხვავებული გასტრონომიული გემოვნება გაქვთ. კიდევ რაში არ ემთხვევა თქვენი გემოვნება ერთმანეთისას?

— მე 17 წლის ვიყავი, როცა დავქორწინდით, ნიკა — 18-ის. 11 წლის ცოლ-ქმარი ვართ. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ, გემოვნებაც ერთად ჩამოგვიყალიბდა და დავევხვეწა. ზუსტად ვიცი, ნიკას ვინ, რა და როგორი მოეწონება. თუ საჭმელს არ ჩავთვლით, ჩვენი გემოვნება აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთისას. ნიკას, როგორც უკვე ვთქვი, ტკბილეული უყვარს, მე — ცხარე მწარე და მჟავე, მოკლედ, ყველაფერი, რაც კი ნაღვლის ბუშტს და კუჭ-ნაწლავს ვნებს.

— შენ ხარ მუსიკალური გადაცემის — „პროფათეულის" წამყვანი და არ შეიძლება, შენი მუსიკალური გემოვნებითაც რომ არ დავინტერესდე...

— ჯაზის გარდა, აბსოლუტურად ყველანაირ მუსიკას ვუსმენ. მრცხვენია, ამას

ასე საქვეყნოდ რომ ვაღიარებ, მაგრამ ასეა... ერთხელ, როგორღაც ისე მოხდა, რომ ჯაზ-ფესტივალზე დასასწრები საკმაოდ ძვირად ღირებული ბილეთები შევიძინე. მთელი ერთი კვირა იძულებით დავდიოდი, ვიტანჯებოდი, მაგრამ დიდი თანხა მქონდა გადახდილი და მენანებოდა... იმის შემდეგ, ვინმე ჯაზს რომ ახსენებდა, მექანიკურად ყურებში თითებს ვიცობდი ხოლმე. ძალიან მიყვარს ქართული ფოლკლორი, გია ყაჩელის და ბიძინა კვერნაძის შემოქმედება. თანამედროვე ქართულ ესტრადაზე კი სასიამოვნოს ვერაფერს ვიტყვი...

— ნინო, ბევრი ჟურნალისტი „პირველი არხიდან" სხვა ტელეკომპანიაში გადავიდა სამუშაოდ. შენც ხომ არ აპირებ სახელმწიფო ტელევიზიიდან წასვლას?

— არა მგონია, ამ თვალსაზრისით რადიკალურად შემეცვალოს გემოვნება. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით არ ვაპირებ სხვა ტელევიზიაში გადასვლას, თუმცა მაქვს შემოთავაზებები... ძალიან მწყდება გული, ჩემი კოლეგები „პირველ არხზე" რომ აღარ მუშაობენ. ასეთი გადაწყვეტილება მათ ფინანსური დაინტერესების გამო მიიღეს და არა მგონია, ეს დასაძრახი იყოს. მე მიხარია მათი წარმატებები...

— ლიტერატურულ გემოვნებაზე რას გვეტყვი, რომელი მწერალი ან წიგნი გიყვარს განსაკუთრებულად?

— ძალიან მიყვარს გაბრიელ მარკესი, ამ ბოლო დროს წავიკითხე კოელიოს „ალქიმიკოსი", რომელიც ძალიან მომეწონა.

— სპექტაკლი, რომელმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შენზე...

— თეატრის დიდი მოყვარული ვარ. საზღვარგარეთ ყოფნისას, თუ საშუალება მაქვს, ვესწრები ხოლმე სპექტაკლებს. მაგალითად, ლონდონში თითქმის ყოველთვის მივდივარ მიუზიკლის სანახავად. სპექტაკლი, რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, „კავკასიური ცარცის წრეა". შემიძლია, რამდენჯერმე ვნახო და არ მომბეზრდეს. ძალიან მიყვარს კინოც. კინოთეატრ „ამირანში" ყოველ ხუთშაბათს არის პრემიერა, რომელსაც ყოველთვის ვესწრები. ახლახან ვნახე ფილმი „დოგვილი", სადაც ნიკოლ კიდმანი თამაშობს და აღფრთოვანებული დავრჩი.

— საჩუქრების მიძღვნა თუ გიყვარს და საჩუქრის შერჩევისას, ვის გემოვნებას ითვალისწინებ — შენსას თუ იმის გემოვნებას, ვისაც უძღვნი?

— ძალიან მიყვარს მეგობრებისთვის საჩუქრების ყიდვა და ამის გამო, ზოგჯერ მიბრაზდებიან ხოლმე — შენი გაუთავებელი საჩუქრებით უკვე გვაწუხებო. ძალიან კარგად ვიცი, როგორი გემოვნება აქვთ ჩემს მეგობრებს და იმას ვყიდულობ, რაც დარწმუნებული ვარ, რომ მოეწონებათ. ხშირად უცხოეთიდანაც ჩამომაქვს ხოლმე მათთვის რაღაც ნივთები, აქსესუარები, ტანსაცმელიც კი. მსიამოვნებს, ახლობელ ადამიანებს საჩუქრის სახით სიურპრიზს რომ ვუკეთებ. სხვათა შორის, ისიც ძალიან მიყვარს, როცა მე მაჩუქებენ რაიმეს. გახარებული იმდენ მადლობას ვიხდი, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვაგდებ ყველას.

— ნიკა რას გიძღვნის ხოლმე?

— საერთოდ, ძალიან ხელგაშლილია, მაგრამ საჩუქრებით მაინცდამაინც არ მანებივრებს. ძირითადად, სუნამოს და ყვავილებს მიძღვნის ხოლმე, მაგრამ მე ამითაც ბედნიერი ვარ. მე უფრო ხშირად ვყიდულობ მისთვის რაღაცებს, ზოგჯერ — ტანსაცმელსაც.

— მერე, მოსწონს შენი ნაყიდი ტანსაცმელი?

— ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებულია. ბოლო დროს, ავსტრიიდან ჯინსის ისეთი შარვალი ჩამოვუტანე (ცოტა დახეული და ცოტა ლაქებიანი), რომ მივხვდი, იმის ჩაცმა გაუჭირდებოდა... ამას წინათ, სულ ძალით ჩავაცვი. არადა, ჩემი აზრით, ფანტასტიკური, არაჩვეულებრივი შარვალია. ნიკას ჩაცმის სტილში საერთოდ არ ვერევი — როგორც უნდა, ისე უნდა ჩაიცვას.

— შენ თვითონ ჩაცმის როგორი სტილი გაქვს?

— სხვებზე ძალიან მომწონს კლასიკური სტილის ტანსაცმელი — მოკლე კაბა, დეკოლტე, კოსტიუმი და ა.შ. მაგრამ მე ყოველთვის ბიჭურად ვიცვამ და თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. ქალურ ტანსაცმელს რატომღაც ვერ ვიხდენ. მიყვარს ჭრელაჭრელა ტანსაცმელი, ყველაზე მეტად კი — წითელი ფერის. ჩემი ნაცნობებიდან ბევრი აღნიშნავს, რომ უცნაურად და ორიგინალურად ვიცვამ. შემიძლია, თავზე უცნაური ფორმის ქუდი დავიხურო და ქუჩაში ისე გავიდე ან დახეული ჯინსი ჩავიცვა. ხშირად ისე უცნაურად ვყოფილვარ ჩაცმული, რომ ხალხი პირღია დამიტოვებია. მეგობრებსაც კი გაჰკვირვებიათ ჩემი ასეთი ჩაცმულობა. ადრე უფრო უკვირდათ ხოლმე — ეს რეები გაცვიაო?! ახლა შეეჩვივნენ. ერთი მეგობარი მყავს, რომელსაც ყოველთვის კლასიკურ სტილში აცვია. ავსტრიიდან რომ ჩამოვედი, იქიდან ჩამოტანილი ტანსაცმელი ვუჩვენე, არაფერი მოეწონა. ბოლოს ვუთხარი — უი, როგორ დამავიწყდა, კიდევ ერთი კარგი მაისური ვიყიდე, მაიმუნი ახატია, ერთი ჭრელი ქუდი და უცნაური ფორმის ვარდისფერი სათვალეც ჩამოვიტანე-მეთქი. ოთახიდან სიტყვის უთქმელად გავიდა, ჩაიცვა ის მაისური, ქუდი დაიხურა, სათვალეც გაიკეთა, შემოვიდა და მკითხა: აბა, ერთი შემომხედე, ნორმალურ ადამიანს ვგავარ ახლა მეო?! რომ შევხედე, ცოტა არ იყოს, მართლა შემეპარა ეჭვი მის ნორმალურობაში *(იცინის)*. ვიფიქრე — დავიჯერო, მართლა ასე ჩაცმულ-დახურული დავდივარ ქუჩაში-მეთქი?! მეგობრები ხშირად მეტყვიან ხოლმე ვიღაცაზე — აი, შენსავით გიჟურად ეცვაო. ამ დროს სულაც არ ვთვლი, რომ უცნაურად ვიცვამ.

იქ ორი ცალი ჭრელი ნიღაბი ვიყიდე — ერთი დიდია, მეორე პატარა

— სამკაულები გიყვარს?

— არა, იშვიათად რომ რაიმე — საყურე ან ბეჭედი გავიკეთო. ყურები სამჯერ შემიხორცდა იმის გამო, რომ მავიწყდებოდა საყურის გაკეთება. ახლაც შეხორცებული მაქვს და მეოთხედ ნამდვილად აღარ გავიხვრეტ.

— ნინო, ბოლოს ისიც მითხარი, საზღვარგარეთ ყოფნისას შენ და ნიკა რას ყიდულობთ ხოლმე?

— ნიკა ვერ იტანს მაღაზიებში სიარულს. ამიტომ ფულს მაძლევს ხოლმე და მეუბნება — წადი და რაც გინდა, ყველაფერი თვითონ იყიდეო. მოგზაურობა ძალიან მიყვარს და ყოველთვის იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი რაიმე ნივთი ჩამომაქვს. ვენეციამ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე — ეს არის საოცრება წყალში. იქ ორი ცალი ჭრელი ნიღაბი ვიყიდე — ერთი დიდია, მეორე პატარა. ეს ნიღბები მისაღებში აწყვია და ყოველთვის ვენეციაში გატარებულ დღეებს მახსენებს... ■

www.shopge.com

გთავაზობთ იმას, რასაც სხვაგან ვერ შეიძენთ!

მზის ენერგიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენი

ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად ჩავარდნილა იმ უსიამოვნო სიტუაციაში, როდესაც მობილური ტელეფონის ელემენტი ჯდება მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება დაკავშირება სასწრაფო საქმეზე! განსაკუთრებით პრობლემატურია ზამთრის პერიოდი, როდესაც პრობლემები ელექტროენერგიის მოწოდებაში სისტემატურად ხელს გვიშლის მობილური ტელეფონის დატენვაში და ფაქტიურად კომუნიკაციის გარეშე ვრჩებით. იმავე პრობლემებს ვაწყდებით მაშინაც, როდესაც მივდივართ სათევზაოდ, სანადიროდ, ლაშქრობებზე და ა.შ. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ გთავაზობთ მზის ენერგიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენს. ეს პორტატული აპარატი საშუალებას გვაძლევს, მზის სხივების საშუალებით დავტენოთ მობილური ტელეფონი, ვამუშავოთ აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების ფლეერი. სხვადასხვა ტიპის 7 გადამყვანის საშუალებით იგი ტენის ყველა ტიპის მობილურ ტელეფონს; აქვს გასაშლელი ეკრანი და თავსდება ჯიბეში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისა იგი ტენის ასევე პატარა ელემენტებსაც. ამჯერად თქვენ სარგებლობთ მობილური ტელეფონით იმისგან დამოუკიდებლად, გაქვთ თუ არა ელექტროენერგია.

მრავალი დანიშნულების მქონე ბრელოკი (მანათობელი დიოდი) განათებით

ნათელი ცისფერი შუქით! მუდამ ხელთ გქონდეთ ჯიბეში, ჩანთაში თუ ბალიშის ქვეშ და ერთი ღილაკის დაჭერით გაინათეთ გზა.

ფუნქციები: ჩართვა-გამორთვის ღილაკი; ცისფერი, ნათელი, ბუნებრივი ფერის შუქი; სუპერ ნათელი LED ნათურა; ანათებს 2 მ-ის მანძლიზე; ელემენტი იცვლება (დამოკიდებულია მოხმარების ხანგრძლივობაზე); LED ნათურა ანათებს 10,000 საათს; გასაღების საკიდი; მსუბუქი და კომპაქტურია სატარებლად;

საუკეთესოა:

- საჩუქრად;
- სიბნელეში კიბის გასანათებლად;
- ლაშქრობისას;
- ექსტრემალურ სიტუაციებში.

მობილური ტელეფონის რადიაციისაგან დამცავი საშუალება - SAFE GUARD

ყველა თანამედროვე ადამიანს ემუქრება მცირე დოზით რადიაციული გამოსხივების მავნე ზემოქმედების საშიშროება. ყველამ ვიცით, როგორ მოქმედებს რადიაქტიული გამოსხივების შედეგები ადამიანის გონებასა და ორგანიზმზე. მცირე დოზით რადიაციას შეუძლია დააჩქაროს მოვლენები, რომლებსაც კიბომდე ან გენეტიკურ დაზიანებამდე მივყავართ.

ყოველდღიურ მოხმარებაში ხშირად ვაწყდებით საჭირო, მაგრამ ჩვენი ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთებს, მაგალითად, მობილური ტელეფონი, რომელიც მცირე დოზით გამოყოფს ჩვენი ორგანიზმისათვის მავნებელ გამოსხივებას. შეიძლება თუ არა შევამციროთ გამოსხივების შედეგები? ინტერნეტმაღაზია WWW.SHOPGE.COM ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე და გთავაზობთ მობილური ტელეფონის რადიაციისაგან დამცავ საშუალებას.

მობილური ტელეფონების დინამო დამტენი

თუ თქვენ დაგიჯდათ მობილური ტელეფონის ელემენტი ქუჩაში, გზაში ან ნებისმიერ ადგილას, მაშინ თქვენ გიხსნით მობილური ტელეფონების დინამო (ხელის) დამტენი. ეს პატარა საოცარი ხელსაწყო, რომელსაც ხელით ატრიალებთ 3 წუთის განმავლობაში, ტენის თქვენს ტელეფონს 10-წუთიანი სამუშაო რეჟიმისთვის. იგი შეუცვლელია ექსტრემალურ სიტუაციებში, წვიმიან დღეებში და საერთოდ ამ აპარატების საშუალებით თქვენ მუდამ კავშირზე იქნებით ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს!

ინტერნეტმაღაზია www.shopge.com გთავაზობთ ასევე სხვა საინტერესო პროდუქციას. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 33 30 63; 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტმაღაზია - www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-42

მომავალ ჟურნალისტს, დეა ავალიანს ბედი სასტიკად არ წყალობს. მამა ოჯახიდან წავა, ძმა, მკვლელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდება, ამდენი უბედურების მომსწრე დედამისი კი, ლოგინად ჩავარდება და მალე გარდაიცვლება კიდეც.

ბედის ანაბარად დარჩენილ დეას კანონიერი ქურდი გიგოლა დაეპატრონება და საყვარლად დაისვამს. ამის შემდეგ, ნებსით თუ უნებლიეთ, დეა გიგოლას ყველა ბნელი საქმის მოწმედ და ერთგვარ მონაწილედაც კი იქცევა.

ნარკობიზნესში ჩაბმულ გიგოლას თბილისში აღარ დაედგომება და საცხოვრებლად მოსკოვში გადავა. თუმცა, მანამდე, იქ დეას გახიზნავს და თავის ძველ საყვარელ ელასთან ჩაასახლებს.

ამის შემდეგ გიგოლა დეას პირად ცხოვრებასაც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს და მისით, ასე თუ ისე, დაინტერესებულ მამაკაცებს ნებისმიერი ხერხით იგერიებს. ამის მიუხედავად, დეას ორ მათგანთან — ბიზნესმენ გურამ ოდიშელიძესთან და ელას ვაუ დიმასთან ხანმოკლე ინტიმური ურთიერთობა მაინც ექნება.

დეას მოსკოვურ ცხოვრებაში გიგოლას თანამზრახველი, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარიძეც საკმაო როლს თამაშობს. ბადრის დეაზე თვალი სერიოზულად უჭირავს და, ამიტომ, თავის ახალგახსნილ ტელევიზიაში ტოკშოუს წაყვანას შესთავაზებს. გიგოლა ბადრის ვერაგულ ჩანაფიქრს ადვილად ხვდება, მაგრამ დეას მუშაობის ნებას მაინც დართავს.

პირველი გადაცემის ჩაწერის შემდეგ, დეას გიგოლა რესტორანში წაიყვანს, სადაც მას კილერები დახვდებიან. გიგოლა გოგონას რესტორანში დატოვებს, თავად კი კილერებს გარეთ გაიტყუებს, სადაც მაშინვე უმოწყალოდ დაცხრილავენ.

გიგოლა სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩება, მაგრამ მოგვიანებით, მკვლელები მის პალატაშიც შეაღწევენ და სასუნთქ აპარატს გამოურთავენ. ამის შემდეგ გიგოლა კომაში ჩავარდება და ექიმებს მისი გამოჯანმრთელების იმედი პრაქტიკულად გადაეწურებათ. ყველა და მათ შორის, ელა და დეაც კარგად ხვდებიან, რომ გიგოლას უბედურებაში ბადრი პატარიძის ხელი ურევია, მაგრამ მის წინააღმდეგ არანაირი რეალური სამხილი არა აქვთ.

ამასობაში, თავად პატარიძე უქმად წუთსაც აღარ კარგავს: საკუთარ სატელევიზიო ბიზნესს ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხზე აყენებს და დეასაც, როგორც ჟურნალისტს, გზას ყველანაირად უკაფავს. დეა ხვდება, რომ ადრე თუ გვიან, ბადრი ამ ყველაფრის საზღაურს მოსთხოვს, ამიტომ, როცა პატარიძე საკითხს პირდაპირ დაუყენებს: ჩემი როდის უნდა გახდეო?! პირში მიახლის: ფეხმძიმედ ვარ და სანამ ბავშვს არ გავაჩენ, არაფრის იმედი არ უნდა გქონდესო...

უცბად ბადრი პატარიძეს სახე ისე მოერღვა, თითქოს ვიღაც, ძალიან ახლობლის სიკვდილის ამბავი პირდაპირ მიახალესო.

— როგორ, ფეხმძიმედ?.. — ძლივსღა წამოიკნავლა მან. — ეს... ეს როდისღა მოასწარი?...

— თქვენი არ მიკვირს, ბატონო ბადრი? — კინაღამ სიცილი აუტყდა პატარიძის შემხედვარე დეას. — ამას რა მოსწრება უნდა?..

— ვისგან ხარ ფეხმძიმედ?.. გიგოლასგან?.. — კნავილს განაგრძობდა ბადრი.

— ო-ო... აი, ეს შედარებით კონსტრუქციული კითხვაა. ირონიულად გაეღიმა დეას. — მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენი ცხოველი ინტერესის დაკმაყოფილებას ვერაფრით შევძლებ...

— ვერ გავიგე?.. — საბოლოოდ გაოგნდა ბადრი. — ისიც კი არ იცი, ვისგან ხარ ფეხმძიმედ?..

— თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა არ ვიცი... — ხელები ვითომ დანანებით გაშალა დეამ. — საქმე ისაა, რომ იმ მოკლე პერიოდში, საიდანაც, საკარაუდოდ, ჩემი ფეხმძიმობის ათვლა უნდა დავიწყოთ, ერთმანეთის მიყოლებით, სამ მამაკაცთან მქონდა კავშირი. ასე რომ, მამობის დასადგენად, თუ, რა თქმა უნდა, ამის აუცილებლობა საერთოდ დადგა, სამივეს დნმ-ს შემოწმება მომიწევს..

— დნმ-ბნმ არ ვიცი მე! — ხმას აუწია ბადრიმ. — გამოდის, რომ თავად მართლა არ გაინტერესებს, ვინ არის შენი შვილის

მამა?.. — ყურებს მაინც არ უჯერებდა ბადრი.

— არა! — უცბად თვალებში სიბრაზის ნაპერწკალი გაუჩნდა დეას. — მთავარია, რომ ის ბავშვი ნამდვილად ჩემი შვილი იქნება!

— იქნება? — სკამიდან გიჟივით წამოხტა ბადრი, თუმცა მაშინვე მოწყვეტით დაჯდა და დეას ისე მიაშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო. — შენ რა?!. მაგ ბავშვის გაჩენასაც აპირებ?!. ხომ არ გაგიჟდი?!.

— ჩემი ღრმა რწმენით, ბატონო ბადრი, — სკამიდან წამოიწია დეაც და თან, პატარიძეს თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა, — გიჟები ის ქალები არიან, ვინც შვილის გაჩენაზე უარს საკუთარი ნებით ამბობენ!

დეას ბოლო სიტყვებზე ბადრი უკან ტყვიანაკრავივით გადაქანდა და მაშინვე გულზე ხელიც იტაცა:

— დეა, ძვირფასო, გესმის, რას ამბობ?!. რა დროს შენი ბავშვია?!. მერე ჩვენი პროექტი?!. მერე შენი შოუ?! ხომ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება?!.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ნამდვილად ვერაფრით დაგეხმარებით. — ფეხზე წამოდგა დეა. — ჩემი წასვლის დროა...

— მოიცა! — ხელი ისე აიქნია ბადრიმ, თითქოს უსიამოვნო ფიქრის გაფანტვას ცდილობსო. — მეც წამოვალ... მარტო ხომ ვერ გაგიშვებ?..

რესტორნიდან ელას სახლამდე საკმაოდ სავალი იყო, მაგრამ მანქანაში ჩამოწოლილ უხერხულ დუმილს კარგა ხანს, მაინც, არც ერთი არ არღვევდა. ბოლოს, ისევ ბადრიმ გარისკა, ერთი ნერვიულად ჩაახველა და დაიწყო:

— მომისმინე, გოგონი, იცოდე, არაფერი დამიმალო...

— რას ამბობთ, ბატონო ბადრი! — პატარიძის დაძაბულ პროფილს თვალი დაცინვით შეავლო დეამ. — საკუთარი ნებით უკვე იმხელა საიდუმლო გაგანდეთ, რომ ამის შემდეგ, რაღა უნდა დაგიმალოთ?..

— არა, არა! — ხელი ისევ უცნაურად აიქნია ბადრიმ. — ეტყობა, მთლად გასაგებად ვერ გკითხე...

— მერე რა პრობლემაა?.. ელას სახლამდე ჯერ კიდევ შორსაა... ასე რომ, ბოლომდე ჩამოაყალიბეთ, რისი კითხვა გსურთ და ისე მკითხეთ. — შეაგულიანა დეამ.

უცბად ბადრიმ მანქანა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ დეა კინაღამ შუბლით წინა მინას მიენარცხა. პატარიძე კი მისკენ მთელი ტანით შემობრუნდა და თვალი თვალში ბოროტად გაუყარა:

— მისმინე, გოგონი, მე ნამდვილად აღარ მეხუმრება და მთლად სახუმაროდ, მგონი, არც შენ უნდა გქონდეს საქმე. ასე რომ, სიმართლე მითხარი, გიგოლამ თუ იცოდა ეს ამბავი?

— რატომ იცოდა?.. იცის! — თვალიც კი არ დაუხამხამებია, ისე იცრუა დეამ, და მაშინვე ყურებამდეც გაწითლდა, მაგრამ ბადრის ამისთვის ყურადღება, რატომღაც, აღარ მიუქცევია, ისე განაგრძო:

— ისიც იცის, რომ...

— არა! — ერთ ტყეულს მაშინვე მეორე მიუმატა დეამ, — გიგოლა დარწმუნებულია, რომ მისგან ვარ ფეხმძიმედ.

— მერე?.. არ გეშინია?

— რისი?

— იმის, რომ ვიღაცამ გიგოლას სიმართლე გადმოულაგოს?

— ხუმრობთ, ბატონო ბადრი? მართლა ხომ არ დაგავიწყდათ, რომ გიგოლა კომაშია ჩავარდნილი?

— ნამდვილად არ დამვიწყნია. — ბოროტად გაეღიმა ბადრის. — შენ, ჩემო ლამაზო, თითქოს, ყველაფერი კარგად გათვალე, მაგრამ ერთი სერიოზული „ასეჩკა“ მაინც მოგვიდა?

— მაინც, რა „ასეჩკაზე“ ლაპარაკობთ? — დაინტერესდა დეა.

— იმაზე, ჩემო ცუგრუმელავ, რომ გამორიცხული არაა, გიგოლა კომიდან გამოვიდეს. თუმცა, სიმართლის გაგება მანამდეც შეუძლია... როგორც ექიმები ირწმუნებიან, კომაში მყოფ ადამიანს ყველაფერი ესმისო...

— აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე... — დაფიქრდა დეა. — მერედა, რატომ გგონიათ, ბატონო ბადრი, რომ მხოლოდ თქვენ იცით სიმართლე და მე კი ვერაფერს ვუჩურჩულებდი გიგოლას ყურში?..

— შენ რაღა გაქვს სათქმელი? — აგდებულად ჰკითხა ბადრიმ.

— თუნდაც ის, თუ ვინ და რატომ შეუკვეთა გიგოლას მკვლელობა!

— არ მითხრა ახლა, მართლა რამე ვიციო. — ხმაში შეშფოთება დაეტყო ბადრის.

— რა თქმა უნდა, არ ვიცი. — ბადრის შეშფოთება არ გამოჰპარვია დეას. — მაგრამ მთელი მარილიც სწორედ ამაშია. ავდგები და ვისაც მინდა, იმას დავაბრალებ...

— კარგი რა! — გააწყვეტინა ბადრიმ. — მოვრჩეთ ამ სისულელეებს და საქმეზე გადავიდეთ...

— რომელ საქმეზე?

— რას ჰქვია, რომელზე?.. — იტკიცა ბადრიმ. — შენ რა?.. ყველა სიკეთესთან ერთად შოუდან წასვლასაც ხომ არ აპირებ?

— მართალი გითხრათ, ჯერ არ ვაპირებდი, მაგრამ ისე გამირისხდით, რომ ალბათ ახლავე მომიწევს.

— არც იფიქრო! — ხელები გაასავსავა ბადრიმ. — ფეხმძიმე წამყვანები არ გინახავს თუ რა?.. როგორც კი მუცელი ოდნავ დაგეტყობა, გარდერობს გაგიახლებთ. მერე კი თუ გინდა, საერთოდაც, დამჯდარმა წაიყვანე შოუ... უკვე ისეთი პოპულარული ხარ, რომ სტუდიაში რომც წამოწვე, მაყურებელი მაინც არ მოგაკლდება... ასე რომ, მოვრჩეთ რა... როგორც იტყვიან, შენც — სუ! მეც — სუ!

ამასობაში ელას სახლიც გამოჩნდა და ბადრიმ მანქანა პირდაპირ სადარბაზოში ამავალ კიბესთან გააჩერა, მაშინვე გადახტა, მანქანას შემოურბინა და დეას კარი გამოუღო.

— ჰო, მართლა... — ხმადაბლა გადაულაპარაკა შემდეგ მანქანიდან გადასულ დეას. — ერთი სათხოვარიც მექნება...

— ბრძანეთ, ბატონო ბადრი... — ხმას დაუწია დეამაც.

— შენი ფეხმძიმობის ამბავს ძალიანაც ნუ გააბაზრებ... განსაკუთრებით სტუდიაში არ მინდა, დროზე ადრე რომ გაიგონ...

— „დროზე ადრე“-ში მაინც რას გულისხმობთ? — დაინტერესდა დეა.

— ახლა, ნუ... — უხერხულად შეიშმუშნა ბადრი. — სანამ მუცელი არ დაგეტყობა, რა...

— კარგი, სანამ მუცელი ცხვირთან არ ამომივა, არაფრით გამოვტყდები... — ერთხელ კიდევ წაისისინა დეამ და კიბეს აუყვა...

— სადა ხარ ამდენ ხანს? — კარის გაღებისთანავე ეცა ელა დეას და მაშინვე სამზარეულოში შებრუნდა. — დიმას ველაპარაკე... ამ წუთში დავდე ყურმილი...

— აბა, რა ვიცოდი? — უკან დაადევნა დეამაც. — არ უთქვამს, კიდევ როდის დავრეკავო?

— მე დავურეკე... დიმას სადა აქვს აქ დასარეკი ფული... დედა მოუკვდეს... — აკვნესდა ელა. — ცოტა მეტი ფული რომ მქონდეს, ყოველდღე დავრეკავდიო, კი წაიწუწუნა, მაგრამ რა ვუყო?.. როგორც შემიძლია, ისე ვეხმარები...

— იქნებ, დიმასთვის ცოტა ფული მეც გამეგზავნა?.. — გააწყვეტინა უცბად დეამ.

— შე-ენ? — გაუკვირდა ელას. — რას

ამბობ, ბავშვო?.. ჯერ შენ დიმასთვის გასაგზავნი ფული ვინ მოგცა?

— ჯერ — არა, მაგრამ ბატონმა ბადრიმ მითხრა, სულ მალე, ჩვენს შოუს იმხელა შემოსავალი ექნება, რომ თავიდან ფეხებამდე ფულში ჩაგფლავო...

— თავიდან ფეხებამდე თვითონ ჩაეფლოს, ოღონდ — მიწაში! — ბადრის ხსენებისთანავე გაწიწმატდა ელა. — ოღონდ, მაგის ჩაძაღლების ამბავი გამაგებინა და მერე თუნდაც მეც მომკლან!.. რაო, მაგ ახვარმა, ასე კარგია გიგოლას სისხლზე ფულის კეთებაო?..

— გიგოლას სისხლზე? — შეკრთა დეა.

— აბა, რა!.. დღეს, სამსახურის მერე, საავადმყოფოში გამოვიარე და...

— მერე? — გააწყვეტინა დეამ. — გიგოლა როგორ არის? არაფერი ესმის...

— გიგოლას რა უჭირს?.. თავისთვის მაინც წევს და — სიმწრით გაეღიმა ელას. — აი, ბიჭები კი გიჟებს ჰგვანან.

— რა მოუვიდათ?

— ვიღაც „სოლნცევოელი“ ბანდის წევრი აუყვანიათ და იმას უთქვამს, ნამდვილად ვიცი, გიგოლაზე თავდასხმის მოწყობაში ბადრის ხელიც ურევიაო...

— მართლა? — გაუკვირდა დეას, მაგრამ მაინც დასძინა: ისე, ალბათ, ვიღაც ბანდიტის ნათქვამით ბადრის განსჯა მაინც ძნელია... იქნებ, ეს ყველაფერი სულაც თავის დაძვრენის მიზნით მოიგონა?..

— თავის დაძვრენის მიზნითო?.. რას ამბობ, ბავშვო?.. ხომ არ გადაირიე? — შეიცხადა ელამ. — იმას დღის სინათლეს ვინღა აღირსებდა?

— აბა, რა უქნეს?.. მოკლეს? — თვალები შიშით გაუფართოვდა დეას.

— მოკლეს. — უგერგილოდ დაუდასტურა ელამ. — თანაც, თუ არ ვცდები, თემომ და ჯაბამ... ცემაში ამოხადეს სული...

— რა-ა? თემომ კაცი მოკლა?.. — ხმა ჩაუწყდა დეას, ჩურჩულზე გადავიდა და სამზარეულოს მაგიდასთან მდგარ სკამზე მოწყვეტით დაეცა.

— კაცი მოკლაო? — მაშინვე თავზე წამოადგა დოინჯშემოყრილი ელა და თან, ისე დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. — ისე შეიცხადე, თითქოს შენი თემო თბილისის ციხეში ჩიტის მოკვლისთვის იჯდა...

— თემოს თბილისში ნამდვილად არავინ მოუკლავს. უბრალოდ, გააბრიყვეს და იმ ბიჭის მკვლელობა საკუთარ თავზე ააღებინეს... — მაინც არ ცხრებოდა დეა.

— მაშინ რა იყო, არ ვიცი, მაგრამ ახლა ნამდვილად არავის გაუბრიყვებია. ის კი არა და, ბიჭები ამბობდნენ, მკვდარიც კი ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდანო...

— დედა, დედიკო! — ამოიკვნესა უცბად დეამ და თავი ხელებში ჩარგო. — ეს რა ხდება ჩვენს თავს?.. ამისთვის გვზრდიდი?.. ამისთვის მოიკალი თავი?..

ელა დეას ცოტა ხანს შემცბარი უსმენდა. შემდეგ გულმა აღარ მოუთმინა, დაიხარა და თავზე ხელი მზრუნველად გადაუსვა:

— კარგი, ჰო... დაწყნარდი... რას იზამ?.. ეს ცხოვრება ვისთვის დედაა და ვისთვის — დედინაცვალი... იცი, ამ ქალაქში რამდენი ჩვენზე უბედური დადის?!.

— არ ვიცი, ვინ სად დადის, — თავი ასწია თვალცრემლიანმა დეამ, — მაგრამ მე კი ნამდვილად ვეღარ ვუძლებ... ხანდახან ვფიქრობ, ბავშვი რომ არ მაკავებდეს...

— რომელი ბავშვი, ბავშვო? — ჯერ გაუკვირდა და მერე თვალებში სიხარული ჩაუდგა ელას. — არ მითხრა ახლა, ფეხმძიმედ ვარო...

— ჰო, ვარ... — წამოიკვნესა შემცბარმა დეამ და ასლუკუნდა.

ელამ დეა მაშინვე გულში ჩაიკრა და პატარა ბავშვივით დაარწია.

— შენ შემოგევლოს ელა, ჩემო მერცხალა გოგო!.. გამოდის, რომ ჩემი დიმა მალე — მამა, მე კი ბებია გავხდები?!.

— საქმე ისაა, რომ... — ელას მკლავებიდან თავი ნელ-ნელა გამოითავისუფლა დეამ. — ეს ბავშვი...

— არ მითხრა ახლა, გაჩენას არ ვაპირებო! — გადაირია ელა.

— არა, რას ამბობთ? — ორივე ხელი მკერდქვეშ მიიფარა დეამ. — ეგ არც მიფიქრია.

— აბა, დანარჩენს მოევლება... — ისევ გამხიარულდა ელა. — ახლავე დიმას დავურეკავ და ვახარებ...

— არა, ელა დეიდა, ჯერ — არა! — შეშფოთდა დეა.

— გითხარი, დეიდა აღარ დამიძახოთ-მეთქი?!

— მეტს აღარ დაგიძახებთ, ოღონდ, დიმას დღეს არ დაურეკოთ.

— აბა როდის?

— ხვალ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა დეამ. — ჰო, ხვალ ჯობია...

— იქნებ, შენ თვითონ გინდა, ახარო?..

— ჰო, მინდა... — წყალწაღებულივით ხავს ჩაეჭიდა დეა. — ოღონდ, დღეს არა... თემოს ამბავმა ისე დამთრგუნა, რომ ახლა სხვაზე ვეღარაფერზე ვფიქრობ...

— კარგი, ბავშვო, როგორც შენ იტყვი... — როგორც იქნა, დაშოშმინდა ელა. — ეს რომ მცოდნოდა, იმ „სოლნცევოელის“ მოკვლის ამბავს შენთან საერთოდ არ ვახსენებდი...

მეორე დილით, სტუდიაში რამდენიმე წუთის დაგვიანებით მისული დეა, ბადრი პატარიძემ კინაღამ გულში ჩაიკრა:

— სადა ხარ, სიცოცხლევ?.. გადამრია ფიქრებმა!.. ხომ მშვიდობაა?

— ომი რომ დაწყებულიყო, ამის გაგებას თქვენ ვინ დაგასწრებდათ, ბატონო ბადრი?.. — მაშინვე წაუსისინა დეამ.

— მაინც, რა მწარე ენა გაქვთ ჟურნალისტებს ჰა?.. — თავი ვითომ ბრაზიანად გადააქნია ბადრიმ. — მე კი, იცი, რომ სასიამოვნოზე სასიამოვნო სიურპრიზი მოგიმზადე?..

— რა სიურპრიზი? — გაუკვირდა დეას.

— რა გიკვირს?.. გგონია, სიურპრიზების გაკეთება მარტო შენ გეხერხება? — დეას ჯერაც შეუმჩნეველ მუცელს თვალი ჩაატეხა ბადრიმ.

დეამ ინსტინქტურად, ორივე ხელი მუცელზე მიიფარა და ისე უპასუხა:

— ბატონო ბადრი, ეს სიურპრიზი კი არა, უკვე ხელშესახები ფაქტია.

— ჩემი სიურპრიზიც ძაან-ძაან ხელშესახებია. — ხელი მოხვია ბადრიმ დეას. — შემოდი ერთი, ჩემთან...

ბადრი პატარიძის კაბინეტში შესულმა დეამ ერთ-ერთ კუთხეში, სადაც ბოლო დრომდე მოზრდილ ქოთანში ჩარგული ძალიან ლამაზი ეგზოტიკური მცენარე იწონებდა თავს, ახლა უზარმაზარი სეიფი დაინახა და ბადრის გაოცებულმა გადახედა:

— ხე რა იქნა?

— რომელი ხე? — დაიბნა ბადრი. — ა-ა?.. ხე-ე?.. მთავარ ბუღალტერს ვაჩუქე... და, საერთოდ, რა დროს ხეა, საყვარელო, შენ ამ სეიფს შეხედე!..

— შევხედე... სეიფი ნამდვილად შთამბეჭდავია...

— ახლა ცოტა ხანს დავჯექი!

დეა პატარიძის სამუშაო მაგიდის წინ მდგარ ერთ-ერთ სკამზე ნელ-ნელა ჩამოჯდა. ამასობაში, ბადრიმ ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო, სეიფის საკეტები ერთმანეთის მიყოლებით დახსნა და მის მძიმე კარს მთელი ძალით დაეჯაჯგურა. კარი ყრუ ხმაურით გაიღო. ბადრი მაშინვე განზე გადგა და დეას სეიფის ზედა თაროზე საკმაოდ მჭიდროდ დაწყობილი

დოლარების შეკვრები დაანახვა:

— ამას ხედავ?

— ვხედავ. — მშვიდად უპასუხა დეამ.

— მალე დანარჩენი თაროებიც ასე შეივსება.

— მერე?

— მერე?.. ხომ გითხარი, ფულებში გაბანავებ-მეთქი!.. ჰოდა...

— თქვენ მითხარით, ჩაგფლავო... — გააწყვეტინა დეამ.

— ცოტა ხანში, აღარც ერთი გამიჭირდება და აღარც მეორე. — ხელები საქმიანად მოიფშვნიტა კმაყოფილმა ბადრიმ, ისევ საწერ მაგიდას მიუჯდა და დეას მსუნაგად მიაშტერდა: ოღონდ, ერთი პირობით...

— რა პირობით?

— იმ პირობით, ჩემო საყვარელო, რომ... — მაგიდის პრიალა ზედაპირს ხელი მზრუნველად გადაუსვა ბადრიმ, — ექვსი თვის შემდეგ, ამ კაბინეტში, პირდაპირ ამ მაგიდაზე... მე და შენ... ნუ... ბავშვი აღარა ხარ და გესმის, რასაც გავაკეთებთ...

— პირდაპირ აქ? — თვალით მაგიდას სიგრძე-სიგანე გაუზომა დეამ და თან, იგრძნო, როგორ წამოაზიდა, ამიტომ ნერწყვი რის ვაი-ვაგლახით გადაყლაპა და მაინც მშვიდად დააყოლა: ეს მაგიდა, პირადად მე, ბატონო ბადრი, ცოტა ვიწრო და ზედმეტად მაგარიც მეჩვენება...

— შეიძლება... — აქირქილდა ბადრი. — მაგრამ სამაგიეროდ, ამის შემდეგ — მაგიდას ხელი საქმიანად დაუტყაპუნა. — აღარც ფული მოგაკლდება და აღარც...

— ფული, რა თქმა უნდა, — „მწვანეებში“ იქნება... — საუბრის თემა მშვიდად შეცვალა დეამ.

— რა თქმა უნდა... — მაშინვე აიტაცა ბადრიმ.

— მაშინ დანარჩენზე შეთანხმება არ გაგვიჭირდება. — სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა დეა. — ახლა კი, თქვენის ნებართვით, საქმეს მივხედავ.

— მოიცა! — ფეხზე წამოიჭრა ბადრიც. ორ ნაბიჯში სეიფთან გაჩნდა, ზემო თაროდან დოლარების რამდენიმე შეკვრა დაითრია და დეას გაუწოდა: — ეს, როგორც რუსები იტყვიან, Только на мелкие расходы... ხელფასს კი, კვირის ბოლოს, ბუღალტერთან აიღებ...

— გმადლობთ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა დეამ და, ბადრის მიერ გამოწვდილ დოლარების დასტას ორივე ხელი შეაგება, რითიც ბადრიმ მაშინვე ისარგებლა, დეას მკლავები შემოხვია და ტუჩებზე დააცხრა...

პატარიძის მკლავებში მომწყვდეული დეა მიხვდა, რომ ხელმეორედ დაწყებულ გულისრევას ვეღარაფრით შეაჩერებდა და, ამიტომ, როგორც კი ბადრიმ წამით ხელი უშვა, პირიდან წამოსული ნიაღვარი პირდაპირ მის ძვირფას პიჯაკზე მიუშვა...

ამ ფრიად საჩოთირო ინციდენტის შემდეგ ბადრი პატარიძეს დეაზე ფიზიკური იერიში აღარ მიუტანია, მაგრამ სიტყვიერად, პრობას ხშირ-ხშირად ახსენებდა ხოლმე, მაგრამ ასევე ყოველთვის დადებით პასუხსაც იღებდა და აშკარად კმაყოფილი და ცოტა არ იყოს, გაფხორილიც კი გაეცლებოდა ხოლმე.

ამასობაში კი დეას მუცელი და პოპულარობა თითქმის ერთნაირი სიჩქარით იზრდებოდა. რვა თვის თავზე მუცელმა თითქმის ნიკაპამდე, პოპულარობამ კი აშკარად ზენიტს მიაღწია. დეას უკვე ყველგან ცნობდნენ და ავტოგრაფის თხოვნასთან ერთად, ბედნიერ მოლოგინებასაც გულით უსურვებდნენ... ერთი-ორჯერ სტუდიაში უსიამოვნო ზარიც გაისმა. ვიღაც მამაკაცმა ყურმილში ბოროტად ჩაიღმუილა: Уберите вашу пузатую сучку с экрана, а то за себя не отвечаю!.. მაგრამ რეჟისორი დეას ტელეფონთან ძველებურად არ უშვებდა. Пусть лает! — ამშვიდებდა ის დეას, — Любой звонок в студию, только реклама!..

თავად დეა კი, ბადრის უშუალო მითითებით, ვის აღარ უწევდა რეკლამას. მისი შოუს სტუმრები ხან მილიონერი, ხანაც სრულიად დამწყები ბიზნესმენები, სახელგანთქმული მსახიობები, შოუბიზნესის და, არცთუ იშვიათად, შავი სამყაროს წარმომადგენლებიც იყვნენ. მათთან ურთიერთობაში, დეა, როგორც ჟურნალისტი, დღითი დღე იზრდებოდა, იხვეწებოდა და როგორც ბადრი პატარიძე თავისი ჭკუით, მოსწრებულად შენიშნავდა ხოლმე „ივაგებოდა“ კიდეც... დეას ეს სიტყვა გულზე ხვდებოდა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ კარიერას, რომელსაც მას ბადრი უმზადებდა, ეს სიტყვა ყველაზე ზუსტად მიესადაგებოდა...

ამასობაში, დროც გადიოდა და დროებით თუ სამუდამოდ მეორე პლანზე გადაწეული გიგოლა, დეას სულ უფრო იშვიათად ახსენდებოდა. თუმცა, მისი შიში უწინდებურად ჰქონდა. ამიტომ, როგორც კი ექიმებმა ახლობლებს გიგოლას პალატაში შესვლის ნება დართეს, ელას შემდეგ ეს უფლება ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა. უძრავად მწოლი გაფითრებული გიგოლას ნახვამ დეა იმდენად დათრგუნა, რომ კარგა ხანს, საავადმყოფოს სათოფეზეც აღარ ეკარებოდა. მაგრამ შემდეგ თავს მაინც მოერია და გიგოლას საწოლთან, ზოგჯერ რამდენიმე საათსაც კი ატარებდა და თან, რაღაცას ხმადაბლა ეჩურჩულებოდა.

ერთხელ, ჩურჩულში გართულ დეას გიგოლას მკურნალი ექიმი თავზე შეუმჩნევლად წამოადგა და ყურადღების მისაქცევად, მორიდებით ჩაახველა. დეა ფეხზე ისეთი დაფეთებული წამოხტა, რომ ექიმმა, იმის შიშით, გული არ შეუღონდესო, სასწრაფოდ ხელი შეაშველა.

– Ради Бога, простите, если случайно напугал. – დაიწყო მან მობოდიშება – но больному пора отдохнуть...

– Да, да, конечно... – დაბნეულად უპასუხა დეამ და პალატა სასწრაფოდ დატოვა, თუმცა, სანამ დერეფნის ბოლომდე მივიდოდა, ექიმი ისევ წამოეწია და, თითქოს, სხვათა შორის გადაულაპარაკა:

– А вы знаете, что наш больной на ваше присутствие както особенно реагирует... А это уже первый шаг к выздоровлению...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უმა თურმანი:

მან არა მარტო ჩვენს სიყვარულს, არამედ შვილებსაც ულალატა...



ეტან ჰოუკმა ერთი ნახვით შეიყვარა უმა და გულიც ასევე მოულოდნელად გაუცივდა...

„ეტან ჰოუკი და უმა თურმანი იყრებიან!“ — ასე დასათაურებული წერილით დამშვენებული გაზეთი ჰოლივუდის ერთ-ერთმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა ქალმა თავისი სახლის კარის ზღურბლზე ერთ დილას აღმოაჩინა. სტატიას თან ერთვოდა მისი მეუღლისა და გრძელფეხება, ქერათმიანი ქალის ფოტოსურათი...

მისი ცხოვრების მამაკაცები

როცა ქმარი კანადაში მიმდინარე გადაღებებიდან დაბრუნდა, უმა თვალის ერთი შევლებითაც მიხვდა ყველაფერს: ის ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც 7 წლის წინ — ე.ი. როცა მათ — უმასა და ეტანს პირველი პაემნები ჰქონდათ... მსახიობებმა ფანტასტიკური ფილმის — „გატაკას“ გადასაღებ მოედანზე გაიცნეს ერთმანეთი. ჰოუკი მას, როგორც ღვთაებას, ისე შესცქეროდა და ირგვლივ მეტს ვეღარავის ხედავდა. „ეტან! — მიმართავდნენ მას, — როგორი გათიშული ხარ?! რა მოხდა — შეყვარებული ხომ არა ხარ?“ თურმანი მართლაც, საუცხოოდ გამოიყურებოდა. მასზე, როგორც საოცრად დახვეწილი სილამაზის ქალსა და ჰოლივუდის ახალ სუპერვარსკვლავზე, ისე ლაპარაკობდნენ. მის თაყვანისმცემელთა რიგში კი, მიკ ჯაგერსა და

რობერტ დე ნიროსაც ასახელებდნენ. ამ უკანასკნელთან უმას მართლაც ჰქონდა რომანი. დე ნირო პირველი ნახვისთანავე მოაჯადოვა ქერათმიანმა ლამაზმანმა, რომელიც დღემდე რჩება ერთადერთ თეთრკანიან ქალად მის შეყვარებულთა ვრცელ ნუსხაში...

მასთან შეხვედრამდე, უმას გერი ოლდმენთან ქორწინება და გაყრა უკვე მოესწრო. მათ წელიწად-ნახევარი გაატარეს ერთად და მშვენიერი ქალბატონი დღემდე არაფერს ჰყვება პირველ ქმართან თავისი ურთიერთობის შესახებ. განმარტოების ჟამსაც, მხოლოდ საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილს, არ უყვარს გერის ლოთობის გახსენება. მან დიდხანს უთმინა ქმარს, მაგრამ ბოლოს, მაინც მიიღო გადაწყვეტილება — ადგა და წავიდა. მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა გერის კიფერ საზერლენდთან ერთად, მორიგი ქეიფი ჰქონდა გაჩაღებული, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის გამო, ოლდმენის დაპატიმრებით დაგვირგვინდა.

...ცხოვრებისთვის ფხიზელი თვალით ყურება თურმანს მისმა მშობლებმა ასწავლეს. მამამისი — პროფესორი, ბუდისტი ბერი და დალაი-ლამას მეგობარი გახლდათ, დედა ოდესღაც მოდელად მუშაობდა. 15 წლის ასაკში უმა სკოლიდან გამოვიდა, რათა მოდელობა ეცადა და კინოეკრანისკენ გზა გაეკაფა. 19 წლის თურმანი ლონდონში აღმოჩნდა, სადაც ფილმში — „სახიფათო კავშირები“ გადაიღეს. 30 წლის ასაკამდე კი, მას უკვე 20-ზე მეტი როლი დაუგროვ-

და, თუმცა მათგან ორით — „მაკულატურასა“ და „გატაკაში“ შესრულებული ნამუშევრებით დაამახსოვრდა მაყურებლებს.

„მეტისმეტად დიდხანს ვცოცხლობდი საკუთარი თავისთვის...“

სწორედ მაშინ შეხვდა ეტან ჰოუკს და... სამი წლით გაქრა საზოგადოების მხედველობის არიდან. წყვილმა ქორწინებაც საიდუმლო ვითარებაში გააფორმა. ცერემონია ნიუ-იორკის წმ. იოანეს ტაძარში გაიმართა. უმა უკვე ორსულად იყო და ვერა ვონგის ბრწყინვალე კაბაში გამოწყობილი წარდგა დამსწრეთა წინაშე. მალე მან გოგონა — მაია რეი გააჩინა, ოთხი წლის შემდეგ კი, ბიჭი — რონი. მანამდე, თურმანი არასოდეს ყოფილა ამდენად ბედნიერი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან აღნიშნა: „ეტანთან შეხვედრასა და შვილის გაჩენამდე, ძალზე დიდხანს მხოლოდ საკუთარ თავს ვეკუთვნოდი და ამის გამო ჭკუაზე არ ვიყავი. ასე გაგრძელება უბრალოდ, აღარ შემეძლო... ჩემს ქმარზე კი, ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ის ყველაზე დადებითი ადამიანია მათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია ცხოვრებაში“.

...და აი, უმამ შეიტყო, რომ კანადაში გადაღებისას, „მისი ქმარი“ გადაეყარა ვიღაც მოდელს, რომელსაც ჯენ პერეზი ჰქვია.

„მომბეზრდა მისი ტყუილების მოსმენა!“

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იმ დროს, თურმანიც კანადაში იმყოფებოდა, ოღონდ — ოკეანის მეორე მხარეს — ვანკუვერში, სადაც მას ბენ აფლეკთან ერთად იღებდნენ ფილმში. ეტანი მასთან

უქმეებზე ჩაფრინდა, უმა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი იცოდა. წასვლისას ჰოუკმა ჰკითხა: „უწინდებურად მენდობი თუ არა?“ უმამ თავი დაუკრა.

როცა ეტანის თვითმფრინავი ცაში აიჭრა, ქალმა იფიქრა, რომ ეს რომანი ხანმოკლე, ერთი პაემნის მსგავსი რამ იყო — სხვა შემთხვევაში, რატომ ჩამოფრინდებოდა მასთან ქმარი ორი დღით?!. მაგრამ სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, მას კარის ზღურბლთან დახვდა გაზეთი, რომლის წერილშიც თვითმხილველები ჰყვებოდნენ, თუ როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს ეტანი და ჯენი... მათი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ პრესა მთელი ზაფხულის მანძილზე წერდა.

მაგრამ მას მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა გაზეთებში გამოქვეყნდა საყვარლების გულახდილი ინტერვიუები, სადაც ისინი ლაპარაკობდნენ, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ, უმა სექსისადმი გულგრილი გახდა, ამიტომ ეტანის შებმა ძალზე ადვილი იყო... უმამ თავს შეუძახა — „კმარა!“ — ზუსტად ისე, როგორც 15 წლის წინ, როცა ოლდმენისგან წავიდა. მან ყველაფერი ერთ ღამეში გადაწყვიტა. თურმანმა ქმრის ტელეფონის ნომერი აკრიბა და მის ავტომოპასუხეზე ასეთი შეტყობინება დატოვა: „გაზეთებში წავიკითხე, რომ გეყრები. თანახმა ვარ. ჩემი ადვოკატები ყველა საჭირო დოკუმენტს მოამზადებენ. დარეკვა საჭირო არ არის“... ■



სნიაფი და ეკონომიური Opel-ი

ამერიკული GM-ის გერმანული კომპანიის ინჟინრებმა შექმნეს ექსპერიმენტული ავტომობილი Speedster, რომელიც საუცხოო ჩქაროსნული მახასიათებლებითა და დიდი ეკონომიურობით ხასიათდება. სერიული Speedster-ისგან ის ძარის კონსტრუქციით გამოირჩევა: ახალი ვერსია კარბონისა და ალუმინისგანაა დამზადებული. ამის წყალობით, მნიშვნელოვნად შემცირდა მანქანის მასა – ექსპერიმენტული ვარიანტი სულ 660 კგ – ე.ი. სერიულზე 146,5 კგ-ით მსუბუქია. მანქანა აღჭურვილია 1248 კუბ სმ-ის მოცულობის ძრავათი, რომელიც სადღეისოდ, მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის დიზელია და Opel Corsa-სა და Opel Agila-ში იყენებენ. მისი სიმძლავრე 70 ცხ.ძ-ს შეადგენს, ექსპერიმენტული Speedster-ისთვის მოდიფიცირებული ვარიანტისა კი, 112 ცხ.ძ-მდეა გაზრდილი. გერმანიის ქალაქ დუდენჰოფის ცენტრში ცოტა ხნის წინ ჩატარებულ ცდებზე მანქანამ რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, კერძოდ: მაქსიმალური სიჩქარე – 252 კმ/სთ, საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე – 2,5 ლ. ეს შედეგი მიღწეულია მანქანის „ჭკვიანი“ ელექტრონიკის წყალობით, რომელიც ძრავას მოქმედებას აკონტროლებს. ჟურნალისტებმა Speedster-ს უკვე შეარქვეს „დიზელის Ferrari“. მასში გამოყენებული ტექნოლოგიები Opel-ის ადრინდელ კონკურენტს – Volkswagen-ს ახალ პაექრობაში იწვევს: დიზელისძრავიანი მოდელი VW Lupo (სუპერკომპაქტური ავტომობილი) საწვავის ხარჯვის თვალსაზრისით, ასევე თავსდება 3-ლიტრიან მაჩვენებელში, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება Speedster-ს სისწრაფესა და დინამიკურობაში. ■

ბრაზილიური ნახმოების Volkswagen Gol

ეს ავტომობილი გერმანული ავტოგიგანტის ბრაზილიური ფილიალის ნაწარმია. მანქანა 1 ლ მოცულობის, 67 ცხ.ძ. სიმძლავრის 4-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. 5-კარიანი ჰეჩბეკის მაქსიმალური სიჩქარე 157 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 15 წმ-ში ავითარებს; ყოველ 100 კმ-ზე ქალაქის ქუჩებში 7,9, ხოლო ტრასაზე – 5,9 ლ საწვავს ხარჯავს. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, Gol-ის ფასი საბაზო კომპლექტაციით 9.000 ევროს არ უნდა აღემატებოდეს.

ბრაზილიაში Gol-ის დებიუტი 1980 წელს შედგა და მას შემდეგ, არაერთი მოდერნიზაცია განიცადა. აქ წარმოდგენილი მოდელი მესამე თაობას წარმოადგენს. 23 წლის მანძილზე, ბრაზილიაში სულ 3 მლნ Gol გამოვიდა, კიდევ 2,5 მლნ კი – არგენტინაში. აღსანიშნავია, რომ ამ მარკის 322 ათასი მანქანა მსოფლიოს 22 ქვეყანაშია რეალიზებული. „ფოლსკვაგენის“ მესვეურები ირწმუნებიან, რომ ხარისხით Gol არაფრით ჩამოუვარდება გერმანიაში, კონცერნის სათავო ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციას. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტორად ასახელებენ ძარის დასამზადებელ დანადგარებსა და აღჭურვილობას, რომელიც არაფრით განსხვავდება გერმანიაში მდებარე Audi-ს საწარმოების ანალოგიური ტექნიკისაგან.

■

იტალიის ორგზის პრემიერ-მინისტრი, გამომცემელი, მზღვეველი, საფეხბურთო კლუბ „მილანის“ პრეზიდენტი და ქვეყნის უმსხვილესი მედიაჰოლდინგის მფლობელი — აი, რას წარმოადგენს სილვიო ბერლუსკონი. მის მიერ მოპოვებულ თავბრუდამხვევ წარმატებას თუ მხოლოდ ფულის საზომით მი-ვუდგებით, 12,8 მლრდ ღირებულებ-ის ქონების მფლობელს, ზედმიწ-ევნით წარმატებული მეწარმის დაფნის გვირგვინი ამ შემთხვევაშიც გარანტირებული ექნება: მან ხომ ნულიდან დაიწყო და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი ხელით შექმნა.

სილვიო ბერლუსკონი

mediamagnatis italiuri premiera

ცხოვრების წესი

1994 წელს, როცა მილანის პროკურორებმა ბერლუსკონი პირდაპირ გაეროს საკონფერენციო დარბაზიდან გამოიხმეს, სადაც პრემიერ-მინისტრი, მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ფორუმზე, საკუთარ ქვეყანას წარმოადგენდა, იტალიის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, ოსკარ ლუიჯი სკალფარომ მათი ქმედება აღმაშფოთებლად მიიჩნია. ნუთუ, ნახევარი საათით მოცდა არ შეიძლებოდა? – განაცხადა მან. ბერლუსკონისათვის ამ ზარის შედეგები საბედისწერო აღმოჩნდა: პროკურატურამ მისთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხი ვერ მიიღო და „მაფიასთან მებრძოლი“ გადასახადების დაფარვაში დაადანაშაულა, სასამართლომ კი, წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბერლუსკონის საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტები და პროკურორები საერთო ენას ვერასოდეს პოულობდნენ. რამდენადაც ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მას ხელისუფლებასთან, იმდენად დაძაბული – სამართალდამცავ ორგანოებთან. საერთო ჯამში, ეკონომიკურ დანაშაულში (გადასახადების გადაუხდელობა, ქრთამის მიცემა) ბერლუსკონის 9-ჯერ წაუყენეს ბრალი, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ერთხელ – 1994 წელს, სწორედ იმ ავბედითი ანტიმაფიოზური კონფერენციის შემდეგ დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით, დანარჩენ შემთხვევებში გაამართლეს.

ვიღაც-ვიღაცებს მედიამაგნატი აღიზიანებთ, მაგრამ იტალიელთა უმრავლესობა აღმერთებს მას. ბერლუსკონიმ ხომ მათ მისცა ყველაფერი, რაზეც ოცნებობდნენ: მაღალხარისხიანი საცხოვრებელი ბინები, სუპერმარკეტები, სტადიონები და სანახაობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს, ძალზე იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომია. ასე რომ, ბერლუსკონის მასების გული მოგებული აქვს. თანამემამულენი მას მოიხსენიებენ, როგორც – „თქვენო მაუწყებლობავ!“ ვინაიდან მიაჩნიათ, რომ „მედიაქსელის“ (ჰოლდინგი მთელ რიგ იტალიურ და უცხოურ საკაბელო არხებს აერთიანებს) მეპატრონე, არა მარტო სიდიდით მეორე მედიაიმპერიის მფლობელია ევროპაში, არამედ ქვეყნის ჭეშმარიტი პატრონიცაა. „ბერლუსკონირება“ – ასეთი ნეოლოგიზმიც კი გაჩნდა აპენინის ნახევარკუნძულზე. როგორც თავად იტალიელები განმარტავენ, ეს ნიშნავს – ცხოვრობდე ბერლუსკონის აშენებულ სახლში, კითხულობდე ბერლუსკონის კუთვნილ ჟურნალ-გაზეთებს და მის დაარსებულ ტელეარხზე ქომაგობდე „მილანს“, რომლის პრეზიდენტიც ისევ და ისევ, ბერლუსკონია.

„ბერლუსკონირების“ აპოთეოზად კი, მაინც სილვიოს პოლიტიკურ კარიერას მიიჩნევენ, ვინაიდან მან მოქალაქეებს შესთავაზა უკანასკნელი რამ, რაც კი ებადა – საკუთარი თავი.

მშენებელი დონი

სილვიო ბერლუსკონი 1963 წლის 29 სექტემბერს, მილანში, წვრილი საბანკო მოხელის ოჯახში დაიბადა. 12 წლის ასაკში, ბიჭუნა რკინისებური დისციპლინითა და სიმკაცრით განთქმულ კათოლიკურ ლიცეუმში მიაბარეს. მაგნატის ცხოვრებაში, მომავალი მეწარმის ალღომ პირველად სწორედ იქ იჩინა თავი. სილვიო დავალებებს ყველაზე სწრაფად ასრულებდა, შემდეგ კი, დახმარებას სთავაზობდა მეგობრებს. თანაკლასელები ფრიადით შეფასებულ საშინაო დავალებაში საკმაოდ მაღალ ჰონორარს უხდიდნენ მას, საშუალო შეფასება კი, სულ რაღაც ერთი მუჭა შაქარყინული ღირდა.

ლიცეუმის კედლები ბერლუსკონიმ საუკეთესო რეკომენდაციით აღჭურვილმა დატოვა და სწავლა მილანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. საკუთარი სწავლის ფულს, ყმაწვილი თავად შოულობდა: ყიდდა მტვერსასრუტებს და იღებდა ფოტოსურათებს; ზაფხულის არდადეგების დროს კი, თავის თანაკლასელ მეგობართან, ფედელე კონფალონერისთან ერთად, იტალიის სანაპიროზე ძვირად ღირებული ტურისტული ლაინერებით მოგზაურობდა. მარიფათიანი ყმაწვილები ტურისტებს გიტარის თანხლებით კანცონას (ლირიკული სიმღერა, რომელიც უახლოვდება იტალიურ ხალხურ სიმღერას) შესრულებით ართობდნენ.

უნივერსიტეტში სწავლისას, სილვიომ ბეტინო კრაკსი გაიცნო და მას დაუმეგობრდა კიდეც. მოგვიანებით, მისი საქმიანი და პოლიტიკური პროექტების განხორციელებაში ამ პიროვნებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. როცა „მე-

ეს იქნებოდა იდეალური ქალაქი, რომელიც „მზიურქალაქ“ კამპანელას ყაიდაზე აიგებოდა

გობარმა ბეტინომ“ იტალიის პრემიერის თანამდებობა დაიკავა (1983-87), ის მთავრობაში ბერლუსკონის ინტერესების უპირველეს ლობისტად იქცა, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კი, „მეგობარ სილვიოს“ საოცრად მორჩილი მინისტრთა კაბინეტი დაუტოვა მემკვიდრეობად.

სილვიომ უნივერსიტეტიც წარმატებით დაამთავრა და სამსახურის დაწყების თაობაზე, იმ ბანკის შეთავაზება მიიღო, სადაც მამამისი მუშაობდა. თუმცაღა, ნიჭიერ ახალგაზრდას უკვე იმ დროს დიდი ამბიცია ჰქონდა და ბანკის ხელმძღვანელებს საკუთარი ინიციატივა შესთავაზა: გრანდიოზული პროექტი – მილანში ედილნორდის საცხოვრებელი მასივის მშენებლობა, რომლის განსახორციელებლადაც თავად მას მხოლოდ ერთი რამ – ფული არ ჰქონდა. ბერლუსკონიმ ისიც იცოდა, თუ სად უნდა ეშოვა ფული: ამისათვის რომელიმე საკრედიტო დაწესებულების თავდებობა იყო საჭირო. სილვიომ მამამისის ბანკის სახით, ამგვარ დაწესებულებასაც მიაგნო.

რაზინის ბანკი საშუალო საკრედიტო დაწესებულების რეპუტაციით სარგებლობდა და არაფრით გამოირჩეოდა, გარდა იმისა, რომ „მაფიის თეთრსაყელოიან წარმომადგენლებთან“ კავშირში იყო შემჩნეული, რომელთა ბოსიც პალერმოელი ვიტორიო მანგანო გახლდათ. 1975 წელს, „მეგობარი ვიტორიო“ მოკლე ხნით ბერლუსკონის ვილაზე „ამოტივტივდა“, თანაც მაფიის ბოსისათვის ფრიად უჩვეულო – მეჯინიბის თანამდებობაზე; მალე ის სამართალდამცავებმა დაიკავეს, ბერლუსკონი კი – არა. როგორც ყოველთვის, მისი საყელო კვლავაც უმწიკვლოდ თეთრი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ბერლუსკონის კაპიტალის წარმოშობა დღემდე ბურუსითაა მოცული. თუმცა ამ სიტუაციაში მთავარი მაინც ის იყო, რომ ედილნორდი აშენდა, ბერლუსკონის კი ფული გაუჩნდა.


...როგორც ყოველთვის, მისი საყელო კვლავაც უმწიკვლოდ თეთრი დარჩა

იდგა 1963 წელი, იტალიის ყველაზე მტკივნეულ პრობლემას მაფია, უმუშევრობა და ცხოვრების დაბალი დონე წარმოადგენდა. ბერლუსკონის ახალი პროექტი ამ სამი პრობლემიდან ორის გადაწყვეტის საშუალებას იძლეოდა. კომპლექსი, რომელიც ბრუგერიოში 2712000 კვმ ფართობზე უნდა გაშენებულიყო, 4000 მოქალაქეს საცხოვრებლით უზრუნველყოფდა, გრანდიოზული მშენებლობა კი, თავისთავად, მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილის გარანტიასაც იძლეოდა.

რა მოგება მოიტანა ამ კომპლექსის მშენებლობამ, არავინ უწყის. თუმცა, სავარაუდოა, რომ საკმაოდ სოლიდური, რადგან მისი დამთავრებისთანავე სილვიომ ახალი პროექტის – „მილანო-2“-ის განხორციელებას მოჰკიდა ხელი, რომლის მშენებლობაც უკვე 10000 მოქალაქეს უზრუნველყოფდა საცხოვრებლით. თავად ბერლუსკონის სიტყვებით, ეს იქნებოდა იდეალური ქალაქი, რომელიც „მზიურქალაქ“ კამპანელას ყაიდაზე აიგებოდა. მშენებელი დონის ოპონენტები კი აცხადებენ, რომ ინვესტორებს „მზიურქალაქის“ მშენებლობამ 3 მლრდ დოლარი მოგება მოუტანა. ხელისუფლებასთან მეგობრული ურთიერთობისა და P2-თან (P2 – იტალიაში ცნობილი მასონთა ლოჟა, რომელშიც ქვეყნის პოლიტიკური და საქმიანი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილია გაერთიანებული) კავშირის წყალობით, ბერლუსკონი მშენებლობის მენარდე გახდა. სწორედ P2-ს უკავშირდება პირველი სასამართლო პროცესი, სადაც ბერლუსკონის გვარი ფიგურირებდა. ლოჟის წევრებს შორის გაუმართლებლად დაბალი ღირებულების კრედიტების ურთიერთგაცვლამ, ზედამხედველობითი ორგანოს ყურადღება მიიქცია. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და P2-ის უამრავი წევრის საქმიანობა შემოწმდა. ამ შემთხვევაში, ბიზნესმენი საკუთარმა უნიკალურმა თვისებამ იხსნა – იგი ხომ კეთილგანწყობის მოპოვების დიდოსტატია. მას სულაც არ გასჭირვებია მოსამართლეების მოხიბვლა და საქმეც დაიხურა.

„მილანო-2“-ს „მილანო-3“ მოჰყვა, შემდგომი კი, იტალიის პირველი სუპერმარკეტი – „ჯირალისი“ („ზესუმზირა“) იყო. 1975 წელს, მშენებლობის მაგნატმა ჰოლდინგ „ფინინვესტის“ შექმნით (რომელშიც ათობით საინვესტიციო, სამშენებლო და სადაზღვევო მცირე კომპანია გაერთიანდა), თავისი კარიერის პირველი ეტაპი შეაჯამა.

ბერლუსკონის ახალი ტელევიზია

ბერლუსკონის სიტყვებით, პირველი საკაბელო არხი – „ტელემილანო“ მან თანამემამულეებზე ზრუნვის მიზნით შეიძინა, რამეთუ „მილანო-2“-ის კეთილმოწყობა განეზრახა. სინამდვილეში კი, მას საამისოდ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა. 1976 წელს, ლოკალური ტელევიზიის განვითარების სტიმულირების მიზნით, სახელმწიფომ ტელემაუწყებლობაზე მონოპოლია გააუქმა. მომავალმა მედიამაგნატმა, სწორედ ამ შესაძლებლობით ისარგებლა. მედიასპარეზზე მისი პირველი შენაძენი იტალიის უმსხვილესი გაზეთის – „ჯორნალეს“ (1977) აქციათა 32% გახლდათ (ბერლუსკონის კლანი დღეს, გაზეთის აქციების სრული პაკეტის მფლობელია). ამას მოჰყვა „ტელემილანო“, მოგვიანებით კი, 80-იანი წლების დასაწყისში, – კიდევ ორი არხი, რომელმაც საბოლოოდ „მედიაქსელი“ შეადგინა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სატელევიზიო ბაზარზე ჩამოყალიბდა ე.წ. „დუპოლია“, ორის მონოპოლია – „რაი“-ს (სახელმწიფო ტელევიზია) და „მედიაქსელში“ შემავალი სამი ლოკალური არხისა. ეს კი, დამწყები მაგნატის საოცარი მოხერხებულობის წყალობით გახდა შესაძლებელი: ის საკმაოდ იაფად იძენდა ამა თუ იმ „სანახაობას“, შემდეგ კი, თავის სამივე სტუდიაში მისი ჩვენების სინქრონიზებას ახდენდა. მართალია, სამ ნაწილად დაყოფილი, მაგრამ მაინც მთელი იტალია ბერლუსკონის ტელეპირმშოს გავლენის არეალში მოექცა. „მედიაქსელის“ შექმნის პარალელურად, ბერლუსკონი ათობით წვრილ

სარეკლამო სააგენტოსთან აფორმებდა ხელშეკრულებას, შემდეგ კი მათ სარეკლამო დროს უფასოდ უთმობდა, ამის სანაცვლოდ, მათ მიერ გაყიდული საქონლიდან პროცენტს იღებდა. შექმნილი აჟიოტაჟის შედეგად, ბაზრის ლიდერები იძულებულნი გახდნენ, რომ ეს სარეკლამო დრო ეყიდათ. ასე აღმოცენდა „პუბლიტალია“, ტელევიზიით რეკლამის განთავსების დარგში, დღეისათვის, ნომერ პირველი კომპანია ევროპაში.

1980 წელს, როცა ხელისუფლებამ სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც, იტალიის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობის გავრცელება მხოლოდ ნაციონალურ ტელევიზიას შეეძლო, მაგნატს დიდად არ უდარდია. მის მიერ შემუშავებული ბრწყინვალე სქემა, მას კანონის გვერდის ავლის საშუალებას აძლევდა. თუმცა, ამ კანონის სარეკლამო ბიზნესთან მისადაგებისას, რაღაც პრობლემები მაინც შეექმნა. ბერლუსკონი არც ამას დაუბნევია. სად იყო და სად არა, მის საშველად ასპარეზზე „მეგობარი ბენიტო“ გამოჩნდა, რომელიც 1983 წლისთვის უკვე მთავრობის მეთაურიც გამხდარიყო. იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი სულაც არ შეწუხებულა იმ ფაქტით, რომ მისი და სილვიოს მეგობრობის შესახებ ყველასათვის ცნობილი იყო (ბენიტო კრაკსი ბერლუსკონის შვილების ნათლია გახლდათ, მისი ვაჟიშვილი კი, „მილანის“ დირექტორთა საბჭოს წევრი), მან მეგობრისთვის ხელისშემშლელი ბრძანებულების მოქმედება „შეაჩერა“. 1990 წელს კი, იმავე კრაკსიმ პარლამენტში ისეთი კანონის მიღება უზრუნველყო, რომლითაც ფაქტობრივად, სარეკლამო ბაზარზე „რაი“-სა და ბერლუსკონის ტელეარხების „დუპოლია“ კიდევ უფრო განამტკიცა.

90-იანი წლების დასაწყისისათვის, ბერლუსკონის ხელში თავი მოიყარა: საწარმოო-ფინანსურმა ჯგუფმა – „ფინინვესტი“ (მის 22 ჰოლდინგში 30000 კაცი იყო დასაქმებული, წლიური ბრუნვა კი, 100 მლრდ ლირას შეადგენდა), მაღაზიების ქსელმა – „ეურომერკატი“ და „სტანდა“, საფეხბურთო კლუბმა „მილანმა“, სატელევიზიო ჰოლდინგმა – „მედიაქსელი“, სარეკლამომ – „პუბლიტალია“, რამდენიმე ჟურნალ-გაზეთმა და იტალიის უმსხვილესმა საგამომცემლო სახლმა – „მონდადორი“.

დაიბანეთ ხელები არჩევნების წინ

1993 წლისთვის, ნათელი გახდა, რომ „ფინინვესტის“ პირამიდა ქვიშაზე გახლდათ აგებული: საწარმოები წამგებიანი იყო, ვალებმა ასტრონომიულ თანხას მიაღწია. მის ადგილას, ალბათ, ნებისმიერი ადამიანი ხელს ჩაიქნევდა – მაგრამ არა სილვიო. ამჯერად, ბერლუსკონიმ ასპარეზად პოლიტიკა აირჩია – ეს ნაბიჯი მან თავისი იმპერიის გადასარჩენად გადადგა (მთელი მსოფლიოს ანალიტიკოსები ამის თაობაზე დაუფარავად ლაპარაკობენ).

ამ დროისათვის, იტალიაში მისი ისტორიის მანძილზე უდიდესი კორუფციული სკანდალი მოხდა, რომელიც „სუფთა ხელებად“ წოდებულ ოპერაციაში გადაიზარდა. არავინ დაინდეს, შედეგად კი, ქვეყნის პოლიტიკური ოლიმპი ცარიელი დარჩა. ბერლუსკონი ცარიელი ადგილისაკენ თავ-პირის მტვრევით გაემართა.

ბერლუსკონი კეთილგანწყობის მოპოვების დიდოსტატია

მან სულ მცირეთი – საკუთარი პარტიის შექმნით დაიწყო. აპენინის ნახევარკუნძულზე დღეისათვის ყველაზე მსხვილი პარტია მან რეკორდულად მცირე დროში – 1994 წლის მარტიდან მაისამდე ჩამოაყალიბა. პარტიის თავდაპირველ საყრდენად „მილანის“ გულშემატკივრები იქცნენ, რომლებიც სხვა ადგილობრივი გუნდების „ტიფოზებს“ რიცხობრივად აშკარად სჭარბობდნენ. პოლიტიკურ მოძრაობას წინ ის ლოზუნგი წაუძღვარეს, რომლის შეძახილითაც სავსე ტრიბუნები თავიანთ გუნდს ამხნევებდნენ: Forza Italia („წინ, იტალიავ!“).

პროექტში მონაწილეობდა ცნობილი ფრანგი სემიოლოგი ჟან-მარი ფლოში და ბერლუსკონის ხელთ არსებული ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალება. ასე რომ, საარჩევნო ურნებთან იტალიელი ამომრჩეველი სათანადოდ „მომზადებული“ გამოცხადდა. 1994 წლის მაისში, ბერლუსკონი პრემიერ-მინისტრი გახდა. მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ მას ხუთ თვეში „სუფთა ხელების“ მოტივით დაატოვებინეს კაბინეტი. პოლიტიკაში ხელმეორედ მოსვლის წინ, ის საკმაოდ კარგად მოემზადა. მთავარი ისაა, რომ მან „ხელების დაბანა“ მოახერხა: მთელი თავისი გიგანტური ბიზნესი სილვიომ ცოლისა და შვილების (იგი ხომ ხუთი შვილის მამაა) სახელზე გადაიფორმა. მისი სიამაყე – ჰოლდინგი „მედიაქსელი“ მან თავის სკოლის მეგობარს, კონფალონერის (ეს სწორედ ის მეგობარია, რომელთან ერთადაც სილვიო ტურისტების თავშესაქცევად გემზე კანცონას მღეროდა) გადააბარა. თარგმანში მისი სახელი ფედელე – „ერთგულს“ ნიშნავს. ერთადერთი, რასაც ბერლუსკონი ვერ შეელია, „მილანი“ გახლდათ. ეს წვრილმანი, რაღა თქმა უნდა, მიუტევეს და კვლავ პრემიერად აირჩიეს. იტალიაში დღემდე კამათობენ იმის თაობაზე, რომ „ცივილიზებული ქვეყნის მთავრობას არ შეიძლება ძიებაში მყოფი პირი ედგას“. ბერულსკონი კი, ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებს. მეწარმის სახე, მან კარგა ხნის წინ პოლიტიკოსის იმიჯზე გაცვალა. მისი მტრების რიცხვი დღითი დღე კლებულობს. მალე მთელი იტალია სილვიოს მეგობრების რიცხვში ჩაეწერება, მათ შორის, ადგილობრივი მოსამართლეებიც. ასე რომ, პრემიერის სავარძლის მესამედ დაკავების გარდა, მას ამქვეყნად არაფერი ემუქრება.

■

სილამაზის საერთაშორისო ცენტრი „ოქროს ლოტოსი“ გთავაზობთ კვალიფიციურ კოსმეტოლოგიურ მომსახურებას „დერმაჯეტიქსის“ ფირმის კოსმეტიკით.



სახის კანის ღრმა წმენდა მექანიკური ჩარევის გარეშე. გამონაყარის, ნაოჭების, ლაქების, ფერიმჭამელების, აგრეთვე ცელულიტის მოცილება.



☎ 91-09-40; 76-71-36; 893-30-49-55 მანანა

მაკარტნემის საიდუმლო გამქღავნდა

ჟურნალისტებისათვის ცნობილი გახდა, თუ ვინ შეეძინებათ პოლ მაკარტნისა და მის მეუღლეს, ყოფილ მოდელს – ჰიზერ მილზს. ორსულმა მისის მაკარტნიმ თავის დროზე განაცხადა, რომ მან და მისმა მეუღლემ იციან ბავშვის სქესი და მისთვის სახელიც კი შერჩეული აქვთ. ოღონდაც, ცოლ-ქმარს ბავშვის დაბადებამდე ამ ინფორმაციის გასაიდუმლოება ჰქონდა განზრახული. 35 წლის ქალბატონი მილზი-მაკარტნი CNN-ის შოუზე

წამყვანს – ლარი კინგს გამოუტყდა, რომ მას მოჰბეზრდა ნაცვალსახელებითა და განუსაზღვრელი ეპითეტებით მისი მომავალი შვილის მოხსენიება და ნაყოფს სახელი დაარქვა. ჰიზერმა ზემოთ თქმულს ისიც დასძინა, რომ ეს ამბავი სულაც არ არის ცნობისმოყვარეთა საქმე, მათ მშობიარობამდე უნდა დაიცადონ და დანიშნულ დროს უნდა გაიგონ, ახალშექმნილ ოჯახს გოგო შეეძინება თუ ბიჭი.

როცა საქმე ასეთ ცნობილ ოჯახებს ეხება, ადამიანებს უძნელდებათ საიდუმლოდ შეინახონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილია. The Sun იტყობინება, რომ ჰიზერის მეგობრებმა საიდუმლო ვერ შეინახეს და ჟურნალისტებს აცნობეს – მაკარტნები ვაჟის დაბადებას ელიანო. სავარაუდოდ, ბავშვი ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა მოევლინოს ქვეყანას. ■

რომიმ შიმპანზე გაანაწყენა



ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ – PETA, ოფიციალური წერილით მიმართა რობი უილიამსს და მისი კონცერტიდან შეიარაღებული შიმპანზეს რგოლის ამოღება მოსთხოვა. ეს რგოლი წარმოადგენს სიმღერის Me And My Monkey ილუსტრაციას, სადაც მაიმუნი პისტოლეტით თამაშობს – ხან საფეთქელთან მიაქვს და ხანაც პირში იდებს.

PETA-ს წარმომადგენლები უილიამსს სთხოვენ, რომ მსოფლიო ტურნეს მეორე ნაწილი მომღერალმა შიმპანზეს რგოლის გარეშე ჩაატაროს. მათი აზრით, რგოლში მაიმუნის ამ სახით გადაღება თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ცხოველთან უხეში მოპყრობა.

ბრიტანელი მომღერლის მსოფლიო ტურნე უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს – რობის შოუ სხვადასხვა ქვეყნის 1,3 მილიონმა მაყურებელმა უკვე ნახა. 9 ნოემბრისთვის მომღერალი მოსკოვს ეწვევა, ოღონდ ჯერ უცნობია, შიმპანზესთან ერთად, თუ მის გარეშე. ■

პაპარაცემი და კეტჩერის შეუპოვარი დედა

ჰოლივუდის ახალგაზრდა მსახიობი, ეშტონ კეტჩერი აიოვას შტატში გაიზარდა, სადაც ქალაქ ჰუმსტედში დედამისი – დაიენ პორტვუდი დღემდე ცხოვრობს. ეშტონმა დედამისისა და თავისი სახელგანთქმული საყვარლის – დემი მურის ერთმანეთისთვის გაცნობა გადაწყვიტა და თითქმის დედის თანატოლი მური მშობლიურ ქალაქში ჩაიყვანა. ქალბატონი პორტვუდი გულუხვად გაუმასპინძლდა მათ. სუფრასთან დემი დაიენს საკუთარი შვილებისა და ეშტონის შესახებ ელაპარაკებოდა. ქალბატონ პორტვუდის თქმით, მათ მშვენიერი დრო გაატარეს. დემი ძალზე უშუალო და სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა, რომელთანაც ჩვეულებრივად ისაუბრებ ცხოვრებაზე. როცა პაპარაცებმა ჰუმსტედში ამ „ვარსკვლავური ვიზიტის“ შესახებ შეიტყვეს, კალიებივით შეესივნენ პორტვუდის სახლს, მაგრამ კეტჩერის დედა საკმაოდ შეუპოვარი ქალბატონი აღმოჩნდა. მან მედგრად გაუძლო შემოტევას და ჟურნალისტებს პოლიციის გამოძახებითაც კი დაემუქრა. ■

ეჯვიან ტიმბერლეიკს კემერონ დიასი კინაღამ შემოაკვდა

ფილმის – „ბილი უნდა მოკვდეს“ ნიუ-იორკში გამართული პრემიერის შემდეგ, კვენტინ ტარანტინომ და სხვა ცნობილმა ჰოლივუდელმა ვარსკვლავებმა გასართობად ღამის კლუბებში წასვლა გადაწყვიტეს. მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი თავის ახალ შეყვარებულ – კემერონ დიასთან ერთად, ერთ-ერთ პოპულარულ კლუბ – „ზამშაში“ გაემართა, სადაც მსახიობმა ისე მოილხინა, რომ არად ჩააგდო თავისი თანმხლები და სხვა მამაკაცებთან გამომწვევ ცეკვასთან ერთად, ფლირტიც გააჩაღა.

კემერონის ასეთმა ქცევამ ისედაც ეჭვიანი ტიმბერლეიკი სასტიკად გააცოფა. მან ვერ აიტანა თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული ვნებიანად მოცეკვავე დიასის ყურება, ხელი ჩაავლო და ცეკვის შეწყვეტა მოსთხოვა. კემერონი ბოიფრენდის საქციელს სულაც არ შეუცბუნებია, მან მასზე ათი წლით უმცროს ჯასტინს მოწიფული ქცევისაკენ მოუწოდა. ■

მედეა თავბერიძე

მაია დარსმელიძე: სტეფანეს სექსუალურობა ნებისმიერი ქალის მოლოდინს გადააჭარბებს

სტეფანემ 24 წლის ასაკში აღმოაჩინა, რომ სიმღერის გარდა სხვა ნიჭიც აქვს. ამ ნიჭის რეალიზებისათვის, როგორც თვითონ ამბობს, დაუღალავი შრომა დასჭირდა. შედეგად მიიღო კლიპი, რომლის ოპერატორი, რეჟისორი და მემონტაჟე თავად სტეფანეა. კლიპის მთავარი გმირები კი, მისი მეგობრები არიან. გთავაზობთ ინტერვიუს სტეფანესთან და მაია დარსმელიძესთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ და მალე ჯვარსაც დაიწერენ.

სტეფანე: – ჩვენი სამეგობრო წრე ძირითადად, იმ ოთახში ვიკრიბებით, სადაც კლიპი გადავიღეთ. ერთ-ერთი „ტუსოვკის“ დროს, ავიღე ვებ-კამერა და შემთხვევით რამდენიმე კადრი დავაფიქსირე. მერე კი აღმოჩნდა, რომ ჩემ მიერ გადაღებული კადრები იმ მუსიკის სტილში ჩავდა, რომელსაც ვუსმენდით. გამოსახულებაც მომეწონა და გადავწყვიტე, კლიპი გადამეღო. კლიპში ყველაფერი ბუნებრივადაა...

— ანუ ყველანი ისეთები ხართ, როგორიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში?

– ყველანი ნიღბის გარეშე ვართ. ვუსმენთ მუსიკას, ვსვამთ ყავას, ჩაის, ვეწევით და ვსაუბრობთ ყველაფერზე პოლიტიკის გარდა.

— მაია, როგორც ვიცი, თქვენც მიიღეთ მონაწილეობა კლიპის შექმნაში, რამდენად კმაყოფილი ხართ ერთობლივი ნამუშევრით?

– ძალიან მომწონს. იმიტომ კი არა, რომ ჩვენია, იმიტომ, რომ ყოველგვარი თამაშის გარეშეა ასახული ჩვენი ყოველდღიურობა. ალბათ, ეს იმპულსი მაყურებელსაც გადაეცემა. რაც მთავარია, მასში „დანგრეულია“ ყველანაირი ჩარჩო და სტერეოტიპი.

— სტეფანე, თქვენი აზრით, როგორი რეაქცია ექნება ხალხს, მოეწონება კლიპი?

– არ ვიცი, მოეწონებათ თუ არა, ამ ეტაპზე კრიტიკაც საინტერესოა, რადგან ეს ექსპერიმენტია. ფაქტობრივად, კლიპი ფულის გარეშე გადავიღეთ. ჩემთვის მთავარია, რომ იდეამ გაამართლა. იგი არ ჰგავს იმ „ბანბანერკულ“ კლიპებს, რომელიც ყველაზე მეტად მაგიჟებს. უბრალოდ, ამ კლიპში რეალობა ჩანს, ყოველგვარი შეთითხნისა და ზედმეტი განათების გარეშე.

— იდეები კიდევ გაქვთ?

– იდეა უამრავი მაქვს, მაგრამ ძნელია მოერგო მასის მოთხოვნილებას. სამწუხაროდ, ახლა ყურადღება იმას უფრო ექცევა, თუ რამდენად გამომწვევი მკერდი აქვს ქალს, ან რამდენად დაკუნთულია მამაკაცი. ერთი სიტყვით, სექსუალურობაა წინა პლანზე და არა შემოქმედების უნარი.

— როგორც ვიცი, ტინეიჯერებში თქვენც სექსუალური მამაკაცის იმიჯით სარგებლობთ...

– ბევრი ამბობს, რომ სექსუალური ვარ, რაც ძალიან მიკვირს. როცა სარკეში ვიხედები, ჩემში სექსუალურს ვერაფერს ვამჩნევ.

— მაია, რით მოგხიბლათ მამაკაცმა, რომელიც ამბობს, რომ არ არის სექსუალური?

– რადგან ჟურნალისტებს ასეთ ინტიმურ საკითხებზე გიყვართ ყურადღების გამახვილება, გულახდილად გეტყვით, რომ აბსოლუტურად ნებისმიერი ქალის მოლოდინს გადააჭარბებს სტეფანეს სექსუალურობა.

— სტეფანე, გამოდის, რომ ჭორი თქვენ ინტიმური ურთიერთობის შესახებ მართალია?

– ხელი რომ მოგვეწერა, ვიცხოვრებდით ზუსტად ისე, როგორც დღეს ვცხოვრობთ. ნუთუ, ბეჭედდასმული ფურცელი წყვეტს ყველაფერს? მეგობრებისთვის ჩვენი ურთიერთობა არასოდეს ყოფილა დამალული.

— მაია, საქორწინო კაბით ჯვრისწერის ცერემონიაზე რა აზრის ხართ?

– ეს ნებისმიერი ქალის ოცნებაა. დამიგეგმავს კიდეც, თუ როგორი ქორწილი მექნებოდა, როგორ ფეიერვერკს მოვაწყობდი, მაგრამ ახლა ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

— სტეფანე, ბავშვის გაჩენა თუ შედის თქვენს გეგმებში?

– როცა ღმერთი მოგვცემს, გვეყოლება კიდეც. მანამდე კი, ტრადიციებსაც არ ვუღალატებთ და ჯვარსაც დავიწერთ.

— სად დაიწერთ ჯვარს?

– არ ვიცი, ამაზე არ გვიფიქრია. ისე კი, სიამოვნებით დავიწერდით ჯვარს ალავერდის ულამაზეს ტაძარში.

— თქვენს იდილიას იმ ფაქტმაც ხომ არ შეუწყო ხელი, ორივე ერთ სფეროში რომ მოღვაწეობთ?

– მთავარი ფაქტორი ძირითადად, ჩვენი დიდი მეგობრობაა. უთქმელად ვუგებთ ერთმანეთს. რაც შეეხება შემოქმედებით მხარეს, შეიძლება ამბიციურად გამომივიდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩვენი შემოქმედება გამაღიზიანებელი არავისთვის არის. შეიძლება იჭორაონ ჩემი და მაიას პირად ცხოვრებაზე, მაგრამ როგორც მუსიკოსებს, არ გვეხებიან. ეს ძალიან მსიამოვნებს. აღნიშნავენ კიდეც, რომ ორივე თავისებურად კარგები ვართ. ბედმა საუკეთესო მეორე ნახევარი შემახვედრა.

— მაია, რამდენად ეჭვიანი ხართ და სტეფანეს თუ მოუცია თქვენთვის ეჭვიანობის საბაბი?

– ადრე ვიყავი ეჭვიანი, ვეჭვიანობდი იმ ქალებზე, რომლებიც სტეფანეს „დათრევას“ ცდილობდნენ.

— ...და ბევრი ქალი ცდილობდა სტეფანეს „დათრევას“?

– კი, ბევრი.

— ეჭვიანობას როგორ გამოხატავდი, დეპოშს აწყობდი?

– კი, ვჩხუბობდი, ნერვებს ვიშლიდი და ამას სტეფანეც ძალიან განიცდიდა.

— თქვენ რას იტყვით, სტეფანე, მართლა ადვილად „დასათრევი“ ხართ სხვა ქალისთვის?

– ძალიან ადვილად „დასათრევი“ ვარ, ოღონდ სხვა ქალაქში, თბილისში – არა!

— ეს რას ნიშნავს?

– თბილისში ერთვერად ურთიერთობებს თავს ვარიდებ. იმიტომ, რომ თუ ქალს ერთხელ დაუთმე, მერე შეიძლება თავიდან იოლად ვეღარ მოიშორო.

— რა შეცვალა მაიამ თქვენს ცხოვრებაში?

– ყველაფერი რადიკალურად შეცვალა. „დამამუდამებინა“ ის პატარა ცხოვრებისეული ნიუანსები, რომელიც ჩემთვის მანამდე არ არსებობდა. მომცა უდიდესი სტიმული, შემატა რწმენა. გვერდში მიდგას ის ადამიანი, რომელიც მე კერპად მიმაჩნია. ხანდახან მიკვირს კიდეც და ვამბობ – ღმერთო, ყველაფერი კარგი ერთად, ნუთუ შესაძლებელია-მეთქი? ■



კუპერი წავიდა

არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი მილანის „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს. მის გარდა თანამდებობა დატოვეს იტალიური კლუბის ფიზმომზადების ხელმძღვანელმა, ხუან მანუელ ალფანომ და კუპერის თანაშემწემ, ოსკარ კავალიერომ. „ინტერის“ ხელმძღვანელობის ამგვარი გადაწყვეტილება გუნდის ქომაგთათვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. არგენტინელი სპეციალისტისადმი უკმაყოფილება მას შემდეგ გაიზარდა, რაც „ინტერმა“ გასულ საფეხბურთო სეზონში ვერც ერთი ტიტული ვერ მოიპოვა, მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი „მილანი“ კი, ჩემპიონთა თასს დაეუფლა. გარდა ამისა, ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით „ინტერი“ არცთუ ისე დამაჯერებლად ასპარეზობს იტალიის მიმდინარე ჩემპიონატშიც, თუმცა კლუბმა წარმატებული სტარტი აიღო ჩემპიონთა ლიგაში. ევროასპარეზზე მილანელებმა ჯერ „არსენალს“ სძლიეს ლონდონში, შემდეგ კი, საკუთარ „სან-სიროზე“ კიევის „დინამოც“ დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, ყველა ხვდებოდა, რომ კუპერი გუნდში დიდხანს აღარ დარჩებოდა. გასულ უიკ-ენდზე „ინტერმა“ „ბრეშიას“ დამარცხება ვერ შეძლო. თანაც შეხვედრის 50-ე წუთზე მილანელები ანგარიშით 0:2 აგებდნენ. „ინტერმა“ ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 87-ე წუთზე მოახერხა, როდესაც ვიერამ პენალტი გაიტანა. ამ მატჩის შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება მწვრთნელის გათავისუფლების შესახებ. ექტორ რაულ კუპერის ადგილი გუნდში მალევე დაიკავა „მილანისა“ და „ლაციოს“ ყოფილმა თავკაცმა, ალბერტო ძაკერონიმ. შეგახსენებთ, რომ ექტორ რაულ კუპერი ადრე არგენტინულ კლუბებს „ურაკანსა“ და „ლანუსს“ ედგა სათავეში. შემდეგ „მალიორკას“ და „ვალენსიასაც“ წვრთნიდა. სწორედ „ვალენსიაში“ მუშაობის დროს მიაღწია მან ყველაზე დიდ წარმატებას, როდესაც ზედიზედ ორჯერ გაიყვანა ესპანური გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, თუმცა ორჯერვე მარცხი იწვნია: ჯერ მადრიდის „რეალთან“, ხოლო შემდეგ, მიუნხენის „ბაიერნთან“. ■

რუნი არ იყიდება

„მილანსა“ და „ჩელსის“ ამომავალი ინგლისელი ვარსკვლავის, უეინ რუნის შეძენა სურთ. ფორვარდის მფლობელი „ევერტონი“ კი, ჯიუტად აცხადებს, რომ ვუნდერკინდი არ იყიდება. ცოტა ხნის წინ, კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უეინს 35 მლნ გირვანქა სტერლინგადაც არავის დაუთმობს. რუნი 18 წლისა მოკლე ხანში შესრულდება და დაბადების დღის დიდი წვეულებით აღნიშვნას აპირებს. ■

სვაზილენდში ფანებს ფეხბურთელები აშინებენ

სვაზილენდის ნაკრების მოთამაშეები თავს დაესხნენ თავიანთ ქომაგებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კაბო-ვარდესთან წარუმატებლად თამაშის გამო გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. მბაბანეში გამართული შეხვედრის შემდეგ გულშემატკივრებმა სვაზილენდის გუნდის ავტობუსი გააჩერეს და ფეხბურთელებს ლანძღვა-გინება დაუწყეს, თუმცა მოთამაშეები სულაც არ შეშინებულან. ისინი ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და ჯოხებით შეიარაღებულები გამოუდგნენ შეურაცხმყოფლებს. დაძაბული ვითარება პოლიციელებმა განმუხტეს. თვითმხილველთა თქმით, შემთხვევის ადგილზე თურმე მოვლენები ისე ვითარდებოდა, როგორც კინოში – შეშინებული გულშემატკივრები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, მათ გააფთრებული ფეხბურთელები ფეხდაფეხ მისდევდნენ და არავინ იცის

როგორ დასრულდებოდა ეს ინციდენტი, კონფლიქტში პოლიცია რომ არ ჩარეულიყო. საერთოდ, აფრიკულ ფეხბურთში უჩვეულო ზნე-ჩვეულებებია გაბატონებული. მაგალითად, თითქმის ყველა გუნდს საკუთარი, შტატიანი ჯადოქარი ჰყავს, რომელიც ყოველი მატჩის წინ თავის ფეხბურთელებს სპეციალური რიტუალებით მატებს ძალებს. ზოგიერთი თამაშის დროს კი, შეიძლება იმის მომსწრეც გახდეთ, თუ როგორ გაიტანენ კარში ბურთის მაგივრად, რომელიმე ფეხბურთელს. ■

ბლაზი ნანდროლონს იღებდა

საფეხბურთო კლუბ „პარმის“ ჰავბეკი, მანუელ ბლაზი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. 14 ოქტომბერს „პერუჯასთან“ გამართული შეხვედრის შემდეგ ნახევარმცველისგან აღებულმა ანალიზის შედეგმა ცხადყო, რომ ფეხბურთელი, აკრძალულ პრეპარატ ნანდროლონს იღებდა. ჯერჯერობით უცნობია ის, თუ რა სანქციას წაუყენებს იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ბლაზს, თუმცა მთელ მსოფლიოში მძაფრი დოპინგსაწინააღმდეგო კამპანიის ფონზე უნდა ვივარაუდოთ, რომ „პარმის“ ნახევარმცველი ადვილად ვერ გადარჩება. ■

ნიღბები მშრალი და ცხიმიანი თმისთვის

თუ თმა ნორმალური არ არის, ე.ი. ის ან მშრალია, ან ცხიმიანი და ასეთი თმა ყოველთვის პრობლემების წინაშე გვაყენებს.

● ცხიმიანი თმის სამკურნალოდ გამოიყენეთ მუხის ქერქის ნახარში (3 ს/კ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში). გაგრილებული და გადაწურული ნახარში გამოიყენება თავის დასაბანად.

● მშრალი თმა, დაბანის წინ, დაიმუშავეთ აბუსალათინის, ნუშის ან ზეითუნის ზეთით. შემდეგ თავზე უნდა შემოიხვიოთ ცხელი პირსახოცი. ერთი საათის შემდეგ კი, შეგიძლიათ თავი ჩამოიბანოთ და შეიზილოთ 1 ც კვერცხი ან ამჟავებული რძე. ბოლოს კი თმაზე გადაივლეთ ჩაის, გვირილის ან ცაცხვის ნაყენი.

ნიღბები ცხიმიანი თმისთვის

● ერთ კვერცხის გულს შეურიეთ 1 ჩ/კ წყალი. პირველი დაბანის შემდეგ ეს ნარევი შეიზილეთ თმაში. გაიჩერეთ 10 წუთი, შემდეგ კი ჩამოიბანეთ. კვერცხის გული სასარგებლოა იმით, რომ მასში არის ქოლესტერინი, რომელიც ხელს უშლის კანში ზედმეტი ცხიმის წარმოქმნას.

● 1-2 კვერცხის ცილა ათქვიფეთ კარგად, ქაფის წარმოქმნამდე. შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ მანამდე, სანამ კარგად არ გაშრება. შემდეგ თმა გოგირდის საპნით ჩამოიბანეთ.

● 100-150 გ შავი პური ან მისი ქერქი დაფშვენით და დაასხით ადუღებული ცხელი წყალი. როცა წყალი ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, მომზადებული ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაფარი და გაიჩერეთ 20-30 წთ. შემდეგ კი უსაპნოდ ჩამოიბანეთ.

ნიღბები მშრალი თმისთვის

● ათქვეფილი კვერცხის გული ფრთხილად შეიზილეთ თმაში და თავის კანზე. 10-15 წუთით შეიფუთეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ.

● ორ დაბანას შორის, თმა პერიოდულად შეგიძლიათ კვებოთ ზეთების ნარევით (1 წილი აბუსალათინის და 3 წილი ნუშის ზეთი). ამ ნარევით დაისველეთ ხელისგულები და ნაზი მოძრაობით წაუსვით თმას, შემდეგ ჩამოიბანეთ.

ანეკდოტი

● საღებავის სუნი შენობიდან სწრაფად გავა, თუ ოთახში ვედროთი ცივ წყალს დადგამთ.

● ძველი ავეჯის ზედაპირზე წარმოქმნილი ბზარები შეგიძლიათ დაფაროთ თაფლის სანთლით. ცვილი ხელში კარგად გაათბეთ, წაუსვით ბზარებს და შალის ნაჭრით კარგად გააპრიალეთ.

დესერტი ოფოკოლადის ოფოვანებისთვის

აიღეთ 4 კვერცხი, 110 გ შავი შოკოლადი და 1 ფორთოხლის წვენი (ცოტაოდენი გახეხილი კანიც). ათქვეფილ ცილას შეურიეთ ფორთოხლის წვენი და გახეხილი კანი. მეორე ჯამში ცალკე ათქვიფეთ კვერცხის გულები და შეურიეთ ორთქლზე გამდნარი შოკოლადი. ორი, ცალ-ცალკე მომზადებული მასა ერთმანეთში აურიეთ და ჭიქებში გადაანაწილეთ. დესერტი მაცივარში მინიმუმ რამდენიმე საათით (სასურველია მთელი ღამე) უნდა გაჩერდეს. ბოლოს ჭიქებშივე დაუმატეთ თქვენთვის სასურველი ხილი – უმჯობესია კენკრა (ჟოლო, მაყვალი ან მოცხარი).

ზარმაცი დიასახლისები თავს არც ამ უგემრიელესი დესერტის მომზადებით შეიწუხებენ და ამჯობინებენ საკონდიტრო მაღაზიებში მრავალფეროვანი შოკოლადის ფილებიდან შეარჩიონ მათთვის სასურველი და იმით დაკმაყოფილდნენ. მაგრამ ვიცით კი, რომელი შოკოლადი რა პროდუქტს შეიცავს? შეგვიძლია დაგეხმაროთ:

● შავ (მუქ) შოკოლადში მინიმუმ 45%-ს კაკაოს პროდუქტები შეადგენს (კაკაოს ფხვნილი და კაკაოს ცხიმი).

● „მწარე“ შოკოლადში კაკაოს პროდუქტების შემცველობა 45-დან 87%-მდეა.

● ნაღების შოკოლადის შემადგენლობაში 60%-ზე მეტი მშრალი რძე (რძის ფხვნილი) შედის, ხოლო კაკაოს ხვედრითი წილი მასში 35%-ია.

● „დესერტის“ შოკოლადი ყველაზე ნაზია, რადგან მასში კაკაოს მარცვლები ყველაზე წმინდადაა დაფქული. შესაბამისად, შოკოლადის ეს სახეობა ძალზე მაღალი ხარისხისაა და მის დასამზადებლად ყველაზე მეტი დრო იხარჯება.

● ფორებიანი შოკოლადი შემადგენლობის მიხედვით აბსოლუტურად იგივეა, რაც მისი შესაბამისი (ნაღების, მუქი თუ თეთრი) უფორო სახეობა, ერთადერთი განსხვავებით: დამზადების ბოლო ეტაპზე შოკოლადს დიდი წნევის ქვეშ „ბერავენ“.

● თეთრი შოკოლადი კაკაოს ფხვნილს არ შეიცავს. სამაგიეროდ, მასში ბევრია კაკაოს ცხიმი, შაქრის პუდრი, რძე და ვანილი.

არსებობს ასევე ქიშმიშიანი, ალკოჰოლიანი, ნაღების, თხილის და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სახეობის შოკოლადი. თითოეულ მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოგახსენებთ სპეციალისტების აზრს, შოკოლადის ხარისხთან დაკავშირებით: რაც უფრო წვრილადაა კაკაოს მარცვლები დაფქული, მით უფრო მაღალხარისხიანი შოკოლადი მზადდება და მისი გემოც უკეთ აღიქმება. მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმ ვერსიის არსებობასაც, რომ შოკოლადი მეტად კალორიულია და მისი ჭარბად მიღების შემთხვევაში, სწრაფად მოიმატებთ წონაში. თუმცა, ამ ვერსიას თავისი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს (ალბათ ძირითადად ის მეცნიერები, რომლებიც თვითონაც გემრიელად იტკბარუნებენ პირს შოკოლადით). ისინი ამბობენ, რომ 100 გ შოკოლადი დაახლოებით 550 კ კალორიას შეიცავს, ისევე, როგორც ხორცი ან ყველი და ზედმეტი წონის პრობლემა, მხოლოდ უმოძრაობითა და არასწორი კვებით აიხსნება.

ჯენტლმენური აღვილანგების ერსწრაფული გამოხატვანები

კარგი გამოსავალი

მარკ ტვენი თევზაობდა. გვერდით ვიღაც მიუჯდა და ჰკითხა:

— კარგი სათევზაო ადგილია?

— ახალი მოსული ვარ, მაგრამ გუშინ ამ ადგილას თხუთმეტი კალმახი დავიჭირე.

— მართლა?! — გაიკვირვა უცნობმა. იცით, მე ვინ ვარ?

— არა. — მიუგო მწერალმა.

— მე ამ უბნის ზედამხედველი ვარ და ახლავე დაგაჯარიმებთ, რადგან აქ კალმახის დაჭერა აკრძალულია.

მარკ ტვენმა გაიცინა და ჰკითხა:

— თქვენ თუ იცით, მე ვინ ვარ?

— არა. — მიუგო ზედამხედველმა.

— მე ამ უბნის ყველაზე დიდი მატყუარა გახლავართ.

ზომიერება

ცნობილ ინგლისელ მსახიობსა და რეჟისორს ჰენრი ირვინგს უყვარდა საზოგადოებაში თავისი სასცენო ცხოვრებიდან მხიარული ამბების მოყოლა. ერთხელ, როცა მარკ ტვენიც უსმენდა, მსახიობმა პირველივე წინადადების შემდეგ ჰკითხა:

— ეს ამბავი თქვენთვის ცნობილი ხომ არ არის?

მწერალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ირვინგმა ამბის მოყოლა განაგრძო.

უცებ შეჩერდა და კვლავ ჰკითხა:

— ეს ამბავი თქვენთვის მართლა უცნობია?

— კი, ჯერ არ მომისმენია.

— ძალიან კარგი, მაშ, ისევ განვაგრძობ მოყოლას.

მაგრამ ამბის მთავარ მომენტამდე ცოტა ადრე, შეკითხვა კვლავ რომ გაუმეორა, მარკ ტვენმა მიუგო:

— საყვარელო ჰენრი, ზრდილობისათვის ორჯერ მოვიტყუე, მაგრამ მესამედ მეტისმეტი იქნება. ეგ მოთხრობა სამი წლის წინ თვითონ დავწერე.

განუკურნავი ავადმყოფობა

რობერტ კოხთან მაღალი წრიდან გამოსული ავადმყოფი ქალი მივიდა.

— რა გიჭირთ, ჩემო კეთილო? — ჰკითხა ექიმმა.

— მე ყოველთვის „მოწყალეო ქალბატონს“ მიწოდებენ, ბატონო პროფესორო, — უთხრა მწყრალად ქალმა.

— სამწუხაროდ, მაგ ავადმყოფობის განკურნვა არ შემიძლია, — მშვიდად მიუგო კოხმა.

მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში

გერმანელი მწერლები მაქს ჰალბე და ფრანკ ვედეკინდი კვლავ საშინლად წაიჩხუბნენ. უეცრად ჰალბე ავად გახდა და დაიჩივლა, ჩემი აღსასრული დადგაო. ვედეკინდს შეებრალა და გადაწყვიტა, სასიკვდილოდ განწირული კოლეგისათვის გულთბილი წერილი გაეგზავნა.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, ჰალბემ ავადმყოფობას სძლია და როცა იგი რამდენიმე კვირის შემდეგ კაფეში გამოჩნდა, გაბრწყინებული სახით გაემართა ფრანკისაკენ, მისი გულთბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის მადლობის გადასახდელად, მაგრამ ვედეკინდმა ცივად შეხედა.

— მე მეგონა, ფრანკ, ისევ შევრიგდით-მეთქი, ისე გულთბილად რომ მომწერე.

— ცდები, ჩემო კარგო! — მიუგო ვედეკინდმა, — ის მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში ითვლებოდა. ■

ანეკდოტები



***

წარწერები სასაფლაოზე:

„აქ განისვენებს 115 წლის ბერიკაცი, რომელმაც ყველა კბილი შეინარჩუნა. გამოიყენეთ ფირმა „ფტოროდენტის“ კბილის პასტა“.

„აქ კი არავინაა დაკრძალული, გამოიყენეთ ფირმა „ლატექსის“ პრეზერვატივები“.

***

სულთანი ეუბნება თავისი ჰარამხანის ცოლებს:

— მე თქვენგან მივდივარ. სხვა ჰარამხანა შემიყვარდა.

***

ქალი კბილის ექიმთან ჩივილით მივიდა:

— ექიმო, ძალიან მეშინია. არც კი ვიცი, რა უფრო მტკივნეულია — კბილის ამოღება თუ შვილის გაჩენა.

— დროზე გადაწყვიტეთ, ქალბატონო. ხომ უნდა ვიცოდე, სავარძელი საით დავაყირავო?!

***

— ყველაფერი ვსინჯე, მაგრამ სიგარეტს თავს ვერ ვანებებ.

— კანფეტი სინჯე?

— ვსინჯე, მაგრამ ცეცხლი არ ეკიდება.

***

ფსიქიატრების საუბრიდან:

— დღეს ერთი პაციენტი მიმტკიცებდა, ტელეფონი გადავყლაპეო.

— მერე, განკურნე?

— მკურნალობას ხვალიდან შევუდგები, დღეს მნიშვნელოვან ზარს ელოდება.

***

კახელი კორპუსში ახალგადმოსული მეზობლის გასაცნობად მივიდა. კარი ლამაზმა ქალმა გაუღო:

— გამარჯობათ, მე თქვენი მეზობელი ვარ — ვანო.

— ზემოდან თუ ქვემოდან? გაუღიმა მშვენიერმა ქალბატონმა

— ი... სულერთია.

***

ქალი ექიმთან მივიდა.

— გადით მეორე ოთახში და გაიხადეთ, — უთხრა ექიმმა.

ქალი ფარდაჩამოფარებულ ოთახში შევიდა, გაიხადა და ელოდება. ექიმი აგვიანებს. ბოლოს, ქალმა ფარდიდან გამოყო თავი და ექიმს ნაზად დაუძახა:

— მოდი, გიჟო, მე მზად ვაااარ!

ნაოჭები – ქალის სილამაზის მტერი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ადრეული ნაოჭები

ადრეული ნაოჭების განვითარებას გენეტიკური თავისებურებები, ორგანიზმის საერთო მდგომარეობა და გარემოს მავნე ფაქტორთა ზეგავლენა განაპირობებს.

ქალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნაოჭების თავიდან ასაცილებლად საკმარისია მკვებავი კრემის გამოყენება, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ამ მიზნით უნდა გამოიყენოთ სხვადასხვა სამკურნალო საშუალება, ფიზიოთერაპიული პროცედურები, ნიღბები. გარდა ამისა, უნდა ერიდოთ მკვეთრ გახდომას, ზედმეტ სიმსუქნეს, გადაღლას, უძილობას. ალკოჰოლი და თამბაქო აჩქარებს ნაოჭების გაჩენას.

ახალგაზრდა ასაკში ნაოჭების გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს კოსმეტიკური საშუალებების არასწორი გამოყენება. ამ დროს განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება კანს თვალის ირგვლივ. ზოგიერთმა კოსმეტიკურმა საშუალებამ შესაძლოა კანის აქერცვლა და გამოშრობა გამოიწვიოს. ამის შედეგად, კანი კარგავს ელასტიკურობას და ჩნდება ნაოჭების გაჩენის საშიშროება.

ადრეული ნაოჭები მით უფრო სწრაფად ჩნდება, რაც უფრო სუსტია სახის კუნთები.

ამრიგად, ნაოჭებთან ეფექტიანი ბრძოლისათვის უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- გამოიყენეთ მკვებავი კრემები. ამ დროს თავისთავად ხდება კანის მასაჟი.
- იზრუნეთ კანის მუდმივ სისუფთავეზე, რადგან კანსაც სჭირდება სუნთქვა და ჟანგბადი.
- ეცადეთ, კარგად იძინოთ.
- ზომიერად გადაანაწილეთ ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა.
- სასურველია, გამაჯანსაღებელი ვარჯიშების შესრულება.
- სახის კანზე ზრუნვა 19-20 წლის ასაკიდან დაიწყეთ.

ასაკობრივი ნაოჭები

ხანდაზმულ ასაკში ნაოჭების გაჩენა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა სწორი და სისტემატური მოვლა საშუალებას მოგცემთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი.

საერთოდ, ნაოჭების გაჩენას ყველაზე მეტად სახის კანის გამოშრობა უწყობს ხელს. ამიტომ უნდა ეცადოთ, ტენიანი კანი გქონდეთ. ზოგი ქალი გახდომის მიზნით ნაკლებ წყალს სვამს, რაც დაუშვებელია – ამ დროს კანი შრება და ელასტიკურობას კარგავს.

ასაკთან ერთად იცვლება კანქვეშა ცხიმის გადანაწილებაც, რაც ნაწილობრივ დამოკიდებულია კვების რეჟიმზე, ამიტომ საკვები გონივრულად მიიღეთ – ცოტ-ცოტა და ხშირ-ხშირად.

ასაკობრივი ნაოჭების საწინააღმდეგოდ ეფექტური საშუალებაა ვიტამინიზებული კრემები, წყალი (სითხე) და კუნთოვანი აპარატის გამაგრება (სახის მიმიკური კუნთების ვარჯიში).

სპეციალური საშუალებები ჯანის ჯვებისათვის

ნუშის ნატურალური რძე. 25 გრამი გარჩეული ტკბილი ნუში დანაყეთ, ან დაფქვით, დაასხით 1/2 ჭიქა თბილი ანადუღარი წყალი, კარგად აურიეთ ან შეანჯღრიეთ. დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში. შეინახეთ ცივ ადგილას. ხმარებამდე – დილას და საღამოს სითხე შეანჯღრიეთ. დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახესა და ყელზე. თუ გაფართოებული კაპილარები გაქვთ, გირჩევთ, მარილის ნაცვლად, დაუმატოთ ტანინი, რომელიც წინასწარ იქნება გახსნილი 1 ჩ/კ თბილ წყალში.

მცენარეული ნაყენის კომპრესები. თუ მშრალი კანი გაქვთ, ან – რაიმე გამონაყარი, სასურველია დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი შემადგენლობის ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილები მოხარშეთ 1/2 ჭიქა რძეში და მიღებული ნაყენი 20-25 წთ მოათავსეთ ცხელ წყალში.

თუ კანი მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანია, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები. 1 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჭ წყალში და დაუმატეთ იმავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ. ■

ზრდის პრობლემები

ყველა პატარას სურს, მალე გაიზარდოს. მშობლებიც ხშირად არიან შეშფოთებულნი: რამდენი სანტიმეტრი მოიმატა ჩვენმა შვილმა წლის განმავლობაში? მაინც რაზეა დამოკიდებული ბავშვის სიმაღლე და შეიძლება თუ არა ამ პროცესში ჩარევა?

სიზმარში პატარა ზევით მიიწევს

ბავშვის სიმაღლე დამოკიდებულია:

● *უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობაზე.* თუ მშობლები დაბლები არიან, არ უნდა ველოდოთ, რომ პატარა ტანადი გაიზრდება.

● *კვება სრულფასოვანი უნდა იყოს.* ბავშვს ესაჭიროება ბევრი რძის პროდუქტი, რადგან მასში შედის კალციუმი, რომელიც მოზარდი ორგანიზმის საშენ მასალას წარმოადგენს. ყოველდღიურად მიეცით ბავშვს ხილი და ბოსტნეული – მას ვიტამინები ესაჭიროება. განსაკუთრებით სასარგებლოა სტაფილო, რომელიც ბეტა-კაროტინს შეიცავს (მის უკეთ ასათვისებლად კარგი იქნება, თუ სტაფილოს გახეხავთ და მოასხამთ არაჟანს ან ზეთს). ნორმალური ზრდისთვის საჭიროა ცილოვანი პროდუქტები – ხორცი, თევზი. თუ ბავშვი გამხდარია, ცუდად ჭამს, მიეცით მას ხიზილალა (თუკი მის მიმართ ალერგიული არ არის).

● *მნიშვნელოვანია მოძრაობა.* უკეთ იზრდებიან ბავშვები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ჰაერზე, თამაშობენ მოძრავ თამაშებს, დადიან სპორტზე. სპორტული სექციის შერჩევისას, უპირატესობა მიანიჭეთ არა ძალოსნურ სახეობებს, არამედ კალათბურთს, ხელბურთს, ჩოგბურთს.

● *განსაკუთრებულ როლს თამაშობს ძილი.* ხალხური გადმოცემით, ბავშვები ძილში იზრდებიან. ზრდის ჰორმონის (სომატოტროპინის) 70% ღამით გამომუშავდება. თუ ბავშვს გვიან აძინებთ, მას მოუსვენრად სძინავს, ხშირად იღვიძებს, ზრდის ჰორმონის გამომუშავებაც ირღვევა.

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ პატარამ ადრე დაიძინოს და ღრმად ეძინოს? მოგიწევთ დროებით მთელი ოჯახის რეჟიმი ბავშვის ინტერესებს დაუქვემდებაროთ. ადრიანად უნდა გამორთოთ ტელევიზორი, გააცილოთ სტუმრები. საღამოს ბავშვს მშვიდი თამაშები ეთამაშეთ, ძილის წინ უამბეთ ზღაპარი, წაუკითხეთ რაიმე, მოასმენინეთ მშვიდი მუსიკა.

● *მნიშვნელოვანია საერთო ოჯახური ატმოსფეროც.* არსებობს მცნება: „ფსიქოემოციური სიდაბლე“. იგი მარტო ხელმოკლე ოჯახის შვილებს როდი უვითარდებათ. შეიძლება ბავშვს კარგად აჭმევდეთ, აცმევდეთ, ყიდულობდეთ საუცხოო სათამაშოებს, მაგრამ თუ მას არ ჰყოფნის სიყვარული და სითბო, მისი ზრდა ფერხდება. ფსიქოლოგებმა გამოთვალეს, რომ ოჯახში კარგი ფსიქოემოციური ატმოსფეროს შესაქმნელად, დღეში 8-ჯერ მაინც უნდა მოეფერეთ და აკოცოთ ოჯახის წევრებს.

როდის ავტეხოთ განგაში

ბავშვი ყველაზე სწრაფად იზრდება პირველ წელს, დაახლოებით 25 სმ-ით. შემდეგ ტემპი მცირდება: მეორე წელს პატარა 8-12 სმ-ს მატულობს, შემდგომში ყოველწლიურად 4-6 სმ-ს.

თუ მესამე წელს ბავშვმა სიმაღლეში 4 სმ-ზე ნაკლები მოიმატა, იგი ენდოკრინოლოგს უნდა აჩვენოთ. ზოგჯერ მშობლები ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ მათი შვილი თანატოლებთან შედარებით დაბალია და მხოლოდ მოზარდობის ასაკში გამოფხიზლდებიან ხოლმე, როცა რაიმის შეცვლა უკვე ძნელია. სპეციალისტისათვის დროულად მიმართვით მათ შეეძლოთ, დახმარებოდნენ პატარას ზრდაში.

საბედნიეროდ, დაბალ ბავშვთა უმრავლესობას გარკვეულ ცდაზე გამოუვლინდება ე.წ. კონსტიტუციონალური შეფერხება ზრდაში. მათი მშობლებიც სწორედ ასე იზრდებოდნენ: ფიზკულტურის გაკვეთილებზე სულ ბოლოში იდგნენ, შემდგომ კი, უცბად აიყარეს ტანი. ასეთ გოგონებსა და ბიჭუნებს გვიან ეწყებათ პუბერტული (სქესობრივი მომწიფების) პერიოდი. არავითარ მკურნალობას ისინი არ საჭიროებენ. 16-18 წლის ასაკში ისინი დაეწევიან და გაასწრებენ კიდეც თავიანთ თანატოლებს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოკვლევის შედეგად დგინდება ჰორმონული დარღვევა – სომატოტროპული ჰორმონის ნაკლოვანება, რაც ან გენეტიკურია, ან ენდოკრინული სისტემის მოშლილობის ბრალია. ადრე ასეთი ადამიანების ბედი

გადაწყვეტილი იყო: ბიჭები 140 სმ-მდე, ხოლო გოგონები 130 სმ-მდე იზრდებოდნენ. დღეს მათი დახმარება შესაძლებელია.

ჯადოსნური წვეთები

ასეთ ბავშვებს მკურნალობენ გენური ინჟინერიით სინთეზირებული სომატოტროპინით. პრეპარატს მხოლოდ სპეციალისტი ნიშნავს. მკურნალობა რამდენიმე წელი გრძელდება, ვიდრე არ დაიხურება ზრდის ზონები (ამის განსაზღვრა ხელის მტევნების რენტგენოგრაფიითაა შესაძლებელი). ზრდის ჰორმონის შეყვანა ხდება ყოველდღიურად სპეციალური შპრიცით. ეს პრეპარატი საკმაოდ ძვირად ღირებულია. ერთი თვის მკურნალობა ათასი დოლარი ჯდება. პირველ წელს ბავშვი 8-12 სმ-ით იზრდება, მეორე წელს – 6-8 სმ-ით, მესამე წელს – 4-6 სმ-ით. რაც უფრო ადრე იწყებენ მკურნალობას, მით უკეთესია შედეგები.

ოჯახური სიდაბლის დროს ზრდის ჰორმონის პრეპარატების ეფექტურობა ნაკლებია, ვიდრე სომატოტროპინის ნაკლებობის დროს. ასეთ შემთხვევაში სიმაღლეში ბავშვი მხოლოდ 6-8 სმ-ით მატულობს.

როგორ გამოვთვალოთ შვილის სავარაუდო სიმაღლე

იმის დასადგენად, თუ როგორი სიმაღლე ექნება თქვენს შვილს, როდესაც გაიზრდება, საჭიროა, დედისა და მამის სიმაღლის მაჩვენებლები შეკრიბოთ, გაყოთ 2-ზე, ხოლო შემდგომ მიუმატოთ 6,5 სმ ბიჭისათვის, ხოლო გოგონას შემთხვევაში, ამდენივე უნდა გამოაკლოთ.

■

გრიპის სეზონი ახლოვდება

უდავოა, რომ ხახვი, ნიორი და სხვა პოპულარული ხალხური საშუალებები გარკვეულწილად გვიცავს ინფექციისაგან. ის სამკურნალოდაც შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ უმჯობესია, დაავადება თავიდან ავიცილოთ. ნივრისა და ხახვის ანტივირუსული მოქმედება შეიძლება აიხსნას ორი ფაქტორით: უშუალოდ ტოქსიკური ზემოქმედებით ვირუსზე და იმ უჯრედთა აქტიურობის სტიმულირებით, რომლის ფუნქციაც ვირუსით დაზიანებულ უჯრედთა განადგურებაა. ნივრის ეთეროვანი ზეთის ნაწილი ფილტვების გზით გამოიყოფა და არბილებს და ათხელებს სასუნთქ გზებში დაგროვილ ნახველს, რომელიც გაჯერებულია ვირუსებით და ამგვარად ხელს უწყობს ორგანიზმიდან მის გამოდევნას. ნიორი, ისევე როგორც სხვა ხალხური საშუალებები, საჭიროებს ხანგრძლივ და უწყვეტ მიღებას; აქვს უსიამოვნო სუნი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ორგანიზმში ვირუსთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ხვდება და მისი ინკუბაციური პერიოდი 1-2 დღეა, მივხვდებით, რომ პროფილაქტიკის ეს საშუალება პანაცეა არ არის. გარდა ამისა, ნიორი ასტიმულირებს კუჭის წვენისა და ნაღვლის გამოყოფას და კუჭისა და ღვიძლის დაავადებების დროს, არ არის სასარგებლო.

ზოგი ადამიანი გრიპის ეპიდემიისას სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებად არაყს იყენებს. უნდა ითქვას, რომ ალკოჰოლი ვირუსებს ხოცავს მხოლოდ სინჯარაში და არა ორგანიზმში. დაავადებული ორგანიზმის იმუნიტეტი ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებისას ქვეითდება და ხშირად დაავადება რთულდება კიდეც.

გრიპისაგან თავდაცვის თანამედროვე ეფექტური საშუალებაა აცრა. როგორია მისი მოქმედების მექანიზმი? ვაქცინის შეყვანისას ორგანიზმი მას უცხო სუბ-

სტანციად აღიქვამს და რთავს იმუნურ მექანიზმებს. ეს პროცესი ბუნებრივი ინფექციის დროს მიმდინარე იმუნური რეაქციის ანალოგიურია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინები შეიცავს ვირუსის მხოლოდ იმ ფრაგმენტს, რომელიც იმუნიტეტის ფორმირებისთვისაა საჭირო, ხოლო ცოცხალი ვირუსი მასში არ არის.

პრეპარატის ერთჯერადი შეყვანიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ორგანიზმში წარმოიქმნება ანტისხეულები (განსაკუთრებული ცილები), რომელსაც აქვს უნარი, დაიცვას ორგანიზმი გრიპის ვირუსისაგან. ეს დაცვა საკმაოდ ძლიერი და მუდმივია, განსხვავებით ნივრისგან, რომელიც საერთო იმუნიტეტს მცირე ხნით ზრდის და რეგულარულ მიღებას საჭიროებს. ამასთან, აცრის შემდეგ ანტისხეულთა კონცენტრაცია ძალიან მაღალია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ვირუსის მოულოდნელი მასირებული შეტევის მოსაგერიებლად. რაც შეეხება თანამედროვე ვაქცინების უსაფრთხოებას, უნდა შეარჩიოთ ვაქცინების მწარმოებელი კარგად ცნობილი საერთაშორისო კომპანიის პრეპარატი და ამით ყოველგვარ რისკს აიცილებთ თავიდან.

თანამედროვე ვაქცინები გამოდის ინდივიდუალური გამოყენებისთვის მზა შპრიცებით, რომლის ნემსები დამუშავებულია სპეციალური შემადგენლობით, რაც აცრას უმტკივნეულოს ხდის. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ვაქცინას (კერძოდ ფრანგულს) აქვს სპეციალური ფორმები ექვს თვემდე ასაკის ბავშვებისათვის. ის არ შეიცავს კონსერვანტებს, რაც ამცირებს გვერდითი მოვლენების განვითარების ალბათობას. სასურველია, აცრა ოქტომბერში გაკეთდეს, ვიდრე ეპიდემია დაიწყება, თუმცა დამტკიცებულია, რომ ეპიდემიის პერიოდშიც თანამედროვე მკვდარი ვაქცინებით აცრა საჭიროა და ამასთან აუცილებელიც. გვიან აცრის შემთხვევაში დაავადების განვითარების შანსი მეტია, რადგან იმუნიტეტის გამომუშავებას ანუ ვაქცინის „ამოქმედებას“ დრო სჭირდება.

ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის (ალერგიული, დასუსტებული ბავშვებისათვის, ქრონიკული დაავადების მქონეთათვის) აცრები უკუნაჩვენებია. თუმცა, თანამედროვე ვაქცინის მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ მათი პროდუქცია გაწმენდილია და აღნიშნული კატეგორიის ადამიანებისთვის უკუჩვენებას არ წარმოადგენს და რომ პირიქით, მათ აუცილებლად უნდა გაიკეთონ აცრა, რადგანაც ინფიცირების შემთხვევაში დაავადების გართულება პირველ რიგში სწორედ დასუსტებულ ორგანიზმს ემუქრება. ოღონდ, ასეთმა ადამიანებმა აცრა მხოლოდ ჯანმრთელობის სტაბილიზაციის პერიოდში და აუცილებლად, ექიმის მეთვალყურეობით უნდა ჩაიტარონ. ■

მზის სკალპელი

მზის კონცენტრირებული სხივით შეიძლება შეიცვალოს ლაზერის სხივი, რომელსაც ქირურგები უკვე 30 წელია იყენებენ. მზის ქირურგიის პირველი ექსპერიმენტები ისრაელში ჩატარდა. 20 სმ დიამეტრის სარკის კოლექტორი დამონტაჟებულია საოპერაციოს სახურავზე. იგი აკონცენტრირებს მზის სხივის ენერგიას 11-15-ათასჯერ. სინათლე ოპტიკური გზით საოპერაციოში გადაეცემა, სხივგამტარის მახვილი ბოლო, რომელიც სკალპელად გამოიყენება, ენერგიას კიდევ 2-4-ჯერ ასქელებს. ფრინველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მზის სხივი თითქმის უსისხლოდ აკეთებს განაკვეთს და აცილებს სიმსივნეს. განსაკუთრებით პერსპექტიულია მზის ოპერაციები ღვიძლზე – ეს ორგანო ხომ სავსეა სისხლძარღვებით და ჩვეულებრივი სკალპელის გამოყენებისას სისხლმდენი ხდება. ერთადერთი მინუსი ის არის, რომ მზის ქირურგია შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ სამხრეთ რაიონებში და მხოლოდ უღრუბლო დღეს, თანაც მეტეოროლოგებთან კონსულტაციის შემდეგ. სამაგიეროდ, მზის ქირურგიის დანადგარი 100-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ლაზერული. ■

ასტროლოგიური პროგნოზი

კვირის (27 ოქტომბერი — 2 ნოემბერი)

ღრიანცელი — 24/X-22/XI

ქალი: პირადი ცხოვრება მნიშვნელოვანია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სამსახურიც გაქვთ — ბოლოს და ბოლოს, თქვენი ფინანსური მდგომარეობა ხომ ამაზეა დამოკიდებული?! თქვენი ენთუზიაზმი გადამდებია. ასე რომ, ნუ გაუცრუებთ იმედს ხელმძღვანელობას.

მამაკაცი: ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, პატარა პრობლემა გაგიჩნდებათ, მაგრამ ნუ შეშფოთდებით — გაითვალისწინეთ ექიმის რჩევები, დაიცავით დიეტა და მალე გამოჯანმრთელდებით.

მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

ქალი: იყავით კეთილი და გულმოწყალე. ამ კვირაში რასაც გასცემთ, ორმაგად დაგიბრუნდებათ. ამიტომ თესეთ სიკეთე და ბოროტ ენებს ნუ აჰყვებით.

მამაკაცი: საკუთარი თავით კმაყოფილი ხართ, ფინანსური საქმეებიც კარგად მიდით. მაგრამ გირჩევთ, ზედმეტად ენაწყლიანი ნუ იქნებით — ნურავისთან გაამხელთ იმას, რასაც აქამდე საიდუმლოდ ინახავდით.

თხის რქა — 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში თქვენს პროფესიონალიზმს სათანადოდ შეაფასებენ. თქვენი უნარითა და ახალი იდეებით ხელმძღვანელობას აღაფრთოვანებთ. სასიყვარულო ურთიერთობებში სიახლე გელით. მზად იყავით ახალი გატაცებისათვის.

მამაკაცი: ეჭვი ცუდი მეგობარია. ამიტომ მოუხმეთ გონიერებას და სანამ ვინმეს რამეში ბრალს დასდებდეთ, კარგად დაფიქრდით. გახსოვდეთ: ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა კი — ათასი.

მერწყული — 21/I-19/II

ქალი: შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ შინ და ოჯახის წევრების პრობლემებით დაინტერესდეთ. მათ თქვენი ყურადღება სჭირდებათ. სამსახურში წარმატება გელით. კარგად შესრულებული სამუშაოსთვის ქებას დაიმსახურებთ.

მამაკაცი: დიდი სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ. დაიცავით უსაფრთხოების წესები, თუკი მექანიკურ ან ელექტრომოწყობილობასთან გაქვთ საქმე. კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გაისეირნეთ.

თევზები — 20/II-20/III

ქალი: ზოგჯერ საჭიროა, ოჯახში თქვენი პოზიციების გამყარებაზეც იზრუნოთ. ახლა სწორედ ამის დროა. კარგად მოიფიქრეთ — როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ახლობლები მეტი პატივისცემით მოგეპყრონ.

მამაკაცი: გეჩვენებათ, რომ ვიღაც გამუდმებით გატყუებთ. დროა, მტანჯველი ეჭვებისაგან გათავისუფლდეთ. თუ ასე გააგრძელებთ, ახლობლებს გაანაწყენებთ.

ვერძი — 21/III-20/IV

ქალი: ამ კვირაში განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ დოკუმენტებს. „არ არსებობს უმნიშვნელო დეტალი!“ — აი, ამ ლოზუნგით იხელმძღვანელეთ და შეცდომას არ დაუშვებთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ყველაზე ხელსაყრელი დღე, მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად, პარასკევია. ამ დღეს შეგიძლიათ, მაქსიმალურად ხელგაშლილიც იყოთ. დანარჩენ დღეებში მომჭირნეობა გამოიჩინეთ.

კურო — 21/IV-21/V

ქალი: დაძლიეთ სიამაყე და პირველმა გადადგით ნაბიჯი საყვარელი ადამიანის შემოსარიგებლად. ამ კვირაში ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისგან. შაბათი დღე მეგობრების წრეში გაატარეთ.

ტარიგანი — 22/V-21/VI

ქალი: ჯობს ამ კვირაში მეგობრებისთვის რჩევების მიცემას თავი აარიდოთ. ისინი მაინც ისე მოიქცევიან, როგორც თავად სურთ, თქვენ კი, მათთან ურთიერთობას გაირთულებთ.

მამაკაცი: თქვენ გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს. ამიტომ მეტი აქტიურობის გამოვლენა გმართებთ. ენდეთ საკუთარ ინტუიციას და იყავით თავდაჯერებული.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

ქალი: შეეცადეთ, შინ ნაკლები დრო გაატაროთ. ამით ოჯახის წევრებთან კონფლიქტს თავიდან აიცილებთ! კარგი იქნება, თუ ამ დღეებში ფსიქოლოგთან შეივლით და საკუთარ პრობლემებზე ესაუბრებით.

მამაკაცი: ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს, თუ არ გინდათ, რომ სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდეთ.

ლომი — 23/VII-23/VIII

ქალი: ნუ მიაქცევთ ყურადღებას ინტრიგებს, რომელსაც თქვენ გარშემო ხლართავენ. მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. ცუდი არ იქნება, თუ ამ კვირაში საკუთარი აზრის გამოთქმისგანაც შეიკავებთ თავს.

მამაკაცი: ყურადღებით დააკვირდით თქვენს გარშემომყოფთ. ნუ გაიმეორებთ იმას, რაც მათში არ მოგწონთ. მეტი სერიოზულობით მოეკიდეთ სამსახურს.

ქალწული — 24/VIII-23/IX

ქალი: გამოიჩინეთ პრინციპულობა. შეხედეთ უცხო თვალით საკუთარ თავს და სწორად განსაზღვრეთ, რა ადგილი გიკავიათ საზოგადოებაში.

მამაკაცი: ქალები გაღმერთებენ. არ არის გამორიცხული, ამ კვირაში თქვენი ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალოს. ასე რომ, იაქტიურეთ. ოღონდ ერთი რამ გაითვალისწინეთ: სწორად უნდა განსაზღვროთ, ვის უთხრათ ლამაზი სიტყვები.

სასწორი — 24/IX-23/X

ქალი: შეეცადეთ ისეთი ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდეთ, რომელთაც თქვენი ესმით. დაღლილი ხართ და დასვენება გჭირდებათ. ამ კვირაში მაქსიმალურად ასიამოვნეთ საკუთარი თავი და არც მეგობრები დაივიწყოთ.

მამაკაცი: დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოთ რაიმე. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთფეროვნების ტყვე გახდებით. დაინტერესდით სპორტით, წამოიწყეთ ახალი ფლირტი... მოკლედ, დატკბით ცხოვრებით...

კრემლიდან ტოტალიზატორის გამგონლეების გვარი

მსახიობი ფილმში „კაბარე“

ჩუკოტკის დედაქალაქი

ზენიტის ანტიპოდი

ადამიანის მსგავსი მაიმუნი

აფრიკის უმაღლესი მწვერვალი

დამხმარე თეორემა

იმედის-მომცემი ბრიტანელი ფუტბურთელი

ვერდის ოპერა

დაქირავებული მკვლელი

რთული არჩევანი

კაის მეგობარი

საჭმელი წვრილად დაჭრილი ხორცისგან

ერთ-ერთი პირველი ქართული კვარტეტი

ნანათობელი კოშკი ზღვის ნაპირზე

სასმელი შაქრის ლერწმისგან

სამგზავრო მზღვა ოში დამრცხებისთვის

სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა

მსახიობი ფილმში „9 1/2“ კვირა

ქალაქი იტალიაში

მეცნიერება

თანხმობა ესპანურად

აშშ-ის უდიდესი მდინარე

ჰავაიზე შეჭმული ბრიტანელი მეზღვაური

თრიაქის მოსაწევი მოწყობილობა

ბოლოსართი

უცნობი სიდიდე

მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში

უყვავილო-სპორტანი მცენარე

იტალიელი კომპოზიტორი

ნანის საცხი

5 უშვრელები

მონტე-კრისტოს ტიტული

კალათა საჰაერო ბურთზე

სროლაში საკარჯიშო ოთახი

სამხედრო გემის სახეობა

მამრი ხორცის მჭამელი ცხოველი

მატყუარა

პატარა მდინარე არხში

პეპლის მატლური სტადია

შეადგინა რამაზ ალანიამ

21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ.

„მეჯდების მბრძანებლის“ მესამე ფილმი ეკრანებზე საშობაოდ გამოჩნდება

ავსტრალიელი რეჟისორის პიტერ ჯექსონის გახმაურებული სურათის, „ბეჭდების მბრძანებლის“ მესამე ფილმის – „ხელმწიფის დაბრუნება“ – პრემიერა აშშ-ისა და ევროპის მაყურებლისათვის 17 დეკემბერს შედგება. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ნაწილის გადაღებები პრაქტიკულად პირველ ორ ფილმთან ერთად მიმდინარეობდა, სამონტაჟო სამუშაოების დროს, ერთიანი ფირი სამ ნაწილად გაიყო. პირველი ორი სურათი – „ბეჭდების საძმო“ და „ორი კოშკი“ 2001 და 2002 წელს, საშობაოდ გამოვიდა ეკრანებზე და არნახული წარმატება ხვდა წილად. სხვათა შორის, ამ ფილმებმა მის შემქმნელთ უდიდესი ფინანსური მოგებაც მოუტანა.

„ხელმწიფის დაბრუნების“ პრემიერამდე, კინოთეატრებში ტრილოგიის წინა ორი ნაწილის სრულ ვერსიას უჩვენებენ, ე.ი. ფილმში შეტანილი იქნება ის სცენები, რომელიც საბოლოო რედაქციაში არ შევიდა.

ტოლკიენის ამერიკელი და ევროპელი ფანატები მოუთმენლად ელიან პრემიერას – კინოთეატრების სალაროებთან (ბილეთების გაყიდვა ოქტომბრის შუა რიცხვებიდან უკვე დაწყებულია) ვეებერთელა რიგებია გაჭიმული. ■

შვარცენეგერს გუბერნატორობა ხელს არ შეუშლის თურქეთის უფლისწულად ცოფნაში

კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში არნოლდ შვარცენეგერის გამარჯვება, სულაც არ ნიშნავს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობის კინოეკრანებიდან გაქრობას. „ჰოლივუდ რეფორტერ“-ის ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვარსკვლავის ნიჭის თაყვანისმცემლებს მისი ხილვის საშუალება კიდევ არაერთ ჰოლივუდურ პროექტში ექნებათ – ოღონდ, მხოლოდ ეპიზოდურ როლებში.

წინასაარჩევნო მარათონის ყველაზე დაძაბულ ეტაპზე აშშ-ის ეკრანებზე გამოვიდა ფილმი – „გასაღება“, სადაც მთავარ როლს ცნობილი რესტლერი დუეინ ჯონსონი (მეტსახელად კლდე) ასრულებდა. ფილმში შვარცენეგერის გამოჩენა სცენარით ნავარაუდევი არ იყო. გადასაღებ მოედანზე მსახიობმა სრულიად შემთხვევით შეიარა და ყოველგვარი პირობის წამოყენების გარეშე, სურათში მონაწილეობაზე დათანხმდა. ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში, შვარცენეგერის გმირი ჯონსონის გმირს ღამის კლუბში გადაეყრება და მას „კარგ დროს ტარებას“ უსურვებს. ეს ფრაზა არაერთმა ჟურნალისტმა „ექშენის“ ჟანრის ვარსკვლავის მიერ, ახალგაზრდა თაობისთვის გზის დალოცვად მონათლა.

კინოკომპანია „უორნერ ბროს“ ა.წ. ნოემბერში DVD ვერსიის უკანასკნელი ბლოკბასტერის – „ტერმინატორი-3“-ის გაყიდვას გეგმავს. ამ მოვლენას სერიოზული სარეკლამო კამპანია უძღვის წინ – ასე რომ, ტელევიზორებისა და კინოთეატრების ეკრანებზე გამოჩენა არნოლდს გარანტირებული აქვს.

მომავალ წელს, ჟიულ ვერნის რომანის – „80 დღე მსოფლიოს გარშემო“ – მიხედვით გადაღებული ამავე სახელწოდების სურათის პრემიერა შედგება, სადაც შვარცენეგერი თურქეთის უფლისწულის როლს ასრულებს. ფილმის ეპიზოდებში მაყურებელი ჰოლივუდის კიდევ არაერთ ვარსკვლავს იხილავს.

ჯერჯერობით, გაურკვეველი რჩება რამდენიმე პროექტის ბედი, რომელშიც ახალგამომცხვარი გუბერნატორის მონაწილეობა იგეგმებოდა. უწინარეს ყოვლისა, საუბარია, „ტერმინატორ-4“-ზე, რომლის სცენარზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. გარდა ამისა, შვარცენეგერი აცხადებდა, რომ თავადაც დაინტერესებულია „კონან ბარბაროსისა“ და ფანტასტიკური დრამის Westworld-ის გაგრძელების გადაღებით.

ამ ორი უკანასკნელი პროექტის თაობაზე, ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ კინოსტუდიის ხელმძღანელებს. შესაძლოა, ჰოლივუდელი ბოსები შვარცენეგერის გუბერნატორობის პირველი ვადის დასრულებას დაელოდონ და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ. იმ დროისათვის არნოლდი 60 წლის იქნება. ■

ჯეიმს კემერონი სელმა ჰაიეკს თავის ახალ ფილმში იღებს

„იუნივიზიონის“ ინფორმაციით, სელმა ჰაიეკი მონაწილეობას მიიღებს ჯეიმს კემერონის ახალ პროექტში, რომლის მოსამზადებელი სამუშაოებიც უკვე მიმდინარეობს. ფილმში მოთხრობილი იქნება მყვინთავ ფრანცისკო ფერერასა და მისი ცოლის – ოდრი მესტრეს სასიყვარულო ამბავი. კინოსტუდია „XX საუკუნე, ფოქსი“ სურათის გადაღებას 2005 წლისთვის გეგმავს.

ჰაიეკი მესტრეს როლს შეასრულებს, რომელიც კუბელმა მყვინთავმა ფერერასმა სპორტის ექსტრემალურ სახეობას აზიარა; მოგვიანებით, ოდრიმ ქმრის რეკორდიც კი მოხსნა. შარშან, მესტრე საკუთარი რეკორდის – 577,7 ფუტის (ერთი ფუტი – 0,3048 მ-ს) სიღრმეზე ჩაყვინთვის – გაუმჯობესების მცდელობისას დაიღუპა. ■

უფრთხილდებით თუ არა ჯანმრთელობას?



ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ჯანმრთელობაზე მხოლოდ საშუალო ან საშუალოზე უფროსი ასაკის ადამიანებმა უნდა იზრუნონ. ჯანმრთელობას ადამიანი ახალგაზრდობიდანვე უნდა გაუფრთხილდეს, რათა მთელი ცხოვრების მანძილზე ხალისიანად და მხნედ გამოიყურებოდეს.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენი ჯანმრთელობისადმი? თუ ამის დადგენა გსურთ, უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს.

1) კვების როგორი რეჟიმი გაქვთ?

ა) მსუბუქი საუზმე, კარგი სადილი და ძილის წინ, ხილი ან ბოსტნეული – 4;

ბ) ზოგჯერ დღეს საუზმის ან სადილის გარეშე ატარებთ – 2;

გ) კვების არანაირი რეჟიმი არ გაგაჩნიათ – 0.

2) ეწევით თუ არა?

ა) არა – 4;

ბ) დღეში ერთი-ორ ღერს – 2;

გ) დღეში ერთ კოლოფს ან მეტს – 0.

3) როგორი დამოკიდებულება გაქვთ ალკოჰოლთან?

ა) სვამთ, მხოლოდ წვეულებებზე – 2;

ბ) საერთოდ არ სვამთ – 4;

გ) ხშირად სვამთ, ხანდახან მარტოც – 0.

4) გიყვართ თუ არა ყავა?

ა) ყავის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ და დღეში რამდენიმე ფინჯანს სვამთ – 0;

ბ) იშვიათად სვამთ ყავას – 4;

გ) დღეში მხოლოდ ერთ ფინჯანს მიირთმევთ – 2.

5) ვარჯიშობთ თუ არა ფიზიკურად?

ა) დიახ, ეს თქვენთვის აუცილებელია – 4;

ბ) არა, საამისოდ ძალა არ გაქვთ – 0;

გ) გინდათ ვარჯიში, მაგრამ ჯერ ვერ ახერხებთ – 2.

6) განიჭებთ თუ არა სიამოვნებას თქვენი სამუშაო?

ა) დიახ, სამსახურში მუდამ სიამოვნებით მიდიხართ – 4;

ბ) თქვენი სამუშაო ამ ეტაპზე გაკმაყოფილებთ – 2;

გ) სამსახური სამსახურია, მისგან სიამოვნებას არც ელით – 0.

7) ღებულობთ თუ არა წამლებს?

ა) არა – 4;

ბ) მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში – 2;

გ) თითქმის ყოველდღე – 0.

8) გაწუხებთ თუ არა რაიმე ქრონიკული დაავადება?

ა) დიახ, რამდენიმე – 0;

ბ) არ მიგიქცევიათ ყურადღება – 2;

გ) არაფერი გაწუხებთ – 4.

9) თავისუფალ დროს დაკავებული ხართ თუ არა ფიზიკური მუშაობით — ტურიზმით ან სპორტით?

ა) დიახ, ხშირად – 4;

ბ) როცა კი ამის საშუალება მოგეცემათ – 2;

გ) არა, გამოსასვლელ დღეებში შინ ყოფნა და დასვენება გირჩევნიათ – 0.

10) თვლით თუ არა თქვენს ოჯახს ჰარმონიულად?

ა) დიახ – 4;

ბ) არც ისე – 2;

გ) არა – 0;

11) ხართ თუ არა შეყვარებული?

ა) დიახ – 4;

ბ) ხანდახან, შემთხვევიდან შემთხვევამდე – 2;

გ) არა – 0.

12) როგორ ატარებთ შვებულებას?

ა) აქტიურად ხართ დაკავებული სპორტით – 4;

ბ) დროს ატარებთ მეგობრებთან ერთად – 2;

გ) შვებულებაში დიდი ხანია, აღარ ყოფილხართ – 0.

13) არის თუ არა ისეთი რამე ან ვინმე, ხშირად რომ გიშლით ნერვებს შინ ან სამსახურში?

ა) დიახ, ბევრი რამე და ბევრი ვინმე – 0;

ბ) არის, მაგრამ ცდილობთ, ყურადღება არ მიაქციოთ – 2;

გ) ასეთი არაფერია – 4.

14) გაქვთ თუ არა იუმორის გრძნობა?

ა) დიახ, ახლობლები ამბობენ, რომ საკმაოდ კარგი – 4;

ბ) საერთოდ არ გაქვთ – 0;

გ) თქვენ არა, მაგრამ ძალიან აფასებთ იმ ადამიანებს, ვისაც ეს გრძნობა აქვს – 2.

დაანჯამეთ ქულები

38-56 ქულა: თქვენ იმდენად ჯანმრთელი ხართ, რომ თამამად შეიძლება, ას წლამდე იცოცხლოთ. საკუთარ თავს უვლით და თუ კვლავაც გააგრძელებთ ცხოვრების ჯანმრთელი წესის დაცვას, მაშინ ენერგიულობას და აქტივობას ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნებთ. მხოლოდ ისღა გაქვთ საფიქრალი, სპორტული და ჯანმრთელი ცხოვრების წესის გამო, რამდენ ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე გიწევთ უარის თქმა. ხანდახან შეიძლება აჰყვეთ გულის კარნახს, თავს ასიამოვნოთ და განიტვირთოთ.

19-37 ქულა: ისე ხდება, რომ კარგი საუბრის გაბმა ჭიქა ყავის ან სიგარეტის გარეშე არ შეგიძლიათ. კარგი ჯანმრთელობა გაქვთ, მაგრამ მას სათანადოდ არ უფრთხილდებით. მეგობრებთან კონტაქტი კარგი ხასიათისა და კონტაქტურობის გამო, ხშირად გიწევთ და ამიტომაც, იმასაც ცდილობთ, რომ მუდამ ფორმაში იყოთ და იმასაც, რომ ცხოვრებისეულ სიამოვნებებზე უარი არ თქვათ. თუ ამ „ოქროს შუალედს“ დიდხანს შეინარჩუნებთ, ძალიან კარგი იქნება.

0-18 ქულა: თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა პირველ რიგში, სწორედ თქვენზეა დამოკიდებული, მაგრამ საკუთარ თავს ძალიან ზერელედ ეპყრობით. ამიტომაც არის, რომ ხშირად გიჩნდებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ხშირად ხდებით ავად, გიწევთ წუწუნი და წამლების მიღება, თუმცა წამლების და ექიმების იმედად ყოფნა, ალბათ არც ღირს. უმჯობესი იქნება, სასწრაფოდ შეიცვალოთ ცხოვრების წესი: მისდიოთ სპორტს და მიირთვათ ბევრი ხილი და ბოსტნეული. სანამ გვიან არ არის, უარი თქვით სასმელსა და სიგარეტზე, მოიწესრიგეთ დღის რეჟიმი და მალე, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ.

გარდაიცვალა უხუცესი ამერიკელი ქალბატონი

ქალაქ ტრენტონში (ნიუ-ჯერსის შტატი), მოხუცთა თავშესაფარში, 114 წლის ასაკში გარდაიცვალა ელენ სლოუ, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა აშშ-ის ყველაზე ხანდაზმულ მცხოვრებად. შემონახული დოკუმენტების მიხედვით, ის 1889 წლის 8 ივლისს დაბადებულა...

მის გარდაცვალებამდე 3 დღით ადრე, იმავე პანსიონატში გარდაიცვალა სლოუს უფროსი ქალიშვილი – ვანდა.

Gerontology Research Group-ის მონაცემების მიხედვით, 2002 წლისთვის 100 წლის ასაკს მიღწეულ ადამიანთა რიცხვი აშშ-ში, 72 ათასს შეადგენდა. პროგნოზის მიხედვით, 2010 წლისთვის

ეს რიცხვი 131 ათასამდე გაიზრდება. აშშ-ის უხუცესთა უმეტესობა კალიფორნიის მცხოვრებია.

იაპონელი კამატო ხონგოს (116 წლის) მერე ელენ სლოუს მესამე ადგილი ეკავა მსოფლიოს უხუცესთა შორის. კამატო ხონგო, რომელმაც 16 სექტემბერს თავისი 116-ე დაბადების დღე აღნიშნა, ჯანმრთელობას სულაც არ უჩივის და ძველებურად მხნედ გრძნობს თავს. მას 146 შთამომავალი ჰყავს, თავად კი, 79 წლის ქალიშვილთან და 18 წლის შვილთაშვილთან ერთად ცხოვრობს.

თუმცა, არც 116 წელი ყოფილა ძალიან ბევრი... მსოფლიო რეკორდი ფრანგ ჯანკალმენს ეკუთვნის, რომელმაც 122 წელი და 164 დღე იცოცხლა და 1997 წელს გარდაიცვალა. ■

ნახმარი ტანსაცმელი აიკრძალა

ტანზანიის მთავრობამ აკრძალა მეორადი ტანსაცმლის ზოგიერთი კატეგორიის (კერძოდ, ტრუსის, ბიუსტჰალტერისა და წინდების) ქვეყანაში შემოტანა, რადგან შიშობს, რომ ამ გზით შეიძლება სხვადასხვა სახის დაავადება გავრცელდეს. აკრძალვა ძალაში 2003 წლის 15 ოქტომბრიდან შევიდა.

ამიერიდან, ამ აღმოსავლეთაფრიკული ქვეყნის საზღვარზე შემოწმდება ყველა ზემოთ დასახელებული კატეგორიის სამოსი და თუკი დარწმუნდებიან, რომ ის უხმარია, მხოლოდ იმ შემთხვევაში დართავენ ქვეყანაში შეტანის უფლებას. „ამ ღონისძიების მიზანი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა“ – განაცხადა ტანზანიის ხელისუფლების ოფიციალურმა წამომადგენელმა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნახმარი ნივთების იმპორტი ტანზანიისა და სხვა აფრიკული სახელმწიფოების ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს – ვინაიდან აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობას ახალი ტანსაცმლის შეძენის საშუალება არა აქვს. ■

მეგობრის გადარჩენისთვის... დააპატიმრეს

ამერიკელმა კენეტ ჰუდმა მეგობარი დახრჩობას გადაარჩინა, რის შემდეგაც ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა.

შტატ ალაბამის მცხოვრები, 47 წლის კენეტ ჰუდი მეგობრებთან ერთად მდინარის ნაპირას ისვენებდა. კენეტი ერთ-ერთ მეგობართან საუბრით გაერთო. ამ დროს, მანქანას, რომელშიც მათი მესამე მეგობარი იჯდა, ხელის მუხრუჭმა უმტყუნა; მანქანა ნელ-ნელა დაგორდა და პირდაპირ მდინარისკენ აიღო გეზი.

კენეტ ჰუდი მეგობრის დასახმარებლად წყალში გადაეშვა, შემდეგ კი პოლიცია გამოიძახა.

შემთხვევის ადგილას მისული სამართალდამცავებისგან ჰუდი ჯილდოს თუ არა, შექებას მაინც ელოდა, ისინი კი ადგნენ და სამივე მათგანი დააპატიმრეს – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ალკოჰოლური სასმლის გამოყენების გამო.

ადგილობრივი პოლიციის შეფმა თავის საქციელი ასეთნაირად ახსნა: სამივე მამაკაცი უზომოდ მთვრალი იყო და რომ არ დაგვეპატიმრებინა, რომელიმე მათგანი ისევ ჩავარდებოდა მდინარეში და დაიხრჩობოდაო. ■

დანტისტისგან პოლიციამ იხსნა

გერმანიაში, ქალაქ ბად ვერისჰოფენში მცხოვრებ ქალბატონს მეზობელი შენობიდან განწირული ყვირილის ხმა შემოესმა – ვიღაცა მშველელს უხმობდა. შეშფოთებულმა ქალმა სასწრაფოდ პოლიცია გამოიძახა.

მითითებულ მისამართზე მისულმა პოლიციელებმა სტომატოლოგიურ კლინიკაში ამოყვეს თავი.

აღმოჩნდა, რომ დანტისტი, 10 წლის ბიჭუნას კბილს უპლომბავდა, კაბინეტის ფანჯარა კი ღია დარჩენოდა. პატარა პაციენტს, რომელსაც პანიკურად ეშინოდა კბილის ექიმის, კაბინეტში შესვლისთანავე აუტეხავს ყვირილი და პოლიციის მისვლამდე შეუჩერებლივ გაჰკიოდა თურმე.

პოლიციელებმა ბიჭუნა დაამშვიდეს და კლინიკა სასწრაფოდ დატოვეს, რათა ექიმისთვის მუშაობის ნორმალურად დასრულების საშუალება მიეცათ. ■

ფოტოკუთხეები

ძალიან საინტერესო ჟურნალი!

-60 6105/36

ყოველ ორშაბათს!